ავტორის სტილი დაცულია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
იურიდიული ფაკულტეტი
სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

ნიკოლოზ ფარსადანიშვილი

ქართული და ევროპული ღვინის წარმოების სამართლებრივი რეგულირების ისტორიულ-შედარებითი ანალიზი

სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი, მარინა გარიშვილი

თბილისი
2022

აბსტრაქტი

წარმოდგენილი ნაშრომი შეისწავლის ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორებიცაა: ღვინის წარმოების საწყისები ძველ დროში და მათი გავრცელება სხვადასხვა ტერიტორიაზე. დისერტაციაში განსაკუთრებული ადგილი ეთმობა რომის სამართლის წვლილს იმ რეგულაციების შემუშავებაში, რომლებიც უშუალოდ უკავშირდება ღვინოს.

გარდა ამისა, კვლევის ძირითადი მიზნებისთვის, დისერტაცია შეისწავლის ღვინის წარმოების რეგულაციების განვითარების ტენდენციებს, მე-20 საუკუნის დასაწყისიდან - ვიდრე 2000-იანი წლების დასაწყისამდე, განსაკუთრებული აქცენტით - ევროპის წამყვან მეღვინეობის ქვეყნებსა და საქართველოზე, როგორც ღვინის საერთაშორისოდ აღიარებულ სამშობლოზე. აღნიშნული მიდგომა შესაძლებლობას გვაძლევს გამოვიკვლიოთ, რა შედეგები გამოიღო ამ ტიპის რეგულაციების მიღებამ ფალსიკიცასიათან ბრძოლისა და ხარისხიანი ღვინის წარმოების დაცვის საქმეში.

დისერტაცია, შედარებით ანალიზზე დაყრდნობით, ფოკუსირდება იმ რთულ პროცესებზე, რომლებსაც ადგილი ჰქონდა ევროპასა და საქართველოში. მოცემული საკითხების უკეთ გამოკვლევის მიზნით, შედარებითი ანალიზი იყოფა რამდენიმე ნაწილად, კერძოდ ის ფოკუსირდება ღვინის წარმოების რეგულაციების განვითარებაზე საფრანგეთში, იტალიაში, ესპანეთსა და საქართველოში. დისერტაციის მოცემული ნაწილი მოიცავს პერიოდს მე-20 საუკუნის დასაწყისიდან, ვიდრე 1950-იან წლებამდე, როდესაც შეიქმნა ევროპული ეკონომიკური თანამეგობრობა. განსაკუთრებული აქცენტი კეთდება საქართველოში, როგორც რუსეთის იმპერიის, შემდეგ კი საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შემავალ სუბიექტში არსებულ ვითარებაზე.

ნაშრომი აგრეთვე ფოკუსირდება ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობის რეგულაციებზე, რათა შეაფასოს მათი გავლენა თითოეულ წევრ ქვეყანაზე. ამ მიზნით, დისერტაცია ყურადღებას ამახვილებს ღვინის წარმოების რეგულაციებზე

საფრანგეთში, იტალიაში, გერმანიასა და ესპანეთში, ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობის დაარსების შემდგომ პერიოდში.

ბოლოს დისერტაცია შეისწავლის საბჭოთა კავშირისა და საქართველოს რეგულაციებს, რაც იყოფა ორ ნაწილად - საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა და შემდეგ როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს რეგულაციებზე ფოკუსირებით.

Abstract

The primary focus of the dissertation is related to the origin of wine production and its extension on various territories during the ancient times. In the legal analysis that is embodied in the dissertation particular attention is focused on Roman legal contributions in the development of wine related regulations.

Furthermore, for the main aims of the research and in order to explore the results of issuing certain regulations and analyzing their efficiency in fighting fraud and protecting quality wine production, dissertation explores the development of wine production regulations from the beginning of 20th century to the early 2000s in leading wine producing countries of Europe, as well as in the oldest wine making country Georgia.

Dissertation by referring to comparative analyses seeks to find out the challenging processes that were happening in Europe and in Georgia, and in order to better explore these matters, comparison is divided in several parts, starting with the development of wine production regulations in France, Italy, Spain and Georgia from early 20th century to 1950s, the period prior the creation of European Economic Community (EEC). Special focus is given to the situation in Georgia both as being part of the Russian Empire and later of the Soviet Union.

Subsequently moving to the regulations of the EEC, the dissertation explores the impact of the EEC wine production regulations on its member states. Particular attention is paid on wine production regulations of France, Italy, Germany and Spain after the creation of the EEC. While focusing on Georgia the dissertation explores the regulations of both the ones of Georgia as being the Soviet Socialist Republic and then as being an independent State.

სარჩევი

აბსტრაქტი ---------- **ii**

Abstract ---------- **iv**

აბრევიატურების ჩამონათვალი ---------- **vii**

I. შესავალი ---------- **1**

1. ლიტერატურის მიმოხილვა ---------- *3*

2. მეთოდოლოგია ---------- *6*

II. ღვინის წარმოების მოკლე ისტორია მისი წარმოშობიდან, ვიდრე რომაელებამდე ---------- **8**

III. რომაული სტანდარტები და სამართლებრივი ტრადიციები ღვინის შესახებ ---------- **14**

1. რომაული სასოფლო-სამეურნეო ტრაქტატები, როგორც მევენახეობა-მეღვინეობის სტანდარტები ---------- *14*

1.1 ***De Agri Cultura (De Re Rustica)*** ---------- 15

1.2 ***Res Rusticae*** ---------- 16

1.3 ***De Re Rustica*** ---------- 17

1.4 ***De Arboribus*** ---------- 18

1.5 ***Naturalis Historia*** ---------- 19

1.6 ***Opus Agriculturae*** ---------- 20

1.7 ***Geoponika*** ---------- 22

1.8 **სხვადასხვა მოკლე ცნობები მევენახეობის შესახებ ანტიკური ხანის ტექსტებში** ---------- 23

2. რომის სამართლებრივი ტრადიციები ღვინის შესახებ ---------- *27*

2.1 **ღვინის წარმოების რეგულაცია - რომის იმპერატორ დომიციანეს ედიქტი ახ.წ. 92 წ.** -- 28

2.2 **ღვინოსთან დაკავშირებული კაზუსები რომის სამართალში** ---------- 30

2.2.1 **Specificatio** ---------- 30

2.2.2 **Furtum** ---------- 34

2.2.3 **Error in substantia** ---------- 35

IV. ღვინის წარმოების რეგულაციები საფრანგეთში, იტალიაში, ესპანეთსა და საქართველოში XX საუკუნის დასაწყისიდან, ვიდრე 1950-იან წლებამდე ---------- **41**

1. საფრანგეთი ---------- *41*

2. იტალია ---------- *57*

3. ესპანეთი ---------- *60*

4. საქართველო ---------- *64*

4.1 **ღვინო ძველი ქართული სამართლის ძეგლებში** ---------- 65

4.2 **საქართველოს ღვინის წარმოების რეგულაციები XX საუკუნის დასაწყისიდან, ვიდრე 1950-იან წლებამდე** ---------- 72

V. ღვინის წარმოების რეგულაციები ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობიდან ვიდრე ევროკავშირამდე ---------- **80**

VI. ღვინის წარმოების რეგულაციები საფრანგეთში, იტალიაში, გერმანიასა და ესპანეთში ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობის შექმნის შემდეგ ---------- **93**

1. საფრანგეთი ---------- *93*

2. იტალია ---------- *97*

3. გერმანია ---------- *101*

4. ესპანეთი ---------- *106*

VII. საბჭოთა კავშირის ღვინის წარმოების რეგულაციები ---------- 110

VIII. ღვინის წარმოების რეგულაციები საქართველოში საბჭოთა კავშირის დაშლის პარალელურად ---------- 118

1. საქართველოს, როგორც საბჭოთა კავშირში შემავალი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის რეგულაციები ---------- *119*

2. საქართველოს რესპუბლიკის რეგულაციები დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ---------- *123*

IX. დასკვნები და რეკომენდაციები ---------- 142

ბიბლიოგრაფია ---------- 151

აბრევიატურების ჩამონათვალი

აბრევიატურა	განმარტება
AO	Appellation d’ origine
AOC	Appellation d’ origine controlée
CNAO	Comité national des Appellations d'Origine
CWP	Common Wine Policy
DO	Denominaciones de Origen
DOC	Denominazione di Origine Controllata
DOCa	Denominaci´on de Origen Calificada
DOCG	Denominazione di Origine Controllata e Garantita
DOP	Denominación de Origen de Pago
EEC	European Economic Community
EU	European Union
GI	Geographical Indication
IGT	Indicazione Geografica Tipica
INAO	Institute National des Appellations d’Origine
IVCC	Institute des Vins de Consommation Courante
QbA	Qualitätswein bestimmter Anbaugebiete
QgU	Qualitätswein garantierten Ursprungs
QmP	Qualitätswein mit Prädikat
UNESCO	United Nations Educational, Scientific and Cultural Organisation
VCC	Vin de Consommation Courante
VCIG	Vino de Calidad con Indicación Geográfica
VDQS	Vin délimité de qualité supérieure
VP	Vino de Pago
VPCa	Vino de Pago Calificado
ГОСТ	Государственные стандарты Союза Советских Социалистических Республик
РСТ	Республиканские стандарты союзных республик

I. შესავალი

„...ადამიანს არ შეუძლია სრულყოფილად გაიგოს იურიდიული კონცეფცია მისი ისტორიის შესწავლის გარეშე.“[1]

საუკუნეების განმავლობაში ღვინის ბაზრები უამრავი სამთავრობო რეგულაციის საგანი გამხდარა, და ეს რეგულაციები ქვეყნების მიხედვით, მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა ერთმანეთისგან, რაც აღნიშნულ საკითხს გამორჩეულს ხდის კვლევისთვის.[2]

წინამდებარე დისერტაცია ყურადღებას ამახვილებს ქართული და ევროპული ღვინის წარმოების რეგულირებაზე 1920-იანი წლების დასაწყისიდან, ვიდრე 2000-იანი წლების დასაწყისამდე და აანალიზებს, რა გარემოებებმა განაპირობა ამ რეგულაციების შექმნა ევროპასა და საქართველოში; რა ფაქტორებმა იმოქმედა ღვინის წარმოების რეგულაციების შემუშავებაზე და როგორ აისახა ეს ღვინის ხარისხზე.

შესავლის შემდეგ, სანამ უშუალოდ გადავალთ დისერტაციის მთავარ კვლევის ობიექტზე - ევროპისა და საქართველოს ღვინის წარმოების რეგულაციების ისტორიის განხილვაზე, დისერტაციის II თავი ეთმობა ღვინის წარმოების წარმოშობისა და გავრცელების მოკლე მიმოხილვას ძველ დროში, რათა წარმოვაჩინოთ საერთო სურათი, საიდან მოდის ღვინო, როგორ განვითარდა და რამდენად მნიშვნელოვანი იყო ის ძველ სამყაროში.

III თავი ეთმობა რომაულ სასოფლო-სამეურნეო ტრაქტატებს და იურიდიულ მემკვიდრეობას ღვინოსთან დაკავშირებით, იმის წარმოსაჩენად, თუ რაოდენ დიდი ყურადღება ეთმობოდა ღვინოს და მის წარმოებასთან დაკავშირებული საკითხების დოკუმენტირება - სისტემატიზებისა და სამართლებრივი რეგულირების ასპექტებს ძველ რომში.

---

[1] Andrea Zappalaglio, *The Transformation of EU Geographical Indications Law: The Present, Past and Future of the Origin Link* (Routledge 2021) xxiii.

[2] Meloni, G., Anderson, K. et al. (2019). Wine Regulations. Applied Economic Perspectives and Policy, 41(4), 620. ღვინის რეგულაციების ისტორიული ტრადიციები განსაკუთრებით თვალსაჩინოა ევროპაში, სადაც მრავალი თანამედროვე რეგულაცია სათავეს იღებს XVIII და XX საუკუნის დასაწყისში შექმნილი რეგულაციებიდან. Ibid. 642.

IV თავი შეისწავლის ღვინის წარმოების რეგულაციების განვითარებას საფრანგეთში, იტალიაში, ესპანეთსა და საქართველოში XX საუკუნის დასაწყისიდან, ვიდრე 1950-იან წლებამდე, ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობის შექმნამდე. საქართველოზე ფოკუსირება ხორციელდება, როგორც რუსეთის იმპერიის, ხოლო მოგვიანებით, როგორც საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შემავალ სუბიექტზე, განიხილება ამ პერიოდისთვის არსებული რეგულაციები, ევროპაში არსებულ რეგულაციებთან შედარების მიზნით. ამავე თავში, ცალკე ადგილი ეთმობა, ღვინოსთან დაკავშირებით არსებულ დებულებებს ქართული სამართლის ძეგლებში.

V თავი შეისწავლის ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობის, მოგვიანებით კი ევროკავშირის რეგულაციებს 2000-იანი წლების დასაწყისამდე, რათა წარმოჩინდეს, რა ასახვა პოვა თანამეგობრობისა და ევროკავშირის ნორმატიულ დოკუმენტებში იმ სტრატეგიებმა, რაც შემუშავდა ღვინის ბაზრების რეგულირებისა და ხარისხიანი ღვინის წარმოების სტანდარტების ამაღლების მიმართულებით.

VI თავი ყურადღებას ამახვილებს ღვინის წარმოების რეგულაციებზე საფრანგეთში, იტალიაში, გერმანიასა და ესპანეთში, ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობის შექმნის შემდგომ პერიოდში, 2000-იანი წლების დასაწყისამდე. რათა წარმოჩინდეს, რა გავლენა იქონია ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობის, შემდგომში კი - ევროკავშირის რეგულაციებმა თითოეული წევრი ქვეყნის რეგულაციებზე.

VII თავი შეისწავლის საბჭოთა კავშირის რეგულაციებს, რათა გაირკვეს, თუ რა გავლენა იქონიეს მათ ქართული ღვინის წარმოების რეგულაციებზე და წარმოჩინდეს, რამდენად განსხვავდებოდა საბჭოთა კავშირის ღვინის წარმოების რეგულაციები, ევროპულისგან, ან იყო თუ არა რომელიმე ასპექტში რაიმე მზგავსება.

VIII თავი შეისწავლის საქართველოში ღვინის წარმოების რეგულაციებს საბჭოთა კავშირის დაშლის პარალელურად, აქედან გამომდინარე, საქართველოს რეგულაციები იყოფა ორ ქვეთავად და განიხილება, როგორც საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის, შემდეგ კი, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს რეგულაციები, იმის წარმოსაჩენად, თუ რა გავლენა იქონია საბჭოთა კავშირის რეგულაციებმა ქვეყნის მეღვინეობის დარგზე და

დამოუკიდებლობის შემდგომ, რა დრო დასჭირდა საქართველოს, ევროპული ყაიდის რეგულაციათა სისტემაზე გადასვლისთვის.

1. ლიტერატურის მიმოხილვა

წარმოდგენილი დისერტაციისთვის ლიტერატურის მიმოხილვას, როგორც კვლევის შთაგონებასა და საფუძველს,[3] აქვს ისეთივე სამმაგი მიზანი, როგორც ეს აღწერილი აქვთ ავტორებს - დევიდ თომასს და იან ჰოჯსს:

1) შევისწავლოთ არსებული კვლევები და გამოვიყენოთ, როგორც საწყისი ეტაპი კვლევასთან დაკავშირებული ინფორმაციისა და ტერმინოლოგიის იდენტიფიცირებისთვის, აგრეთვე საგნობრივი სფეროს გაცნობისთვის.[4]

2) შევაფასოთ არსებული აკადემიური ნაშრომების ხარისხი და გამოვავლინოთ კვლევის ყველაზე ეფექტური ხერხები და მეთოდები.[5]

3) დავადგინოთ, თუ როგორ განსხვავდება დისერტაცია სხვა აკადემიური კვლევებისგან, რაც მოგვცემს ნაშრომის, როგორც ამ სფეროში ორიგინალური კვლევის გამორჩევის შესაძლებლობას.[6]

წიგნების და აკადემიური ნაშრომების გარკვეული ოდენობა, მიეძღვნა ხარისხობრივი ღვინის წარმოების არსებითი კომპონენტის - გეოგრაფიული აღნიშვნების იურიდიულ ასპექტებს,[7] წიგნებიდან: Andrea Zappalaglio (Routledge 2021), Michael Blakeney (Edward Elgar 2014), Bernard O'Connor (Cameron May Ltd, 2007), Dev

---

[3] Boote, D., Beile, P. (2005). Scholars before Researchers: On the Centrality of the Dissertation Literature Review in Research Preparation. *Educational Researcher,* 34(6), 3.

[4] Thomas, D., Hodges, I. (2010). *Doing a Literature Review in Designing and Managing your Research Project.* Sage. 105; იხილეთ ასევე: Boote, Beile, (2005). 8. ლიტერატურის მიმოხილვის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებას წარმოადგენს იმის დადგენა, თუ რა უნდა იყოს შეტანილი მიმოხილვაში და რა უნდა გამოტოვოთ, შემდეგ კი კონცენტრირება მოხდეს იმაზე, რაც უკვე დაიწერა თემაზე და გაირკვეს თუ სად თავსდება თეზისი, დარგის ფართო კონტექსტში. Ibid; Cooper, H., Hedges, L. (eds). (1994). *The Handbook of Research Synthesis.* Sage. 3. ის ასევე მოიცავს ისეთ კომპონენტს, როგორიცაა ძირითადი ტერმინოლოგიის იდენტიფიკაცია, მათ შორის ამ თემაზე ისტორიული გაგების მოპოვება. Ibid.

[5] Thomas, Hodges, (2010). 105; იხილეთ ასევე: Cooper, Hedges, (eds). (1994). 3. იქიდან გამომდინარე, რომ ეს ნაშრომები შეფასდება ხარისხობრივად, რათა დადგინდეს, მხარს უჭერენ თუ არა ისინი დისერტაციის კვლევის შედეგებს, თუ წარმოადგენენ საპირისპირო შეხედულებას. Ibid; Boote, Beile, (2005). 8. გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს განხორციელდეს დაკვირვება, ამ დარგის სხვა აკადემიური წრეების მიერ გამოყენებულ მეთოდოლოგიებზე და ტექნიკებზე, რათა დადგინდეს, შეეძლო თუ არა ამ მეთოდოლოგიებმა მიღწეული დასკვნების მხარდაჭერა. Ibid.

[6] Thomas, Hodges, (2010). 105; იხილეთ ასევე: Boote, Beile, (2005). 8.

[7] გეოგრაფიული აღნიშვნის (GI) ცნება ნიშნავს: „...პროდუქტის თვისებები, მახასიათებლები ან რეპუტაცია არსებითად უნდა იყოს განპირობებული წარმოშობის ადგილიდან." "Geographical Indications" <https://www.wipo.int/geo_indications/en/> 18.03.2022 მდგომარეობით.

Gangjee (Cambridge University Press 2012), ხოლო აკადემიური ნაშრომებიდან: Giulia Meloni, Kym Anderson et al (Applied Economic Perspectives and Policy 2019), Giulia Meloni and Johan Swinnen (Food Policy 2018), Giulia Meloni and Johan Swinnen, (The World Economy 2018), and Tim Josling (Journal of Agricultural Economics 2006).

ეს ლიტერატურა ისტორიული,[8] ემპირიული [9] და შედარებითი [10] მეთოდების გამოყენებით, ყურადღებას ამახვილებს შემდეგ საკითხებზე: გეოგრაფიული აღნიშვნების ისტორია; [11] ევროპაში ალკოჰოლური სასმელების გეოგრაფიული აღნიშვნების და ადგილწარმოშობის აღნიშვნების განსაზღვრასთან და დაცვასთან დაკავშირებული პრობლემები; [12] გეოგრაფიული აღნიშვნები საერთაშორისო ინტელექტუალური საკუთრების სამართლის ჭრილში; [13] ევროკავშირის სამართლის თეორიასა და პრაქტიკაში არსებული ხარვეზები, გეოგრაფიულ აღნიშვნებთან დაკავშირებით;[14] როგორ იმოქმედა ღვინის ვაჭრობაზე სხვადასხვა სახის სახელმწიფო რეგულაციებმა; [15] კავშირი გეოგრაფიულ აღნიშვნებსა და ლობისტურ ჯგუფებს შორის რეგულაციების შემოღებისას, ამ რეგულაციათა ეფექტურობის და თანასწორობის საკითხების განხილვის პარალელურად (ტერუარების ხელმისაწვდომობა საზოგადოების ყველა ნაწილისთვის, ნაცვლად მხოლოდ პრივილეგირებული ჯგუფებისთვისა); [16] ღვინის რეგულაციების ანალიზი (გადასახადები, ვაზის გაშენების უფლებები, გეოგრაფიული აღნიშვნები) და საჯარო და კერძო ინტერესებს შორის არსებული დაძაბულობის შესწავლა.[17]

---

[8] Meloni, G., Swinnen, J. (2018). Trade and terroir. The political economy of the world's first geographical indications. Food Policy, 81, 1. Meloni, G., Swinnen, J. (2018). The political economy of regulations and trade: Wine trade 1860–1970. *The World Economy, 41*(6), 2-3. Josling, (2006). The War on Terroir: Geographical Indications as a Transatlantic Trade Conflict. *Journal of Agricultural Economics*, *57*(3), 338. Zappalaglio, A. (2021). *The Transformation of EU Geographical Indications Law: The Present, Past and Future of the Origin Link*. Routledge. 2; Gangjee, (2012). 15-16; Mantrov, V. (2015). *EU Law on Indications of Geographical Origin: Theory and Practice.* Springer International Publishing. 4; Blakeney, M. (2014). *The Protection of Geographical Indications: Law and Practice.* Edward Elgar. 1-2; Gangjee, (2012). 1.

[9] Zappalaglio, (2021). 2.

[10] Meloni, G., Anderson, K. et al. (2019). Wine Regulations. Applied Economic Perspectives and Policy, 41(4), 620.

[11] Blakeney, (2014). 1-2; Gangjee, (2012). 1; Zappalaglio, (2021). 2; Meloni, G., Swinnen, J. (2018). Trade and terroir. The political economy of the world's first geographical indications. *Food Policy, 81*, 1. Meloni, G., Swinnen, J. (2018). The political economy of regulations and trade: Wine trade 1860–1970. *The World Economy, 41*(6), 2-3.

[12] Blakeney, (2014). 1-2.

[13] Gangjee, (2012). 1.

[14] Mantrov, (2015). 4.

[15] Meloni, G., Swinnen, J. (2018). The political economy of regulations and trade: Wine trade 1860–1970. *The World Economy, 41*(6), 2-3.

[16] Meloni, G., Swinnen, J. (2018). Trade and terroir. The political economy of the world's first geographical indications. *Food Policy, 81*, 1. Josling, (2006). 338.

[17] Meloni, G., Anderson, K. et al. (2019). Wine Regulations. Applied Economic Perspectives and Policy, 41(4), 620.

აღნიშნული ლიტერატურა, მიუხედავად იმისა, რომ ძალზე სასარგებლო ცოდნას იძლევა, არა მხოლოდ გეოგრაფიული აღნიშვნების შესახებ კანონების შემოღებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი და ღირებული ისტორიული ფაქტების მოწოდებით, არამედ მათი სხვადასხვა კუთხით შესწავლის მხრივაც, მაინც, გზები რომლებითაც ეს წყაროები შეისწავლიან აღნიშნულ საკითხებს, ღვინის წარმოების რეგულაციებთან პირდაპირ კავშირში არაა.

წარმოდგენილი დისერტაციის მიზნებისათვის სტრუქტურის ძირითადი ნაწილი და შედარებითი მეთოდის გამოყენების იდეა, შთაგონებულია ჯეფრი მუნსის ნაშრომით (Harvard Law School 2002). ავტორისეული ხერხი, თუ როგორ ახდენს ევროპის მთავარი მეღვინეობის ქვეყნების რეგულაციების შედარებას, [18] წარმოადგენს ღირებულ წყაროს არამხოლოდ ღვინის წარმოების რეგულაციების ისტორიის ანალიზისთვის, არამედ ქართული და ევროპული რეგულაციების ისტორიული თვალსაზრისით, სათანადოდ შედარების საფუძველს იძლევა.

წარმოდგენილი დისერტაციის სიახლეს წარმოადგენს ის, რომ იგი ავსებს ამ მიმართულებით, საქართველოს შესახებ არსებულ ინფორმაციულ სიმწირეს, ვინაიდან საქართველოს ღვინის წარმოების რეგულაციები, ჯერჯერობით, ფართოდ არ არის შესწავლილი და განხილული ისტორიული თვალსაზრისით, არც ქართული და ევროპული ღვინის წარმოების რეგულაციების შედარებითი ანალიზი გაკეთებულა აქამდე. გარდა ამისა, ეს ნაშრომი ასევე გვაწვდის ინფორმაციას რუსეთის იმპერიის და, მოგვიანებით, საბჭოთა კავშირის ღვინის წარმოების რეგულაციების, ჯერ კიდევ აკადემიურად, არც ისე ღრმად შესწავლილი წყაროების შესახებ, რომლებიც გავლენას ახდენდნენ ღვინის წარმოებაზე საქართველოში.[19]

წარმოდგენილი დისერტაციის კიდევ ერთი სიახლეა ის ფაქტი, რომ იგი აერთიანებს რომაულ წყაროებს ღვინის შესახებ და იკვლევს მათ განსხვავებული კუთხიდან. ნაშრომი აანალიზებს რომაულ სასოფლო-სამეურნეო ტრაქტატებს,

[18] Munsie, J. A. (2002). A Brief History of the International Regulation of Wine Production. *Harvard Law School.* 3.

[19] ამ საკითხებთან დაკავშირებით იხილეთ ასევე: Parsadanishvili N. (2021). Comparison of Wine Production Regulations in France and Georgia from the early 20th Century to 1950s. *Journal of Polish-Georgian Law 1,* 129; Parsadanishvili, N. (2022). Comparative Analysis of Wine Production Regulations in parallel to the creation of the European Union and the Collapse of the Soviet Union in Oldest Wine Producing Country -Georgia and Biggest Wine Producing Country - France. *Annales Pomorienses. Ius, 1*

როგორც ღვინის დაყენების თანამედროვე სტანდარტების ეკვივალენტს,[20] ხოლო სამართლებრივ შემთხვევებს განიხილავს ღვინის ავთენტურობის თვალსაზრისით, და ზოგ შემთხვევაში - ირიბად, თუმცა მაინც აკავშირებს მათ ღვინის წარმოებასთან.

ამრიგად, ყველა ზემოთხსენებულ საკითხზე ფოკუსირებით, წარმოდგენილი დისერტაცია გამოირჩევა სხვა აკადემიური ნაშრომებისგან, როგორც ორიგინალური ნაშრომი ამ სფეროში.

2. მეთოდოლოგია

წარმოდგენილი დისერტაციის კვლევის მეთოდოლოგია, ძირითადად, ეფუძნება შედარებით-სამართლებრივ ანალიზს, რომელიც საშუალებას იძლევა შემოწმდეს, თუ როგორ მიუდგნენ სხვადასხვა სამართლებრივი სისტემები და კულტურები იმ პრობლემებს, რომლებიც ამ კონკრეტულ ვითარებაში დგას საქართველოს კანონმდებლობის წინაშე, და რა დონეზე მიაღწიეს მათ წარმატებას ან განიცადეს წარუმატებლობა.[21]

დისერტაციაში ამ მეთოდის ინკორპორირება საშუალებას გვაძლევს, შედარდეს სხვადასხვა იურისდიქციის სამართლებრივი წესები, საუკეთესო პრაქტიკის მოსაძებნად.[22] თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ყოველთვის არ არის ეფექტური შედარებით-სამართლებრივი მიდგომის გამოყენება, როგორც ერთ

---

[20] იხილეთ Meloni, G., Anderson, K. et al. (2019). Wine Regulations. Applied Economic Perspectives and Policy, 41(4), 642.

[21] შედარებით-სამართლებრივ ანალიზსთან დაკავშირებით, ამ და სხვა საკითხებზე, ვრცელი ინფორმაციის მისაღებად, იხილეთ: Salter, M., Mason, J. (2007). *Writing Law Dissertations: An Introduction and Guide to the Conduct of Legal Research.* Pearson. 183; Schlesinger, R. B. (1995). The Past and Future of Comparative Law. *The American Journal of Comparative Law*, *43*(3), 477; შედარებით-სამართლებრივი ანალიზი, მისაღებ მეთოდად იქცა განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ისეთი მასალები, როგორიცაა: კაზუსები, წესდებები, სხვადასსვა სამართლებრივი სისტემებისა და კულტურების შესახებ აკადემიური სტატიები და სხვა წყაროები, ხელმისაწვდომი გახდა ინტერნეტ სივრცეში. Ibid. იხილეთ ასევე: Kahn-Freund, O. (1974). On Uses and Misuses of Comparative Law. *The Modern Law Review*, *37*(1), 1; Legrand P. (1996). How to Compare Now. *Legal Studies*, *16*(1), 232; Legrand, P. (1997). The Impossibility of 'Legal Transplants.' *Maastricht Journal of European and Comparative Law*, *4*(2), 111; Curran, V. G. (1998). Dealing in Difference: Comparative Law's Potential for Broadening Legal Perspectives. *The American Journal of Comparative Law*, *46*(4), 657; Mattei, U. (1998). An Opportunity Not to Be Missed: The Future of Comparative Law in the United States. *The American Journal of Comparative Law*, *46*(4), 709–718; Reimann, M. (1998). Stepping out of the European Shadow: Why Comparative Law in the United States Must Develop Its Own Agenda. *The American Journal of Comparative Law*, *46*(4), 637–646; Bradney, A., Cownie, F. (1999). *Teaching Legal System.* The National Centre for Legal Education. 51.

[22] ამ მეთოდის ინკორპორირების უპირატესობებზე ვრცელი ინფორმაციის მისაღებად იხილეთ: Collins, H. (1991). Methods and Aims of Comparative Contract Law [Review of *Contract Law Today: Anglo-French Comparisons*, by D. Harris & D. Tallon]. *Oxford Journal of Legal Studies*, *11*(3), 396.

სამართლებრივ სისტემაში მოქმედი კანონის - მეორეში გადატანის საშუალება,[23] რადგან ერთი ქვეყნის სამართლებრივი პრინციპები, მისივე ისტორიული და სოციალური განვითარების შედეგია და კანონის ან კანონების ერთობლიობის პირდაპირი დანერგვა სხვა ქვეყნის იურისდიქციაში შეიძლება არ იყოს ისეთი წარმატებული, როგორც იყო მის თავდაპირველ იურისდიქციაში.[24]

ამრიგად, იმისათვის, რომ უკეთ გავიგოთ, რა პროცესებმა გამოიწვია რეგულაციების შემოღება ამა თუ იმ ქვეყანაში, წარმოდგენილ დისერტაციაში კვლევის ინსტრუმენტად ასევე გამოყენებულია ისტორიულ-შედარებით მიდგომა, ვინაიდან, სამართლებრივი კვლევის საგნად გარკვეული პროცესების შერჩევა, აუცილებლად მოითხოვს მათ ისტორიულ-შედარებით შესწავლას. ისტორიული კონტექსტუალიზაცია მტკიცედ უსვამს ხაზს ცვალებადი კონტექსტის ეფექტს, თუ როდის, რომელ ეპოქაში, როგორ და რა მიზეზით განიცადა ცვილელება ამა თუ იმ ინსტიტუტმა.[25]

ასეთი კონტექსტუალიზაცია აანალიზებს წარსულს არა საკუთარი თავისთვის, არამედ იმისთვის, რომ უკეთ იქნას გაგებული არსებული მოვლენების მნიშვნელობა და შედეგები.[26]

რომაული წყაროების შესწავლისას, ისტორიულ მიდგომასთან ერთად, მეთოდს, რომელსაც ვეყრდნობით არა მთლიანად, არამედ ნაწილობრივ, არის დოქტრინალური მიდგომა, კონტექსტის სისტემური აღწერისთვის, [27] რადგან სასოფლო-სამეურნეო ტრაქტატების გარდა, ჩვენ თავს ვუყრით სამართლებრივ შემთხვევებს და ვახდენს მათ ინტერპრეტირებას.[28] ეს კი საჭიროა იმისთვის, რომ

---

[23] Collins, (1991). 397.

[24] Kahn-Freund, (1974). 1.

[25] ისტორიული კონტექსტუალიზაციის შესახებ დაწვრილებითი ინფრომაციისთვის იხლიეთ: Salter, Mason, (2007). 193.

[26] Salter, Mason, (2007). 194.

[27] ამ მეთოდის ვრცელი განმარტებისთვის იხილეთ: Salter, Mason, (2007). 49. აღნიშნული მეთოდი ასევე მოიხსენიება როგორც "black-letter" მიდგომა. Ibid. 44; იხილეთ ასევე: Hutchinson, T., Duncan, N. (2012). Defining and Describing What We Do: Doctrinal Legal Research. *Deakin LR, 17*(1), 118.

[28] ამ საკითხთან დაკავშირებით იხილეთ: Michael Salter and Julie Mason, Salter, Mason, (2007). 50; დამატებით იხილეთ ასევე: Twining, W. (1994). *Blackstone's Tower: The English Law School.* London, Stevens. 2, 104; Holmes, O.W. Jr. (1897). The Path of the Law. *Harv L Rev, 10,* 457, 465-466; Vick, D. W. (2004). Interdisciplinarity and the Discipline of Law. *Journal of Law and Society*, *31*(2), 163, 164; Nissani, M. (1995). Fruits, Salads, and Smoothies: A Working Definition of Interdisciplinarity. *The Journal of Educational Thought (JET) / Revue de La Pensée Éducative*, *29*(2), 121, 124. დარგში ინტერდისციპლინარული მეთოდების გამოყენების შესახებ ინფორმაციისთვის იხილეთ ასევე: Philip Thomas, P. (ed.). (1997). *Socio-Legal Studies.* Aldershot: Ashgate-Dartmouth. 99; Salter, Mason, (2007). 130, 132; Harris, D. (1983). The Development of Socio-Legal Studies in the United Kingdom. *Legal Studies 3*(3), 315.

მოცემული იფნორმაციის საფუძველზე შევძლოთ ზოგადი დასკვნის გამოყვანა და შემდგომ მასზე დაყრდნობით, შევძლოთ კონკრეტულ, კერძო დასკვნმდე მისვლა.

II. ღვინის წარმოების მოკლე ისტორია მისი წარმოშობიდან, ვიდრე რომაელებამდე

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ყველაზე პირველი ღვინის წარმოება ყურძნის წვენის შემთხვევითი დუღილის შედეგი იყოს. ეს შეიძლება აიხსნას იმით, რომ იმ დროს ადამიანები ღვინის წარმოებაში, სავარაუდოდ, იმავე ყურძენს იყენებდნენ, რომელიც გამიზნული იყო საკვებად, და რომელიღაც მომენტში ყურძენი დაიწნეხა თავისივე წონით, რის შემდგომაც, გამოყოფილმა წვენმა დაიწყო დუღილი.[29]

მსოფლიოში, დღეისთვის ცნობილი, მეღვინეობის ყველაზე ადრეული მტკიცებულება, მდებარეობს საქართველოში და 8000 წლით თარიღდება.[30] ქიმიური ანალიზით ირკვევა, რომ შულავერის-გორასა და ხრამის-დიდი-გორას ტერიტორიებზე აღმოჩენილ ჭურჭლებში ოდესღაც ღვინო ინახებოდა. გარდა ამისა, ეს ნეოლითური ჭურჭლები ასახავდა ვაზის ტალავერის ქვეშ მოცეკვავე ფიგურებს, რაც აქ არსებული კულტურის, ყურძნის ღვინოსთან ძლიერ კავშირზე მიუთითებს. [31]

როგორც პატრიკ მაკგოვერნი ამბობს: „საქართველო იყო უძველესი მსოფლიოს ღვინის ერთ-ერთი უდიდესი კულტურა“.[32]

ღვინის ძველ კულტურაზე საუბრისას, უნდა აღინიშნოს, რომ რუსი ბოტანიკოსი ნიკოლაი ვავილოვი იყო პირველი მეცნიერი, რომელიც ამტკიცებდა, რომ მსოფლიოში უძველესი ღვინის კულტურა წარმოიშვა ამიერკავკასიაში, იმ ტერიტორიების არეალში, სადაც დღეს მდებარეობს საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი.[33] აღსანიშნავია ამ მეცნიერის ლინგვისტური დაკვირვებაც სიტყვა

---

[29] Phillips, R. (2018). *Wine A Social and Cultural History of the Drink That Changed Our Lives.* Infinite Ideas. 168.

[30] Phillips, (2018). 168. იხილეთ ასევე: Patrick E. McGovern, Stuart J. Fleming and Solomon H. Katz, *The Origins and Ancient History of Wine* (Taylor & Francis e-Library, 2005) xiv; Jeffrey A. Munsie, 'A Brief History of the International Regulation of Wine Production' (Work, Harvard Law School 2002) 5; Unwin, (1991). 59.

[31] McGovern, P. E. (2009). *Uncorking the Past: The Quest for Wine, Beer, and Other Alcoholic Beverages.* University of California Press. 80.

[32] McGovern, (2009). 80.

[33] McGovern, P. E. (2007). *Ancient wine: the search for the origins of viniculture.* Princeton University Press. 19. იხილეთ ასევე: McGovern, (2009). 82. ევრაზიული ყურძნის მსოფლიო ცენტრად დიდი ხანია ვარაუდობდნენ, აღმოსავლეთ ტავრის, კავკასიისა და ჩრდილოეთ ზაგროსის მთების ტერიტორიებს. აქ ჯიშებმა ყველაზე მეტი გენეტიკური ცვალებადობა განიცადა, რაც ქმნის იმ მოსაზრების არსებობის შესაძლებლობას, რომ ვაზი პირველად ამ არეალში მოშინაურდა. არქეოლოგიური და

ღვინოსთან დაკავშირებით, მისი დაკვირვებით აღნიშნულ სიტყვას, ამა თუ იმ სახესხვაობით, იზიარებენ ინდოევროპული, არაინდოევროპული, უძველესი და თანამედროვე ენები. მაგალითად, ინგლისური სიტყვა wine მომდინარეობს vinum-დან, რაც ღვინის ლათინური სახელწოდებაა, იგივე წარმომავლობა აქვს იტალიურ vino-ს და ფრანგული vin-ს, ამ სიტყვის ქართული ეკვივალენტია ღვინო.[34]

ქართველი ენათმეცნიერი თამაზ გამყრელიძე, რუს კოლეგა ვიაჩესლავ ივანოვთან თანამშრომლობით, კიდევ უფრო შორს წავიდა და გაარკვია, რომ სიტყვა ღვინისა და მისი ნათესაური ფორმების მუდმივი კორელაციების არსებობა ევროპისა და ახლო აღმოსავლეთის ენებში შემთხვევითი არ ყოფილა. მათი რწმენით, სიტყვის პროტოინდოევროპული ფორმის ჩამოყალიბების დასაწყისშივე, იგი სხვა ენებში გადავიდა და მათი თავისებურებების მიხედვით ტრანსფორმირდა.[35] გარდა ამისა, თანამედროვე დნმ-ის ანალიზის მიხედვით, დასავლეთ ევროპული ვაზის ჯიშების: შასელა (Chasselas), ნებიოლო (Nebbiolo), პინო (Pinot), შირა (Syrah) ქართულ ყურძნის ჯიშებთან შედარებისას, აშკარა ხდება, რომ ისინი მჭიდრო ნათესავურ კავშირშია, რაც შესაძლებელს ხდის განმტკიცდეს მოსაზრება, რომ მათი წინაპრები ძველი ქარული ვაზის ჯიშებია.[36]

ქიმიური კვლევის მიხედვით, ნათელი გახდა, რომ მსოფლიოში პირველი ღვინის კულტურა, რომელმაც გავლენა იქონია ეკონომიკაზე, რელიგიასა და მთლიანად კულტურაზე, ამ რეგიონში გაჩნდა სულ მცირე 7000 წლის წინ. Ibid; Lukacs, P. (2013). *Inventing Wine A New History of One of the World's Most Ancient Pleasures*. W. W. Norton & Company. 24.

[34] McGovern, (2007). 33-34. იხილეთ ასევე: Joe Slater, 'Why the word for wine is similar in many languages' <http://news.hvino.com/2016/12/why-word-for-wine-is-similar-in-many.html> 28.12.2021 მდგომარეობით.

[35] McGovern, (2007). 34. იხილეთ ასევე: Joe Slater, 'Why the word for wine is similar in many languages' <http://news.hvino.com/2016/12/why-word-for-wine-is-similar-in-many.html> 28.12.2021 მდგომარეობით. თამაზ გამყრელიძის და ვიაჩესლავ ივანოვის შესახებ დამატებითი ინფორმაციისთივს იხილეთ: 'თამაზ გამყრელიძე' <http://www.nplg.gov.ge/bios/ka/00000844/> 29.12.2021 მდგომარეობით; 'Vyacheslav Vsevolodovich Ivanov' <https://slavic.ucla.edu/person/vyacheslav-ivanov/> 29.12.2021 მდგომარეობით.

[36] McGovern, (2009). 83. გამყინვარების ხანის დამთავრებიდან მოყოლებული, ევრაზიულმა ვაზმა წარმოშვა ათიათასობით ჯიში, რაც მსოფლიოს თითქმის ყველა ღვინის წარმოების საფუძველს შეადგენს. მიუხედავად იმისა, რომ ჩრდილოეთ ამერიკა და აღმოსავლეთ აზია გამოირჩევიან ყურძნის ადგილობრივი ჯიშების მრავალფეროვნებით, მათ შორის ისეთი სახეობებითაც კი, რომლებიც ხასიათდებიან ძალიან მაღალი შაქრის შემცველობით, არ არსებობს რაიმე მტკიცებულება, რომ ეს ჯიშები ვინმეს მოეშინაურებინა თანამედროვე დრომდე. Ibid 82. იხილეთ ასევე: Rachael Bunyan, 'Forget France, Italy and Spain – the grapes used to make top European wines may be from the west-Asian country of Georgia where vineyards have existed for 8,000 years, study suggests' <https://www.dailymail.co.uk/news/article-10334655/The-grapes-used-make-European-wines-west-Asian-country-Georgia.html>29.12.2021 მდგომარეობით. ამ სტატიაში საქართველო შეცდომითაა მითითებული როგორც დასავლეთ აზიური ქვეყანა. (ხაზგასმა დამატებულია - ნიკოლოზ ფარსადანიშვილი).

ღვინის კულტურა ეტაპობრივად გაფართოვდა და გახდა მთავარი სოციალურ-ეკონომიკური იმპულსი თავად წარმოშობის არეალსა და მოგვიანებით - მთელ ევროპაში.[37]

ღვინის კულტურის მიგრაცია ევროპაში განხორციელდა ბერძენი მეზღვაურების მიერ ელინური კოლონიების - ქალაქ-სახელმწიფოების დაარსების შედეგად, ისინი ნაოსნობდნენ არა მხოლოდ სანაპირო რაიონებში, არამედ შედიოდნენ საკმაოდ ღრმად სხვადასხვა ტერიტორიებზე: ყირიმის და იტალიის ნახევარკუნძულზე, სამხრეთ საფრანგეთის ტერიტორებზე და ა.შ. შესაბამისად, უმეტეს შემთხვევაში, სწორედ ისინი იყვნენ, ვისაც ღვინის კულტურა შეჰქონდა ამ ადგილებში.[38]

მოგვიანებით, რომაელებმა გააგრძელეს მევენახეობისა და მეღვინეობის დარგის გაფართოება იმპერიის ყველა იმ ტერიტორიებზე, სადაც ხელსაყრელი პირობები იყო ამ საქმიანობისთვის, ხოლო იმ ადგილებში, სადაც მიწები უკვე გაშენებული იყო ვენახებით, მათი ხელშეწყობით მოხდა ამ საქმიანობის გაფართოება. რომაელები ვაზს ამუშავებდნენ და ღვინოს ამზადებდნენ სამხრეთ საფრანგეთის, ესპანეთის, პორტუგალიის, ჩრდილოეთ აფრიკის, თურქეთის და შავი ზღვის უმეტეს სანაპირო რაიონებში. მათი წყალობით, მევენახეობა-მეღვინეობა სრულიად ახალ ტერიტორიებზე გავრცელდა, როგორიცაა ახლანდელი სამხრეთ ბელგიისა და ლუქსემბურგის, გერმანიის და ბრიტანეთის ტერიტორიები. მაგრამ, გალია იყო ის ტერიტორია, სადაც ვაზის მოშენებაში რომაელებმა ყველაზე დიდი წვლილი შეიტანეს. დაპყრობების შედეგად, გაჩნდა დასახლებები მრავალ ტერიტორიაზე, მათ შორის ისეთ ადგილებში, რომელთაც დღეს ბურგუნდია და შამპანი ეწოდება, ხოლო პირველი საუკუნის შუა წლებში დაარსდა საპორტო

---

[37] McGovern, (2009). 82. უკვე პირველ ათასწლეულში, ეკონომიკური განვითარების შედეგად, ღვინის გავრცელება - მოხმარებამ ფართო მასშტაბები მიიღო. იხილეთ Lukacs, (2013). 39. მევენახეობა სხვა სასოფლო-სამეურნეო დარგებთან ერთად, კომერციულად მომგებიან საქმიანობად იქცა. ქალაქებში მცხოვრები ხალხი ამჯობინებდა მათთვის საჭირო სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შეძენას, ვიდრე მათ მოშენებას. ამგვარად, ისეთ ქალაქებში, როგორებიცაა ათენი, სპარტა, მოგვიანებით რომი და პომპეი, ღვინო საბოლოოდ დამკვიდრა ქალაქურ ცხოვრებაში. Ibid.

[38] Lukacs, (2013). 39. იტალიაში, ბერძნების მოსვლამდე დიდი ხნით ადრე, ეტრუსკები ამუშავებდნენ ყურძენს და ღვინოს აწარმოებდნენ, მაგრამ მათი ღვინის კულტურა არ შემორჩა, რაც შეიძლება აიხსნას იმით, რომ ღვინო ეტრუსკულ კულტურაში უფრო მცირე როლს თამაშობდა, ვიდრე ბერძნულში. სწორედაც, რომ ახალი ბერძნული დასახლებები იყო ის ადგილები, სადაც იტალიური ღვინის კულტურა ყველაზე ღრმად იღებს ფესვებს. Ibid. 40.

ქალაქი ბურდიგალა (Burdigala), დღევანდელი ბორდო. რომაელების სახელს უკავშირდება ასევე, ამფორების ნაცვლად, ხის კასრების გამოყენება ხმელეთით ღვინის ტრანსპორტირებისთვის.[39]

რაც შეეხება ღვინის კლასიფიკაციას, ბერძნები და რომაელები გამოყოფდნენ ღვინოების კატეგორიებს, როგორიცაა: განსაკუთრებული და ჩვეულებრივი. მთავარი განსხვავება იყო ამ ღვინოების დამზადების მეთოდი. სპეციალურ ღვინოებს ამზადებდნენ ყურძნის მზეზე გაშრობით, ხოლო ჩვეულებრივ ღვინოებს ხშირად ამზადებდნენ ყურძნის დამწიფებამდე, მიღებული ყურძნის წვენის დაუყოვნებლივი დუღილით.[40]

გარდა ამისა, რომში სამხრეთ იტალიის ღვინოები ყოველთვის უფრო მაღალი პოპულარობით სარგებლობდნენ, ვიდრე ჩრდილოეთის ღვინოები. რომაელები უპირატესობას ანიჭებდნენ არა მხოლოდ სამხრეთ-იტალიურ ღვინოებს, არამედ ღვინოებს, რომლებიც მზადდებოდა ნეაპოლის ყურესთან ახლოს მდებარე კამპანიის (*Campania*) ვენახებიდან, განსაკუთრებით კი - ლაციუმის (*Latium*) ფერდობებზე გაშენებული ვენახებიდან. ამ ზუსტად განსაზღვრულ რეგიონებში, ასევე განისაზღვრა ისეთი ქვეზონები, როგორიცაა კაეკუბუმი (*Caecubum*), კაულინუმი (*Caulinum*), ტრებელიკანუმი (*Trebellicanum*) და ყველაზე ცნობილი, - ფალერნუმი (*Falernum*). [41] ეს უკანასკნელი კლასიფიცირებული იყო სამ კატეგორიად, იმის მიხედვით, თუ მთა ფალერნუსის (Falernus) რომელ ფერდობებზე იყო გაშენებული ვენახები: 1) ფალერნული - ქვედა ფერდობებიდან; 2) ფაუსტურ-ფალერნული შუა ფერდობებიდან; 3) კაუკინურ-ფალერნული - ყველაზე მაღალი ფერდობებიდან. ამ ფერდობების ვენახებიდან მიღებული ღვინო ითვლებოდა

[39] Phillips, (2018). 178. ღვინო იქცა რომაელთა კვების რაციონის უმთავრეს კომპონენტად. Ibid. იხილეთ ასევე: Lukacs, (2013). 39-41.

[40] Lukacs, (2013). 12-13. გამომშრალი ყურძნისგან მიღებული ღვინოები საუკუნეების განმავლობაში გამორჩეულად ითვლებოდა, თუმცა გვიან შუა საუკუნეებში და რენესანსში გაჩნდა ახალი განმარტება, რომელიც ეფუძნებოდა ვენახის მდებარეობას - კარგი ღვინო, ჩვეულებრივისგან განსხვავებით, განსაკუთრებით კარგი მევენახეობის რეგიონიდან მოდის. ეს იყო ტერუარის თავდაპირველად ფრანგული, მაგრამ დღეს უკვე გლობალური კონცეფციის დასაწყისი. ვაზის გაშენების არეალი შემდგომში გახდა ნებისმიერი ხარისხობრივი ღვინის იდენტობის მნიშვნელოვანი ნაწილი. Ibid. 13.

[41] Lukacs, (2013). 43.

ყველაზე საუკეთესოდ. ამ კლასიფიკაციასთან მსგავსების აღმოჩენა შესაძლებელია ღვინის თანამედროვე კლასიფიკაციის სისტემებში.[42]

თეთრი ღვინო ყველაზე ძვირი ღირდა და მისი წარმოების თავისებურება მდგომარეობდა იმაში, რომ ყურძენს კრეფდნენ გვიან, რითაც ღვინო მძიმე და ტკბილი ხდებოდა. ამ სახის ღვინოს ათწლეულების განმავლობაში შეეძლო დავარგება.[43]

რაც შეეხება უძველესი ღვინოების გემოებს, ისინი საკმაოდ განსხვავდებოდა იმისგან, რასაც ჩვენ მიჩვეულები ვართ დღეს. მოხარშული ხის ფისის ან თაბაშირის, დამატება მადუღარ ტკბილში, ასევე კირის, მარმარილოს მტვერისა და სხვა დანამატების შეტანა ღვინოში, მაშინ ფართოდ გავრცელებული პრაქტიკა იყო სხვადასხვა კულტურებში და მათ შორის - რომშიც. ამ პრაქტიკას მიმართავდნენ იმისთვის, რომ ღვინო სასმელად ვარგისი გამხდარიყო. ასევე ფართოდ იყენებდნენ ღვინის წყლით გაზავების პრაქტიკას, რადგან ღვინის პირდაპირი მოხმარება, ველურ ქმედებად ითვლებოდა. გაზავებას ორი სარგებელი ჰქონდა: ასეთი სასმელი კლავდა წყურვილს, ხოლო ღვინოში შემავალი სპირტი კი წყალს სასმელად უფრო უსაფრთხოს ხდიდა.[44]

ამ მოკლე ისტორიული მიმოხილვის შედეგად, შეგვიძლია გამოვყოთ შემდეგი მნიშვნელოვანი დაკვირვებები:

1. ღვინის კულტურის წარმოშობის შემდეგ, იგი ევროპაში ვრცელდება ბერძნების მიერ, ხოლო მოგვიანებით, - რომაელების მიერ, და გაცილებით ფართო მასშტაბით.

2. რომაელთა მიერ მევენახეობა-მეღვინეობის მხრივ დატოვებული კვალი ევროპაში იმდენად დიდია, რომ ის არ ჩამოუვარდება მათ მიერ ევროპისთვის დატოვებულ უმთავრეს კულტურულ მემკვიდრეობას - სამართალს. აქედან გამომდინარე, რომი ევროპული ცივილიზაციებისთვის გვევლინება არა მხოლოდ სამართლის, არამედ ღვინის კულტურის მიმცემადაც (ეს საკითხები კიდევ უფრო თვალნათლივ დისერტაციის მომდევნო ნაწილშია განხილული).

---

[42] Munsie, (2002). 7; Lukacs, (2013). 43.
[43] Munsie, (2002). 7
[44] Lukacs, (2013). 25-26; Munsie, (2002). 5, 7; Phillips, (2018). 367.

3. საქართველოსა და ევროპის რეგულაციათა ისტორიის შედარებით-სამართლებრივ ანალიზის ფონზე, უმნიშვნელოვანესია ის გარემოება, რომ ევოპულ ცივილიზაციებში ღვინის კულტურის პირველი მიგრაცია სწორედ იმ ტერიტორიებიდან განხორციელდა, სადაც საქართველო მდებარეობს.

4. და ბოლოს, არანაკლებ მნიშვნელოვანია, რომ ამ მოსაზრების ავტორი სწორედაც, რომ რუსი მეცნიერი ნიკოლაი ვავილოვი იყო, ხოლო კიდევ ერთი რუსი მეცნიერი, ვიაჩესლავ ივანოვი კი, ქართველ კოლეგა თამაზ გამყრელიძესთან თანამშრომლობით, საკმაოდ საინტერესო ენათმეცნიერულ დაკვირვებას გვაძლევს, სიტყვა ღვინოს ჩამოყალიბების შემდეგ, მისი სხვა ენებში გადასვლის შესახებ. ამ გარემოებათა მნიშვნელობა განპირობებულია იმ ფაქტით, რომ ბოლო წლებში როგორც, ჩანს რუსი მეცნიერები, მიზანმიმართულად ცდილობენ ქართული კულტურის კვალის დაფარვას. ამის თვალსაჩინო მაგალითია ანასტაცია სტეპანჩეკოს ნაშრომი.[45] ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის მეღვინეობის კერების განხილვისას, სტეპაჩენკო აღნიშნულ ტერიტორიებზე ქართული ღვინის ტრადიციების გამოჩენას უკავშირებს მხოლოდ XVI-XVIII საუკუნეებს, ისიც ტერმინ "აფხაზურ-ქართულის" გამოყენებით. ასევე XVII საუკუნის შაფსუღეთისა და სამეგრელოს მეღვინეობის კერების მოხსენიებისას, ამბობს, რომ აქ მეღვინეობა "სამხრეთ კავკასიური (ქართული)" ტრადიციით ხასიათდებოდა. ამით სტეპანჩეკო ცდილობს რეგიონში ქართული ღვინის კულტურის კვალის დაფარვას ტერმინ "სამხრეთ კავკასიურის" გამოყენებით. გარდა ამისა, დასახელებული ავტორი "აახალგაზრდავებს" ქართული ღვინის კულტურას, მისი მხოლოდ XVI-XVIII საუკუნეებთან ასოცირებით, თუმცა მისი კვალის დაფარვას ბოლომდე ვერ ახერხებს, რადგან იძულებულია ტერმინ "სამხრეთ კავკასიურთან", ფრჩხილებში მიუთითოს სიტყვა - "ქართული."[46]

---

[45] იხილეთ: Степанченко, А. (2016). Развитие Виноградарства и Виноделия в Северо-Восточном Причерноморье (II в. до н.э. – середина XIX в.). *Кубанский государственный университет, Краснодар,* 17-18, 28.

[46] ავტორი ასევე მიზანმიმართულად მოიხსენიებს აფხაზებს და მეგრელებს სეპარატისტული ყაიდით. Ibid. 17-18, 28.

III. რომაული სტანდარტები და სამართლებრივი ტრადიციები ღვინის შესახებ

დისერტაციის ეს ნაწილი აერთიანებს და იკვლევს რომაელი სწავლულების ჩვენამდე მოღწეულ სასოფლო-სამეურნეო ნაშრომებს მევენახეობა-მეღვინეობის შესახებ, რომაულ სამართლებრივ მემკვიდრეობასთან ერთად, რომელიც პირდაპირ ან ირიბად გავლენას ახდენდა ღვინის წარმოებაზე ან ღვინოსთან დაკავშირებულ საკითხებზე.

ამით, ეს ნაწილი მიზნად ისახავს არა მხოლოდ კონსოლიდირებული ინფორმაციის მიწოდებას ძველ რომში მევენახეობა-მეღვინეობის შესახებ, არამედ ის განსხვავებული კუთხით იკვლევს მთელ ამ სასოფლო-სამეურნეო და იურიდიულ მემკვიდრეობას, ღვინის წარმოების სტანდარტებისა და რეგულაციების პერსპექტივიდან.

1. რომაული სასოფლო-სამეურნეო ტრაქტატები, როგორც მევენახეობა-მეღვინეობის სტანდარტები

რომის რესპუბლიკის პერიოდში, რომის კულტურულმა ექსპანსიამ ევროპაში (სამხრეთით და დასავლეთით), ჩრდილოეთ აფრიკაში, ახლო აღმოსავლეთსა და ეგვიპტეში ხელი შეუწყო მკვეთრ ცვლილებებს როგორც თავად რომაულ საზოგადოებაში, ასევე მთელ ძველ სამყაროში. რომის, ძირითადად, სასოფლო-სამეურნეო ბუნება დასაბამს დაუდებს ეკონომიკას, რომლის ერთ-ერთ დამახასიათებელ კომპონენტად მასიური ვაჭრობა გვევლინება.[47]

ვინაიდან სოფლის მეურნეობა იყო რომაული ეკონომიკის ძალზედ მნიშვნელოვანი კომპონენტი, ბუნებრივია, რომ ბევრმა რომაელმა ავტორმა მიუძღვნა თავისი კვლევები ამ დარგს, რის შედეგადაც შეიქმნა, საოცარი სიზუსტით შესრულებული, ფასდაუდებელი ტექსტები, რომელთაც დღესაც კი შეუძლიათ მკითხველის გაოცება, მათში თავმოყრილი ინფორმაციის სისრულით, რაც მევენახეობა-მეღვინეობის დარგში ავტორთა გასაოცარი განსწავლულობის შედეგია.

[47] Wauters, B., de Benito, M. (2017). *The History of Law in Europe. An Introduction.* Edward Elgar Publishing Limited. 12.

დისერტაციის ეს ნაწილი შეისწავლის ისეთი ცნობილი რომაელი ავტორების ნამუშევრებს, როგორებიცაა: მარკუს პორციუს კატო (Marcus Porcius Cato),[48] მარკუს ტერენციუს ვარო (Marcus Terentius Varro),[49] ლუციუს იუნიუს მოდერატუს კოლუმელა (Lucius Junius Moderatus Columella), [50] გაიუს პლინიუს სეკუნდუსი (Gaius Plinius Secundus),[51] და პალადიუს რუტილიუს ტაურუს ემილიანუსი (Palladius Rutilius Taurus Aemilianus).[52]

ამ ავტორების ნაშრომები იძლევა საკმარის მტკიცებულებებს იმის შესახებ, თუ რამდენად მნიშვნელოვანი იყო რომაელთათვის ღვინის წარმოების, ამ შემთხვევაში თუნდაც ირიბი, მაგრამ, მაინც სამართლებრივი მოწესრიგების საკითხები. მაშასადამე, სამართლის ისტორიის კვლელვის მიზნებისთვის ამ ტექსტებს ვიყენებთ არა როგორც სავალდებულო იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტებს, არამედ ვახდენთ მათ ინტერპრეტირებას და აღნიშნულ დოკუმენტებს განვიხილათ, როგორც მევენახეობა-მეღვინეობის დარგის იმ დროინდელ სტანდარტებს, რომელთა შეუსრულებლობა გარკვეულ სამართლებრივ შედეგს გამოიწვევდა.

1.1 *De Agri Cultura (De Re Rustica)*

მარკუს პორციუს კატოს ტექსტი, როგორც სასოფლო-სამეურნეო ტრაქტატებს შორის უძველესი, გვაძლევს მითითებებს, თუ როგორ ვმართოთ ღვინის საწარმო,[53] როგორ გავაშენოთ ვაზი და რომელი კონკრეტული ვაზის ჯიშებია შესაფერისი ამ

---

[48] მარკუს პორციუს კატოსთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ: 'Marcus Porcius Cato: Roman statesman [234-149 BC]' <https://www.britannica.com/biography/Marcus-Porcius-Cato-Roman-statesman-234-149-BC> 14.01.2022 მდგომარეობით; "an expert in *ius civile*, the best of all" (De orat. 1.171); Berger, (1953). 382.

[49] მარკუს ტერენციუს ვაროსთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ: 'Marcus Terentius Varro: Roman author' <https://www.britannica.com/biography/Marcus-Terentius-Varro> 14.01.2022 მდგომარეობით; Berger, (1953). 758.

[50] ლუციუს იუნიუს მოდერატუს კოლუმელასთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ: 'Lucius Junius Moderatus Columella: Roman author' <https://www.britannica.com/biography/Lucius-Junius-Moderatus-Columella> 14.01.2022 მდგომარეობით.

[51] გაიუს პლინიუს სეკუნდუსთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ: 'Pliny the Elder: Roman scholar' <https://www.britannica.com/biography/Pliny-the-Elder> 14.01.2022 მდგომარეობით.

[52] პალადიუსთან დაკავშირებით იხილეთ: Dodd, E. K. (2020). *Roman and Late Antique Wine Production in the Eastern Mediterranean: A comparative archaeological study at Antiochia ad Cragum (Turkey) and Delos (Greece).* Archaeopress. 19.

[53] Cato, Agr. 1-7; Dodd, (2020). 17.

მიზნით, [54] რომელი აუცილებელი აღჭურვილობებია საჭირო ვენახისა და საწნახელისთვის,[55] გვაწვდის ინფორმაციას ღვინის დუღილის პროცესის შესახებ,[56] და ღვინის დამზადების რეცეპტებზე,[57] ის ასევე გვაწვდის ინსტრუქციებს, თუ როგორ უნდა მოეწყოს მარანი და გაიყიდოს ღვინო.[58]

გვიანდელი პერიოდის სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურასთან შედარებით, კატოს ნაშრომს აკრიტიკებენ ტექსტის სიმცირისა და სისტემატიზაციის უქონლობის გამო, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ის მაინც მიჰყვება ლოგიკურ სეზონურ სისტემას.[59]

1.2 *Res Rusticae*

მარკუს ტერენციუს ვაროს ნაშრომი წარმოადგენს შედარებით მოკლე ტექსტს კოლუმელას შემდგომ ნაშრომ - *De Re Rustica*-თან შედარებით, იგი მოიხსენიებს კატოს ადრინდელ ნაშრომ, *De Agri Cultura*-ს და იძლევა საკუთარ რეკომენდაციებს. [60] კატოს ნაშრომთან შედარებისას, ამ ტექსტის ყველაზე მნიშვნელოვანი განსხვავება გახლავთ ის, რომ ვარომ შესძლო მოეხდინა დარგში ახალი, გაუმჯობესებული მეთოდების გამოყენების უპირატესობების იდენტიფიცირება.[61] ვაროს ნაშრომი გვაწვდის ინფორმაციას ვაზის გაშენებისთვის ყველაზე შესაფერისი ნიადაგებისა და ადგილების კვლევასთან დაკავშირებით, ასევე ინფორმაციას ვაზის ცალკეულ ჯიშებზე, და სხვადასხვა ტიპის ვენახების შედარებასთან ერთად, მათი დადებითი და უარყოფითი მხარეების შესახებ. [62] კატოს ნაშრომის მსგავსად, ამ ტექსტშიც მოცემულია სეზონური ასპექტები, მაგრამ საკმაოდ დეტალურად, და აღწერილია მევენახეობის გარკვეული აქტივობები, მთვარის კალენდრის მიხედვით.[63] ვარო ინფორმირებული იყო მევენახეობაში იმ დროისთვის არსებული სასარგებლო და ექსპერიმენტული მეთოდების შესახებ,

---

[54] Cato, Agr. 6.4, ვაზის სახეობებისთვის, 27-8, 31-3, 40-1, 49; Dodd, (2020). 17.
[55] Cato, Agr. 11 ვენახთან დაკავშირებით, 12-13; Dodd, (2020). 17.
[56] Cato, Agr. 23, 25-6; Dodd, (2020). 17.
[57] Cato, Agr. 24; Dodd, (2020). 17; იხილეთ ასევე: Phillips, (2018). 367; Munsie, (2002). 5.
[58] Dodd, (2020). 17. აქ და შემდგომში ქართული ტერმინით - "მარანი", ვანაცვლებთ ლათინურ *cella*-ს, რომელიც ითარგმნება როგორც პატარა ოთახი, სათავსო. იხილეთ: "cellar" <https://www.etymonline.com/word/cellar> 22.04.2022 მდგომარეობით.
[59] Dodd, (2020). 17.
[60] Dodd, (2020). 17.
[61] Dodd, (2020). 17; იხილეთ ასევე White, K. D. *Roman farming.* (1970). Thames and Hudson, London. 23.
[62] Varro, Rust. I.7-8, I.26-7; Dodd, (2020). 17.
[63] Varro, Rust. I.31-6; Dodd, (2020). 17.

მათ შორის მოშენების, მყნობისა და შეჯვარების შესახებ.[64] ამავე ნაშრომშივეა მოცემული მოკლე, მაგრამ სასარგებლო ინფორმაცია, რთველისა და მასთან დაკავშირებული აქტივობების შესახებ, სადაც მითითებულია ყურძნის ტკბილის სხვადასხვა ხარისხები.[65] ვარო ასევე აღნიშნავს ღვინის დავარგების უპირატესობას, განსაკუთრებით ფალერნულ ღვინოსთან მიმართებაში და ამტკიცებს, რომ ნებისმიერი სახის ღვინო უნდა დავარგდეს, სულ მცირე, ერთი წლის განმავლობაში.[66] ვარო გვაძლევს ინსტრუქციებს მარნის ძირითადი ორიენტაციის შესახებ და ასევე გვთავაზობს, რომ შენობის ფანჯრები მიემართოს აღმოსავლეთისაკენ, ჭურჭელში შენახული ღვინის, გრილი ჰაერით უზრუნველყოფის მიზნით.[67]

1.3 *De Re Rustica*

ჩვენამდე შემორჩენილ რომაულ სასოფლო-სამეურნეო ტექსტებს შორის, ლუციუს იუნიუს მოდერატუს კოლუმელას ეს კონკრეტული ნაშრომი ცნობილია, როგორც ყველაზე მოცულობითი და სისტემატიზირებული, მთელი ნაშრომის მეოთხედი ეძღვნება მევენახეობას.[68] კოლუმელას კომპეტენცია და სიზუსტე მევენახეობის დარგში, აღემატება, მისი წინამორბედების მიერ, ამ მიმართულებით შეტანილ წვლილს.[69] ვაზის თითოეული ჯიშისთვის, კოლუმელა მიუთითებს მათი გაშენებისთვის საჭირო არეალს და კლიმატურ პირობებს,[70] შემდეგ აგრძელებს ცნობილი და რეკომენდებული ყურძნის ჯიშების ჩამონათვალით, თითოეული ჯიშის უპირატესობების და ნაკლოვანებების მითითებით.[71] ვაროს ტექსტის მსგავსად, ამ ნაშრომშიც მოცემულია რეკომენდაციები კულტივირებისა და მევენახეობის სხვა ასპექტების შესახებ, დეტალური ინსტრუქციებით ნიადაგის შერჩევის, მომზადების და ვენახის ადგილმდებარეობის შესახებ,[72] მევენახეობის საქმიანობის წლიურ

---

[64] იხილეთ Varro, Rust. I.41 მყნობისთვის და I.54 ჰიბრიდული სახეობებისთვის. Dodd, (2020). 17.
[65] Varro, Rust. I.54; Dodd, (2020). 17.
[66] Varro, Rust. I.65; Dodd, (2020). 17.
[67] Varro, Rust. I.13.7; Dodd, (2020). 18.
[68] Dodd, (2020). 18. იხილეთ ასევე White, (1970). 27.
[69] Dodd, (2020). 18. იხილეთ ასევე White, (1970). 28.
[70] Columella, Rust. 3.1.3-10; Dodd, (2020). 18.
[71] Columella, Rust. 3.2-3; იხილეთ ასევე Columella, Rust. 3.3-4. Dodd, (2020). 18.
[72] Columella, Rust. 3.4-7, 3.10-12; Dodd, (2020). 18.

გეგმიურ სამუშაოებთან დაკავშირებით, როგორიცაა დარგვა და მოვლა, ავტორი ასევე გვირჩევს შესაბამისი სამუშაოების ჩატარების სეზონებსა და დროებს.[73] კოლუმელას რჩევები ეხება ვენახში ყურძნის ჯიშების შერევისგან თავის შეკავებას.[74] ტექსტში ასევე მითითებულია ვაზის მოშენების და მოვლის რომაული მეთოდები,[75] და აგრეთვე ხაზგასმულია მევენახის როლის მნიშვნელობაც.[76] პროვინციების ტერიტორიებზე ვაზის მოვლის საკითხები განხილულია V წიგნში და ავტორი ამტკიცებს, რომ ყველაზე მისაღებია ისეთი ვაზი, რომელიც დგას დამოუკიდებლად თავისივე მოკლე ძირზე, საყრდენის გარეშე, მსგავსად იმ ვენახებისა, რომლებიც ხშირად გვხვდება დღეს საბერძნეთში.[77] გარდა ამისა, ავტორი გვაწვდის ინსტრუქციებს ვაზის საყრდენი დიდი ხეების თანადარგვის შესახებ.[78]

მნიშვნელოვანია, რომ XII წიგნი აღწერს ანტიკური ხანის ღვინის წარმოების ასპექტებს, როგორიცაა: ყურძნის ტკბილის მოხარშვა, ღვინის კონსერვანტად სხვადასხვა დანამატების გამოყენება, როგორიცაა ფისი, ზღვის წყალი და მარილწყალი, ასევე გვაძლევს ინფორმაციას ღვინის შესანახ ჭურჭელზე.[79] ტექსტში ასევე მოცემულია მითითებები ტკბილი ღვინის დამზადების შესახებ, რომელიც მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან ტექნოლოგიურ ასპექტებს, როგორიცაა: წინასწარი დამუშავება, ღვინის დაყენება და მეღვინეობის შემდგომი აქტივობები.[80] ავტორი ნაშრომში ასევე მიუთითებს სხვადასხვა სახის ღვინის დაყენების რეცეპტებს, მათ შორის ბერძნული ღვინის თაობაზე.[81]

1.4 *De Arboribus*

მოკლედ უნდა აღინიშნოს ლუციუს იუნიუს მოდერატუს კოლუმელას კიდევ ერთი, შედარებით ადრეული, ნაშრომი, რომლის, სავარაუდოდ სამი ან ოთხი

---

[73] Columella, Rust. 3.14-19, 5.5-6; Dodd, (2020). 18.
[74] Columella, Rust. 3.21.5-9; Dodd, (2020). 18.
[75] Columella, Rust. 4.13, 4.17, 4.19-20; Dodd, (2020). 18.
[76] მსგავსებისთვის იხილეთ Cato-ს De Senectute 15.51-53; Dodd, (2020). 18.
[77] Columella, Rust. 5.4.1. Dodd, (2020). 18.
[78] Columella, Rust. 5.6-8; Dodd, (2020). 18.
[79] Columella, Rust. 12.18.5-7, 12.19-26; Dodd, (2020). 18.
[80] Columella, Rust. 12.27; Dodd, (2020). 18.
[81] Columella, Rust. 12.37 (ბერძნული ღვინის შესახებ), 12.38-42 და 12.39 (სხვა ღვინოების შესახებ); Dodd, (2020). 18.

თავდაპირველი წიგნიდან, მხოლოდ მეორე შემორჩა თანამედროვეობამდე. იგი შესრულებულია იმავე სტილით, როგორც *De Re Rustica*; ის იწყება იმის შესწავლით, თუ როგორ ავირჩიოთ მევენახეობისთვის შესაფერისი მიწა, ვაზის ჯიშები, როგორ დაირგოს, გაისხლას და მოევლოს ვაზს, ყველა შესაბამისი სეზონური ასპექტების ჩათვლით.[82] ტექსტში ასევე მოცემულია ვაზის კულტივაციის, მყნობისა და მოშენების შესახებ დეტალური მითითებები, საჭირო სამუშაო ძალის მითითებით ერთ იუგერზე (*iugerum*).[83] *De Re Rustica*-ს მსგავსად, აქაც ავტორი გვაწვდის ინსტრუქციებს ვაზის საყრდენი დიდი ხეების თანადარგვის შესახებ.[84]

1.5 *Naturalis Historia*

გაიუს პლინიუს სეკუნდუსის ნაშრომი წარმოადგენს ამ ტიპის ერთ-ერთ უდიდეს ნამუშევარს, რომელიც შემორჩა თანამედროვე ეპოქამდე.[85] იგი შედგება 37 წიგნისაგან, მათგან სამი წიგნი - 14, 17 და 23 - მევენახეობა-მეღვინეობას ეთმობა. მე-14 წიგნი მთლიანად ვაზის გაშენებასა და მეღვინეობას ეძღვნება, მე-17 წიგნში მოცემულია ინფორმაცია მევენახეობის მეთოდებზე, ხოლო ღვინის სამკურნალო თვისებები მოცემულია 23-ე წიგნის დასაწყისში. თავის ნაშრომში პლინიუს უფროსი მიუთითებს ღვინის ძმრად გადაქცევის თავისებურებაზე, და აღნიშნავს იმ დანამატებს, რომლებსაც ამის თავიდან აცილება შეუძლიათ: ზღვის წყალს სირბილისთვის, თოვლს ღვინის გასაგრილებლად, სანელებლების და სხვადახხვა მცენარეულობას დაძმარებული ღვინის გემოს დასაფარად, იმავე მიზნით გამოიყენებოდა ფისიც, რასაც ასევე შეეძლო გადაჟანგული ღვინოების მჟავე გემო დაეფარა. ამგვარად მიღებული ღვინის ახალი არომატი, რომელიც დღეს ძალიან უცნაურად შეიძლება ჩაითვალოს, აშკარად ფასობდა ანტიკურ ხანაში.[86]

---

[82] Columella, De Arboribus 1-4; Dodd, (2020). 18.

[83] Columella, De Arboribus 5-10; Dodd, (2020). 18. Iugum (iugerum) - მიწის ნაკვეთი, რომელიც ორ ხარს შეუძლია ერთ დღეში მოხნას. (აკრის სამი მეხუთედი). იხილეთ Berger, (1953). 522.

[84] Columella, De Arboribus 16; იხილეთ ასევე Columella, Rust. 5.6-8; Dodd, (2020). 19.

[85] Dodd, (2020). 19.

[86] Plin., HN XIV.44-48; Dodd, (2020). 19; Doody, A. (2010). *Pliny's Encyclopedia: The Reception of the Natural History.* 1st edn, Cambridge University Press. 10; Phillips, (2018). 365-367; Robinson, (ed). (1999). 537; Munsie, (2002). 5; Lukacs, (2013). 25; McGovern, (2009). 75. პლინიუსის ნაშრომის ინგლისურად ნათარგმნი ციფრული ვერსია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <http://attalus.org/info/pliny_hn.html> 05.01.2022 მდგომარეობით.

რაც შეეხება თავის ნაშრომში მითითებულ რიგ წყაროებს, პლინიუს უფროსი პირდაპირ მიუთითებს კოლუმელას, სხვა ადრინდელ ავტორებთან - კატოსთან და ვაროსთან ერთად, და ეყრდნობა რა ამ წყაროებს, იგი განსაკუთრებულ მადლიერებას გამოხატავს სოფლის მეურნეობის კვლევის სფეროში, ამ უკანასკნელი ორი ავტორის მიერ შეტანილი წვლილის გამო.[87] მიუხედავად იმისა, რომ ამ ნაშრომის შექმნისას, იტალიური ღვინის წარმოება პიკს უახლოვდებოდა, პლინიუსი საკმაოდ დიდ ადგილს უთმობს იმპორტირებული ვაზის ჯიშებისა და ღვინის სახეობების განხილვას. ვაზის ჯიშების აღწერის გარდა, ტექსტი ასევე ახდენს ღვინოების კლასიფიცირებას ღვინის ტიპის, გეოგრაფიული წარმოშობის ან წარმოების მეთოდის მიხედვით. ამ ტექსტში ასევე ნახსენებია ღვინის შესანახად ხის კასრების გამოყენება. [88] ნაშრომში კატოს რეკომენდაციები ნათლად არის წარმოდგენილი, როდესაც პლინიუსი მიუთითებს მარნების ოპტიმალურ ორიენტაციაზე და განლაგებაზე. [89] პლინიუსი ასევე გვაწვდის ინფორმაციას რთველის დროს სეზონური აქტივობებისა და მოქმედებების მიმდინარეობის შესახებ მთვარის კალენდრის მიხედვით, მოსავლის აღების, ყურძნის ტკბილის დაწნეხვისა და შემდგომი დამუშავების ეტაპების თარიღების მითითებით.[90]

1.6 *Opus Agriculturae*

პალადიუს რუტილიუს ტაურუს ემილიანუსის ნაშრომის მიზანია, ადვილად ხელმისაწვდომი და გასაგები, სასოფლო-სამეურნეო სახელმძღვანელოს მოწოდება, და ეს მიზანი მიღწეულ იქნა ნაშრომის მოკლედ და მარტივად კალენდრის თვეების მიხედვით ორგანიზებით.[91] მევენახეობასთან დაკავშირებული მასალების უმეტესი ნაწილი აღებულია კოლუმელასგან, მაგრამ ისეთი საკითხები, როგორიცაა ღვინის არომატიზება და ღვინის საწარმოთა არქიტექტურა, სხვა წყაროებიდან მოდის.[92] კოლუმელასთან შედარებით, მართალია, პალადიუსის ეს ნაშრომი არ გვაძლევს ვაზის ჯიშების ყოვლისმომცველ ჩამონათვალს,

[87] Plin., HN XIV.44-48. Dodd, (2020). 19.
[88] Plin., HN XIV.132-3. Dodd, (2020). 19.
[89] Plin., HN XIV.133-4. Dodd, (2020). 19.
[90] Plin., HN XVIII.315-21. Dodd, (2020). 19.
[91] Dodd, (2020). 19.
[92] Dodd, (2020). 19.

სამაგიეროდ, გვთავაზობს დავეყრდნოთ კონკრეტულ ტერიტორიაზე აპრობირებულ ვაზის სახეობებს.[93] პალადიუსი ასევე გვაწვდის ინფორმაციას ვენახების განთავსების შესახებ,[94] და ვაზის სიტუაციური მახასიათებლების შესახებ,[95] ვაზის გასხვლის ინსტრუქციებს,[96] და სხვა რჩევებს მევენახეობასთან დაკავშირებით.[97] ტექსტი ასევე აღწერს ღვინის შესანახ და საფერმენტაციო ჭურჭლებს და სხვა აუცილებელ აღჭურვილობებს.[98]

მევენახეობასთან დაკავშირებული მთლიანი წლიური საქმიანობა აღწერილია თვეების მიხედვით, პალადიუსის ტექსტის მიხედვით, სამუშაო წელი იწყება იანვარში, ამასთან ერთად ავტორი იძლევა ინფორმაციას მიწის მომზადების, ვენახის ფართობის გაზომვის, ნიადაგისა და კლიმატის ვარგისიანობის განსაზღვრის შესახებ.[99] ავტორი ასევე მიუთითებს თებერვალს, როგორც ვაზის დარგვისთვის შესაფერის დროს და კოლუმელასგან განსხავებით რეკომენდაციას უწევს ვენახში სხვადასხვა ჯიშის ვაზის დარგვას, როგორც პრევენციულ ზომას დაავადების გავრცელების შემთხვევაში მთელი მოსავლის განადგურების თავიდან აცილებისთვის.[100] ინფორმაცია და ინსტრუქციები მითითებულია პროვინციათა ვაზის ჯიშებსა და ვენახებზეც, ნაშრომში დამატებით ასევე მოცემულია ინფორმაცია წრიულად ფორმირებულ დაბალ ვაზებთან დაკავშირებით.[101]

პალადიუსი გვთავაზობს აგვისტოს, როგორც რთველისთვის მოსამზადებელ დროს, ხოლო სექტემბერ-ოქტომბერს, როგორც უშუალოდ მოსავლის აღების პერიოდს.[102] აღნიშნული ნაშრომი, სხვა წყაროებზე დაყრდნობით, ასევე მოიცავს რეცეპტებსა და მითითებებს ღვინის დახვეწისა და გემოს შეცვლის შესახებ, მათ

---

[93] Palladius, Op. Agr. 3.9.1-6; Dodd, (2020). 19.
[94] Palladius, Op. Agr. 1.6.2-3; Dodd, (2020). 19.
[95] Palladius, Op. Agr. 1.6.7; Dodd, (2020). 19.
[96] Palladius, Op. Agr. 1.6.4, 1.6.9; Dodd, (2020). 19.
[97] Palladius, Op. Agr. 1.6.10-18; Dodd, (2020). 19.
[98] Palladius, Op. Agr. 1.18; Dodd, (2020). 19.
[99] Palladius, Op. Agr. 2.10-14; Dodd, (2020). 20.
[100] Palladius, Op. Agr. 3.9.9-13; Columella, Rust. 3.21.5-9. Dodd, (2020). 20.
[101] Palladius, Op. Agr. 3.11. Dodd, (2020). 20. ვაზის წრიული წესით გაშენების მეთოდი, რომელიც მითითებულია პალადიუსისა და კოლუმელას შრომებში, დღესაც გამოიყენება, განსაკუთრებით საბერძნეთში, კიკლადის კუნძულებზე. მაგალითად, კუნძულ სანტორინის ვენახებში ვაზი ამ გზით არის გაწვრთნილი. ვაზი იზრდება წრეში, რაც იცავს მის მიკროგარემოს წრის შიგნით. Ibid.
[102] Palladius, Op. Agr. 9.1-3, 10.11, 11.3; Dodd, (2020). 20.

შორის სხვადასხვა დანამატების გამოყენებას,[103] განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გამომშრალი ყურძნისგან ღვინის წარმოების აღწერა.[104]

1.7 *Geoponika*

აღნიშნული ტექსტი წარმოადგენს ბიზანტიური წარმოშობის X საუკუნის სასოფლო-სამეურნეო სახელმძღვანელოს, რომელიც ეძღვნება იმპერატორ კონსტანტინე VII პორფიროგენეტს.[105] ეს ნაშრომი უშუალოდ ეყრდნობა IV და VI საუკუნეების სხვადასხვა ბერძნულ წყაროებს, მაგრამ, ამავე დროს, იგი იღებს მევენახეობის შესახებ ინფორმაციას რომაული სასოფლო-სამეურნეო ტრაქტატებიდან, კონკრეტულად, კოლუმელას და პალადიუსის შრომებიდან.[106] ეს ნაშრომი მოიცავს აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვის ტერიტორიების გეოგრაფიულ არეალს, როგორიცაა საბერძნეთი, ბითინია, პონტო, პალესტინა, არაბეთი და ეგვიპტე. ნაშრომის ოცი წიგნიდან - ხუთი ეძღვნება მევენახეობასა და მეღვინეობას, რაც ხაზს უსვამს ღვინის მნიშვნელობას აღმოსავლეთ რომის იმპერიის სოციალურ-კულტურულ და ეკონომიკურ ასპარეზზე. ნაშრომი მოიცავს მევენახეობის ყველა ასპექტის სახელმძღვანელო მითითებებს: სათანადო ნიადაგისა და რელიეფის შერჩევის,[107] ვაზის პირველი გაშენების,[108] ყურძნის დამუშავების, ყურძნის ტკბილის მიღების, დუღილის და ღვინის შენახვის შესახებ.[109]

პალადიუსისგან და, განსაკუთრებით, კოლუმელასგან განსხვავებით, რომლებიც ამტკიცებენ, რომ პროვინციული ტერიტორიების ვაზი საუკეთესოდ იზრდება მოკლე ძირზე საყრდენის გარეშე, *Geoponika* ამტკიცებს, რომ ყველაზე საუკეთესო პროვინციული ვაზი ხეზეა აყვანილი, რადგან ასეთი ვაზი იძლევა შესანიშნავ ღვინოს, უფრო ტკბილს და შესანახად უკეთესს, [110] მაგალითები

---

[103] Palladius, Op. Agr. 11.14-19; Dodd, (2020). 20.
[104] Palladius, Op. Agr. 11.19.1-2; Dodd, (2020). 20.
[105] Dodd, (2020). 20.
[106] Dodd, (2020). 20.
[107] Dodd, (2020). 20.
[108] Geoponika 4.12-13, 5.3, 5.6-19; Dodd, (2020). 20.
[109] Geoponika 5.45-51 (მოსავლის აღებასთან დაკავშირებით), 6.1 and 6.11-19 (ყურძნის ტკბილის მიღებასთან დაკავშირებით), 7.1-37 (ყურძნის ტკბილის დუღილთან, ღვინის დამუშავებასთან და შენახვასთან დაკავშირებით). Dodd, (2020). 20. VIII წიგნი მოიცავს სხვადასხვა სასმელების და სამკურნალო ღვინის რეცეპტებს. Ibid.
[110] Geoponika 4.1. Dodd, (2020). 21.

მოყვანილია ტერიტორიების მიხედვით, განსაკუთრებით ბითინიიდან, სადაც მითითებულია შესაბამისი ადგილები, ყველა საჭირო მევენახეობის ღონისძიებები, მათ შორის ხეების ჯიშებიც კი, რომლებიც შესაფერისია თანადარგვისთვის.[111] ამ ნაშრომში ასევე მოცემულია ინსტრუქციები სხვადასხვა ტიპის ვაზის დარგვასა და მოვლასთან დაკავშირებით, მავნებლებისა და შეცდომების თავიდან აცილების შესახებ რჩევები, აგრეთვე მყნობის შესახებ დეტალური ინსტრუქციები.[112] ეს ტექსტი ასევე შეიცავს ვაზის ადგილმდებარეობის ასპექტებს, როგორიცაა სიმაღლე და ნიადაგის ტიპი, განსაკუთრებით ეგვიპტესთვის, მოკლე, მაგრამ საინტერესო ჩანაწერთან ერთად იმის შესახებ, თუ რა სახის ღვინოს მოგვცემს ვენახი.[113]

გარდა მევენახეობის საქმიანობისა, ნაშრომში მოცემულია სახელმძღვანელო მითითებები ღვინის წარმოების პროცესისა და შესაბამისი საწარმოო ობიექტების მომზადებისთვის. [114] განსაკუთრებით საინტერესოა მითითებები თუ როგორ დადუღდეს და დაყენდეს სასურველი სიტკბოს შემცველი ღვინოები.[115] მე-7 წიგნში მოცემულია მეღვინეობის ისეთი ეტაპები, როგორიცაა: ჭურჭლის გახსნა, ღვინის დასაწყობება, ღვინის შემოწმება და სტაბილიზაცია.[116] მე-8 წიგნში კი მითითებულია სამკურნალო ღვინოების რეცეპტები.[117]

1.8 სხვადასხვა მოკლე ცნობები მევენახეობის შესახებ ანტიკური ხანის ტექსტებში

არსებობს ბევრი, შედარებით მოკლე ცნობები მევენახეობის პრაქტიკაზე, რომლებიც გვაწვდიან მნიშვნელოვან ინფორმაციას ანტიკური ხანის პრაქტიკისა და ტექნოლოგიების შესახებ. ყველაზე ადრეულ ავტორთა შორის არის ჰესიოდე (*Hesiod*), რომელიც აღწერს ყურძნის დამუშავებისა და ღვინის წარმოების სხვადასხვა მეთოდებს.[118] სასერნა (*Saserna*), ან შეიძლება, სასერნები, იმ ვარაუდით,

---

[111] Geoponika 4.1; Dodd, (2020). 21.
[112] Geoponika 4.12-13; Dodd, (2020). 21.
[113] Geoponika 5.1-2, 5.4-5, 5.7; Dodd, (2020). 21.
[114] Geoponika 6.1-19; Dodd, (2020). 21.
[115] Geoponika 7.18-19; Dodd, (2020). 21.
[116] Geoponika 7.5 (საღვინე ჭურჭლის გახსნის შესახებ), 7.6 და 7.7-17 (ღვინის დასაწყობების შესახებ). Dodd, (2020). 21.
[117] Dodd, (2020). 21.
[118] Hes., Op. 609-18. Dodd, (2020). 21. ჰესიოდთან დაკავშირებით ვრცელი ინფორმაციისთვის იხილეთ Friedrich Solmsen "Hesiod." *Encyclopedia Britannica*, October 18, 2019. <https://www.britannica.com/biography/Hesiod> 21.03.2022 მდგომარეობით. იხილეთ ასევე: Britannica, The

რომ ტექსტის ავტორობა მამა-შვილს ეკუთვნოდა, ხაზს უსვამს, რომ ვაზის დარგვა შესაძლებელია ისეთ რაიონებში, რომლებიც ადრე ძალიან ცივი და, შესაბამისად, მევენახეობისთვის შეუფერებელი იყო.[119] ვაროსა და კოლუმელას მიერ მოხსენიებული ტრემელიუს სკროფას (*Tremellius Scrofa*) ტექსტი მნიშვნელოვანი იყო, იქიდან გამომგდინარე, რომ ის იძლეოდა ინფორმაციას მევენახეობაში მანამდე უცნობი და მოწინავე ტექნიკური ცოდნის შესახებ.[120] კორნელიუს ცელსუსი (*Cornelius Celsus*) ასევე ხშირად მოიხსენიება კოლუმელას მიერ, მევენახეობის საკითხებთან დაკავშირებით.[121] მნიშვნელოვანი დანაკარგია იულიუს ატიკუსის (*Julius Atticus*) ნაშრომი, ვარაუდობენ, რომ ეს ავტორი მხოლოდ მევენახეობაზე წერდა და ამით წვლილი შეჰქონდა მევენახეობის ტექნიკური და ეკონომიკური ასპექტების განვითარებაში.[122] კოლუმელას მიერ ხშირად მოხსენიებულმა მორიგმა ავტორმა, იულიუს გრაეცინუსმა (*Julius Graecinus*), როგორც ჩანს, დაწერა ატიკუსის მსგავსი ტრაქტატი მევენახეობის შესახებ. კოლუმელას ტექსტის მეშვეობით ირკვევა, რომ გრაეცინუსი ხშირად საყვედურობდა იმდროინდელ მევენახეებს და აღნიშნავდა მათ შეცდომებს.[123] პლინიუს უმცროსის წერილები მოკლედ მიუთითებს ინფორმაციას ვაზის მოსავალზე და ღვინის წარმოებაზე, ეს ინფორმაცია

Editors of Encyclopaedia. "Works and Days". *Encyclopedia Britannica*, 20 Nov. 2015, <https://www.britannica.com/topic/Works-and-Days> 21.03.2022 მდგომარეობით; "Hesiod – Greek Mythology – Ancient Greece – Classical Literature" <https://www.ancient-literature.com/greece_hesiod.html> 21.03.2022 მდგომარეობით; Ruth Scodel 'Hesiod' <https://www.oxfordbibliographies.com/view/document/obo-9780195389661/obo-9780195389661-0019.xml> 21.03.2022 მდგომარეობით; Montanari F., Rengakos A., Tsagalis Ch. (eds). (2009). *Brill's Companion to Hesiod*. Brill, Leiden-Boston. 272-278. Available at "Harvard University's Center for Hellenic Studies" <https://chs.harvard.edu/curated-article/gregory-nagy-hesiod-and-the-ancient-biographical-traditions/> 21.03.2022 მდგომარეობით.

[119] Columella, Rust. 1.1.4-5 ციტირებულია Dodd, (2020). 21. იხილეთ ასევე: White, (1970). 21; Smith, W. (ed). (1849). *Dictionary of Greek and Roman Antiquities.* 2nd edn, London. 44; William Smith (ed), 'Saserna' (A Dictionary of Greek and Roman biography and mythology) <https://www.perseus.tufts.edu/hopper/text?doc=Perseus:text:1999.04.0104:entry=saserna-bio-1> 21.03.2022 მდგომარეობით; "Saserna" <https://www.oxfordreference.com/view/ 10.1093/oi/authority.20110803100442386> 21.03.2022 მდგომარეობით.

[120] Dodd, (2020). 21. იხილეთ ასევე: White, (1970).. ტრემელიუს სკოფასთან დაკავშირებით დამატებით იხილეთ: Smith, W. (ed). (1849). *Dictionary of Greek and Roman Biography and Mythology*. Vol. 3, London. 758; Brunt, P. A. (1972). Cn. Tremellius Scrofa the Agronomist. *The Classical Review*, *22*(3), 304–308. available at <http://www.jstor.org/stable/708012> 21.03.2022 მდგომარეობით.

[121] Dodd, (2020). 21. იხილეთ ასევე: White, (1970). 24; კორნელიუს ცელსუსთან დაკავშირებით დამატებით იხილეთ "Aulus Cornelius Celsus" (Encyclopedia Britannica, 22 Aug. 2007) <https://www.britannica.com/biography/Aulus-Cornelius-Celsus> მდგომარეობით 21.03.2022.

[122] Columella, Rust. 1.1.14 ციტირებულია Dodd, (2020). 21. იხილეთ ასევე: Smith, W. (ed). (1849). 44; White, (1970). 25.

[123] Dodd, (2020). 21; იხილეთ ასევე Smith, W. (ed). (1849). 44.

ყურადღების ღირსია იმდროინდელი მამულის საქმიანობის აღწერის გამო.[124] პლინიუს უფროსსა და პალადიუსს შორის პერიოდში, სამი ავტორი - კვინტილიი (*Quintilii*), კურციუს იუსტუსი (*Curtius Iustus*) და გარგილიუს მარტიალისი (*Gargilius Martialis*) წერდნენ სოფლის მეურნეობის შესახებ. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ამ ტექსთაგან შემორჩენილი ფრაგმენტები მხოლოდ მარტიალისის ნაშრომისაა, ბოლომდე არ არის ნათელი, მოიცავდა თუ არა დანარჩენ ავტორთა ტექსტები ინფრომაციას უშუალოდ მევენახეობასთან დაკავშირებული საქმიანობის შესახებ.[125] სატურნალიაში (*Saturnalia*) მაკრობიუსი (*Macrobius*) აღწერს ყურძნის ტკბილის მიერ გამოწვეული სიმთვრალის მიზეზებს, ყურძნის ტკბილის დაყოვნების დროის მიხედვით, რითაც აღიარებს პირველადი დუღილის პროცესს.[126] ღვინისა და მევენახეობის შესახებ ნაკლებად ტექნიკური და მოკლე ცნობები ასევე გვხვდება დიოსკორიდესის (*Dioscorides*), მარტიალის (*Martial*), გალენის (*Galen*), ათენევსის (*Athenaeus)* და ვერგილიუსის (*Vergilius*) ტექსტებში.[127]

ზემოთ შესწავლილი ყველა ტექსტის შედარებისას, დგინდება შემდეგი მოცემულობები და დასკვნები:

1. ყველა ეს სასოფლო-სამეურნეო ტექსტი იზიარებს საერთო იდეას, უზრუნველყოს სახელმძღვანელო მითითებები მევენახეობა-მეღვინეობის ყველა არსებითი ასპექტის შესახებ.

2. ტრაქტატებში მითითებული ინფორმაცია: რეკომენდებული ვაზის ჯიშების, ვაზის მოშენებისთვის ყველაზე შესაფერისი ნიადაგების და ტერიტორიების

---

[124] Plin., Ep. IX.XVI; Dodd, (2020). 21. პლინიუს უმცროსის შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ "Pliny the Younger" (Encyclopedia Britannica, 10 Feb. 2021) <https://www.britannica.com/biography/Pliny-the-Younger> 21.03.2022 მდგომარეობით; იხილეთ ასევე: "Pliny the Younger – Ancient Rome – Classical Literature" <https://www.ancient-literature.com/rome_pliny.html> 21.03.2022 მდგომარეობით; "Pliny the Younger" <https://www.worldhistory.org/Pliny_the_Younger/> 21.03.2022 მდგომარეობით.

[125] Dodd, (2020). 21. მარიტალისთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ Zainaldin, J. L. (ed). (2020). *Gargilius Martialis: The Agricultural Fragments.* Cambridge University Press. 1-7; 8-22.

[126] Macrob., Sat. 7.7.14-18; Dodd, (2020). 21. For more information on Macrobius იხილეთ "Ambrosius Theodosius Macrobius" (Encyclopedia Britannica, 3 May. 2011) <https://www.britannica.com/biography/Ambrosius-Theodosius-Macrobius> 21.03.2022 მდგომარეობით; იხილეთ ასევე Cameron, A. (1966). The Date and Identity of Macrobius. *The Journal of Roman Studies*, *56*, 25–38. Available at <https://doi.org/10.2307/300131> 21.03.2022 მდგომარეობით.

[127] Dodd, (2020). 21. ვერგილიუსთან დაკავშირებით დამატებით იხილეთ: Robert Deryck Williams, 'Virgil' (Encyclopedia Britannica, 27 Nov. 2020) <https://www.britannica.com/biography/Virgil> 21.03.2022 მდგომარეობით.

შესწავლის, ვაზის თითოეული ჯიშისთვის გაშენების არეალის და კლიმატის შესახებ, ადასტურებს, რომ რომაელებმა კარგად იცოდნენ, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ვაზის გეოგრაფიული არეალის ურთიერთკავშირი ხარიხობრივი ღვინის წარმოებასთან, რითაც უკვე იმ დროს რომაელები იზიარებდნენ იგივე იდეას, რაც ასახულია გეოგრაფიული აღნიშვნების თანამედროვე კონცეფციაში.[128]

3. გარდა ამისა, რეკომენდაციები ვენახში ყურძნის სხვადასხვა ჯიშების შერევის თავიდან არიდების შესახებ, ასევე იდენტურია იმ კონცეფციისა, რასაც ვხვდებით ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობის დაარსების შემდგომ დადგენილ მოთხოვნებში.[129]

4. ღვინის წარმოების მიმართულებით შექმნილი ტექსტები, ყურძნის ტკბილის დუღილის, ღვინის დამზადების რეცეპტებისა და მარნის მოწყობა-განლაგების გარდა, მიუთითებენ ისეთ მნიშვნელოვან ასპექტს, როგორიცაა ღვინის კლასიფიცირება, ღვინის ტიპების, გეოგრაფიული წარმომავლობის ან წარმოების მეთოდის მიხედვით. ამავე პრინციპებს ეფუძნება თანამედროვე ევროპული ღვინის კლასიფიკაციის სისტემებიც. ცალკე აღნიშვნის ღირსია ის გარემოება, რომ რომაელებმა უკვე ამ დროისთვის იცოდნენ ღვინის დავარგების სარგებელის შესახებ, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს ხარისხობრივი ღვინის წარმოების რომაულ და თანამედროვე მიდგომებს შორის მსგავსებაზე.[130]

5. მიუხედავად იმისა, რომ ზემოთ განხილული ტექსტები არ წარმოადგენდენ იურიდიულად სავალდებულო ხასიათის დოკუმენტებს, აღნიშნული ნაშრომები შეგვიძლია მივიჩნიოთ, როგორც სამართლის ისტორიის ირიბი წყარო, რომელშიც დეტალურადაა გაწერილი ის კონცეპტუალური მოთხოვნები, რომელთა დაუცველობა, ან თუნდაც - რაიმე სახით გაუთვალისწინებლობა, შესაძლებელია, საერთოდ მოსპობდა აღნიშნული სახის სამეურნეო საქმიანობას ან მნიშვნელოვნად დააზარალებდა მას, რაც აუცილებლად გამოიწვევდა ღვინის ხარისხის გაუარესებას, გაფუჭებას, ეს კი

---

[128] იხილეთ სქოლიო 7 და195

[129] იხილეთ სქოლიო 331

[130] აღსანიშნავია ისიც, რომ გაყალბების თავიდან აცილების მიზნით, რომაელები ამფორებს სხვადასხვანაირად ნიშნავდნენ, რიცხვების, ასოების, კოდების, ლოგოების და ნახატების გამოყენებით. იხილეთ: Munsie, (2002). 7. იხილეთ ასევე: Maher, M. (2001). On Vino Veritas? Clarifying the Use of Geographic References on American Wine Labels. *California Law Review*, *89*(6), 1881, 1884 Available at: California Law Review <https://www.jstor.org/stable/3481251?origin=crossref> 18.03.2022 მდგომარეობით.

აუცილებლად მოიტანდა გარკვეულ სამართლებრივ შედეგს, ქრ. შობამდე 286 წ. მიღებული, აკვილიუსის კანონის (lex Aquilia), მესამე თავით განსაზღვრული ნებისმიერი ნივთის ყოველგვარი დაზიანების შემთხვევის ფარგლებში.[131] ამასვე ამყარებს ცელსუსის მოსაზრება, რომელიც მიიჩნევდა რომ უდაოდ შეიძლება შედგინდეს სარჩელი (actiones legis Aquiliae) იმის წინააღმდეგ, ვინც ახდენს ღვინის ფალსიფიკაციას, ან ღვრის, ამუავებს ან სხვაგვარად აფუჭებს (corruperit) მას.[132]

2. რომის სამართლებრივი ტრადიციები ღვინის შესახებ

ძველი რომის სამართალი, რომელიც მემკვიდრეობით მივიღეთ იმპერატორ იუსტინიანეს მიერ VI საუკუნეში განხორციელებული კოდიფიკაციის შედეგად, იქცა ერთ-ერთ ყველაზე მძლავრ მაფორმირებელ ფაქტორად იმისა, რასაც ჩვენ დღეს დასავლურ სამართლებრივ სისტემას ვუწოდებთ, და მოგვევლინა როგორც სამართლებრივი კონცეფციების, დოქტრინებისა და პრინციპების თითქმის უსაზღვრო წყარო. [133] მისი უდიდესი ნაწილი, განსაკუთრებით რომის კერძო სამართალი, იურისპრუდენციის შედეგი უფრო იყო, ვიდრე კანონმდებლობითი საქმიანობის, რომის სამართალი არ იყო მხოლოდ ჩვეულებების ერთობლიობა, არამედ იგი წარმოადგენდა თანმიმდევრულ ტრადიციას, რომელიც ნარჩუნდებოდა და თაობებს გადაეცემოდათ სწავლულების მეშვეობით, თავდაპირველად რომაელი ქურუმების - pontifices წარმომადგენელთა, შემდეგ კი იურისტების წყალობით.[134]

---

[131] გარიშვილი, მ. ხოფერია, მ. (2013). *რომის სამართალი.* მერიდიანი, თბილისი. 458.

[132] Kolbert, C. F. (tr). (1979). *The Digest of Roman Law Theft, Rapine, Damage and Insult.* Penguin Group. 100; იხილეთ ასევე: გარიშვილი, ხოფერია, (2013). 458. ბრალეულს (manus iniectio გამოყენებით) მესაკუთრისათვის ჯარიმის გადახდის მოვალეობა ეკისრებოდა ნივთის უმაღლესი ფასის ოდენობით, უკანასკნელი 30 დღის განმავლობაში (Gai.,3,218). Ibid. სურგულაძე, ნ. (მთარგმნელი). (2011). *რომის სამართლის ძეგლები. გაიუსის ინსტიტუციები.* თბილისი. 180; *Merriam-Webster.com Dictionary*, s.v. "Aquilian," <https://www.merriam-webster.com/dictionary/Aquilian> 06.03.2022 მდგომარეობით; Cooley, A. E. (2012). *The Cambridge Manual of Latin Epigraphy.* University Press. 468.

[133] George Mousourakis, *The historical and institutional context of Roman law* (Routledge, New York, 2016) ix. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ასევე: Riggsby, (2010). 1-2.

[134] George Mousourakis, *The historical and institutional context of Roman law* (Routledge, New York, 2016) ix. For the development of the Roman law იხილეთ ასევე Wauters, de Benito, (2017). 16-30.

რომის რესპუბლიკის პერიოდში, რომაულ კულტურაზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ძველელინური ცივილიზაციის მონაპოვარმა. მიუხედავად იმისა, რომ მისი ზემოქმედების კვალი რომის სამართალზე უფრო ფილოსოფიის, რიტორიკისა და ლოგიკის თვალსაზრისითაა წარმოდგენილი,[135] ამ კვალს ჩვენ ადვილად დავინახავთ ქვემოთ მოყვანილი კაზუსების განხილვისას, ისევე როგორც რომის სამართლის უმთავრეს დამსახურებას სამართლიანობის, ბრძნული და რაციონალური გადაწყვეტილების მუდმივ ძიებას ყოველ მოცემულ კაზუსთან დაკავშირებით, *suum cuique tribuere*- „ყველას მიეცით თავისი უფლება" (Inst. 1.1.3–4).[136]

დისერტაციის ეს ნაწილი დაეთმობა ედიქტს ღვინის წარმოების შესახებ და იმ კაზუსებს, რომლებიც, პირდაპირ თუ ირიბად, უკავშირდება ღვინის წარმოებას ან ღვინოსთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს. ჩვენი მიზანია, რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია შეგროვდეს ღვინის შესახებ, რომაული სამართლებრივი მემკვიდრეობიდან, რათა მოვახდინოთ ამ ინფორმაციის სისტემატიზება, ღვინის კანონმდებლობის ისტორიული ანალიზის განსახორციელებლად.

2.1 ღვინის წარმოების რეგულაცია - რომის იმპერატორ დომიციანეს ედიქტი ახ.წ. 92 წ.

მიუხედავად იმისა, რომ რომის იმპერიაში ვენახების გაფართოება პირდაპირ უკავშირდებოდა ღვინოზე მზარდ მოთხოვნას, გარკვეულ ეტაპზე რომში ვაზის კულტურის სწრაფი ტემპებით გავრცელებამ გამოიწვია შეშფოთება და ადგილი ჰქონდა ამ საკითხის დარეგულირების მცდელობებს. ახ. წ. 92 წელს რომის იმპერატორ დომიციანეს მიერ გამოცემული ედიქტი, რომელიც ზღუდავდა იტალიაში ახალი ვაზის გაშენებას და იტალიის ტერიტორიების გარეთ უკვე

[135] Wauters, de Benito, (2017). 12-13. გასაკვირი არ არის, რომ სამართლის მეთოდური შესწავლა ჩვენს წელთაღრიცხვამდე II საუკუნეში დაიწყო, რომაელთა მიერ მაკედონიისა და საბერძნეთის დაპყრობის შემდეგ, როდესაც რომაელებმა დაიწყეს სამართლებრივი ტექსტების მოწესრიგება და ოპტიმიზაცია, აგრეთვე გარკვეული აბსტრაქტული სამართლებრივი პრინციპების დამკვიდრება, მათთვის დამახასიათებელი რომაული პრაქტიკულობის შენარჩუნებით. დასასრულს, რომის სამართალზე ძველელინური გავლენა შეზღუდული იყო, რომის ius-ის პრინციპი, თავისი უნიკალურობით ხელუხლებელი დარჩა. Ibid. 13.

[136] Wauters, de Benito, (2017). 18; George Mousourakis, *The historical and institutional context of Roman law* (Routledge, New York, 2016) ix. სურგულაძე, ნ. (მთარგმნელი). (2002). *რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს ინსტიტუციები. წიგნი პირველი, ტიტული I.* მერიდიანი, თბილისი. 12.

გაშენებული ვაზის ნახევარის ამოძირკვას, წარმოადგენს ამ საკითხის რეგულირების ერთ-ერთ ადრეულ მაგალითს. ამ შეზღუდვებს შეიძლება საფუძვლად დაედო ორიდან ერთ-ერთი მიზეზი: პირველი მიზეზი შეიძლება უკავშირდებოდეს ვენახების გაფართოებით გამოწვეული იმ მიწის ფართობთა შემცირებას, რაც საჭირო იყო მარცვლეულის კულტურების მოსაყვანად; მეორე მიზეზი შეიძლება უკავშირდებოდეს იტალიელი ღვინის მწარმოებლების გარე კონკურენციისგან დაცვის მცდელობას.[137] თუ დავუშვებთ, რომ ედიქტი მეორე მიზეზით შეიქმნა, მაშინ იგი ძალიან ჰგავს 1500 წლის შემდეგ წარმოქმნილ პრეცენდენტს, როდესაც ესპანეთის მეფის ფილიპე II-ის მიერ დაწესედა შეზღუდვები, ვრცელი ვენახების გაშენებაზე ქვეყნის სამხრეთ-ამერიკულ კოლონიებში, რადგან ამას ეწინააღმდეგებოდნენ ესპანელი ღვინის მწარმოებლები.[138]

თუმცა მოსაზრება, რომ დომიციანემ მეორე მიზეზის გამო, მეღვინეობის დასაცავად გადაწყვიტა ედიქტის გამოცემა, ნაკლებ სავარაუდოა. საბოლოდ, ამ ედიქტით დაწესებულ შეზღუდვებს დიდად არავინ ითვალისწინებდა და დაახლოებით ორი საუკუნის შემდეგ, 282 წელს იგი გაუქმდა.[139]

---

[137] Phillips, (2018). 181. მიუხედავად იმისა, რომ არ მოგვეპოვება სტატისტიკა ვენახების ფართობთან დაკავშირებით, დომიციანეს ედიქტი მაინც გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის მევენახეობის გავრცელების მასშტაბების შესახებ, I საუკუნეში, როცა რომაელები ავრცელებდნენ ღვინის წარმოების კულტურას ევროპის უმეტეს ნაწილში. აღნიშნული ედიქტის შემოღებამდე, რამოდენიმე წლით ადრე ვაზი უკვე იყო გაშენებული საფრანგეთის თითქმის ყველა თანამედროვე ღვინის რეგიონის ტერიტორიაზე, როგორიცაა ლანგედოკი, ბორდო, ბურგუნდია და რონეს ხეობა, ასევე თანამედროვე გერმანიის, ავსტრიისა და პოლონეთის ტერიტორიებზე. Ibid 182; იხილეთ ასევე: Lukacs, (2013). 40; Duncan-Jones, R. (1974). *The Economy of Roman Empire: Quantitative Studies.* Cambridge University Press. 35; Munsie, (2002). 6; Unwin, (1991). 115.

[138] Phillips, (2018). 182. იხილეთ ასევე: Munsie, (2002). 7; Unwin, (1991). 114. ედიქტთან დაკავშირებით ფილოსტრატუსის და სტაციუსის შეფასებებისთვის იხილეთ: Silvae 4. 3. 11-12; VS 521, ციტირებულია Duncan-Jones, (1974). 35; დამატებით იხილეთ ასევე: 'Lucius Flavius Philostratus' <https://www.oxfordbibliographies.com/view/document/obo-9780195389661/obo-9780195389661-0252.xml> 18.03.2022 მდგომარეობით; "Flavius Philostratus" <https://www.britannica.com/biography/Flavius-Philostratus> 18.03.2022 მდგომარეობით; "Philostratus" <https://www.livius.org/articles/person/philostratus/> 18.03.2022 მდგომარეობით; For detailed information about Philostratus იხილეთ Bowie, E., Elsner, J. (eds.). (2009). *Philostratus*. Cambridge University Press. 19-25; "Statius Roman poet" <https://www.britannica.com/biography/Statius> 21.03.2022 მდგომარეობით; "Statius" <https://www.oxfordbibliographies.com/view/document/obo-9780195389661/obo-9780195389661-0064.xml> 21.03.2022 მდგომარეობით.

[139] Phillips, (2018). 181.

2.2 ღვინოსთან დაკავშირებული კაზუსები რომის სამართალში

დისერტაციის ეს ნაწილი დაეთმობა შემდეგ კაზუსებს: *Specificatio,*[140] *Furtum*[141] და *Error in substantia.*[142]

2.2.1 *Specificatio*

ადრეულ და გვიანდელ კლასიკურ პერიოდში, რომაელი იურისტები (*prudentes*) იყოფოდნენ ორი სკოლის მიმდევრებად, პროკულიანელებად (*Proculiani*) და საბინიანელებად (*Sabiniani*), მათ ერთმანეთისგან განსხვავებული მოსაზრებები გააჩნდათ რიგ სამართლებრივ პრინციპთან დაკავშირებით.[143]

ღვინის წარმოების შემთხვევაში, ორი სკოლა კამათობდა იმაზე, თუ ვის ეკუთვნოდა ახლად შექმნილი პროდუქტი - სხვისი ყურძნიდან წარმოებული ღვინო,

---

[140] *Specificatio* - "ერთი ან რამდენიმე ნივთისგან ახალი ნივთის შექმნა." იურიდიული თვალსაზრისით, სპეციფიკური გარემოება იქმნებოდა, როცა ახალი ნივთის შესაქმნელად ერთი პირი იყენებდა სხვა პირის კუთვნილ ნივთებს. იხილეთ: გარიშვილი, ხოფერია, (2013). 299-301; იხილეთ ასევე: Berger, A. (1953). *Encyclopedic Dictionary of Roman Law (Transaction of the American Philosophical Society).* American Philosophical Society, Philadelphia. 712.

[141] Furtum - "ქურდობის, როგორც სხვისი მოძრავი ქონების მართალსაწინააღმდეგო მითვისების, ცნება, რომის იურიდიულ აზროვნებაში საკმაოდ ადრე, ჯერ კიდევ რესპუბლიკურ ხანაში, ჩამოყალიბდა, და მასში თავმოყრილი იყო სამართალდარზღვევათა ფასრთო წრე, რომლებიც დაკავშირებული იყო ქონებრივი ზიანის მიყენებასა, ან, სხვა პირის ხარჯზე, მართლსაწინააღმდეგო გამდიდრებასთან." იხილეთ გარიშვილი, ხოფერია, (2013). 452-455; იხილეთ ასევე: Berger, (1953). 480.

[142] *Error in substantia* - ფუნდამენტური შეცდომა, ეს ხდება მაშინ, როდესაც დაშვებულია შეცდომა ნივთის შინაარსთან, ბუნებასთან ან მის ეკონომიკურ როლთან დაკავშირებით. Error in materia არის სინონიმი. იხილეთ: Berger, (1953). 456; Frier, B. W. (1983). VIII. Roman Law and the Wine Trade: The Problem of "Vinegar Sold As Wine". *Zeitschrift der Savigny-Stiftung für Rechtsgeschichte: Romanistische Abteilung*, *100*(1), 260; Plessis, P. J., Clifford A., Tuori K. (eds). (2016). *The Oxford Handbook of Roman Law and Society.* Oxford University Press. 179; იხილეთ ასევე: გარიშვილი, ხოფერია, (2013). 416.

[143] Kolbert, (tr). (1979). 31; იმპერატორ ადრიანეს დროს დაარსდა ორი იურიდიული „სკოლა“ (sectae), ერთი მარკუს ანტისციუს ლაბეოს და მეორე ატეიუს კაპიტოს მიერ. ამ „სკოლებს“ შორის განსხვავებები შეიძლება ვივარაუდოთ, რომ არის ლაბეოს და კაპიტოს შორის არსებული პირადი და პოლიტიკური პაექრობის შედეგი. ლაბეოს უილიამ უორვიკ ბაკლენდი უწოდებს, „რესპუბლიკელს, თავისუფალი გონების და ინოვაციებისკენ მიდრეკილ კაცს,“ ხოლო კაპიტოს, იგივე ავტორი აღწერს როგორც „იმპერიის მიმდევარს, მიდრეკილს მიჰყვეს ტრადიციას და დაეყრდნოს ავტორიტეტს“. ეს „სკოლები“ სავარაუდოდ ნელ-ნელა განვითარდა და მოიხსენიება შემდგომი ლიდერების, პროკულუსის და საბინუსის სახელებით, ამიტომ ლაბეოს სკოლა მოიხსენიება როგორც პროკულიანელები, ხოლო კაპიტოს სკოლა მოიხსენიება როგორც. საბინიანელები. Ibid. იხილეთ ასევე: Buckland, W. W. (1975). *A Textbook of Roman Law.* 3rd edn, Cambridge University Press. 26; Smith, W. (ed). (1870). *Dictionary of Greek and Roman Antiquities*. 541; Declareuil, J. and Parker E. A. (1926). *Rome the Law-giver*. Alfred A. Knopf, New York. 23; Muirhead, J. (1880). *The Institutes of Gaius and Rules of Ulpian.* T. & T. Clark, Edinburgh. 586; Berger, (1953). 712; Wauters, de Benito, (2017). 25-26. გარიშვილი, ხოფერია, (2013). 49-50; Tessa Leesen "Sabiniani and Proculiani" <https://oxfordre.com/classics/view/10.1093/acrefore/9780199381135.001.0001/acrefore-9780199381135-e-8155> 22.04.2022 მდგომარეობით.

ღვინის მწარმოებელს თუ ყურძნის მფლობელს. სავარაუდოა, რომ ეს კამათი ეფუძნება ფილოსოფიურ დისკურს საგნის თვისობირიობის შესახებ:[144]

> ფორმათა ცვლილებასთან დაკავშირებით ასევე, ჩვენ მივმართავთ ბუნებრივ წესრიგს (*naturalis ratio*). მაშასადამე, თუ ჩემი ყურძნიდან, ზეთისხილისგან ან მარცვლეული კულტურისგან დაამზადე ღვინო, ზეთი, ან მიიღე მარცვლეული, ისმის კითხვა, ეს ღვინო, ზეთი ან მარცვლეული ჩემია თუ შენი. ანალოგიურად, თუ ჩემი ოქროთი ან ვერცხლით ლარნაკი გააკეთე, ან ჩემი ფიცრებისგან - ნავი, კარადა ან სკამი დაამზადე. ანალოგიურად, თუ ჩემი მატყლიდან სამოსი დაამზადე, ან ჩემი ღვინისა და თაფლისგან თაფლის სასმელი დაამზადე, ან ჩემი წამლებისგან დაამზადე თაბაშირი ან მალამო, ისმის კითხვა, თუ ამ სახით რაც ჩემი მასალისგან დაამზადე, შენია თუ ჩემი. ზოგი ფიქრობს, რომ მასალა და ნივთიერება გასათვალისწინებელია, შესაბამისად, წარმოებული პროდუქტი ითვლება მასალის მფლობელის კუთვლილებად. და ამ მოსაზრებას, უპირველეს ყოვლისა, უპირატესობას ანიჭებენ საბინუსი (*Sabinus*) და კასიუსი (*Cassius*). სხვები კი ფიქრობენ, რომ ნივთი ეკუთვნის მას, ვინც ის შექმნა; ამ მოსაზრებას სხვა სკოლის წარმომადგენლები უჭერენ მხარს. თუმცა, ისინი ასევე ფიქრობენ, რომ მას, ვინც ფლობდა მასალას და ნივთიერებას, აქვს გამოიყენოს ქურდობის სარჩელი (*actio furti*) იმის წინააღმდეგ, ვინც მოიპარა იგი და ასევე გამოიყენოს დათქმა (*condictio*) იმავე პირის წინააღმდეგ, რადგან, მიუხედავად იმისა, რომ შეუძლებელია ნივთის გამოთხოვნის სარჩელის (*rei vindicatio*) გამოყენება, როდესაც საგნები გაქრება, ისინი შესაძლოა დათქმის

[144] Johnston, (2004). 5-6; Plessis, P. J. (ed). (2013). *New Frontiers Law and Society in the Roman World.* Edinburgh University Press. 41; Leesen, T. G. (2010). *Gaius meets Cicero. Law and Rhetoric in the School Controversies.* Martinus Nijhoff Publishers, Leiden. 70–90; Brtko, R. (2019). Gaius' Concept of The Law of Nations (Ius Gentium) and Natural Law (Ius Naturale). *Miscellanea Historico-Iuridica*, *17*(2), 39. ხელმისაწვდომია <http://miscellanea.uwb.edu.pl/article/view/18> 26.04.2022 მდგომარეობით. ლათინური ტექსტების ციფრული ვერსიებისთვის, იხილეთ Ius Romanum კატეგორია აღნიშნულ ვებგვერდზე: <http://www.TheLatinLibrary.com> 22.04.2022 მდგომარეობით.

(*condictio*) განხილვის საგნად იქცნენ ქურდებისა და სხვა მფლობელების წინააღმდეგ.[145]

ტექსტი აყალიბებს დებატების ნაწილს მფლობელობის უფლების შეძენის სხვადასხვა გზებზე ბუნებრივი წესრიგის (*naturalis ratio*) საფუძველზე. ზემოაღნიშნული შემთხვევა განიხილება კამათის კლასიკურ ილუსტრაციად: როცა ვინმე სხვისი ყურძნის გამოყენებით, აყენებს ღვინოს ორმხრივი შეთანხმების გარეშე, ჩნდება შეკითხვა: ხდება თუ არა ღვინის მფლობელი ყურძნის მესაკუთრე ან მეღვინე? საბინიანელები მხარს უჭერდნენ ყურძნის მესაკუთრეთა მოთხოვნას, პროკულიანელები კი, მეორე მხრივ, მხარს უჭერდნენ მოსაზრებას, რომ მეღვინე გახდა პროდუქტის მფლობელი.[146]

გაიუსი ნათლად არ მიუთითებს საბინიანელებისა და პროკულიანელების არგუმენტებზე, მაგრამ ისინი ხელმისაწვდომი გახდა დიგესტის მეშვეობით *Res Cottidiana sive aurea*-ის მეორე წიგნში, რომელიც წარმოადგენს გაიუსის ინსტიტუციების მეოთხე საუკუნის ვერსიას. ტექსტი ამ საკითხთან დაკავშირებით ასეთია:[147]

> როდესაც ვინმემ სხვისი მასალისგან რაღაც შექმნა თავისთვის, ნერვა და პროკულუსი ფიქრობენ, რომ შემქმნელი ფლობს ამ ნივთს, რადგან ის, რაც შეიქმნა, მანამდე არავის ეკუთვნოდა. საბინუსი და კასიუსი კი ფიქრობენ, რომ ბუნებრივი წესრიგი (*naturalis ratio*) მოითხოვს, რომ ადამიანი, რომელიც იყო მასალის მფლობელი, ასევე ხდება მისი

---

[145] Gaius, Inst. 2.79 ციტირებულია Plessis, (ed). (2013).. 41; სურგულაძე, ნ. (მთარგმნელი). (2011). *რომის სამართლის ძეგლები. გაიუსის ინსტიტუციები.* თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. 72; იხილეთ ასევე: Leesen, (2010). 70–90; Kolbert, (tr). (1979). 32; Berger, (1953). 343, 528-531, 592; Henry Sumner Maine, *Ancient Law* (Beacon Press, Boston, 1963) 65-67; George Mousourakis, *The historical and institutional context of Roman law* (Routledge, New York, 2016) 32–33; Harper Douglas, "Etymology of equity," Online Etymology Dictionary, <https://www.etymonline.com/word/equity> 06.03.2022 მდგომარეობით; Zimmermann, R. (1996). *The Law of Obligations: Roman Foundations of the Civilian Tradition.* Oxford University Press. 200; Hunter, W. A. (1920). *A Systematic and Historical Exposition of Roman Law in the Order of a Code, Embodying the Institutes of Gaius and the Institutes of Justinian.* 4th edn, Colston and Coy. Limited Printers, Edinburgh. 238.

[146] Plessis, (ed). (2013). 41; Berger, (1953). 712. გარიშვილი, ხოფერია, (2013). 299. "სამართალმცოდნეების prudentes მთავარი საქმიანობის მიზანი კანონის არსისა და მოვლენათა ბუნებრივი წესრიგის (*naturalis ratio*) მოთხოვნათა ურთიერთშესატყვისობის უზრუნველყოფა გახლდათ." Ibid.

[147] Plessis, (ed). (2013). 41.

> მასალისგან დამზადებულის მფლობელი, რადგან შეუძლებელია მასალის გარეშე რაიმეს დამზადდება: თუ, მაგალითად, მე ვამზადებ ლარნაკს ოქროს, ვერცხლის ან ბრინჯაოსგან, ან სამოსს შენი მატყლისგან, ან თაფლის სასმელის შენი ღვინისა და თაფლისგან, თაბაშირს ან მალამოს შენი წამლებისგან, ან ღვინოს, ზეთს, მარცვლეულს შენი ყურძნიდან, ზეთისხილიდან, მარცვლეული კულტურიდან. მიუხედავად ამისა, ასევე არსებობს შუალედური მოსაზრება (*media sententia*) მათი, ვინც სწორად თვლის, რომ თუ ნივთი შეიძლება დაუბრუნდეს მისი საწყისი მასალის მდგომარეობას, უმჯობესია კასიუსისა და საბინუსის მოსაზრება. თუ მისი დაბრუნება შეუძლებელია, ნერვას და პროკულუსის მოსაზრება უფრო სწორად ჟღერს. ასე, მაგალითად, მზა ლარნაკი შეიძლება დაუბრუნდეს ოქროს ან ვერცხლის ან ბრინჯაოს ნედლეულის მდგომარეობას. თუმცა, შეუძლებელია ღვინის, ზეთის ან მარცვლეულის დაბრუნება ყურძნის, ზეთისხილსა და მარცვლეული კულტურის ნედლეულის მდგომარეობაში, არც თაფლის სასმელი შეიძლება დაუბრუნდეს თაფლის და ღვინის საწყის მდგომარეობას, და არც თაბაშირი და მალამო შეიძლება დაუბრუნდეს წამლების საწყისს მდგომარეობას. თუმცა, მიმაჩნია, რომ ზოგიერთმა სწორად აღნიშნა, რომ ეჭვი არ უნდა იქნას შეტანილი იმაში, რომ ვიღაცის მარცვლეული კულტურიდან მიღებული მარცვალი ეკუთვნის მას, ვისიც იყო მარცვლეული კულტურა, ვინაიდან მარცვლეულს, რომელიც მცენარეშია, აქვს თავისი სრულყოფილი ფორმა, ის, ვინც მარცვალი მცენარიდან გამოარჩია, საგნის ახალ ფორმას არ ქმნის, უბრალოდ თვალხილულს ხდის იმას, რაც უკვე არსებობს.[148]

ტექსტი მიუთითებს, რომ საბინიანელებიც და პროკულიანელებიც თავიანთ პოზიციებს აყალიბებდნენ ბუნებრივი წესრიგის (*naturalis ratio*) საფუძველზე და არ

[148] D.41.1.7.7 ციტირებულია Plessis, (ed). (2013). 42; იხილეთ ასევე Institutes 2.1.25 ციტირებულია Kolbert, (tr). (1979). 32;

არსებობს ფუნდამენტური განსხვავება ამ ორ სკოლას შორის,[149] შუალედური მოსაზრება (*media sententia*) შეიძლება მივიჩნიოთ, როგორც კომპრომისი ორ პოზიციას შორის. თუ ნივთი, რომელიც დამზადებულია გარკვეული მასალისგან, ვერ დაიყვანება ამ საწყის მასალამდე, მაშინ პროკულიანელთა შეხედულება უნდა განიხილებოდეს, შესაბამისად, ნივთი უნდა ჩაითვალოს შემქმნელის საკუთრებად.[150]

2.2.2 *Furtum*

რომის სამართალში, ქურდობა - *Furtum* დამკვიდრდა, როგორც კერძო სამართლის საქმე, თანამედროვე მიდგომისგან განსხვავებით, როცა აღნიშნული ქმედება სისხლის სამართლის დანაშაულად კვალიფიცირდება. ქურდობა მოიცავდა არა მხოლოდ სხვისი ნივთის ნებართვის გარეშე მითვისებას, არამედ მის უკანონო გამოყენებასაც,[151] სარგებლის მიღების მიზნით. Paul., D. 47, 2, 1, 3-ში ჩამოაყალიბა ქურდობის ცნება: *Furtum est contrectatio rei fraudulosa lucri faciendi grafia vel ipsius rei vel eiam usus eius possessionisve* - ნივთის ამოღება, ჩადენილი მოტყუებით და გამდიდრების მიზნით (იქნება ეს თვით ნივთის ამოღება, მისით სარგებლობა, თუ მისი დაუფლება).[152]

ამ ფართო განმარტებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანი იყო იმის დადგენა, თუ რა იყო ქურდობის ობიექტი. მაგალითად, არსებობდა ასეთი მოსაზრება, რომ თუ ვინმემ კასრიდან ჭიქა ღვინო ამოიღო, ამით ამ ადამიანმა მთელი კასრი მოიპარა.[153] ამ შეხედულებას იზიარებდნენ ოფილიუსი და ტრებაციუსი, უკანასკნელი ამბობს, რომ ადამიანი, რომელიც ხსნის ღვინის ჭურჭელს და იღებს მცირე რაოდენობით

---

[149] Plessis, (ed). (2013). 42.

[150] Plessis, (ed). (2013). 43. იხილეთ ასევე: Institutes 2.1.25 ციტირებულია Kolbert, (tr). (1979). 32; Berger, (1953). 712; Fellmeth, A. X., Horwitz, M. (2009). *Guide to Latin in International Law.* Oxford University Press. 185; გარიშვილი, ხოფერია, (2013). 299.

[151] Riggsby, A. M. (2010). *Roman law and the legal world of the Romans.* Cambridge University Press. 190-191.

[152] Кофанов, Л.Л. (ред.). (2005). *Digesta Iustiniani. T. VII, полутом I, Книги LV-LVII.* Статут, Москва. 379; გარიშვილი, ხოფერია, (2013). 454.

[153] Riggsby, (2010). 190-191. იხილეთ ასევე: Berger, (1953). 480; Johnston, D. (ed). (2015). *The Cambridge companion to Roman law.* Cambridge University Press. 250; Kolbert, (tr). (1979). 97-98.

ღვინოს, ითვლება არა მხოლოდ ღვინის ამ მცირე ნაწილის, არამედ ჭურჭლის მთლიანი ოდენობის ქურდად.[154]

ოფილიუსი და ტრებაციუსი ძვ.წ. I საუკუნის იურისტები იყვნენ და მათი აზრით, სხვა პირის კუთვნილი საგნის შეხება ან პყრობა საკმარისი იყო ამ ქმედების ქურდობად კვალიფიცირებისთვის. ულპიანუსის მოსაზრება კი ამ შეხედულების საპირისპირო იყო, იგი ქურდობას, პირველ რიგში, განსაზღვრავდა, როგორც რაიმეს წაღების აქტს, რომელიც აუცილებლად შეიცავდა შეხებასაც. [155] მოგვიანებით, II ქრ. შობის II საუკუნეში, ეს მოსაზრება გავრცელდა და, ამგვარად, აღნიშნულ ქმედებაზე, per formulas (ფორმულარული პროცესის) ფარგლებში, ქურდობისთვის საჯარიმო პასუხისმგებლობა დადგენილი იყო actio furti (furtum manifesti ან furtum nec manifesti - აშკარა ან ფარული ქუედობა) სარჩელის მეშვეობით [156] და დაკისრებული ჯარიმა განისაზღვრებოდა წაღებულის ღირებულების მიხედვით, თანაც არ ჰქონდა მნიშვნელობა იმას, იქნებოდა თუ არა ეს პირი ნივთის მესაკუთრე ან მხოლოდ მფლობელი. მიუხედავად ამისა, მოქმედებდა პრინციპი, რომ სარჩელი უნდა მისცემოდა ნივთის ხელშეუხებლად შენარჩუნებაში დაინტერესებულ პირს (D.,47,2,77,1).[157]

2.2.3 *Error in substantia*

ღვინოზე ჭარბი მოთხოვნის გამო, რომაელმა იურისტებმა (*prudentes*) ყურადღება მიაპყრეს ღვინით ვაჭრობაში არსებულ განსაკუთრებული პრობლემებს, ხოლო ადრეული კლასიკური ხანის იურისტმა საბინუსმა თავისი *Ius Civile*-ს ნაწილი დაუთმო მხოლოდ ღვინით ვაჭრობას.[158]

რომში იმპორტირებული ღვინოების დიდი ნაწილი დაბალი ხარისხის იყო. ესეთი ღვინოების ხარისხის გაუარესებაზე მრავალი ფაქტორი მოქმედებდა, მათ შორის ყველაზე გავრცელებული იყო ძმარმჟავა დუღილი, რომლის მიზეზებიც იმ

---

[154] Johnston, (ed). (2015). 250; Kolbert, (tr). (1979). 136.
[155] Johnston, (ed). (2015). 250.
[156] გარიშვილი, ხოფერია, (2013). 455
[157] გარიშვილი, ხოფერია, (2013). 455; იხილეთ ასევე: Johnston, (ed). (2015). 250;
[158] Frier, B. W. (1983). 257. 11.01.2022 მდგომარეობით. იხილეთ ასევე: Berger, (1953). 527.

დროისთვის რომაელთათვის სრულიად ამოუცნობი იყო.[159] გვიანი რესპუბლიკელი იურისტი სერვიუსი მას აღწერს, როგორც "დეფექტი, რომელიც წარმოიქმნება თავად ობიექტიდან",[160] და გაიუსი ამტკიცებს, რომ ეს ხდება "ღვინის ბუნების გამო".[161]

მთავარი წყარო იმისა, რასაც თანამედროვე მეცნიერები ასახელებენ, როგორც *error in substantia*-ს, წარმოადგენს ულპიანუსის საბინუსისადმი კომენტარის გრძელ და უწყვეტ მონაკვეთს.[162] თავდაპირველ ტექსტში, აღნიშნული პასაჟი იყო დამატება ულპიანუსის გაცილებით მოკლე განხილვისა *Error in corpore*-ს, გაყიდვის ობიექტზე შეცდომის შესახებ.[163] *Error in corpore*-ს შემდგომ განხილვას მივყავართ *Error in substantia*-მდე: შემთხვევა, როდესაც შეცდომა ეხება არა გაყიდვის ობიექტს, არამედ ამ ობიექტის „სუბსტანციას“.[164] საბოლოოდ, ულპიანუსი ადგენს, რომ ასეთი შეცდომა, იწვევს გაყიდვის ბათილობას, მისი იურიდიულად გაფორმებამდეც.[165]

თავის კომენტარში საბინუსის *lus Civile*-ზე მიუთითებდა: რა სამართლებრივი შედეგი დადგება, თუ ძმარი "ღვინოდ იყიდება"? ულპიანუსი ასახავდა განსხვავებას ღვინოს, რომელიც გაყიდვამდე "გაფუჭდა" და "თავიდანვე ძმარს," შორის. პირველ შემთხვევაში, ის ნასყიდობის ხელშეკრულებას ძალაში მყოფად მიიჩნევს, მეორეში - არა.[166]

ულპიანუსი ურჩევს ღვინის დიდი ოდენობით შემსყიდველს, მოითხოვოს ღვინის დეგუსტაცია (*degustatio*), ასევე იგი ურჩევს გამყიდველს მოითხოვოს ღვინის დეგუსტაციის ვადის ზღვარი, რადგან გამყიდველს მანმდე დაეკისრება ღვინის გაფუჭების პასუხისმგებლობა, სანამ მყიდველს, რომელსაც აჩქარების არანაირი

---

[159] Frier, B. W. (1983). 258-259.

[160] Ulp. D. 19. 2. 15. 2; Frier, B. W. (1983). 259.

[161] D.18.6.16; Frier, B. W. (1983). 259.

[162] Ulpian, (28 ad Sab.) D. 18. 1. 9. 2, 11 pr. 1,14; Frier, B. W. (1983). 161.

[163] Ulpian, (28 ad Sab.) D. 18. 1. 9 pr. 1; Frier, B. W. (1983). 161; იხილეთ ასევე: გარიშვილი, ხოფერია, (2013). 415-416.

[164] Ulpian, (28 ad Sab.) D. 18. 1. 9. 2; Frier, B. W. (1983). 264. იხილეთ ასევე: გარიშვილი, ხოფერია, (2013). 416.

[165] Pomponius, (9 ad Sab.) D. 18. 1. 8 pr. Frier, B. W. (1983). 278. ადრეულ კლასიკურ პერიოდში ღვინის/ძმრის კაზუსის არსებობა მიუთითებს ღვინით ვაჭრობის უზარმაზარ კომერციულ მნიშვნელობაზე. სავარაუდოდ, გაფუჭებულ ღვინოსთან დაკავშირებული სასამართლო დავები, როგორც კაზუსის ფაბულიდან ირკვევა, ჩვეულებრივი პრაქტიკა იყო იმ დროისთვის. Ibid. 276; იხილეთ ასევე Calabresi, G., Bobbitt P. (1978). *Tragic Choices.* W. W. Norton & Company. 114-115.

[166] Ulpian, (28 ad Sab.) D. 18. 1. 9. 2; Frier, B. W. (1983). 260; Plessis, P. J., Clifford A., Tuori K. (eds). (2016). 179.

ვალდებულება არ ექნება, არ მოუნდება ღვინის დაგემოვნება.[167] ულპიანუსის ტექსტის კიდევ ორი ნაწილი ადასტურებს, რომ ღვინის დეგუსტაცია განიმარტება, როგორც ინსტრუმენტი გამყიდველზე ღვინის გაფუჭების რისკის (*periculum*) გადასატანად.[168]

შესაბამისად, გვიანდელი კლასიკური რომაელი იურისტები (*prudentes*) მტკიცედ ეყრდნობიან დეგუსტაციას (*degustatio*), როგორც მყიდველთა უფლების დაცვის საშუალებას. ღვინის დეგუსტაციის მიზანი არ იყო, ის რომ მყიდველს გადაეწყვიტა, პირადად, მოსწონს თუ არა ღვინო,[169] არამედ ყველა ტექსტი აკავშირებს ღვინის დაგემოვნებას უშუალოდ ღვინის გაფუჭების შესაძლებლობასთან (რაც მაშინ საკმაოდ ბუნებრივი მოვლენა იყო), და, შესაბამისად, ღვინის გაყიდვადობასთან.[170]

თუ ღვინო გაყიდვამდე (*venditio*) ამჟავდა, ულპიანუსი error in substantia-ს აშორებს შესაძებლობას ბათილად ცნოს გაყიდვა.[171] ულპიანუსი თავის მოსაზრებას განმარტავს იმით, რომ გაფუჭებული ღვინო, სინამდვილეში, იგივე სუბსტანციაა (*ousia*). ეს ახსნა შეიძლება უკავშირდებოდეს იმ დროისთვის არსებულ გაურკვეველ შეხედულებას ძმარმჟავა დუღილის ბუნებრივი პროცესის შესახებ.[172] თუ ღვინის გაფუჭება ბუნებრივი პროცესია, შეიძლება ძალიან რთული ყოფილიყო იმის დადგენა, თუ როდის ამჟავდა ღვინო - გაყიდვამდე თუ გაყიდვის შემდგომ, რაც,

---

[167] Ulpian, (28 ad Sab.) D. 18. 6. 4. 1; Frier, B. W. (1983). 281. იხილეთ ასევე: Plessis, P. J., Clifford A., Tuori K. (eds). (2016). 179.

[168] Ulpian, (28 ad Sab.) D. 18. 6. 4. 1 pr., 4 pr. Frier, B. W. (1983). 281. იხილეთ ასევე: Plessis, P. J., Clifford A., Tuori K. (eds). (2016). 179; Johnston, D. (2004). *Roman Law in Context.* Cambridge University Press. 83-84; Berger, (1953). 580. გარიშვილი, ხოფერია, (2013). 420.

[169] Frier, B. W. (1983). 281; იხილეთ ასევე: Johnston, (2004). 83.

[170] Cato, Agr. 148.3-4; Gaius, D. 18. 6. 16; Paul. D. 18. 1. 34. 5; Ulpian, D. 18. 6. 1pr., 4pr; Frier, B. W. (1983). 281. როგორც ირკვევა, ღვინის დეგუსტაცია ჩვეულებრივ ხორციელდებოდა, როდესაც იგი იყიდებოდა ჭურჭელში, რომელსაც დოლიას (dolia) ეძახდნენ. სავარაუდოდ, ეს შეიძლება აიხსნას იმ გარემოებით, რომ, ჩვეულებრივ, ღვინო ჩერდებოდა გამყიდველთან საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში, და ამ დროის განმავლობაში მიმდინარეობდა მისი დავარგების პროცესი. თუმცა, ღვინის დაძმარების დაწყების შემთხვევაში, დოლიას დიდი ტევადობის გამო, აღნიშნული ღვინო მთლიანად ფუჭდებოდა. აღნიშნულის საპირისპიროდ, ღვინის დეგუსტაცია, როგორც ჩანს, ნაკლებად ხორციელდებოდა საცალო ვაჭრობის ადგილებში, იმ შემთხვევაში, როდესაც იგი იყიდებოდა ამფორებით (amphorae), რაც შეიძლება აიხსნას იმით, რომ, ჩვეულებრივ, ამ შემთხვევაში მყიდველი ღვინოს ყიდვის წინ აგემოვნებდა და შემდეგ იძენდა. Ibid. 282.

[171] Frier, B. W. (1983). 283-284. იხილეთ ასევე: გარიშვილი, ხოფერია, (2013). 420.

[172] Frier, B. W. (1983). 284.

საბოლოოდ, ნასყიდობის ხელშეკრულების (emptio-venditio) ნამდვილობის პირობების დაცვაზე იასახებოდა.[173]

ულპიანუსის ბოლო ინტერპრეტაცია აღწერს შემთხვევას არა როგორც ფუნდამენტურ შეცდომას ("fundamental" error in substantia), არამედ როგორც გაყიდვის ობიექტის ფუნდამენტურ დეფექტს ("fundamental defect"), იმდენად მნიშვნელოვან ნაკლს, რომ ობიექტის გაყიდვადობის საკითხი სათუო ხდება.[174]

იქიდან გამომდინარე რომ, ფუნდამენტური დეფექტი არ აბათილებს გაყიდვას, ის განასხვავებს გამყიდველის (*venditor*) ორ ტიპს, პირველი, ვინც ინფორმირებულია „დეფექტის" შესახებ და მეორე, ვინც არ იცის ამის შესახებ. პირველის ქმედება არის კეთილსინდისიერების (*bona fides*) პრინციპის დარღვევა, ასეთი გამყიდველი (*venditor*) აგრეთვე პასუხისმგებელი ხდება მიყენებული ზიანისათვის. მეორე ტიპის გამყიდველი (*venditor*), თავის მხრივ, პასუხისმგებელია აანაზღაუროს ფასში სხვაობა მაინც, და ზოგიერთ შემთხვევაში კი, როცა მყიდველი (*emptor*) ინფორმირებულია დეფექტის შესახებ და ამის საფუძველზე უარს ამბობს ღვინის შეძენაზე, გარკვეული ტექსტები მკაფიოდ მიუთითებენ გაყიდვის სრულ გაუქმებაზე, რაც მისი ბათილად ცნობის ტოლფასია. ეს მიდგომა განასხვავებს გამყიდველის არასათანადო და სათანადო ქცევას, ამავდროულად, გამყიდველს გაცილებით მოთხოვნად სტანდარტებში აქცევს.[175]

როგორც ბრიუს ფრაიერი აღნიშნავს, ულპიანუსის გადაწყვეტილება „ღვინის/ძმრის საქმეში" მიღებულია რომაელი იურისტებისთვის (prudentes) საკმაოდ დამახასიათებელი ხელწერით, რომლებიც დიდ ყურადღებას აქცევდნენ

---

[173] Frier, B. W. (1983). 285 იხილეთ ასევე: Peter Birks, *The Roman Law of Obligations* (Oxford University Press, 2014) 77-78. ყიდვა-გაყიდვის იურიდიულ ასპექტებთან დაკავშირებით დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ: გარიშვილი, ხოფერია, (2013). 414-423.

[174] Frier, B. W. (1983). 285.

[175] Frier, B. W. (1983). 287-288. ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებაში, მხარეთა მოვალეობები კეთილსინდისიერების პრინციპის (bona fides) საფუძველზე განსაზღვრებოდა. ამგვარი ხელშეკრულების დადებისას, რომაელმა იურისტებმა (prudentes) დაამკვიდრეს პრინციპი, რომელიც ორივე მხარეს უნდა მკაცრად დაეცვა, bona fides et aequitas. მყიდველს უნდა გადაეხადა შეძენილი ნივთის საფასური, ხოლო გამყიდველი საკუთარი მოვალეობების არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, პასუხს აგებდა თავისი ბოროტი განზრახვისთვის (dolus), კლასიკურ პერიოდში კი ბრალის გამო (culpa). იხილეთ გარიშვილი, ხოფერია, (2013). 418-420; ამ საკითხთან დაკავშირებით იხილეთ ასევე: Berger, (1953). 374.

ღვინით ვაჭრობის დეტალებს.[176] ეს დავა განიხილება სახელშეკრულებო ჭრილში და კარგად ასახავს, თუ რამდენად მნიშვნელოვანი იყო ღვინით ვაჭრობა რომში.[177]

ღვინის „ფუნდამენტური შეცდომისა“ და „ფუნდამენტური დეფექტის“ ('fundamental' error and 'fundamental defect') შესახებ მსჯელობა და, განსაკუთრებით მყიდველთა დამცავი ინსტრუმენტის არსებობა, დეგუსტაციის სახით, რომელიც ღვინის ხარისხის შემოწმების მეთოდს წარმოადგენდა, ნათელ მაგალითებს იძლევა, რომ კლასიკური პერიოდის რომაელ იურისტებს (prudentes) ჰქონდათ შემუშავებული ისეთი მიდგომები, რომლებიც შეგვიძლია მივიჩნიოთ იმ პერიოდისთვის ძალიან მოწინავე კონცეფციებად.

ღვინის შესახებ ზემოთ განხილული მთელი იურიდიული მემკვიდრეობიდან, მართებულად მიგვაჩნია გამოვკვეთოთ შემდეგი მნიშვნელოვანი გარემოებები:

1. რომის იმპერატორის დომიციანეს ახ. წ. 92 წ. გამეცემულ ედიქტს, შეიძლება გავლენა მოეხდინა რომში ღვინის წარმოების მოცულობის შემცირებაზე, ახალი ვაზის გაშენების შეზღუდვით და ვენახების ამოძირკვის ბრძანებით.

2. Specificatio-თან, Furtum-თან და Error in substantia-თან დაკავშირებული კაზუსები ასევე დაკავშირებულია ღვინოსთან, მაგრამ ღვინის წარმოების თვალსაზრისით, მოცემულ კაზუსებს შორის, Specificatio და Error in substantia ინარჩუნებენ შედარებით თვალსაჩნო კავშირს წარმოებასთან, რადგან Specificatio-ს შემთხვევაში, ადგილი აქვს ყურძნის გადამუშავებას და მისგან ღვინის წარმოებას, რის საფუძველზეც უნდა გადაწყდეს სასამართლო დავა, თუ ვის საკუთრებაში დარჩეს საბოლოო პროდუქტი, ხოლო Error in substantia-ს შემთხვევაში კი, ნასყიდობის ხელშერკულების (emptio-venditio) ბათილობის ან ვალიდურობის განსაზღვრისთვის, ღვინის შემოწმების ინსტრუმენტად დეგუსტაციის შემოტანა, თავისთავად, მოიცავს პროდუქტის ხარისხის კონტროლის მექანიზმს.

3. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ Furtum-ის კაზუსი გამიზნულად მოსდევს Specificatio-ს, რადგან ნივთის მფობელობის საკითხის განხილვასთან ერთად, უკეთ წარმგოვეჩინა, რა ითვლებოდა რომში საგნის, ამ შემთხვევაში ღვინის არამართლზომიერ ფლობად.

---

[176] Frier, B. W. (1983). 289.
[177] Frier, B. W. (1983). 289-290.

რომის იმპერიის დაცემის შემდეგ, ბერძნულ-რომაული სამყაროს სოციალური და კულტურული ნიშნები ეტაპობრივად გაქრა, მრავალი ქალაქი გაუჩინარდა. ქალაქების ნგრევამ, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში წარმოადგენდნენ სწავლისა და კულტურის ცენტრებს ევროპაში, გამოიწვია გაუნათლებლობის გავრცელება. თუმცა, ამ პერიოდში რომაული კულტურის ნაშთები კვლავ განაგრძობდნენ არსებობას, რომლის მცველებად, ძირითადად, მონასტრები გვევლინებიან.[178]

ამ დროს კულტურულ დეგრადაციასთან ერთად, მევენახეობის დარგიც განიცდის უკუსვლას, შარლ დიდის მეფობამდე (800 წ.), [179] მევენახეობის აღორძინების მიზეზი, ძირითადად, ქრისტიანული სარწმუნოება იყო. ზიარების რიტუალის ჩასატარებლად, ეკლესიას სჭირდებოდა ღვინის ყოველდღიური რაციონი, ხოლო მონასტრები საჭიროებდნენ ღვინოს სასულიერო პირებისა და მათი სტუმრების გასამასპინძლებლად. ყოველივე ამან ხელი შეუწყო ორი კატეგორიის ღვინის წარმოებას: ყოველდღიური მოხმარებისა და უმაღლესი კატეგორიის ღვინო - განკუთვნილი პატივცემული სტუმრების გასამასპინძლებლად.[180]

---

[178] George Mousourakis, *The historical and institutional context of Roman law* (Routledge, New York, 2016) 411. იხილეთ ასევე Wauters, de Benito, (2017). 18.

[179] Munsie, (2002). 7. იხილეთ ასევე: Niederbacher, A. (1983). *Wine in the European Community*. Office for Official Publications of the European Communities. 15. შარლ დიდის მიერ განხორციელებული კონონშემოქმედებითი საქმიანობის შესახებ დაწვრილებითი ინფორმაციისთვის იხილეთ: George Mousourakis, *The historical and institutional context of Roman law* (Routledge, New York, 2016) 412-413.

[180] Munsie, (2002). 7. იხილეთ ასევე: Robinson, (ed). (1999). 157.

IV. ღვინის წარმოების რეგულაციები საფრანგეთში, იტალიაში, ესპანეთსა და საქართველოში XX საუკუნის დასაწყისიდან, ვიდრე 1950-იან წლებამდე

დისერტაციის ეს ნაწილი, შედარებით-სამართლებრივი და ისტორიულ-შედარებითი კვლევის მეთოდების გამოყენებით, იკვლევს ღვინის წარმოების რეგულაციების განვითარებას საფრანგეთში, იტალიაში, ესპანეთსა და საქართველოში მე-20 საუკუნის დასაწყისიდან, ვიდრე 1950-იან წლებამდე, იმ მიზნით რომ, გამოიკვეთოს ამ რეგულაციების შექმნის მიზეზები და მათგან მიღებული შედეგები, ღვინის ხარისხის დაცვაში. პირველ რიგში, საფრანგეთის რეგულაციების განხილვით, დისერტაციის ეს ნაწილი ხაზს უსვამს მისი, როგორც ღვინის წარმოების რეგულაციების შემუშავებაში მოწინავე ქვეყნის წვლილს, შეტანილს ღვინის გაყალბებისგან დაცვაში. საქართველოზე ფოკუსირებისას, მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ ამ პერიოდში ქვეყანა არ იყო დამოუკიდებელი სახელმწიფო, შესაბამისად, ყურადღება ეთმობა რუსეთის იმპერიის მიერ ქვეყნის ანექსიის და, მოგვიანებით, საბჭოთა კავშირში მისი იძულებით შეყვანის პერიოდებს, რათა გამოვიკვლიოთ ის ძალიან რთული ეროვნულ-პოლიტიკური ვითრება, რომელიც საქართველომ გამოიარა დამოუკიდებლობის დაკარგვით. შესაბამისად, ყურადღება გამახვილდება იმ მიზეზებზე, რამაც გამოიწვია საქართველოს ღვინის წარმოების საკუთარი რეგულაციების არარსებობა.[181]

1. საფრანგეთი

„მიუხედავად იმისა, რომ ადრე საბერძნეთი და რომი დომინირებდნენ ღვინის წარმოებასა და ვაჭრობაში, შუა საუკუნეებიდან მოყოლებული, ღვინის გლობალურ ბიზნესში საფრანგეთი დაწინაურდა“.[182]

---

[181] საფრანგთისა და საქართველოს შედარებისთვის იხილეთ ასევე Parsadanishvili, N. (2021). Comparison of Wine Production Regulations in France and Georgia from the early 20th Century to 1950s. *Journal of Polish-Georgian Law 1,* 129–142.

[182] Meloni, Swinnen, (2018). 4.

როდესაც ვსაუბრობთ ხარისხობრივი ღვინის წარმოების რეგულაციებზე ევროპაში მე-20 საუკუნის დასაწყისიდან, ვიდრე 1950-იანი წლების ბოლოს, პირველი ქვეყანა, რომელიც უნდა განვიხილოთ არის საფრანგეთი, ამ სფეროში რეგულაციების შექმნის დიდი გამოცდილებიდან გამომდინარე, [183] თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებასაც, რომ ქვეყანა ღვინის მოხმარების ყველაზე მაღალი დონით გამოირჩევა ევროპაში.[184] ღვინის ამ რეგულაციების შედეგად, საფრანგეთი იქცა ერთადერთ ევროპულ ქვეყანდ, რომელმაც უფრო მკაცრი სტანდარტები შეიმუშავა, ვიდრე ამას თავად ევროკავშირი მოითხოვდა.[185]

აღსანიშნავია, რომ ღვინის რეგულაციების შემოღებამდე, საფრანგეთი გარკვეული ხერხებით, უკვე XVIII საუკინდან ებრძოდა ფალსიფიცირებას, რისთვისაც მოკლედ განვიხილავთ ერთ საინტერესო შემთხვევას ღვინის გაყალბებასთან დაკავშირებით, რომელსაც ადგილი ჰქონდა პარიზში. 1751 წელს, ღვინით მოვაჭრე ეტიენ კოროს (Étienne Corrot) ბრალად დაედო ღვინის გაყალბების განხორციელება, სავარაუდოდ, ჩადენილი ისეთ მასშტაბებში, რაც იმ დროს განსაკუთრებით დიდ ოდენობად ითვლებოდა. პოლიციამ გაჩხრიკა მისი ობიექტები და ხუთი ექსპერტისგან - ღვინის დეგუსტატორისგან შემდგარმა ჯგუფმა, შეამოწმეს მის სარდაფში არსებული ღვინის კასრები. მათ აღმოაჩინეს, რომ გარკვეული კასრები, შეიცავდა ღვინისა და მსხლის არყის ნაზავს, სხვა კასრები კი შეიცავდა სასმელს, დამზადებულს მსხლის არყის, წყლისა და ღვინის ლექის ნაზავით.[186] ამ ქმედების ჩადენისთვის ვაჭარს დაეკისრა ჯარიმა იმ დროისთვის მნიშვნელოვანი ოდენობით თანხის გადახდის სახით - 650 ლივრი და ერთი წლის განმავლობაში აეკრძალა ღვინით ვაჭრობა. მისი ობიექტები დალუქეს,

---

[183] Adams, G. et al. (eds). (2009). *Wines of the World.* 2nd rev edn, DK Publishing Inc, New York. 52; Parsadanishvili, (2021). 130;

[184] Adams, G. et al. (eds). (2009). 186. იხილეთ ასევე: Jan Conway, "Global wine consumption in 2019, by country" <https://www.statista.com/statistics/858743/global-wine-consumption-by-country/> 16.07.2020 მდგომარეობით; "Wine consumed in pure alcohol, litres per capita, age 15+" < https://gateway.euro.who.int/en/indicators/hfa_428-3052-wine-consumed-in-pure-alcohol-litres-per-capita-age-15plus/visualizations/#id=20008> 16.07.2020; Parsadanishvili, (2021). 130;

[185] Munsie, (2002)., 30. იხილეთ ასევე Josel, K. H. (1994). New Wine in Old Bottles: The Protection of France's Wine Classification System Beyond Its Borders. *Boston University International Law Journal 12*(2), 471, 473; Parsadanishvili, (2021). 131;

[186] Phillips, (2018). 361-362.

ფალსიფიცირებული სასმელები გადაღვარეს, ხოლო კასრები და ბოთლები მისი ობიექტებიდან ამოიღეს.[187]

აღნიშნული შემთხვევა ცხადყოფს, თუ რამდენად მკცარი იყო იმდროინდელი პარიზის ხელისუფლება ღვინის გაყალბების წინააღმდეგ ბრძოლაში, მიუხედავად იმისა, რომ XIX საუკუნემდე შეუძლებელი იყო საკვებისა და სასმელის ქიმიური გამოკვლევა და თაღლითობის გამოვლენის ერთადერთ გზად, სანდო დეგუსტატორებზე დაყრდნობა რჩებოდა.[188]

საფრანგეთში ღვინის წარმოების რეგულაციების შემოღება სხვადასხვა ფაქტორებმა განაპირობა, მათ შორის XIX საუკუნის შუა ხანებიდან მოყოლებული, რაც ვაზის დაავადება, ფილოქსერით გამოწვეული პრობლემება იყო.[189]

1850-იან წლებში ჩრდილოეთ ამერიკიდან შემოსულმა ვაზის დაავადება - ფილოქსერამ, საფრანგეთის ვენახები მთლიანად გაანადგურა. [190] ამ დროს ღვინოზე მოთხოვნა დიდი იყო, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ ვენახების აღდგენა სწრაფად ვერ ხერხდებოდა, ამ ფაქტორმა გავლენა იქონია ღვინის ბაზრისთვის მიწოდების პროცესზე და, შედეგად, ღვინის ფასებმა მოიმატა. იმისთვის, რომ ამ სიტუაციით ესარგებლათ, მწარმოებლებმა დაიწყეს ღვინის ფალსიფიკაცია ხელოვნური შემცვლელების გამოყენებით. ფალსიფიკაციასთან ბრძოლის მიზნით, 1889 წელს მთავრობამ გამოსცა ღვინის პირველი სამართლებრივი განმარტება აქტის სახით, რომელსაც ეწოდა "loi Griffe" (ეტიკეტის კანონი). მან განსაზღვრა ღვინო, როგორც ახალი ყურძნის ან მისი წვენის ნაწილობრივი ან სრული დუღილის პროდუქტი.[191]

---

[187] Phillips, (2018). 361-362.

[188] Phillips, (2018). 361-362.

[189] ამ საკითხთან დაკავშირებით იხლეთ ასევე Parsadanishvili, (2021). 131.

[190] Adams, G. et al. (eds). (2009). 49. იხილეთ ასევე Munsie, (2002). 11; Pierre Spahni, The Common Wine Policy and Price Stabilization, (1988) 11; Parsadanishvili, (2021). 131; Meloni, G., Swinnen, J. (2013). The Political Economy of European Wine Regulations. *Journal of Wine Economics, 8*(3), 258. Meloni, G., Swinnen, J. (2018). The political economy of regulations and trade: Wine trade 1860–1970. *The World Economy, 41*(6), 4. Meloni, G., Swinnen, J. (2018). Trade and terroir. The political economy of the world's first geographical indications. *Food Policy, 81*, 12.

191 Munsie, (2002). 11. იხილეთ ასევე Loubère, L. A. (1978). *The Red and the White: A History of Wine in France and Italy in the Nineteenth Century.* State University of New York Press. 297; Robinson, J. et al. (eds). (2015). *Oxford Companion to Wine.* 4th edn. 5; Peter Svans "14th August – First French 'Definition' of Wine Today 1889" <http://www.thisdayinwine.com/14th-august-first-french-definition-of-wine-today-1889/> 02.022019 მდგომარეობით; Parsadanishvili, (2021). 131;

იმავდროულად, - Vitis vinifera-ს სახეობის ფილოქსერაგამძლე ვაზის ამერიკულ საძირეზე დამყნობით, გამოყვანილი ჰიბრიდული ვაზის მოშენება ჩვეულებრივ პრაქტიკად იქცა. ასეთი ვაზის ჯიშები უფრო მაღალი მოსავლის მიღების საშუალებას იძლეოდა, მაგრამ მათგან დამზადებული ღვინოები გამოირჩეოდა დაბალი ხარისხით და დაბალი ალკოჰოლის შემცველობით. ამ პრობლემის გადასაჭრელად, ღვინის მწარმოებლებმა დაიწყეს თავიანთი ღვინოების შერევა ალჟირულ ღვინოებთან, რომლებსაც ალკოჰოლის მაღალი შემცველობა ჰქონდათ, რადგან, იმ დროს, ალჟირი საფრანგეთის ნაწილი იყო, ეს კი საშუალებას იძლეოდა ალჟირული პროდუქცია თავისუფლად გადაადგილებულიყო საფრანგეთის ტერიტორიაზე. [192] გარდა ამისა, ფრანგ მეღვიინეებს დიდი რაოდენობით ღვინო ესპანეთიდანაც, კერძოდ - რიოხადან და ნავარადან შემოჰქონდათ.[193]

საფრანგეთის მეღვინეობის ისეთი ცნობილი რეგიონებისთვის, როგორებიცაა ბორდო და შამპანი, აღნიშნული პრაქტიკა მთავარ პრობლემად იქცა. ამ რეგიონებში ფალსიფიკატორები ახდენდნენ ლანგედოკის და ალჟირის იაფი ღვინოების შერევას ადგილობრივ ღვინოებში, რომლებიც შემდეგ იყიდებოდა ბორდოსა და შამპანის ღვინოებად დასახელების სახით ამ ტერიტორიებიდან ღვინის მწარმოებლები და მევენახეები ითხოვდნენ ღვინის ადგილწარმოშობის დასახელების კანონით განსაზღვრას, [194] შესაბამისად, 1900 წლიდან გადაიდგა ნაბიჯები, რათა კანონმდებლები ეიძულებინათ შეექმნათ მთელი რიგი კანონებისა, რომლებიც აკრძალავდა ყალბი ეტიკეტების მქონე სასმელების გაყიდვას.[195]

---

[192] Munsie, (2002)., 11. იხილეთ ასევე Spahni, P. (1988). *The Common Wine Policy and Price Stabilization* 11; Bohling, J. (2018). *The Sober Revolution: Appellation Wine and the Transformation of France*. Cornell University Press. xxii; Parsadanishvili, (2021). 131; Meloni, G., Anderson, K. et al. (2019). Wine Regulations. Applied Economic Perspectives and Policy, 41(4), 626. Meloni, Swinnen, (2013). 258; Meloni, G., Swinnen, J. (2018). The political economy of regulations and trade: Wine trade 1860–1970. *The World Economy, 41*(6), 12-13.

[193] Wacker, J. P. (2019). Everything You Never Wanted to Know About Spanish Wines (and a Few Things You Did). 6. იხილეთ ასევე: Robinson, et al., *The Oxford Companion to Wine* (Oxford University Press, 2015) 695.

[194] Colman, T. (2008). *Wine Politics: How Governments, Environmentalists, Mobsters, and Critics Influence the Wines We Drink*. University of California Press. 18. იხილეთ ასევე: Simpson, J. (2011). *Creating Wine: The Emergence of a World Industry, 1840-1914.* Princeton University Press. 148; Guy, K. M. (2003). *When Champagne Became French: Wine and the Making of a National Identity.* The Johns Hopkins University Press. 79; "Revolution in the Vineyards" <https://maisons-champagne.com/en/encyclopedias/champagne-guest-book/before-sparkling-champagne/xxe-centuries/article/revolution-in-the-vineyards/> 09.07.2020 მდგომარეობით; Parsadanishvili, (2021). 131; Meloni, G., Anderson, K. et al. (2019). Wine Regulations. Applied Economic Perspectives and Policy, 41(4), 626. Meloni, Swinnen, (2013). 258.

[195] Loubère, L. A. (1990). *The Wine Revolution in France: The Twentieth Century*. Princeton University Press. 114. იხილეთ ასევე: Adams, G. et al. (eds). (2009). 49, 60, 97. At that time Languedoc-Roussillon became the source of

1905 წელს შეიქმნა პირველი კანონი, რომელიც არეგულირებდა ადგილწარმოშობის დასახელებას - *Appellation d' origine* (შემდგომში AO), მაგრამ ეს იყო სუსტი კანონი, რომელიც ეხებოდა მხოლოდ ყალბი ეტიკეტირების პრობლემას.[196]

1906 წელს საფრანგეთის მევენახეთა საზოგადოებამ (Société des Viticulteurs de France) მოაწყო კონგრესი, სადაც ქვეყნის მთავარი ღვინის რეგიონების წარმომადგენლები, ცდილობდნენ გამოერჩიათ იმ ღვინოთა უნიკალური მახასიათებლები, რომლებსაც ისინი აწარმოებდნენ, იმ დროს, AO დასახელება არ იყო ხშირ გამოყენებაში. აღნიშნულ შეხვედრაზე ჟირონდის წარმომადგენელმა

---

an of inferior table wine. ibid 49; Tom Stevenson, The Sotheby's Wine Encyclopedia, (4th edn 2005) 70, 147; Bohling, (2018). xxii; Parsadanishvili, (2021). 131; დასახელებები ბორდო და შამპანური წარმოადგენენ ინტელექტუალური საკუთრების ერთ-ერთ ობიექტს, კერძოდ, დაცულ გეოგრაფიულ აღნიშვნებს. გეოგრაფიული აღნიშვნა არის გეოგრაფიული ადგილის სახელი, გამონაკლის შემთხვევებში, - სიმბოლო, რომელიც მიუთითებს გარკვეულ გეოგრაფიულ ადგილზე (ადგილის სახელი ან მისი მიმანიშნებელი სხვა რაიმე აღნიშვნა) და გამოიყენება იმ საქონლის მოსანიშნად, რომლის განსაზღვრული თვისებები ან რეპუტაცია ამ გეოგრაფიულ ადგილთან არის დაკავშირებული, რაც, თავის მხრივ, განპირობებულია აქ არსებული ბუნებრივი პირობებით და ადამიანის ფაქტორით. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ არსებობს ინტელექტუალური საკუთრების კიდევ ერთი ობიექტი - ადგილწარმოშობის დასახელება. ადგილწარმოშობის დასახელება არის გეოგრაფიული აღნიშვნის განსაკუთრებული სახეობა. გეოგრაფიული აღნიშვნისგან განსხვავებით, ადგილწარმოშობის დასახელება შეიძლება იყოს მხოლოდ გეოგრაფიული ადგილის სახელი და იგი შეიძლება გამოიყენებოდეს ისეთი პროდუქტის მოსანიშნად, რომლის განსაკუთრებული (და არა განსაზღვრული) ხარისხი და თვისებები მთლიანად ან ძირითადად, განპირობებულია მხოლოდ ამ გეოგრაფიული ადგილის ბუნებრივი გარემოთი და ადამიანის ფაქტორით. ამასთან, პროდუქციის დამზადებასთან დაკავშირებული მთლიანი ციკლი, უნდა ხორციელდებოდეს მხოლოდ ამ გეოგრაფიული ადგილის საზღვრებში. ამდენად, გეოგრაფიული აღნიშვნის ცნება უფრო ზოგადია და მთლიანად მოიცავს ადგილწარმოშობის დასახელების ცნებას. გამომდინარე იქედან, რომ დასახელებები - „ბორდო" და „შამპანური" - ფრანგული ტერიტორიული ერთეულების არსებულ დასახელებებს წარმოადგენენ და ამ ტერიტორიაზე დამზადებულ ღვინოს აქვს განსაკუთრებული თვისებები, რაც უაშუალოდ გამომდინარეობს იმ უნიკალური კლიმატური ზონიდან, რომელიც არსებობს ამ კონკრეტულ ტერიტორიაზე, ეს დასახელებები განიხილება, როგორც ადგილწარმოშობის დასახელება და დაუშვებელია მათი გამოყენება ისეთი ღვინის მიმართ, რომელიც არ არის წარმოშობილი ამ დასახელებების არეალიდან. "გეოგრაფიული აღნიშვნა" <https://www.sakpatenti.gov.ge/ka/page/26/> 30.04.2022 მდგომარეობით.

[196] Colman, (2008). 18-19. იხილეთ ასევე: Gangjee, D. (2012). *Relocating the Law of Geographical Indications.* Cambridge University Press. 98; Parsadanishvili, (2021). 132; Meloni, Swinnen, (2013). 249-250. ევროკავშირის გეოგრაფიული აღნიშვნების სისტემა (GIs), ეფუძნება ფრანგულ Appellation d'origine-ის პრინციპს, რომელიც, თავის მხრივ, განისაზღვრება როგორც ქვეყნის, რეგიონის ან ადგილის სახელწოდება, რომელიც გამოიყენება იმ პროდუქტის აღნიშვნაში, რომელიც წარმოიშვა ამ ქვეყნიდან, რეგიონიდან, ადგილიდან ან ტერიტორიიდან და აღიარებულია შესაბამისი ქვეყნის კომპეტენტური ორგანოების მიერ. ამგვარად, ღვინო და მისი მახასიათებლები იდენტიფიცირებულია ადგილის სახელით, რომელიც განისაზღვრება შემოსაზღვრული გეოგრაფიული ტერიტორიით (სპეციფიური ზონით) და წარმოების სპეციფიკური კრიტერიუმებით - cahier des charges საფრანგეთში და disciplinare di produzione იტალიაში). Ibid; ეტიკეტირების საკითხებთან დაკავშირებით იხილეთ: "International Standard for Labelling Wines" <https://www.oiv.int/en/technical-standards-and-documents/products-definition-and-labelling/international-standard-for-labelling-wines> 06.04.2022 მდგომარეობით.

ჟოზეფ კაპუმ (Joseph Capus) ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ AO-ში, საჭირო იყო ხარისხის კონტროლის დამატება და კონტროლირებადი ადგილწარმოშობის დასახელების სისტემის - *Appellation d' origine controlée* (შემდგომში AOC) შექმნა. მისი აზრით, არსებული სისტემა, რომელიც მხოლოდ გეოგრაფიულ საზღვრებს ეყრდნობოდა, ვერ აფერხებდა ღვინის ყალბ ეტიკეტირებას. შეუძლებელი იყო ღვინის წარმოშობის დადგენა ორგანოლეპტიკური და ქიმიური გამოკვლევების გარეშე. ამ კონცეფციით, AO კატეგორიის ღვინოებს უნდა დაეკმაყოფილებინათ გარკვეული მოთხოვნები, როგორიცაა ყურძნის სათანადო ჯიშების გამოყენება, ალკოჰოლის შემცველობა და ა.შ.[197]

1907 წელს საფრანგეთმა მიიღო მკაცრი რეგულაციები, რომლებიც მიზნად ისახავდა ჭარბწარმოებისა და ფალსიფიკაციის წინააღმდეგ ბრძოლას.[198] ამავე წელს ქვეყანამ მიიღო კანონები, რომლებიც განსაზღვრავდნენ ღვინოს, როგორც პროდუქტს, რომელიც დამზადებულია მხოლოდ ახალი ყურძნის ან ახალი ყურძნის წვენის დუღილის შედეგად და შეიცავს ინგრედიენტებს: წყალს, ალკოჰოლს და მშრალ ნივთიერებებს. ეს კანონები ასევე აკონტროლებდნენ, ღვინის წარმოების პროცესში, შაქრის გამოყენებას და აწესებდნენ ყურძნის მოსავლის დაკლარირების ვალდებულებას, ღვინის წარმოების მოცულობის შესახებ ინფორმაციის მისაღებად, მათი ბაზარზე განთავსების კონტროლისთვის.[199]

ერთი წლის შემდეგ, 1908 წლის აგვისტოში, სახელმწიფო საბჭომ (Conseil d'État) გადადგა პირველი ნაბიჯი, ადგილწარმოშობის დასახელების ზონის, როგორც სპეციფიური ღვინის შექმნის წყაროდ, განსაზღვრის მიზნით. დადგინდა რომ, მხოლოდ ამ ადგილებში, ადგილობრივი ჩვეულებითი ნორმებისა და ტრადიციული

---

[197] Loubère, (1990). 120. ზოგიერთ მწარმოებელს შეეშინდა კაპუს მიერ შემოთავაზებული ასეთი მკაცრი კონტროლის, რადგან მათი უმეტესობა უფრო ტოლერანტული იყო ფალსიფიკაციის მიმართ, შესაბამისად, ნაკლებად აინტერესებდათ ხარისხის კონტროლი. Ibid; იხილეთ ასევე: Parsadanishvili, (2021). 132;

[198] Munsie, (2002)., 12. იხილეთ ასევე: Spahni, P. (1988) 11; Colman, (2008). 18; Gangjee, (2012). 98; Parsadanishvili, (2021). 132;

[199] Colman, (2008). 18; იხილეთ ასევე Loubère, (1990). 104. ღვინის ეს განმარტება იდენტურია ვაზისა და ღვინის საერთაშორისო ორგანიზაციის (Organisation Internationale de la vigne et du vin) განმარტებისა. Ibid; Parsadanishvili, (2021). 132;

წესების მიხედვით წარმოებულ ღვინოებს, მიეცემოდათ ნებართვა ეტიკეტზე დაეტანათ ამ ადგილთა დასახელებები.[200]

1908 წლიდან, ვიდრე 1912 წლამდე, მთავრობამ დაიწყო ზოგიერთი ტერიტორიის დელიმიტაცია. ჯერ იყო შამპანი, შემდეგ დელიმიტაციის პროცესი გავრცელდა კონიაკის, არმანიაკისა და ბორდოს ტერიტორიებზეც, რაც იმას ნიშნავდა, რომ ეტიკეტზე ადგილწარმოშობის დასახელებების დატანის უფლება მიენიჭებოდათ სასმელებს მხოლოდ ამ კონკრეტული დელიმიტირებული ზონებიდან. დროდადრო, დადგინდა ახალი რეგიონები, მათთვის განკუთვნილი რეგულაციებით, მევენახეობის ზონების, ყურძნის ჯიშების, მოსავლიანობის, ალკოჰოლის შემცველობის, ირიგაციის და სხვა ფაქტორების შესახებ.[201]

როდესაც 1908 წელს, სახელმწიფო საბჭომ განსაზღვრა შამპანურის ზონის საზღვრები, დეპარტამენტ ობის (Aube) ვენახები, - ადგილი, რომელსაც ადგილობრივი მევენახეები შამპანურის ტრადიციულ დედაქალაქად მიიჩნევდნენ, დარჩა დელიმიტირებული ზონის საზღვრებს გარეთ, მხოლოდ გეოგრაფიულმა არეალმა შამპან ვიტიკოლმა (Champagne viticole) მოიპოვა დასახელება "შამპანური"-ის ექსკლუზიურად გამოიყენების უფლება. დელიმიტირებული ზონის საზღვრებს მიღმა დარჩენილი მწარმოებლები იძულებულნი გახდნენ თავიანთი პროდუქტისთვის განსხვავებული სახელი ეპოვათ, მიუხედავად იმისა, რომ ვაზი მოჰყავდათ შამპანის ძველი პროვინციის ტერიტორიაზე. ზონის საზღვრების ასეთმა დადგენამ გამოიწვია აღშფოთება და დაძაბულობა ბევრგან, განსაკუთრებით კი - იმ ადგილებში, სადაც მეწარმეებს ჩამოერთვათ იმ დასახეხელებათა გამოყენების უფლება, რომლებსაც ადრე იყენებდნენ. ყოველივე ზემოხსენებულის შედეგად, 1911 წელს შამპანში საპროტესტო გამოსვლები დაიწყო.[202]

---

[200] Loubère, (1990). 114. ეს ქმედებები განხორციელდა იმისთვის, რომ თავიდან აეცილებინათ არეულობის გავრცელება სხვა ტერიტორიებზე. Ibid. იხილეთ ასევე: Colman, (2008). 19; Gangjee, (2012). 99; Parsadanishvili, (2021). 132;

[201] Munsie, (2002). 12. იხილეთ ასევე: Unwin, (1991)., 314-315; Colman, (2008). 19; Gangjee, (2012). 99; Parsadanishvili, (2021). 132;

[202] Munsie, (2002). 12. იხილეთ ასევე: Loubère, (1990). 114-115; Colman, (2008). 19; Gangjee, (2012). 99; Adams, G. et al. (eds). (2009). 165; Tom Stevenson, The Sotheby's Wine Encyclopedia, (4th edn 2005) 169. ევროპასა და სხვა ქვეყნებში მხოლოდ ნამდვილი შამპანურის გაყიდვაა შესაძლებელი "შამპანურის" სახელწოდებით, მაგრამ ზოგიერთ ქვეყანაში ეს პრინციპი არ არის აღიარებული. შეერთებული შტატები ამის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია, მაგრამ ამერიკელები მთლად დამნაშავენი არ არიან, რადგან შამპანურის მწარმოებლებმა უარი თქვეს კომპრომისულ დასახელებაზეც კი, როგორიცაა "შამპანურის სტილი", იმ ფონზე, როცა მრავალი წლის განმავლობაში, ზოგიერთი შამპანურის სახლი (maison de champagne) ყიდდა მათ მიერ სამხრეთ ამერიკაში დამზადებულ

შამპანში მომხდარი გამოსვლების გამო, მთავრობას აღარ სურდა, ღვინის საკითხებთან დაკავშირებით, საკუთარ თავზე პასუხისმგებლობის აღება. ასე რომ, 1911 წელს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, დეკრეტის საფუძველზე, პასუხისმგებლობა რეგიონალურ სასამართლოებს დააკისრა, რათა მათ გადაეწყვიტათ საკითხები AO იმ კატეგორიათა განაცხადებთან მიმართებით, რომლებიც მათთან დაკავშირებული ადგილწარმოშობის დასახელების განსაზღვრავდნენ. ეს კი მეღვინეთა გაერთიანებებს - სინდიკატებს საშუალებას აძლევდა სასამართლოში შეეტანათ სარჩელები ფალსიფიკაციის წინააღმდეგ. მოსამართლეები, რომლებიც თავად ფლობდნენ ვენახებს და უკეთესად ესმოდათ ასეთი საკითხები, ხშირად იღებდნენ სასამართლო გადაწყვეტილებას ღვინის მწარმოებლების სასარგებლოდ, მაგრამ ის ჯგუფები, რომლებიც დაინტერესებულნი იყვნენ ფალსიფიკაციით და არა ნამდვილი ღვინის წარმოებით, მიმართავდნენ ზემდგომი ინსანტციის სასამართლოებს, რომლებიც, ხშირ შემთხვევაში, მდებარეობდნენ AO ადგილწარმოშობის დასახელების ზონიდან მოშორებით. ზემდგომი ინსტანციის სასამართლოებში მიიჩნევდნენ, რომ AO კატეგორიის მითითება იყო მხოლოდ გეოგრაფიულ წარმოშობასთან და არა გარკვეული ტიპის ღვინოსთან დაკავშირებული საკითხი, და ამის საფუძველზე ხშირად ბათილად ცნობდნენ ქვედა ინსტანციის სასამართლოების გადაწყვეტილებებს.[203]

ცქრიალა ღვინოებს, სახელწოდებით "Champaña", რაც ესპანურად ნიშნავს შამპანურს. Ibid; Wickes M. L. (2003). A Toast to the Good Life: Exploring the Regulation of Champagne. *Harvard,* 5. Ibid; 2011 წელს, როგორც იქნა, რუსი მწარმოებლებიც დასთანხმდნენ პირობას, არ გამოეყენებინათ თავიანთი ღვინოების უკანონო ეტიკეტირება სიტყვა „შამპანურის“ გამოყენებით, მაგრამ, როგორც ჩანს, ზოგიერთი მწარმოებელი კვლავ იყენებს ეტიკეტზე სიტყვა „შამპანსკოეს,“ თითქოს ეს ნებადართულია, იმ შემთხვევაში, როცა აღნიშნული დასახელების დანატა ეტიკეტზე ხორციელდება კირილიცის ანბანის გამოყენებით. იხილეთ: Ashlie Hughes, 'In 1936, Joseph Stalin Created the Proletariat's Very Own 'Champagne'', 14 July 2020, <https://vinepair.com/articles/stalin-soviet-champagne/> 29.08.2021 მდგომარეობით; Parsadanishvili, (2021). 132; Meloni, G., Anderson, K. et al. (2019). Wine Regulations. Applied Economic Perspectives and Policy, 41(4), 640-641. Meloni, G., Swinnen, J. (2018). Trade and terroir. The political economy of the world's first geographical indications. *Food Policy, 81*, 13.

[203] Loubère, (1990). 120-121; Parsadanishvili, (2021). 133; Meloni, G., Swinnen, J. (2018). Trade and terroir. The political economy of the world's first geographical indications. Food Policy, 81, 13. გამოსვლებზე საპასუხოთ მთავრობამ, ამავე წელს, ასევე შექმნა შამპანურის მეორე ზონა სახელწოდებით - "Champagne 2ème zone", აღნიშნული ზონა მოიცავდა ობისა და შამპანურის სხვა ისტორიული მწარმოებელი დეპარტამენტების ტერიტორიებს. თუმცა, ამ კომპორმისული ზონის შემოღებამ, არ გაამართლა, რადგან ამ ზონაში მოხვედრილი დეპარტამენტების მწარმოებლები არ მიიჩნევდნენ თავიანთ თავს მეორე კლასის მწარმოებლებად.იყო მცდელობები სამართლებრივი ზომების განხორციელებისა, ობის დეპარტამენტის "შამპანურის არაავტორიზებული მწარმოებლების" წინააღმდეგ, რომლებიც თავიანთ ღვინოების ეტიკეტირებას ახდენდნენ "შამპანურის" სახელწოდებით, 1919 წლიდან

ამ პერიოდში მწარმოებელთა გარკვეულმა ჯგუფებმა დაიწყეს სინდიკატების შექმნა, კონკრეტული მიზნებისთვის: განევითარებინათ ხარისხის უზრუნველყოფის ღონისძიებები, ებრძოლათ ფალსიფიკაციასთან და მიეღოთ AO სტატუსი.[204] 1910 წელს ბორდოს კლასიფიკაციით (Grand Crus Classés) განსაზღვრული ძირითადი მამულების მფლობელთა ერთობლივი ძალისხმევით, ჩამოყალიბდა სინდიკატი, რომელიც საკმაოდ ეფექტურ ინსტრუმენტად იქცა იმ პირთა დადგენასა და სამართლევრივ დევნაში, რომლებიც ფალსიფიცირებული ღვინოებით ვაჭრობდნენ.[205] კიდევ ერთი მაგალითია შატონეფ დუ პაპის (Châteauneuf-du-Pape) სინდიკატი. შატონეფ დუ პაპის ტერიტორია ცნობილი იყო თავისი მაღალი ხარისხის ღვინოებით, საიდანაც ღვინით მოვაჭრეები ყიდულობდნენ დიდი ოდენობით ღვინოებს, ძალიან დაბალ ფასად, შემდეგ ურევდნენ მათ დაბალხარიხიან ღვინოებთან და ყიდდნენ, როგორც შატონეფ დუ პაპის ღვინოს.

მოყოლებული, ვიდრე 1925 წლამდე. თუმცა, ყველა ინსტანციის სასამართლომ გადაწყვეტილებები ობის დეპარტამენტის სასარგებლოდ მიიღო, იმ გარემოებების გათვალისწინებით, რომ ობის დეპარტამენტი იყო ძველი შამპანის პროვინციის ტერიტორია და აკმაყოფილებდა კანონით მოთხოვნილ ადგილწარმოშობის პირობებს. 1927 წელს შამპანურის მეორე ზონა გაუქმნდა და შამპანის წარმოების არეალი გაფართდა იმისთვის, რომ მოეცვა ისტროიული ობისა და სხვა დეპარტამენტების ტერიტორიები. შამპანურის ადგილწარმოშობის დასახელების დაარსებიდან თითქმის 20 წლის შემდეგ, ობის დეპარტამენტის მწარმოებლებს უფლება მიეცათ თავიანთი ღვინოები გაეყიდათ სახელწოდებით "შამპანური". 1927 წელს განხორციელებული დელიმიტაცია, დღემდე ძალაშია და ამ წელს დადგენილი საზღვრები თითქმის არ შეცვლილა ამ დრომდე. Ibid.

[204] Loubère, (1990). 118; Parsadanishvili, (2021). 133; Meloni, Swinnen, (2013). 261-262. შამპანის AOC რეგიონში არსებობდა სამი გავლენიანი ლობისტური ჯგუფი: შამპანის სინდიკატთა ფედერაცია - Fédération des Syndicats de la Champagne, შამპანის ღვინოთა საბაჭრო კავშირი (სინდიკატი) - Syndicat du Commerce des Vins de Champagne, და შამპანის ღვინოთა ასოციაცია. ამ კავშირთა მიზანი იყო მევენახეთა და შამპანურის სახლების (Maisons de Champagne) ინტერესების დაცვა. Ibid; Meloni, G., Swinnen, J. (2018). Trade and terroir. The political economy of the world's first geographical indications. Food Policy, 81, 13.

[205] Munsie, (2002)., 12. იხილეთ ასევე Loubère, (1990). 110. 1934 წლიდან 1954 წლამდე აღნიშნულმა სინდიკატმა წარმატებით განახორციელა 565 ფალსიფიკატორის დევნა. სინდიკატის აქტივობების წყალობით ყველა მათგანს ჯარიმის გადახდა დაეკისრა, ხოლო ზოგიერთი მათგანი ციხეშიც კი მოხვდა. Ibid; "Classifications" <http://www.bordeaux.com/us/vineyard/bordeaux-wine-classifications> 02.02.2019 მდგომარეობით. აღნიშნული კლასიფიკაცია დაარსდა 1855 წელს და მოიცავს წითელ ღვინოებს ადგილწარმოშობის დასახელებების მედოკის - Médoc და პესაკ-ლეონას - Pessac-Léognan შატოებიდან. მას აქვს ხუთი კატეგორია (Crus). აღნიშნული კლასიფიკაცია 1855 წლიდან მხოლოდ ერთხელ 1973 წელს შესწორდა, შატო მუტონ როტშილდის Château Mouton Rothschild მაღალ კატეგორიაში დაწინაურებით. Ibid; Thomas Matthews "The 1855 Bordeaux Classification" <http://www.winespectator.com/webfeature/show/id/The-1855-Bordeaux-Classification_3491> 02.02.2019 მდგომარეობით; "Grand Crus Classés en 1855 – Bordeaux Médoc & Sauternes" <http://www.crus-classes.com> 02.02.2019 მდგომარეობით; "The 1855 Classification of Medoc & Graves" <http://www.wine-searcher.com/1855-classification.lml> 02.02.2019 მდგომარეობით; "1855 Bordeaux Classification of the Medoc Official History" <http://www.thewinecellarinsider.com/bordeaux-wine-producer-profiles/bordeaux/1855-bordeaux-classification/> 02.02.2019; Stacy Slinkard "Bordeaux Wine Classifications" <http://wine.about.com/od/wineriesoffrance/a/Beginners-Guide-To-Bordeaux-Wine-Classifications.htm> 02.02.2019 მდგომარეობით; Parsadanishvili, (2021). 133.

აღნიშნულმა სინდიკატმა, წარმოქმნილ პრობლემასთან დაკავშირებით, მოამზადა ანგარიში და წარუდგინა სასამართლოს. გარკვეული ღვინით მოვაჭრეები და მევენახეები, რომლებმაც უარი განაცხადეს ამ პროექტში მონაწილეობაზე, ცდილობდნენ პროცესის დაბლოკვას. საბოლოოდ, სასამართლომ დაამტკიცა ტერიტორიის დელიმიტაცია და, სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე, აღიარდა შანოტეფ დუ პაპის ადგილწარმოშობის დასახელება - *appellation d' origine*.[206]

1911 წელს, როდესაც ბორდოს ადგილწარმოშობის დასახელება დამტკიცდა, ის მოიცავდა ტერიტორიებს, რომლებიც აკმაყოფილებნენ საკმაოდ ადვილ კრიტერიუმებს, თუმცა, ზოგიერთი ტერიტორია, მაინც ამოიღეს დელიმიტაციის ზონიდან.[207]

რაც შეეხება ბურგუნდიას, აღნიშული ადგილწარმოშობის დასახელება შეიქმნა 1930 წელს, დიჟონის სამოქალაქო ტრიბუნალის მიერ და ის ბევრად უფრო მკაცრად იყო განსაზღვრული, ვიდრე ბორდოს ადგილწარმოშობის დასახელება.[208]

1927 წელს აიკრძალა ჰიბრიდული ვაზის წარმოება და დაიწყო იმის განსაზღვრა, თუ რა ჯიშის ყურძენი უნდა გამოეყენებინათ ღვინის დასამზადებლად კონკრეტულ ადგილწარმოშობის დასახელებაში. [209] მოგვიანებით, 1929 წელს, ქვეყანაში დაუშვეს შაპტალიზაცია - ყურძნის წვენში ან ტკბილში შაქრის დამატება, დუღილის წინ ან მის დროს, ალკოჰოლის მოცულობის გაზრდის მიზნით, თუმცა ეს არ ეხებოდა სამხრეთ რეგიონებს. ამინდის პირობების გამო, ითვლებოდა, რომ სამხრეთის ვენახებს შეეძლოთ მეტი შაქრის დაგროვება ბუნებრივად. საპროტესტო

---

[206] Loubère, (1990). 118-119. იხილეთ ასევე Adams, G. et al. (eds). (2009). 128. ღვინის სახელი მომდინარეობს პაპის საზაფხულო რეზიდენციის ადგილიდან, როდესაც XIV საუკუნეში პაპის რეზიდენცია დროებით გადაიტანეს ავინიონში-Avignon. Ibid; Tom Stevenson, The Sotheby's Wine Encyclopedia, (4th edn 2005) 219; "Chateauneuf-du-Pape Wine" <http://www.wine-searcher.com/regions-chateauneuf-du-pape> 28.01.2019 მდგომარეობით. Chateauneuf-du-Pape is made mostly from this grape varieties: Grenache, Syrah and Mourvedre. Ibid; "Chateauneuf-du-Pape"<http://www.wine.com/v6/Chateauneuf-du-Pape/France-Rhone/learnabout.aspx?region=11589&appellation=12122> 28.01.2019 მდგომარეობით; Parsadanishvili, (2021). 133.

[207] Loubère, (1990). 116. ამ რეგიონალური ადგილწარმოშობის დასახელებიდან წარმოიშვა ადგილობრივი ქვეზონების დიდი რაოდენობა, რომელთაგან ზოგი მოიცავდა რამდენიმე კომუნას, როგორიცაა მედოკი, ან სენ-ემილიონი, და ზოგიც - მხოლოდ ერთ კომუნას, როგორიცაა სენ-ჟულიენი ან მარგო. Ibid; Parsadanishvili, (2021). 133.

[208] Loubère, (1990). 117; Parsadanishvili, (2021). 134; available at: "Journal of Polish-Georgian Law" <https://doi.org/10.34858/jpgl.1.2021.12> accessed 15.02.2022; Meloni, G., Swinnen, J. (2018). Trade and terroir. The political economy of the world's first geographical indications. Food Policy, 81, 12-13.

[209] Munsie, (2002). 13. იხილეთ ასევე Unwin, (1991). 316; Parsadanishvili, (2021). 134; Meloni, Swinnen, (2013). 261-262.

გამოსვლებისა და დისკრიმინაციაში დადანაშაულების, ასევე ისეთი ფაქტორების გათვალისწინებით, როგორიცაა ღვინის გაყალბება ალჟირულ ღვინოებთან შერევით, მოგვიანებით, შაპტალიზაციასთან დაკავშირებული კანონმდებლობა შერბილდა.[210]

1931 წლიდან, ვიდრე 1935 წლამდე საფრანგეთმა გამოსცა ნორმატიული აქტების სერია, რომელიც ეხებოდა ღვინის ინდუსტრიის ყველა ასპექტს, ამ აქტების ერთობლიობა ცნობილია, როგორც ღვინის წესდება (Statut du Vin, მათ ასევე მოიხსენიებენ, როგორც Statut de la Viticulture). ამ წესდებას სამი ძირითადი მიზანი ჰქონდა: ჭარბწარმოების პრევენცია, ვენახების ზომის შემცირებით; ბაზრის სტაბილიზაცია, მიწოდების კონტროლის ღონისძიებებით; მევენახეთა უზრუნველყოფა სოციალური ფასით (*prix social*) - ფასი, საკმარისი იმისთვის, რომ ოჯახებს შეენარჩუნებინათ თავიანთი მიწები.[211]

ბაზარზე მიწოდების კონტროლის მრავალი ღონისძიება დაიწყო, ყოველი მოსავლის ბოლო ეტაპზე, ბაზრის მოთხოვნის პროგნოზირებით. ერთი წლის განმავლობაში მწარმოებლებს შეეზღუდათ გარკვეული რაოდენობის ღვინის ბაზარზე განთავსება, რათა ისინი დაცული ყოფილიყვნენ ფასთა ცვალებადობისაგან. ნებადართული იყო, გარკვეულ ზღვრამდე, ჭარბწარმოებული ღვინის შენახვა საწარმოში, მაგრამ ამ ზღვრულ მოცულობაზე ნამეტად წარმოებული ღვინო ექვემდებარებოდა სავალდებულო დისტილაციას. დამატებით გადასახადებს უწესებდნენ მათ, ვისაც ყურძნის ზედმეტად დიდი მოსავალი ჰქონდა, ასევე შემოიღეს როგორც მევენახეობის ძირითად რაიონებში მდებარე ათ ჰექტარზე მეტი ფართობის ახალი ვენახების გაშენების აკრძალვა, ასევე ვენახების ამოძირკვის სუბსიდირება.[212]

ჟოზეფ კაპუს მიერ ინიცირებული კანონი, რომელიც გამოიცა 1935 წლის 30 ივლისს, დღემდე წარმოადგენს საფრანგეთის ღვინის პოლიტიკის საფუძველს.

---

[210] Munsie, (2002). 13. იხილეთ ასევე Loubère, (1990). 83-84; Robinson, J. et al. (eds). (2015). 159; შაპტალიზაციას ფრანგი ქიმიკოსის, ჟან-ანტუან შაპტალის სახელი ეწოდა. 1993 წელს ევროკავშირმა ოფიციალურად აკრძალა ამ მეთოდის გამოყენება. Ibid; "Chaptalization - History" <http://www.liquisearch.com/chaptalization/history> 29.01.2017 მდგომარეობით; Sue Lynn Carty "Chaptalization" <http://wine.lovetoknow.com/Chaptalization> 29.01.2017 მდგომარეობით; Parsadanishvili, (2021). 134.

[211] Munsie, (2002). 13-14. იხილეთ ასევე Spahni, P. (1988) 14; Loubère, (1990). 129; Parsadanishvili, (2021). 134; Meloni, Swinnen, (2013). 264.

[212] Munsie, (2002). 13-14. იხილეთ ასევე Spahni, P. (1988) 14; Loubère, (1990). 129; Parsadanishvili, (2021). 134.

მოგვიანებით, ევროპის სხვა ძირითადი მევენახეობის რეგიონების მიერ, განხორციელდა ამ კანონით შემოღებული მიდგომების საკუთარ პრაქტიკაში იმპლემენტაცია. სწორედ ამ კანონმა ჩამოაყალიბა AOC სისტემა, რითაც დადგინდა ხარისხობრივი ღვინის, ჩვეულებრივი სუფრის ღვინისგან ძირითადი განმასხვავებელი კრიტერიუმები. AOC მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, ამ სისტემამ რეგიონებისთვის განსაზღვრა წარმოების ადგილები, ყურძნის ჯიშები, ალკოჰოლის მინიმალური დონე, ვაზის მოყვანის და მეღვინეობის მეთოდები.[213]

AO რეგიონების აღიარების მიზნით, 1935 წლის კანონის საფუძველზე, შეიქმნა სპეციალური ორგანო, ადგილწარმოშობის დასახელებათა ეროვნული კომიტეტი - Comité National des Appellations d'Origine - (შემდგომში CNAO), რომელმაც გადაიბარა მანამდე, სასამართლოების მიერ, ამ საკითხთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების ფუნქცია.[214]

ამ მოვლენამ საფრანგეთი გახადა პირველი ქვეყანა, რომელმაც შექმნა, მთელი ქვეყნის მასშტაბით, ღვინის წარმომავლობისა და ხარისხს მაკონტროლებელი სისტემა.[215]

CNAO-ს მიზანს წარმოადგენდა ისეთი ფაქტორების შესწავლა, როგორიცაა ნიადაგი, კლიმატი, ტოპოგრაფია, ისტორია და ყურძენი იმ რეგიონების, რომლებსაც შეჰქონდათ განაცხადი AO-ს სტატუსის მისაღებად. გარდა ამისა, მის მიზანს წარმოადგენდა აღიარებული ადგილწარმოშობის დასახელების ზონათა კონტროლი. [216] მოგვიანებით, 1947 წელს, CNAO გახდა ადგილწარმოშობის დასახელებათა ეროვნული ინსტიტუტი - Institute National des Appellations d'Origine (შემდგომში INAO) და განაგრძო ფუნქციონირება ჟოზეფ კაპუს იდეების მიხედვით. კაპუსის იდეებზე დაყრდნობით, AOC ღვინო იყო პროდუქტი, რომელიც აკმაყოფილებდა გარკვეულ კრიტერიუმებს, კერძოდ:

- მზადდებოდა აღიარებულ ზონაში ან ვენახში;
- ჰქონდა საკუთარი ორიგინალობის გამოვლენის უნარი, ბუნებრივი (კლიმატი, ნიადაგი, ექსპოზიცია და ყურძენი დელიმიტირებულ ზონაში)

[213] Loubère, (1990). 122. იხილეთ ასევე Munsie, (2002)., 14-15; Spahni, P. (1988) 14; Unwin, (1991)., 316; Parsadanishvili, (2021). 134; Meloni, Swinnen, (2013). 258.
[214] Loubère, (1990). 122-123; Parsadanishvili, (2021). 134.
[215] Stevenson, T. (2005). *The Sotheby's Wine Encyclopedia*. 4th edn. 54; Parsadanishvili, (2021). 134.
[216] Loubère, (1990). 122; Parsadanishvili, (2021). 134-135.

და ადამიანური ფაქტორების შედეგად (ვაზის გაშენების მეთოდები, ღვინის დამზადება და დავარგება).[217]

ის მევენახეები, რომლებიც ვერ აკმაყოფილებდნენ AOC სისტემის ახალ სტანდარტებს, ექვემდებარებოდნენ ჩამოხარისხებას ერთ-ერთ შემდეგ კატეგორიაში: 1. Vin de Consommation Courante (VCC) - ღვინო დაუყოვნებლივი მოხმარებისთვის, 2. Vin de table - სუფრის ღვინო, ან ენიჭებოდათ 3. AO Simple (მარტივი) სტატუსი, AOC-სთან შედარებით, ნაკლებად მკაცრი კატეგორია.[218]

INAO-ს ძალისხმევამ AO ღვინოების ხარისხის ამაღლების მიმართულებით, ხელი შეუწყო ყურძნის ჯიშების შერჩევის თანდათანობით გაუმჯობესებას და მევენახეობა-მეღვინეობის საქმიანობის უფრო ეფექტურად წარმართვას. საბოლოოდ, ამან გამოიწვია ახალი დელიმიტირებული ზონების შექმნა ან გარკვეული ადგილწარმოშობის დასახელებების გაუმჯობესება, მაგალითად, კოტ-დუ რონში, ლუარის ველში და ა.შ.[219]

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, AO Simple ღვინის კატეგორია გაუქმდა. შესაბამისად, იმ მეღვინეებმა, რომლებსაც შეეძლოთ კარგი ხარისხის ორდინალური ღვინოების დამზადება, თუმცა, AO-ს სტატუსს ვერ მიიღებდნენ, დაიწყეს ფიქრი იმაზე, თუ როგორ გამოერჩიათ თავიანთი ღვინოები. ამ მეღვინეთა შორის, ძირითადად, იყვნენ ხმელთაშუა ზღვისპირა რეგიონების წარმომადგენლები, რადგან, საფრანგეთის ზოგიერთ სამხრეთ რაიონში სუფრის ღვინოების უმეტესობა იყო le gros rouge (იაფი წითელი ღვინო), ხოლო მწარმოებელთა ძალიან მცირე ნაწილს ჰქონდა მინიჭებული AO სტატუსი და მათი ღვინოების უმეტესობა იყო vin doux naturel - ტკბილი ღვინოები - ძველი და კარგი რეპუტაციით - ლანგედოკიდან, ლუნელიდან, ფრონტინიანიდან და

---

[217] Loubère, (1990). 123. იხილეთ ასევე Munsie, (2002). 14; Bouneau, S., Bernard, C. (1998). *Dictionnaire des parlementaires d'Aquitaine sous la Troisième République*. Presses Universitaires de Bordeaux. 182; Tyler Colman, Wine Politics: How Governments, Environmentalists, Mobsters, and Critics Influence the Wines We Drink (University of California Press 2008) 22; Lukacs, (2013). 200; "History of Wine" <http://vins-france.com/en/wines-in-france/history/> accessed 17 October 2015; L'Institut national de l'origine et de la qualité <https://www.inao.gouv.fr> 20.04.2020 მდგომარეობით; Parsadanishvili, (2021). 135.

[218] Loubère, (1990). 122. გარკვეული პერიოდის განმავლობაში, INAO რჩებოდა საჯარო მიზნების მქონე კერძო დაწესებულებად, მაგრამ არასაკმარისი შემოსავლის გამო, 1950-იანი წლებიდან მოყოლებული, იგი სოფლის მეურნეობის სამინისტროს სუბსიდიებით ფუნქციონირებდა, რამაც იგი საჯარო სამართლის იურიდიულ პირად აქცია. Ibid. 123; იხილეთ ასევე Stevenson, (2005). 57; სუფრის ღვინოები - vins de table ორდინალური ღვინოებია - vins ordinaires. ასეთი ღვინოები არ ინახება და არ ვარგდება. Ibid; Parsadanishvili, (2021). 135.

[219] Loubère, (1990). 127.

რუსილიონიდან. ამრიგად, ორდინალური ღვინოების უკეთ გამორჩევის მიზნით, 1944 წლის დეკემბერში, მინისტრის ბრძანებით დაწესდა კატეგორია, დელიმიტირებული ღვინო უმაღლესი ხარისხის - Vin délimité de qualité supérieure (შემდგომში VDQS). ეს კატეგორია, რომელიც შეიქმნა ფილიპ ლამურის (Philippe Lamoure) ძალისხმევით, იყო ნაკლებად მკაცრი მოთხოვნებით, ვიდრე უმაღლესი AOC კატეგორია, მაგრამ მაინც კლასიფიცირდებოდა, როგორც ხარიხობრივი ღვინო და სუფრის ღვინოზე მაღლა იდგა. აღნიშნულმა კატეგორიამ პოპულარობა მოიპოვა ლანგედოკ-რუსილიონის ადმინისტრაციულ რეგიონში, სადაც ვაზისთვის განსაკუთრებით ხელსაყრელი კლიმატური პირობების წლებში, ღვინოები ხარისხობრივად ბევრ საუკეთესო ღვინოს უსწრებენ.[220]

1953 წლის 30 სექტემბრის დეკრეტით (Décret n°53-977 du 30 septembre 1953 Relatif a l'organisation et l'assainissement du marche du vin et a l'orientation de la production viticole) შეიქმნა ახალი ორგანო, დაუყოვნებლივი მოხმარების ღვინოების ინსტიტუტი - Institute des Vins de Consommation Courante (შემდგომში IVCC), რომელიც ორიდნალური ღვინისთვის იყო იგივე, რაც INAO უმაღლესი ხარისხი ღვინისთვის. IVCC-ის მიზანი იყო ვენახების კლასიფიკაცია ნიადაგისა და ყურძნის ჯიშების მიხედვით. ის ადგილები, რომლებიც არ იყო ვარგისი ვაზის გაშენებისთვის, უნდა გადასულიყო მათთვის უფრო შესაფერისი მცენარეული კულტურების მოყვანაზე. ამ ტიპის მიწების მქონე მევენახეებს ეძლეოდათ სუბსიდიები ვენახების ამოძრკვისთვის. ყოველივე ამის მთავარი მიზანი იყო, ვაზის დაბლობი ადგილებიდან, ფერდობებზე გადატანის წახალისება, ვენახების მთლიანი ფართობის შემცირება და, კლასიფიკაციის მეშვეობით, ვაზის იმ ჯიშების განსაზღვრა, რომლებიც მოსაშენებლად დაშვებული იყო ან ექვემდებარებოდნენ ჩანაცვლებას შემდგომ წლებში, ან აკრძალული იყო ჰიბრიდების მსგავსად.[221]

---

[220] Loubère, (1990). 126. იხილეთ ასევე Munsie, (2002)., 15; Warner, C. K. (1960). *The Winegrowers of France and the Government Since 1875.* 158, 161; Spahni, P. (1988) 16; Tom Stevenson, The Sotheby's Wine Encyclopedia, (4th edn 2005) 639. vin doux naturel შემაგრებული ღვინოა, როგორც მუსკატი - Muscat de Beaumes de Venise. Ibid; *The Pocket Wine Encyclopedia.* (2006). Barnes & Noble. 84; Parsadanishvili, (2021). 135; Meloni, Swinnen, (2013). 264.

[221] Loubère, (1990). 132. 1976 წელს IVCC-მ არსებობა შეწყვიტა და მისი ადგილი დაიკავა დაწესებულებამ სახელწოდებით Office National Interprofessionnel des Vins de Table. მას შემდეგ, რაც ტერმინი "დაუყოვნებლივი მოხმარების ღვინო" - Vins de Consommation Courante შეიცვალა ტერმინით „სუფრის ღვინო“ - Vins de table. Ibid 135; იხილეთ ასევე: Munsie, (2002)., 15, 16; Irving, R. E. M. (2010). *Christian Democracy in France.* Routledge Revivals. 147; "Institut des vins de consommation courante. France" <https://www.bnf.fr/fr> 22.04.2020 მდგომარეობით; "Office national interprofessionnel des vins, institut des vins

როდესაც საფრანგეთს 1950-იანი წლების შუა ხანებში ყინვამ დაარტყა, მთავრობამ ღვინის ფასების რყევის შემცირების მიზნით, 1957 წელს დააწესა მინიმალური და მაქსიმალური საზღვრები, რომლის ფარგლებშიც დაშვებული იყო ფასების მერყეობა. მომდევნო შვიდი წლის განმავლობაში, ფასებთან დაკავშირებული პოლიტიკა, რამდენჯერმე ხელახლა იქნა მიღებული, ფერმერების შეშფოთების, ინფლაციის და ბაზრის არასტაბილურობის გათვალისწინებით. საბოლოოდ, 1964 წელს, საფრანგეთმა თავისი კანონები მოიყვანა ევროპის ეკონომიკური გაერთიანების რეგულაციებთან შესაბამისობაში, ამიტომ ფასების პოლიტიკაზე ფოკუსირების ნაცვლად, ქვეყანა გადაერთო წარმოების გაძლიერებაზე. შერბილდა ბაზრზე ჩარევის ღონისძიებები, მწარმოებლებს შეეძლოთ თავიანთი ვენახების უფრო თავისუფლად გაშენება და მორწყვა.[222]

საფრანგეთი, როგორც მეზობლებს შორის, ღვინის წარმოების ყველაზე სრულყოფილი რეგულაციების მქონე ქვეყანა, შეიძლება იყოს მოდელი იმისა, თუ რა უნდა ყოფილიყო, ღვინის რეგულაციების თვალსაზრისით, მეზობელი ქვეყნების უმთავრესი მიზანი ამ კონკრეტულ დროსა და ვითარებაში.[223]

საფრანგეთის ამ პერიოდის რეგულაციების განხილვისას, მნიშვნელოვნად მიგვაჩნია გამოვყოთ შემდეგი გარემოებები:

1. საფრანგეთში, ღვინის წარმოებასთან დაკავშირებული პრობლემები, 1850-იან წლებში დაიწყო, ვაზის დაავადება - ფილოქსერას გამოჩენით, რამაც ხელი შეუწყო ღვინის გაყალბების პრაქტიკის განვითარებას. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყანა დახვეწილ რეგულაციებამდე არ მისულა შეცდომების ან არაეფექტური გადაწყვეტილებების გარეშე, კერძოდ, 1889 წელს მიღებულმა პირველმა აქტმა - "loi Griffe" (ეტიკეტების კანონი), ისევე როგროც მოგვიანებით, 1905 წელს, მიღებულმა კანონმა, რომელმაც განსაზღვრა *Appellation d' origine* ვერ მოაგვარა ფალსიფიკაციის პრობლემა.

---

de consommation courante" <https://francearchives.fr> 22.04.2020 მდგომარეობით; "Décret n°53-977 du 30 septembre 1953 Relatif a l'organisation et l'assainissement du marche du vin et a l'orientation de la production viticole" <https://www.legifrance.gouv.fr/affichTexte.do?cidTexte=JORFTEXT000000299709& categorieLien =id > accessed 2 July 2020; Parsadanishvili, (2021). 135-136; Meloni, Swinnen, (2013). 264.

[222] Munsie, (2002)., 16. იხილეთ ასევე Spahni, P. (1988) 17, 23, 41; Parsadanishvili, (2021). 136.

[223] Parsadanishvili, (2021). 136.

2. 1906 წელს ძალიან მნიშვნელოვანი იდეა გაჟღერდა საფრანგეთის მევენახეთა საზოგადოების მიერ ორგანიზებულ კონგრესზე, სადაც ამ კონგრესის ერთ-ერთმა მონაწილემ - ჟოზეფ კაპუმ ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ აუცილებელი იყო ხარისხის კონტროლის მექანიზმის დამატება *Appellation d' origine*-ის, რითაც შეიქმნებოდა სისტემა, სახელწოდებით *Appellation d' origine controlée.* ამ იდეას ხორცი შეესხა მხოლოდ 29 წლის შემდეგ, 1935 წელს, 1931-1935 წწ., საფრანგეთში განხორციელებული კანონშემოქმედებითი საქმიანობის წყალობით, როდესაც გამოიცა მთელი რიგი აქტებისა, რომელთა ერთობლიობა ცნობილია, როგორც ღვინის წესდება - Statut du Vin. აღნიშნული წესდება მოიცავდა ღვინის წარმოების ყველა ასპექტს, შედეგად ჩამოყალიბდა ხარისხობრივი ღვინის მოთხოვნების სისტემა, რომელმაც განსაზღვრა წარმოების ადგილები, ყურძნის ჯიშები, ალკოჰოლის მინიმალური დონე, ვაზის მოყვანის და ღვინის წარმოების მეთოდები.

3. ამ კანონშემოქმედებითი საქმიანობის შედეგი იყო, აგრეთვე, ადგილწარმოშობის დასახელებათა ეროვნული კომიტეტის - Comité national des Appellations d'Origine (CNAO) შექმნა, რომელიც, მოგვიანებით, გარდაიქმნა ადგილწარმოშობის დასახელების ეროვნულ ინსტიტუტად - Institute National des Appellations d'Origine (INAO). ამრიგად, საფრანგეთი გახდა პირველი ქვეყანა, რომელმაც შემოიღო ადგილწარმოშობის დასახელებათა და ღვინის ხარისხი კონტროლის სისტემა, მთელი ქვეყნის მასშტაბით. მოგვიანებით, 1953 წელს, საფრანგეთმა შექმნა მსგავსი ინსტიტუტი სუფრის ღვინისთვისაც კი, დაუყოვნებლივი მოხმარების ღვინოების ინსტიტუტი - Institute des Vins de Consommation Courante (IVCC).

4. საფრანგეთს ასევე გააჩნდა პროცედურები ხარისხობრივი ღვინის დაბალ კატეგორიაზე ჩამოხარისხებისთვის, თუ ღვინო ვერ დააკმაყოფილებდა AOC კატეგორიისთვის განკუთვნილ სტანდარტებს.

5. და ბოლოს, მიგვაჩნია რომ 1930-იანი წლები შეიძლება ჩაითვალოს იმ პერიოდად, როდესაც საფრანგეთმა შექმნა ღვინის წარმოების ყველაზე ეფექტური და დახვეწილი რეგულაციები, ასევე ღვინის ხარისხის კონტროლის ისეთი ინსტიტუტები, რამაც ქვეყანა, ამ მხრივ, ყველაზე დაწინაურებულ ცივილიზაციად აქცია, ევროპის დანარჩენ სახელმწიფოებთან შედარებით.

2. იტალია

საფრანგეთის შემდეგ, იტალია, თავისი 3000 წლიანი მევენახეობის ტრადიციით, აწარმოებს და მოიხმარს უფრო მეტ ღვინოს, ვიდრე ნებისმიერი სხვა ქვეყანა და უნდა აღინიშნოს რომ, რომის იმპერიის დაცემის შემდეგ, იტალიის სხვადასხვა კუთხეში, ღვინის წარმოების ოქროს ხანა არ დასრულებულა. პირუკუ, ის კიდევ უფრო განვითარდა, რადგან თითოეული ტერიტორია, თუ ქალაქ-სახელმწიფო ცდილობდა დაეცვა საკუთარი ღვინის წარმოების ტრადიციები და, ვარაუდობენ, რომ რეგიონალური ყურძნის ჯიშების, ღვინის სტილისა და ადგილობრივი მეღვინეობის მეთოდების მრავალფეროვნება, რომელიც ჩვენ დღეს ვიცით, იმ დროიდან მოდის.[224]

თუ შევადარებთ იტალიისა და საფრანგეთის ღვინის წარმოების რეგულაციებს ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობის შექმნამდე, როდესაც ევროპული ბაზრების ინტეგრაციის იდეა ჩამოყალიბდა, ნათელი ხდება, რომ იმ დროს იტალიის მთავრობა ვერ ხედავდა ღვინის წარმოების რეგულაციების შემუშავების აუცილებლობას. ღვინის წარმოების რეგულაციების შემოღებაზე ფიქრი არ იყო დაწყებული პირველი მსოფლიო ომის დასრულების შემდეგაც კი, რაც უკავშირდება ქვეყანაში ეკონომიკური აღმავლობის პერიოდს, როდესაც ღვინო - ყოველდღიური სასმელიდან და კალორიების წყაროდან - გადაიქცა სიამოვნების მისაღებად განკუთვნილ, მაღალხარისხიან პროდუქტად. ამ პერიოდში ქვეყნის ტერიტორიის დიდი ნაწილი ვაზის ნარგავებს ეჭირათ, მიწების უმეტესი ნაწილი ფერდობებზე იყო, რაც მევენახეობისთვის განვითარებისთვის უფრო ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა, ვიდრე სოფლის მეურნეობის სხვა მიმართულებებისთვის.[225]

ამ პერიოდისთვის იტალიის მხოლოდ ერთ ღვინის წარმოების ადგილწარმოშობის დასახელების ზონას, სახელად კიანტი, გააჩნდა წარმოების რეგულაციების ტრადიცია.

---

[224] Adams, G. et al. (eds). (2009). 186; იხილეთ ასევე Meloni, G., Swinnen, J. (2018). Trade and terroir. The political economy of the world's first geographical indications. Food Policy, 81, 7-9.

[225] Munsie, (2002). 16-17. იხილეთ ასევე Robinson, J. (ed). (1999). *Oxford Companion to Wine.* 2nd edn. 374. Anderson, (1992). 18; Spahni, P. (1988) 36; Loftus, S. (1985). *Anatomy of the Wine Trade.* 14.

პირველი სანოტარო დოკუმენტი, რომელშიც მეღვინეობის ზონა კიანტი (Chianti) გამოჩნდა, 1398 წლით თარიღდება, ხოლო 1716 წელს განისაზღვრა კიანტის ტერიტორის საზღვრები. [226] მოგვიანებით, 1850-იან წლებში, ბარონ ბეტინო რისოლეს (Bettino Rissole) ძალისხმევით, შეიქმნა ამპელოგრაფიული ბაზა ღვინისთვის. ამრიგად, ყურძნის სახეობები და მათი თანაფარდობა, რომლებიც დაშვებული იყო კიანტის წარმოებაში, განისაზღვრა, როგორც: 70% სანჯოვეზე (Sangiovese), 15% კანაიალო (Canaiolo) და 15% მალვაზია ბიანკა (Malvasia bianca).[227]

ამ ზონის საბოლოო საზღვრები 1932 წელს დადგინდა და მას შემდეგ უცვლელი დარჩა. კიანტის ტერიტორიის საზღვრები სრულიად ახლიდან ჩამოყალიბდა. ახალი ტერიტორია, ზომით, ბევრად აღემატებოდა თავდაპირველს, - 1716 წელს დადგენილ ტერიტორიის ფართობს, და იმ დასახლებებმა, რომლებიც ამ ახალ საზღვრებში მოექცნენ, მაშინვე ან მოგვიანებით, დაამატეს თავიანთ სახელებს ადგილწარმოშობის დასახელება კიანტი.[228]

აღსანიშნავია, რომ განხორციელებული დელიმიტაციის მიუხედავად, ღვინის ხარისხი ჯერ კიდევ ძალიან დაბალი იყო 1950-იანი წლების დასაწყისში, ხოლო მეღვინეების უმეტესობა ყიდდა ღვინოს დიდ პარტიებად. მხოლოდ 1950-იანი წლების ბოლოს დაიწყო წარმოების გაუმჯობესება, რადგან გარკვეულმა მწარმოებლებმა დაიწყეს ფიქრი ხარისხის გაუმჯობესებაზე, რაოდენობის შემცირების ფასადაც კი. მათ ასევე დაიწყეს ღვინის ბოთლებში ჩამოსხმა, ნაცვლად იმისა, რომ დიდ პარტიებად, ჩამოსასხმელი სახით, მიეყიდათ ღვინის ვაჭრებისთვის. ბადია ა კოლტიბუონო (Badia a Coltibuono) იყო ერთ-ერთი პირველი მამული, რომელმაც დაიწყო ღვინის ბოთლებში ჩამოსხმა.[229]

---

[226] Stevenson, (2005). 54. იხილეთ ასევე: Consorzio Vino Chianti Classico, "History" <http://www.chianticlassico.com/en/territorio/storia/> 11.01.2019 მდგომარეობით; "The gentle hills of Chianti, Tuscany's Famous Wine Region" <http://www.chianti.com/the-hills-of-chianti.html> 17.01.2019 მდგომარეობით; Chianti DOCG, "Chianti Classico - the evolution of a DOCG wine" <http://www.chianti-chianti.co.uk> 12.01.2019 მდგომარეობით; Meloni, G., Swinnen, J. (2018). Trade and terroir. The political economy of the world's first geographical indications. Food Policy, 81, 9-10.

[227] Chianti DOCG, "Chianti Classico - the evolution of a DOCG wine" <http://www.chianti-chianti.co.uk> 16.01.2019 მდგომარეობით.

[228] Consorzio Vino Chianti Classico, "History" <http://www.chianticlassico.com/en/territorio/storia/> 12.01.2019 მდგომარეობით; იხილეთ ასევე: Chianti DOCG, "Chianti Classico - the evolution of a DOCG wine" <http://www.chianti-chianti.co.uk> 12.01.2019 მდგომარეობით; Meloni, G., Swinnen, J. (2018). Trade and terroir. The political economy of the world's first geographical indications. Food Policy, 81, 10.

[229] Chianti DOCG, "Chianti Classico - the evolution of a DOCG wine" <http://www.chianti-chianti.co.uk> 16.01.2019 მდგომარეობით; იხილეთ ასევე "Origins" <http://en.coltibuono.com/origins> 11.02.2019

იტალია, როგორც მევენახეობისთვის ყოველმხრივ შესაფერისი და ღვინის მაღალი მოხმარების მაჩვენებლის მქონე ქვეყანა, დიდ ყურადღებას არ უთმობდა ღვინის ხარისხის გაუმჯობესების საკითხს. მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, 1950-იან წლებში, როდესაც გაჩნდა საშუალო კლასი, იტალიელებმა დაიწყეს ფიქრი ხარისხზე და არა რაოდენობაზე. ამ პერიოდში გაიზარდა მოთხოვნა მაღალი ხარისხის ღვინოებზე.[230] იტალიას სურდა ღვინის ინდუსტრიის გაფართოება ასეთი მზარდი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად.[231] მაგრამ ჯერ კიდევ 1960-იანი წლების დასაწყისისთვის, ქვეყნის ვენახები შედარებით მცირე იყო, არა სპეციალიზებული და არასტანდარტიზებული, ეს კი მაღალი ხარისხის ღვინის წარმოების გაფართოებას უქმნიდა დაბრკოლებას. ამ გარემოებების გათვალისწინებით, მთავრობამ შექმნა მევენახეობის შემდგომი განვითარების პოლიტიკა, აიძულა რა მეურნეობები სპეციალიზებულიყვნენ ყურძნის წარმოებაში, ნაცვლად იმისა, რომ ჰქონოდათ ის, როგორც ერთ-ერთი მორიგი მცენარეული კულტურა, სხვა დანარჩენ კულტურებთან ერთად, მოშენებული თავიანთ მიწაზე. ამავე დროს, მთავრობა ცდილობდა ღვინის მოხმარების მაჩვენებელს მიეღწია ფრანგულ დონემდე.[232] ამ სტრატეგიის შედეგად, განხორციელდა იტალიის ღვინის მრეწველობის მდგრადი ზრდა 1960-იან წლებში, მკვეთრად გაზრდილი ფასებით, მიუხედავად იმისა, რომ ბაზარზე ღვინის მიწოდებაც გაიზარდა.[233]

იტალიის ამ პერიოდის რეგულაციების განხილვისას, ირკვევა რომ, საფრანგეთის საპირისპიროდ, ამ პერიოდისთვის, იტალია ღვინის წარმოების შესახებ რეგულაციების შემუშავების აუცილებლობას ვერ ხედავდა. ამ ქვეყანას საერთოდ არ გააჩნდა ხარისხობრივი ღვინის სისტემა, თუ არ ჩავთვლით 1932 წელს განხორციელებულ, კიანტის ტერიტორიის დელიმიტაციას.

მდგომარეობით; Badia a Coltibuono means Abbey of the Good Harvest, it was founded by the monks in 1051 and they also began planting the first vineyards in this area. In 1810, when Tuscany was under Napoleonic rule, the monastery was secularized. Ibid; Badia a Coltibuono, "The abbey of Coltibuono near Gaiole in Chianti" <http://www.badia-a-coltibuono.com> 11.02.2019 მდგომარეობით; "Badia a Coltibuono, Tuscany" <http://www.bbr.com/producer-1946-badia-a-coltibuono-tuscany/> 11.02.2019 მდგომარეობით.

[230] Adams, G. et al. (eds). (2009). 186-187.

[231] Munsie, (2002). 16. იხილეთ ასევე Spahni, P. (1988) 32.

[232] Munsie, (2002). 16. იხილეთ ასევე: Spahni, P. (1988) 36.

[233] Munsie, (2002). 16. იხილეთ ასევე: Spahni, P. (1988) 38; Tom Stevenson, The Sotheby's Wine Encyclopedia, (4th edn 2005) 262.

3. ესპანეთი

მეღვინეობის მრავალწლიანი ტრადიციის მქონე ესპანეთს, საფრანგეთთან და იტალიასთან შედარებით, მეტი ტერიტორია აქვს ვაზით გაშენებული, მაგრამ დაბალი მოსავლიანობის გამო, ქვეყანაში წარმოება საგრძნობლად ნაკლებია. ამის მიზეზებია უნაყოფო ნიადაგი, შეზღუდული რესურსები და სხვა ფაქტორები.[234]

მიუხედავად იმისა, რომ ესპანეთში ვაზის მოშენების ტრადიცია დაახლოებით ძვ.წ 4000 წლიდან მოდის, ქვეყნის დოკუმენტირებული მევენახეობის კულტურა იწყება ძვ.წ. 1100 წელს, როდესაც ფინიკიელებმა დააარსეს დასახლება ქვეყნის სამხრეთ-დასავლეთ სანაპიროზე, სახელად გადირი (ახლანდელი კადიზი). [235] მოგვიანებით, კართაგენელები დასახლდნენ ამ მხარეში, დააარსეს თანამედროვე კართახენა და გააფართოვეს ადგილობრივი ღვინის წარმოება. შემდეგ რომაელებმა, თავიანთი ტერიტორიების გაფართოების შედეგად, ძვ.წ. 100 წლისთვის, მოიცვეს ესპანეთის ტერიტორიის უმეტესი ნაწილი, გააშენეს ვაზი კიდევ უფრო მეტ ფართობზე და დანერგეს მევენახეობის ახალი მეთოდები. პროვინციები ბაეტიკა და ტარაკონენსისი, იმ დროისთვის, რომაელთათვის, ღვინის მწარმოებელ ყველაზე მნიშვნელოვან რეგიონებად იქცნენ. [236] ადგილობრივმა ტომებმა, განსაკუთრებით, კელტებმა - დასავლეთში და იბერებმა - შუა და აღმოსავლეთ ტერიტორეიბზე, გადმოიღეს როგორც ღვინის დუღილის რომაული პრაქტიკა, ასევე ღვინის შენახვის მეთოდი - უფრო პატარა, უფრო გამძლე ამფორებში.[237]

ესპანეთში, XVI-XVII საუკუნეებში ღვინოს ამზადებდნენ მთელ ჩრდილოეთ და ცენტრალურ რეგიონებში, ამავე პერიოდს უკავშირდება ღვინის დაჟანგვის პრობლემის თავიდან ასაცილებლად, ღვინის წარმოებაში, თიხის დიდი ჭურჭლების სახელად ტინახა (tinaja) დანერგვა. აღნიშნული ჭურჭლებსთვის დამახასიათებელი

---

[234] Munsie, (2002). 40. იხილეთ ასევე: Read, (1992). (1992) 13.
[235] Wacker, (2019). 5. იხილეთ ასევე: Robinson, J. et al. (eds). (2015). 693.
[236] Wacker, (2019). 5. იხილეთ ასევე: Jancis Robinson, et al. (eds), *Oxford Companion to Wine* (4th edn 2015) 693.
[237] Wacker, (2019). 5. იხილეთ ასევე: Radford, J. (2004). *The New Spain.* Mitchell Beazley. 9.

იყო ზევით ვიწრო ყელი, ისინი ივსებოდა, რაც შეიძლება ბოლომდე, და ილუქებოდა მძიმე საფარით, რათა, რაც შეიძლება ნაკლებ, ღვინოს ჰქონოდა კონტაქტი ჰაერთან.[238] ეს მეთოდი ძველი ქართული მეღვინეობის მეთოდის იდენტურია, როდესაც ღვინის დუღილი და შენახვა ხდება მსგავს ჭურჭელში, რომელსაც ჩვენ ქვევრს ვუწოდებთ.[239] XVIII საუკუნეშიც კი, ესპანეთში ღვინო, ჯერ კიდევ, რომაული მეთოდებით იწარმოებოდა.[240]

მოგვიანებით, საფრანგეთის მსგავსად, ესპანეთის ვენახებიც განადგურდა ვაზის დაავადებებისგან, ვენახებს ზიანი მიაყენა ჯერ ჭრაქმა და შემდეგ - ფილოქსერამ. შედეგად, ვაზის ის ადგილობრივი ჯიშები, რომლებიც არ იყო დამყნობილი ფილოქსერაგამძლე ამერიკულ საძირეებზე, გადაშენების ზღვარზე აღმოჩნდნენ.[241]

1920-იან და 1930-იან წლებში ესპანეთმა აღიარა თავისი პირველი ადგილწარმოშობის დასახელებები, რიოხას, ხერესის და მალაგას რეგიონების სახით. თითოეული ტერიტორიისთვის შეიქმნა მარეგულირებელი საბჭო - Consejo Regulador, რომელიც შედგებოდა, სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ დანიშნული, დელეგატებისა და მევენახეების, მეღვინეებისა და ღვინის ვაჭართა წარმომადგენლებისაგან. თითოეულ მარეგულირებელ საბჭოს (Consejo Regulador) ჰქონდა უფლება გამოექვეყნებინა დეტალური მოთხოვნები, რომლებთან შესაბამისობაშიც უნდა ყოფილიყო ამ ტერიტორიის დასახელების მატარებელი ყველა ღვინო.[242]

რიოხა წარმოადგენს უძველეს ადგილწარმოშობის დასახელებას ესპანეთში. თანამედროვე რიოხა დაიბადა XIX საუკუნის ბოლოს, როცა ერთმანეთთან დაკავშირდა პროდუქტის სახელი და წარმოშობის ადგილი. 1925 წლის 6 ივნისს

---

[238] Wacker, (2019). 5. იხილეთ ასევე: Radford, (2004). 10.

[239] იხილეთ სქოლიო 426

[240] Wacker, (2019). 5. იხილეთ ასევე: Radford, (2004). 10.

[241] Wacker, (2019). 6. იხილეთ ასევე: Jancis Robinson, et al. (eds), *Oxford Companion to Wine* (4th edn 2015) 695.

[242] Munsie, (2002). 40. იხილეთ ასევე Read, J. (1992). *The Simon & Schuster Guide to the Wines of Spain.* Fireside. 15-16; Corporation Doca Rioja, "History" <http://us.riojawine.com/en/40-corporation-doca-rioja.html> 17.01.2019 მდგომარეობით; "The History of Rioja wine" <http://www.rutasdelvinorioja.com/en/our-wine/the-history-of-rioja-wine/> 26.01.2019 მდგომარეობით; Rick Fisher, "The Wine Quality System of Spain" <https://www.winescholarguild.org/blog/the-quality-wine-system-of-spain> 26.04.2022 მდგომარეობით. Wacker, (2019). 10. Ibid. იხილეთ ასევე: Jeffs, J. (2006). *The Wines of Spain.* Mitchell Beazley. 7-8; Radford, (2004). 22-23.

რიოხას ადგილწარმოშობის დასახელება ოფიციალურად იქნა აღიარებული და, მოგვიანებით, 1926 წლის 22 ოქტომბერს, სამეფო დეკრეტით შეიქმნა მისი პირველი მარეგულირებელი საბჭო.[243]

ხერესის ადგილწარმოშობის დასახელების შექმნამდე, პირველი ნაბიჯი გადაიდგა 1891 წელს. მადრიდის შეთანხმებამ (Convention de Madrid) - შექმნა დადგენილებათა სერია, რომლებიც განსაზღვრავდნენ ხერესის გეოგრაფიულ წარმოშობას. მოგვიანებით, 1933 წელს, ადგილწარმოშობის დასახელება ხერესი ოფიციალურად დაარსდა.[244]

ხერესის ჩრდილო-აღმოსავლეთით, მალაგას ვენახებში იწარმოებოდა კლასიკური სადესერტო ღვინოები, [245] ამ ტერიტორიის ადგილწარმოშობის დასახელება - სიერა დე მალაგა (Sierra de Málaga) დაარსდა ხერესის პარალელურად, 1933 წელს.[246]

1932 წელს, ღვინოების ადგილწარმოშობის დასახელებათა დასაცავად, შეიქმნა ესპანეთის ღვინის დებულება, რაც გულისხმობდა არა მხოლოდ ღვინის წარმოების ადგილის, არამედ მის განსაკუთრებული ხარისხის კანონით დაცვას.[247]

---

[243] Corporation Doca Rioja, "History" <http://us.riojawine.com/en/40-corporation-doca-rioja.html> 17.01.2019 მდგომარეობით; იხილეთ ასევე O'Connor, B. (2007). *The Law of Geographical Indications.* Cameron May Ltd, London. 191; Stevenson, (2005). 54. Rioja's quality control tradition dates back to 1560. Ibid; "Learn About Rioja" <http://us.riojawine.com/en/5-learn-about-rioja.html> 17.01.2019 მდგომარეობით; Tim Vandergrift "Rioja" <https://winemakermag.com/863-rioja> 17.01.2019 მდგომარეობით; "Vinification and Aeging" <http://us.riojawine.com/en/12-vinification-and-ageing.html> 09.02.2019 მდგომარეობით. Sensorial and laboratory tests are carried out by the Control Board to determine whether the wine deserves to be called a "Rioja". Ibid; Rick Fisher, "The Wine Quality System of Spain" <https://www.winescholarguild.org/blog/the-quality-wine-system-of-spain> 26.04.2022 მდგომარეობით.

[244] "Designation of origin Jerez" <http://www.spanish-wines.org/do-jerez.html> 21.01.2019; იხილეთ ასევე: Tom Stevenson, The Sotheby's Wine Encyclopedia, (4th edn 2005) 321; Adams, G. et al. (eds). (2009). 318.

[245] Tom Stevenson, The Sotheby's Wine Encyclopedia, (4th edn 2005) 308; იხილეთ ასევე Adams, G. et al. (eds). (2009). 318; "A Short History of Sherry" <https://www.nicks.com.au/a-short-history-of-sherry-76.1228> 21.01.2019 მდგომარეობით.

[246] "Designation of origin Malaga" <http://www.spanish-wines.org/do-malaga.html> 21.01.2019 მდგომარეობით; იხილეთ ასევე "Malaga Wine" <http://www.wine-searcher.com/regions-malaga> 21.01.2019 მდგომარეობით. Malagas Consejo Regulador also manages the Sierras de Malaga DO and Pasas de Malaga DO (raisins of Malaga). Malaga and Sierras de Malaga are often referred together. Ibid.

[247] O'Connor, (2007). 191. The protection and certification of the origin of agricultural products in Spain was first started with wines and spirits. The Wine Statute was adopted by the Decree of 8 September 1932, which later on 26 May 1933 was transformed into a law. Ibid. იხილეთ ასევე Corporation Doca Rioja, "History" <http://us.riojawine.com/en/40-corporation-doca-rioja.html> 17.01.2019 მდგომარეობით; Rick Fisher, "The Wine Quality System of Spain" <https://www.winescholarguild.org/blog/the-quality-wine-system-of-spain> 26.04.2022 მდგომარეობით. შედეგად, 19 ადგილწარმოშობის დასახელება - DO შეიქმნა და თითოეული მათგანისთვის ნებადართული იყო საკუთარი მარეგულირებელი საბჭოს Consejo Regulador შექმნა. Ibid.

1930-იანი წლების მეორე ნახევრიდან მოყოლებული პერიოდი, ესპანეთის მეღვინეობისთვის მაინცდამაინც კარგ დროდ არ შეიძლება ჩაითვალოს, რადგან, მევენახეობის დაავადებებით მიყენებული ზიანის გარდა, ესპანეთის სამოქალაქო ომმა (1936 -1939 წწ.) გამოიწვია მრავალი ვენახის მიტოვება და განადგურება. გარდა ამისა, მეორე მსოფლიო ომის დაწყებამ გავლენა მოახდინა ეკონომიკის აღდგენაზე და შეაჩერა ქვეყნის ექსპორტი. 1950-იან წლებში ესპანეთში აშენდა კოოპერატიული ღვინის საწარმოები, რამაც გამოიწვია იაფი ღვინოების სახოებათა ჭარბწარმოება, რომლებიც იყიდებოდა ბრენდის ან ზოგადი სახელწოდებით. ეს პრაქტიკა ძალიან მალევე ევროპის ეკონომიკურმა თანამეგობრობამ უკანონოდ ცნო.[248]

ესპანეთის ამ პერიოდის რეგულაციების განხილვისას, მნიშვნელოვნად მიგვაჩნია გამოვყოთ შემდეგი გარემოებები:

1. ესპანეთთან დაკავშირებით ღვინის წარმოების რეგულაციების შემოღება უკავშირდება 1920-იან - 1930-იან წლებს, როდესაც ქვეყანამ აღიარა თავისი პირველი ადგილწარმოშობის დასახელებები: რიოხა, ხერესი და მალაგა.

2. ესპანეთმა ასევე შექმნა მარეგულირებელი საბჭო - Consejo Regulador, თითოეული რეგიონის ხარისხობრივი ღვინისთვის. ეს საბჭო გახდა პასუხისმგებელი კონკრეტული რეგიონის ხარისხობრივი ღვინოებისთვის წაყენებული მოთხოვნების შემუშავებაზე. მარეგულირებელი საბჭო, თავისი ფუნქციებით, ძალიან ჰგავდა ფრანგულ INAO-ს.

3. კიდევ ერთი მსგავსება ფრანგულ სისტემასთან იყო ის, რომ ესპანეთმა 1932 წელს შექმნა ღვინის წესდება, ღვინის ადგილწარმოშობის დასახელებათა დასაცავად.

---

[248] Wacker, (2019). 6. აღნიშნულ წყაროში, იაფი ღვინის ზოგადი სახელით გაყიდვის პრაქტიკის ამკრძალავად, მითითებულია ევროკავშირი, თუმცა ჩვენ ვაზუსტებთ სახელწოდებას და ვუთითებთ იმ სახელს, რაც ევროკავშირის ოფიციალურად დაარსებამდე ერქვა თანამეგობრობას. იხილეთ ასევე: Robinson, J. et al. (eds). (2015). 695.

4. საქართველო

საქართველო, თავისი უძველესი მეღვინეობის ტრადიციებით, ითვლება ღვინის სამშობლოდ, ქვეყანა ასევე მოიხსენიება როგორც „ღვინის აკვანი.“[249]

თბილისიდან სამხრეთით, დაახლოებით 50 კილომეტრში, ორ ნეოლითურ ნასახლარში, სახელწოდებით გადაჭრილი გორა და შულავერის გორა, მსოფლიოში უძველესი ღვინის კვალი აღმოაჩინეს 8000 წლის წინანდელ ჭურჭელში. ითვლება, რომ ეს არის ველურად მზარდი ევრაზიული ვაზის, მხოლოდ ღვინის წარმოებისთვის, მოშინაურების უძველესი მაგალითი.[250] გარდა ამისა, 2013 წელს, ქვევრში ღვინის დაყენების ძველი ქართული ტრადიციული მეთოდი დაემატა გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის (UNESCO) მსოფლიო მემკვიდრეობის სიას, [251] და ბოლოს, როგორც ენდრიუ ჯეფორდი წერს: „…საქართველო ერთადერთი ქვეყანაა მსოფლიოში, სადაც ღვინის დაყენების მეთოდები, რომლებიც 8000 წლის წინ იყო შემუშავებული, არათუ არასოდეს ყოფილა მიტოვებული, არამედ მრავალი თვალსაზრისით, საუკეთესო პრაქტიკად ნარჩუნდება."[252]

---

[249] “Discover the Secret Birthplace of Wine” <https://www.nationalgeographic.com/travel/destinations/asia/georgia/sponsor-content-secret-birthplace-of-wine/> 13.07.2020; Parsadanishvili, (2021). 136; Rytkönen, P., Vigerland, L., Borg, E. (2021). Tales of Georgian wine: storytelling in the Georgian wine industry, *Journal of Wine Research, 32*(2), 117.

[250] “World's oldest wine' found in 8,000-year-old jars in Georgia” <https://www.bbc.com/news/world-europe-41977709#:~:text=Scientists%20say%208%2C000-year-old,capital%2C%20Tbilisi%2C%20 researchers%20said.> 13.07.2020 მდგომარეობით. სრული ინფორმაციისთვის იხილეთ: McGovern, P. et. al. (2017). Early Neolithic wine of Georgia in the South Caucasus. *PNAS, 114*(48), 309–318. იხილეთ ასევე: “Raise a Glass to Georgia, the Official Cradle of Wine” <http://georgiatoday.ge/news/8213/Raise-a-Glass-to-Georgia%2C-the-Official-Cradle-of-Wine> 13.07.2020 მდგომარეობით; Parsadanishvili, (2021). 136;

[251] “Decision of the Intergovernmental Committee: 8.COM 8.13” <https://ich.unesco.org/en/decisions/8.COM/8.13> 13.07.2020 მდგომარეობით. იხილეთ ასევე: “Ancient Georgian traditional Qvevri wine-making method” <https://ich.unesco.org/en/RL/ancient-georgian-traditional-qvevri-wine-making-method-00870> 13.07.2020 მდგომარეობით; Caroline Gilby MW, “Georgian winemaking method joins UNESCO heritage list” <https://www.decanter.com/wine-news/georgian-winemaking-method-joins-unesco-heritage-list-30889/> 13.07.2020 მდგომარეობით; Ketevan Charkhalashvili, “Qvevri Winemaking on UNESCO Cultural Heritage List” <https://www.georgianjournal.ge/arts-a-culture/25639-qvevri-winemaking-on-unesco-cultural-heritage-list.html> 13.07.2020 მდგომარეობით; “Qvevri”, <http://georgianwine.gov.ge/En/KvevriWine/Details/2> 13.07.2020 მდგომარეობით; “Raise a Glass to Georgia, the Official Cradle of Wine” <http://georgiatoday.ge/news/8213/Raise-a-Glass-to-Georgia%2C-the-Official-Cradle-of-Wine> 13.07.2020 მდგომარეობით; “Qvevri. Honoring an ancient process” <https://www.winesgeorgia.com/site/winemaking-tradition> 13.07.2020 მდგომარეობით; Parsadanishvili, (2021). 136-137.

[252] Andrew Jefford, “Georgian wines: older and wiser” <https://www.ft.com/content/7307e952-f50b-11e2-b4f8-00144feabdc0> 13.07.2020 მდგომარეობით; Parsadanishvili, (2021). 137.

4.1 ღვინო ძველი ქართული სამართლის ძეგლებში

საქართველო, როგორც ღვინის აკვანი, აჩენს კითხვებს ღვინის დაყენების ტრადიციასა და ქვეყანაში მისი რეგულირების სიძველეს შორის.

ქართული ღვინის სამართლებრივ მოწესრიგებას მიეძღვნა არაერთი ძველი ქართული სამართლის ძეგლის დებულება, კერძოდ, XIV საუკუნის ქართული სამართლებრივი კულტურის სანიმუშო ძეგლით - „ხელმწიფის კარის გარიგებით," რომლის რამდენიმე პირობითი პარაგრაფი პირდაპირ აწესრიგებს ღვინის მოხმარებას და ღვინოების სახეობათა გამოყენებას სახელმწიფო დღესასწაულთა და საეკლესიო რიტუალების დროს:

> აქითგან, წლის თავით, თევდორობამდის [კარზედა არიან]. მონადირეთუხუცესი მწვადს მიიხვამს, უკანისღა მიდგების, იკითხავს, ხვალ სით ჰკვლევენ; უბრძანებს მეფე, სითაც ეპრიანების, ჭიქას უბოძებს და მწვადს; შესჭამს და შესვამს ღვინოსა, და მუნ[ვ]ე წავა და დაჯდების თავის ადგილსა. (ჴელმწიფის კარის გარიგება, პარაგრაფი 2);[253]
>
> და რა გაიყარნენ, ორი მაშხალა ჭყონდიდელს წაუძღვების და თვითო – სამთა ვეზირთა, და სხვათა არავის. და იგინი ფარეშთ შეჭამადთა და ღვინოს მოსცემენ. (ჴელმწიფის კარის გარიგება, პარაგრაფი 17); [254]
>
> და ბოლოს სათიჴარი რკინისა არის, დაასობენ საღვინესა შიგან, საღვინის მოლარე მას ზედა დაჰკიდებს; და ფანჯისა მისაღებელი ჴელმანდილიცა მასვე ზედა ჰკიდავს, მანდილი უღარო, სამუქლე და საფუკე. და რა დამტვერიანდეს, გარეცხა უნდა; საფარეშოს მიიღებს მეღვინე და ერთს მაშრაპას ღვინოს მიართომს; გარეცხენ და [სა]ღვინესვე მიიღებენ. (ჴელმწიფის კარის გარიგება, პარაგრაფი 19);[255]

---

[253] სურგულაძე, ქ. (რედაქტორი). (1993). *ხელმწიფის კარის გარიგება.* თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.14.

[254] სურგულაძე, ქ. (რედაქტორი). (1993). *ხელმწიფის კარის გარიგება.* 20;

[255] სურგულაძე, ქ. (რედაქტორი). (1993). *ხელმწიფის კარის გარიგება.* 22;

> პირის მწდესა საღამოს – ერთი მაშრაპი ღვინო, ოქროს მაშრაპითა, მეფე რომ სვამს, მისთანითა, ერთი – მუქიფსა. (ჴელმწიფის კარის გარიგება, პარაგრაფი 20);[256]
>
> ორშაბათ მეორეს ლამპრას მონადირენი შეიქმენ, მეფეს წინაში მიიღებენ და ცოლსა მეფისსა და შვილთა, ვეზირთა და მოურავთა ყველას მიართმ[ევ]ენ. მეფე უბრძანებს პურსა, ღვინოსა და ფურბერწსა; ეგრეთვე დედოფალიცა-უბოძებს; ვეზირნი და მოურავნი ყოველნივე მისცემენ პურსა, ღვინოსა და საკლავსა. საგანმგებოს მუქიფსა და საღვინის მუქიფსა დ გამცემარსა, - იაფებენ ყოველსა, და თუ მისცემენ პურსა, ღვინოსა და საკლავსა, აღარას აწყენენ; მაგრამ იგინიცა კარგად დაიხიზნვნიან. და ლამპრსა ანთებ[უ]ლსა მჴარსა შეიდებენ, ეგრე მგრგვალსა დააბმენ; ვიცა ავად მიუცემია ანუ პირად ავადია, აგინებენ და, - რაც უარესია. (ჴელმწიფის კარის გარიგება, პარაგრაფი 20); [257]

ზემოთ მოცემული პარაგრაფები გადმოსცემს იმ პერიოდის ღვინის მოხმარების ეტიკეტს და ამავე დროს ცხადყოფს, თუ რაოდენ განვითარებული იყო ღვინის მოხმარების კულტურა და რამდენად მნიშვნელოვან ადგილს იკავებდა ღვინო იმდროინდელ ყოფაში, ამასვე ადასტურებს ღვინის, როგორც გადასახადის ერთ-ერთ სახეობად არსებობას, რასაც იმავე წყაროში ხვდებით:

> გელათური ძღვენი – საჭარმაგეო სეფისკვერი, სამი შეკანული ღვინო, ზუთხი, და სატალახე ცხენი – ფიცხლავ მოაგბონ საქრისტისშობოთ მომავალსა. (ჴელმწიფის კარის გარიგება, პარაგრაფი 28);[258]

ამავე წყაროში ასევე ხვდებით მეტად საინტერესო პარაგრაფებს, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ღვინის წარმოებასთან და ხარისხის კონტროლთან:

---

[256] სურგულაძე, ქ. (რედაქტორი). (1993). *ხელმწიფის კარის გარიგება.* 23;
[257] სურგულაძე, ქ. (რედაქტორი). (1993). *ხელმწიფის კარის გარიგება.* 23;
[258] სურგულაძე, ქ. (რედაქტორი). (1993). *ხელმწიფის კარის გარიგება.* 27;

> მანდატური და ერთი მეღვინეთუხუცესისაგან ჩენილი მეღვინე წავლენ, მუშაოებენ; და ღვინის მკრეფელნიცა. (ᲥᲔᲚᲛᲬᲘᲤᲘᲡ ᲙᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲠᲘᲒᲔᲑᲐ, ᲞᲐᲠᲐᲒᲠᲐᲤᲘ 11);[259]
>
> ზვართა ზემოთაც დაგვწერია: მანდატურიცა ადგს ზედა და სხვათ მერვინეთუხუცესი და მუქიფი იურვიან სამუშაოს. თვთო ჭური ღვინო ზვართაგან მეღვინეთუხუცესისა[ა] და თვთო, უმცროსი, - მუქიფისა; და საღვინის მოლარე[ნი] მეზვრეთაგან აიღებენ ღვინოსა, ვითარი ზვარი იყოს ანუ მეზვრე. მეღვინენი საკრეფელისა და საოფლისაგან იშოებენ, სადა მეფე დგას და ღვინის ულუფა დაწერონ. (ᲥᲔᲚᲛᲬᲘᲤᲘᲡ ᲙᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲠᲘᲒᲔᲑᲐ, ᲞᲐᲠᲐᲒᲠᲐᲤᲘ 20);[260]

ეს პარაგრაფები ღვინის წარმოებას ეხება და გვაძლევს ცნობებს, ხარისხის კონტროლის პროცედურების შესახებ (პარაგრაფი 20), ამ პროცედურის განმახორიელებლებიდან დაწყებული, ვიდრე ღვინის დაგემოვნებით დამთავრებული.

ქვემოთ მოცემული პარაგრაფი კი, მიუხედავად იმისა, რომ თავისი არსით სუფრის ეტიკეტის პროცედურების აღწერას განეკუთვნება, ყურადღებას იქცევს ჭაშნაგირის მიერ ღვინის დაგემოვნების პროცესის აღწერის გამო:

> მაგრამ სუფრაზედ ჭაშნაგირი ზე დ[გ]ას ოქსინოსა ზედა ცალკესა; იგი და წინამდგომ[ნ]ი ტახტსა ზედა დგანან. ჭაშნაგირს ᲥᲔᲚᲘᲡ ანდილით ცოტა ჩამჩა აქვს; რაჲ საჭამადი წამოაყენონ, ჩამჩით ამოიღებს და ᲥᲔᲚᲡᲐ ზედა დაისხამს და შეხვრეტს; და ეგრეთვე ღვინოს... (ᲥᲔᲚᲛᲬᲘᲤᲘᲡ ᲙᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲠᲘᲒᲔᲑᲐ, ᲞᲐᲠᲐᲒᲠᲐᲤᲘ 33);[261]

ჭაშნაგირის ეს ფუქნცია თანამედროვე პირობებში სომელიეს მიერ ღვინის ხარისხის დეგუსტაციის გზით შემოწმების მსგავსია.

სამართალშემოქმედებითი საქმიანობა განსაკუთრებით გააქტიურდა XVIII საუკუნეში, როცა ჯერ ვახტანგ VI „სწავლულ კაცთა კომისიამ“ მოიძია-გადაამუშავა სხვადასხვა ეპოქაში შექმნილი, ქართული სამართლის ძეგლი და ერთ დიდ კრებულად გააერთიანა ისინი, აგრეთვე ქართულ ენაზე თარგმნა და ქართულ

---

[259] სურგულაძე, ქ. (რედაქტორი). (1993). *ხელმწიფის კარის გარიგება.*17;
[260] სურგულაძე, ქ. (რედაქტორი). (1993). *ხელმწიფის კარის გარიგება.* 23;
[261] სურგულაძე, ქ. (რედაქტორი). (1993). *ხელმწიფის კარის გარიგება.* 30;

სამართლებრივ სინამდვილესთან შესაბამისობაში მოიყვანა უცხოური სამართლის ძეგლები, რომლებშიც ასევე ვხვდებით მუხლებს, რომლებიც ღვინის მოხმარების სამართლებრივ ჩარჩოებს აწესებენ, კერძოდ, სომხურ-სირიული სამართლის ქართულ ვერსიაში ვხვდებით შემდეგ დებულებებს:

> 1. ღვთის ვედრების მეტი გაუშვან ყოველი საქმე დღესა კუირასა: არც ეთხოებოდეს დღესა მას მოვალესა ვალი, არც წავიდნენ სასმელად სადაც, არც სვან ღვინო ბევრი, არც უყონ ავის მქნელს ჯაზა, როგორც ამას ზემოთ ვთქუით;[262]
>
> 2. მაგრამ თუ იყოს ცხვარი ან ძროხა, ან პური და ან ღვინო, რაც იყოს თავნისა, წიგნი გამოართვას ქმარსა მისსა, რომ იმას არცარა მოემატოს და არცარა დააკლდეს, ამიტომ რომ შესასმელ შესაჭმელ და მოსაკუდომია.[263]

პირველ დებულებაში ღვინო მოიხსენიება კვირა დღეს ალკოჰოლის შეზღუდვის კონტექსტში, ხოლო მეორე დებულებაში ღვინო მოიხსენიება, როგორც გადახდის საშუალება.

და, ბოლოს, ჩვენი აზრით, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, XVIII საუკუნის დამლევის, ძველი ქართული სამართლის უმნიშვნელოვანესი ძეგლის - დავით გიორგის ძე ბაგრატიონის (ბატონისშვილის) „სამართალი ბატონისშვილის დავითისას“, რომლის დებულებებმა, კერძოდ, მისი „სამართლის“ A და B ნუსხებმა, რომელთა მუხლებში განსაზღვრულია ღვინის, როგორც ინტენსიური სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის პროდუქტის სამართლებრივი შეფასება:[264]

> გარნა ეპისკოპოსისა და სხუთა ეკკლესიისაგანთა დანაშთომი მიეცემის ეკკლესიათა, გარდა კონდაკისა მიერ მონაღვაწისა ნივთისა, რომლისაცა ნებაჲ დამოკიდებულ არს ნებასა ზედა მისსა. კვალადცა ვიხილე მე სამართალსა შინა მეფისა ვახტანგისასა, რომელ დანაშთომსა ეპისკოპოზისასა პურსა და ღვინოსა უყოფდა მონათესავეთა მისთა, რომელიცა უჯეროდ ვრაცხე მე, მით რომე

---

[262] დოლიძე, ი. (რედაქტორი). (1963). *ქართული სამართლის ძეგლები, ტომი I, ვახტანგ VI სამრთლის წიგნთა კრებული.* სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი. 239.

[263] დოლიძე, ი. (რედაქტორი). (1963). *ვახტანგ VI სამრთლის წიგნთა კრებული.* 245.

ეკკლესიისა მამულისა და ყმათა ნამუშავარი საკუთრად არს ეკკლესიისა და არა სხუათა.[265]

სულადსა განიყოფდნენ მებრ პირისა, რაოდენიცა არს სახლსა შინა, ხოლო ღვინოსა - მებრ მკლავისა. ხოლო საზრდონიცა პირუტყუთანი საშუალ განიყოფოდეს.[266]

მოცემული ორი შემთხვევიდან, პირველში, ღვინო განიხილება როგორც გადახდის საშუალება, ხოლო მეორე შემთხვევაში - როგორც გასაყოფი ქონების შემადგენელი ნაწილი.

აღსანიშნავია ის გარემოებაც რომ, დავით ბატონისშვილს ასევე სცოდნია ტერმინ "აპელაციის" არსებობა და გაუთვალისწინებია კიდეც თავისი „სამართლის“ ე.წ. C ნუსხაში: "ლექსი ესე, აპელაცია, არს ფრანგული, რომელიცა ნიშნავს ენასა ჩვენსა ზედა უზენაესთა ადგილთა სარჩელისა შეტანასა."[267]

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ტერმინი არ უნდა აგვერიოს ფრანგულ *appellation d'origine*-თან, რომლის კონცეფცია გვიანდელ პერიოდს ეკუთვის, ამ ტერმინის ქართული სამართლის ძეგლში არსებობა, მიუთითებს ქვეყნის მისწრაფებას, გაეზიარებინა იმ დროის ევროპული სამართლის ტრადიციები.

მეტად მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ აღნიშნული ქართული სამართლის ძეგლის მე-11 მუხლი ასევე ასახავდა არაკეთილსინდისიერი ვაჭრობის შემთხვევებს და მათ საპრევენციო ღონისძიებებს, კერძოდ:

პოლიციასა მართებს, რათა საწონნი, ადლნი და ყანთარნი, და საწყავნი ღვინოთანი, რომელა თუნგი, და ამგუარნი სჩხრიკონ, რათა იყუნენ ჰსწორენი. რომელთაცა აქუს ნება დასჯად ცრუდ მქცევთა და ეგრეთვე - ნიხრითა განსყიდვად ყოვლისავე იძულებულ-ყოფად განმყიდველთა, დავი საჭმელი არ გაყიდონ და მკვახე ხილი.[268]

---

[265] ფურცელაძე, დ. (რედაქტორი). (1964). *სამართალი ბატინისშვილის დავითისა.* მეცნიერება, თბილისი.14.

[266] ფურცელაძე, დ. (რედაქტორი). (1964). *სამართალი ბატინისშვილის დავითისა.* 88.

[267] ფურცელაძე, დ. (რედაქტორი). (1964). *სამართალი ბატინისშვილის დავითისა.* 155.

[268] ფურცელაძე, დ. (რედაქტორი). (1964). *სამართალი ბატინისშვილის დავითისა.* 180. დავით ბატონისშვლი ასევე გვაძლევს ტერმინ პოლიციის განმარტებას: "ნაცუალთა კერკეტონთა კარგთათვის (ესე იგი ასასთა და ასასბაშთათვის), და სხუათა ენათა ზედა პოლიციად წოდებულთა." Ibid.

ხოლო 41-ე მუხლი კი ყურადღებას იქცევს იქიდან გამოდინარე, რომ მასში ასახულია სუფრასთან ღვინის ბოლომდე ვერ დალევის შემთხვაში, სტუმრის შეურაცხყოფისთვის, მის მიერ საპასუხოდ განხორციელებული ქმედებების მართლზომიერების შესახებ:

> და კვალად სმასა შინა არს ჩვეულებაჲ ჩვენსა ქვეყანასა, რომელ სმასა, ვისაც არ ძალ-უძს ღვინისა სმაჲ, შეამჭირვებენ და შეაწუხებენ და ასხმენ თავსა ზედა ღვინოსა. და მაშინ, დამსხმულმან მან უკეთუ შეურაცხ-ყოს ვინმე, გინა შემოჰკრას, გინა ჰსცემოს ვისმე, და თვით სახლის პატრონსაცა, ოდესმე სტუმარსაცა უქმნას ესე, მაშინ ნურარაჲ საყვედური მიადგების, მით რომე სერი არს სიყუარულისათჳს და პატივის-ცემისა ურთიერთისა, და უპატიოებისათჳს.[269]

ეს მუხლი, მიუხედავად იმისა, რომ არ არეგულირებს არც ღვინით ვაჭრობას, არც მის წარმოებას, და მხოლოდ სუფრის ეტიკეტის რეგულირებით შემოიფარგბლება, მიუთითებს იმაზე, თუ რაოდენ დიდ ყურადღებას აქცევდა დავით ბატონისშვილი, ღვინის კულტურულად მოხმარების წესების დაცვასა და ადამიანის პატივისცემას.[270]

დავით ბატონისშვილის რუსეთში იძულებით გადასახლების შემდეგ, არ შემწყდარა მისი სამართალშემოქმედებითი საქმიანობა, რომლის მიზანი იყო, არ დაეშვა საქართველოს გაიგივება რუსეთის იმპერიაში შემავალი, სხვა დაბალი ცივილიზაციური მონაპოვარის მქონე ხალხთან. ამ მიზნით დავითის მერ შექმნილი „Обозрение Грузии по части прав и законоведения“ (საქართველოს სამართლისა და კანონთმცპდნეობის მიმოხილვა) სწორედ ის ძეგლია, რომლითაც ცდილობდა ქართული ღვინის მოხმარების კულტურის პოპულარიზებას და ჩვენებას იმისა, ამ პროდუქტს საქართველოს სამეურნეო ცხოვრებაში რაოდენ გადამწყვეტი

---

[269] ფურცელაძე, დ. (რედაქტორი). (1964). *სამართალი ბატინისშვილის დავითისა.* 199.

[270] აღნიშნულ სამართლის ძეგლში ასევე ხვდებით სხვა საინტერესო ასპექტებს, რაც ასახულია მე-7 მუხლში: "თავადნი და აზნაურნი და ყმანი თავადთანი, ვისაცა ჰსწადდეს ვაჭრობაჲ, მისცეს ხარჯი მოქალაქეთა თანა, მებრ ქონებისა და შეძლებისა, და ესრეთ ივაჭრონ, ვისცა ნებავდეს. ხოლო პურისა, ღვინისა და ესევითართა მომფარდველთა და განმფარდველთა მისცენ ხარჯი ჰამქართა თანა, და უკეთუ არა ნებავდესთ ამისი ქმნაჲ, მაშინ პური მიჰყიდოს მეპურესა და ღვინო - სირაჯთა; ხოლო სხვათა ზედან, გარდა ამათთა, ვერ იკადროს განვაჭრეებაჲ (!), ამად ვინათგან იგინი აძლევენ ჰ(ა)მქრისა ხარკსა." იხილეთ: ფურცელაძე, დ. (რედაქტორი). (1964). *სამართალი ბატინისშვილის დავითისა.* 202-203.

მნიშვნელობა ენიჭებოდა, თავის მიმიმოხილვაში იგი მიუთითებს, კახეთში მოქმედი გადასახადების სახით, პურის და ღვინის (კოდისპური და კულუხი) არსებობას, თან არა როგორც ფიქსირებული გადასახადების სახით, არამედ მოსავლის ზომის გათვალისწინებით.[271] ამავე წყაროშივე მითითებულია მეტად მნიშვნელოვანი გარემოება, ჩამოთვლილია იმ პირთა კატეგორია, რომელთა მიმართაც სესხის გაცემა არ იყო ნებადართული, ეს აკრძალვა ასევე ვრცელდებოდა მთვარლ მდგომარეობაში მყოფ პირებზე.[272]

XIV-XVIII საუკუნეების პერიოდის ქართული და, ქართულ სამართლებრივ სინამდვილესთან შესაბამისობაში მოყვანილი, უცხოური სამართლის ძეგლების მიმოხილვის შემდგომ, დგინდება შემდეგი გარემოებები:

1. ამ პერიოდისთვის არსებობდა ღვინის მოხმარების მაღალი კულტურა, რასაც სამართლის ძეგლებში ღვინის მოხმარების, სუფრის ეტიკეტის, და სტუმრის მიმართ არამართლზომიერი მობყრობის ქმედების აღწერა ადასტურებს.

2. ღვინო გვევლინება როგორც გადასახადის გადახდის ინსტრუმეტნი.

3. ფრაგმენტულად, თუმცა მაინც გვაქვს, ღვინის ხარისხის კონტროლის ღონისძიებათა აღწერა, დეგუსტაციის ჩათვლით.

4. გვაქვს ასევე ალკოჰოლის მოხმარების შეზღუდვის და სიმთვრალის, როგორც არაქმედითუნარიანად აღიარების, საკმარისი პირობის მაგალითები.

5. ყველა ეს გარემოება მიუთითებს ანექსიამდელი საქართველოს მაღალ სამარალშემოქმედებით კულტურაზე. ამას ამყარებს ის ფაქტიც, რომ რუსეთში იძულებით გადასახლების შემდეგ, დავით ბატონისშვილი არ წყვეტს სამართალშემოქმედებით საქმიანობას და ცდილობს ქვეყნის კულტურის წარმოჩენას დამპყრობლის წინაშე.

---

[271] ტექსტის რუსული ვერსია შემდეგია: Ст. 261 2. С Кахетии взимаются кодиспури и кулухи, т.е. вином и хлебом, по вышесказанному основанию и смотря по урожаю. იხილეთ: Рогава, А.А. (ред.). (1959). *Багратиони Давид. Обозрение Грузии по части прав и законоведения.* Тб. Изд-во АН ГССР. 267.

[272] ტექსტის რუსული ვერსია შემდეგია: Ст. 414. Малолетним, сумашедшим, / полоумным, подверженным болезнями периодическим, людям, находящимся в пьяном образе, равно заключенным в тюрьмах или в другом каком [нибудь], подобном сему виде, долгов делять не позволяется. იხილეთ: Рогава, А.А. (ред.). (1959). *Багратиони Давид. Обозрение Грузии по части прав и законоведения.* 291.

4.2 საქართველოს ღვინის წარმოების რეგულაციები XX საუკუნის დასაწყისიდან, ვიდრე 1950-იან წლებამდე

XX საუკუნის დასაწყისიდან, ვიდრე 1950-იან წლებამდე პერიოდის განმავლობაში, საქართველოს საფრანგეთთან, იტალიასთან და ესპანეთთან შედარებისას, უნდა აღინიშნოს, რომ იმ დროს ქვეყანა არ იყო დამოუკიდებელი სახელმწიფო.

1801 წელს საქართველოს სამეფომ (ქართლ-კახეთის სამეფო) დაკარგა სუვერენიტეტი, რუსეთის იმპერიის მიერ ანექსიის შედეგად.[273] ანექსიიდან 117 წლის შემდეგ, 1918 წლის 26 მაისს ქვეყანამ თავი დამოუკიდებელ დემოკრატიულ რესპუბლიკად გამოაცხადა,[274] მაგრამ ეს დამოუკიდებლობა ხანმოკლე იყო, 1921 წლის თებერვალ-მარტში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში შემოიჭრა საბჭოთა რუსეთის წითელი არმია და 1922 წელს ქვეყანა გახდა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა. საქართველო საბჭოთა კავშირს გამოეყო 1991 წლის 9 აპრილს, საქართველოს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ გამოცემული „საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტით".[275]

შესაბამისად, ღვინის წარმოების იმდროინდელ რეგულაციებზე საუბრისას, ჩვენ ისინი უნდა განვიხილოთ რუსეთის იმპერიის და შემდეგ - საბჭოთა კავშირის რეგულაციების ჭრილში, რომლებიც პირდაპირ თუ ირიბად გავლენას ახდენდნენ საქართველოზე.[276]

აღსანიშნავია რომ, საქართველოში პირველი ევროპული სტილის ღვინის წარმოება დაიწყო XIX საუკუნეში, კახეთში, უფრო ზუსტად კი, - წინანდალში,

---

[273] Gvosdev, N. K. (2000). *Imperial Policies and Perspectives towards Georgia, 1760–1819*. Macmillan Press Ltd, London. 85; იხილეთ ასევე Mikaberidze, A. *The Napoleonic Wars: A Global History.* Oxford University Press. (2020). 373; Авалов, З. (1901). *Присоединение Грузии к России.* Тип. А.С. Суворина, С. Петербург. 186; Suny, R. G. (1994). *The Making of the Georgian Nation.* 2nd edn Indiana University Press. 64; Parsadanishvili, (2021). 137;

[274] Rayfield, D. (2012). *Edge of Empires: A History of Georgia.* Reaktion Books London. 329; იხილეთ ასევე: Suny, (1994). 191-192, 322, 327; Kazemzadeh, F. (1951). *The struggle for Transcaucasia: (1917 - 1921).* Philos. Library Ronald. 120, 123-124; Parsadanishvili, (2021). 137;

[275] Rayfield, (2012). 339; იხილეთ ასევე Suny, (1994). 192, 322, 327; Raic, D. (2002). *Statehood and the Law of Self-Determination.* Martinus Nijhoff Publishers. 380; Walter, C., Ungern-Sternberg, A., Abushov, K. (eds). (2014). *Self-Determination and Secession in International Law*. Oxford University Press. 121. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი. აღნიშნული აქტი ხელმისაწვდომია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდზე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/32362?publication=0> 09.07.2020 მდგომარეობით; Parsadanishvili, (2021). 137;

[276] Parsadanishvili, (2021). 137;

ალექსანდრე ჭავჭავაძის მამულში, როდესაც მან ააშენა საქართველოში პირველი უდიდესი ღვინის ქარხანა.[277] ასევე წინანდალი არის ადგილი, სადაც 1841 წელს პირველად ჩამოისხა ქართული ღვინო.[278]

როგორც საფრანგეთის და, მოგივანებით, ესპანეთის შემთხვევაში, 1850-იან წლებში საქართველოშიც გავრცელდა ფილოქსერა და მევენახეობის სხვა დაავადებები. რუსეთის იმპერიაში ეს დაავადებები ჯერ ყირიმში გაჩნდა, შემდეგ კი, შავი ზღვის პორტების გავლით, თანდათან, გავრცელდა ქვეყნის დასავლეთ ნაწილში, დაწყებული აფხაზეთიდან და შემდეგ - მთელ საქართველოში. კიდევ ერთი გარემოება, რომელიც ხელს უწყობდა ამ დაავადებების გავრცელებას, იყო ევროპული (ფრანგული და უნგრული) ვაზის ჯიშების გაშენება საქართველოში, რასაც, ძირითადად, გერმანელი კოლონისტები ახორციელებდნენ, ასევე ევროპის და რუსეთის ახალი მიწათმფლობელები. საქართველოში ვაზის ფრანგული ჯიშების გავრცელების საქმეში უდიდესი წვლილი შეჰქონდა ასევე კავკასიის მეფისნაცვალ ვორონცოვს. იმ დროს ფილოქსერამ და სხვა დაავადებებმა იმდენად ძლიერად დააზიანა ქვეყნის ვენახები, რომ ვაზის ზოგიერთი ადგილობრივი ჯიში გადაშენდა.[279]

ამ პრობლემის გადასაჭრელად კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების ძალისხმევს შედეგად, იმისთვის, რომ აკრძალულიყო ვაზის საძირეების, მცენარეებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო მასალების შემოტანა

---

[277] Goldstein, D. (1999). *The Georgian Feast: The Vibrant Culture and Savory Food of the Republic of Georgia.* University of California Press. 53. იხილეთ ასევე: "Tsinandali Estate" <http://tsinandali.ge/en/museum/history> 13.05.2020 მდგომარეობით; "Tsinandali wine brought back to life – The first bottled Georgian wine" <https://www.georgianjournal.ge/business/32883-tsinandali-wine-brought-back-to-life-the-first-bottled-georgian-wine.html> 13.05.2020 მდგომარეობით; "Wine Route of Georgia" <http://culturalroutes.gov.ge/Routes/saqartvelos-kulturuli-marshrutebi/KAKHETI-WINE-TOUR.aspx?lang=en-US> 13.03.2020 მდგომარეობით; Parsadanishvili, (2021). 138;

[278] "Tsinandali Estate"<http://tsinandali.ge/en/museum/history> 13.05.2020 მდგომარეობით; იხილეთ ასევე: "Tsinandali wine brought back to life – The first bottled Georgian wine" <https://www.georgianjournal.ge/business/32883-tsinandali-wine-brought-back-to-life-the-first-bottled-georgian-wine.html> 13.05.2020 მდგომარეობით; "Wine Route of Georgia" <http://culturalroutes.gov.ge/Routes/saqartvelos-kulturuli-marshrutebi/KAKHETI-WINE-TOUR.aspx?lang=en-US> 13.05.2020 მდგომარეობით; Parsadanishvili, (2021). 138;

[279] სიჭინავა, ვ.ნ. (1960). *მასალები მევენახეობისა და მეღვინეობის ისტორიისათვის საქართველოში.* საბჭოთა საქართველო, თბილისი. 150-152. იხილეთ ასევე: ჩოლოყაშვილი, ს. (1912). *ფილოქსერა და მასთან ბრძოლა.* ელექტრომბეჭ. ს.მ. ლოსაბერიძისა. 5; Очеть о деятельности Тифлисскаго Губернскаго Комитета Виноградарства и Виноделія за 1913 годь, (Тип. Тифлиской губерной №2 Тюрьмы, Тифлись 1914) 7-8. Digital versions are available at: National Parlamentary Library of Georgia <http://dspace.nplg.gov.ge> 25.05.2020 მდგომარეობით; Georgian wine Club <http://www.vinoge.com/Books> 25.05.2020 მდგომარეობით; Parsadanishvili, (2021). 138;

კავკასიაში, ასევე შეზღუდულიყო მცენარეების გავრცელება შავი ზღვის სხვადასხვა რაიონში და შექმნილიყო, ამ საკითხებზე მომუშავე, სპეციალური კომისია, გამოიცა კავკასიის მეფისნაცვლის უზენაესი ადმინისტრაციის 1881 წლის 30 მარტის ბრძანება. ეს აქტი კრძალავდა მცენარეების იმპორტს, როგორც სახმელეთო, ისე აზოვისა და შავი ზღვის პორტებით. მოგვიანებით, 1881 წლის 27 დეკემბერს, დაარსდა კავკასიის ფილოქსერას კომიტეტი, რომელიც წლების განმავლობაში, ამზადებდა მოხსენებებს ცალკეულ რაიონებში ვენახების მდგომარეობის შესახებ. იგი ასევე ზედამხედველობდა ვენახებსა და ბაღებს, რამაც ხელი შეუწყო სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის გარკვეულ ღონისძიებებზე შეზღუდვების დაწესებას, მევენახეობის დაავადებების გავრცელების თავიდან აცილების მიზნით.[280]

1912 წელს შეიქმნა ტფილისის გუბერნიის მევენახეობა-მეღვინეობის კომიტეტი, მაგრამ მისი მთავარი მიზანი მაინც იყო ვენახების დაცვა ფილოქსერისგან, განსაკუთრებით, - კახეთის რეგიონში.[281]

1914 წლის 24 აპრილს შეიქმნა პირველი კანონი რუსეთის იმპერიის მეღვინეობის შესახებ. ეს კანონი შეიცავდა ტექნიკურ რეგლამენტს – „ყურძნის ღვინის დაყენების, შენახვისა და რეალიზაციის წესებს“ („Правила о выделке, хранении и продаже виноградного вина“). კანონი ადგენდა ღვინის დაყენების წესებს, ღვინოები უნდა წარმოებულიყო მხოლოდ ახალი ან გადამწიფებული (მაგრამ არა

[280] Очеть о Действияхь Кавказскаго Филоксернаго Комитета сь Декабря 1880 года, по 1-е Апреля 1882 года, (Тип. А.А. Михельсона, Тифлись 1882) 5-9. იხილეთ ასევე: Очеть Господину Министру Государственныхъ Имуществъ о деятельности Кавказскаго Филоксернаго комитета въ 1883 году, (Тип. Канцеляріи Гдавноначальствующаго гражданскою частію на Кавказе, Тифлись 1884) 7-8; Очеть Господину Министру Земледелія и Государственныхъ Имуществъ о деятельности Кавказскаго Филоксернаго комитета въ 1893 году сь картами виноградниковь Кутаисской и Тифлисской губерній, (Тип. К.Ц. Козловскаго, Тифлись 1894) 10-12; Очеть Господину Министру Земледелія и Государственныхъ Имуществъ о деятельности Кавказскаго Филоксернаго комитета въ 1895 году сь картами виноградниковь Кутаисской и Тифлисской губерній, (Тип. К.Ц. Козловскаго, Тифлись 1896) 5-15. Digital versions are available at: National Parlamentary Library of Georgia <http://dspace.nplg.gov.ge> 25.05.2020 მდგომარეობით; Georgian wine Club <http://www.vinoge.com/Books> 25.05.2020 მდგომარეობით; Parsadanishvili, (2021). 138;

[281] Очеть о деятельности Тифлисскаго Губернскаго Комитета Виноградарства и Виноделія за 1913 годь, (Тип. Тифлисской губерной №2 Тюрьмы, Тифлись 1914) 9. ციფრული ვერსია ხელმისაწვდომია ვებგვერზე: National Parlamentary Library of Georgia <http://dspace.nplg.gov.ge> 25.05.2020 მდგომარეობით; Georgian wine Club <http://www.vinoge.com/Books> 25.05.2020 მდგომარეობით. Самохвалов, Н. Ф. (ред.). (2003). *Губернии Российской Империи. История и руководители. 1708-1917.* Объединенная редакция МВД России. 372. იხილეთ ასევე: Полное собрание законов Российской империи, собрание 2-е, т. XXIV, ук. 23.303 311; Parsadanishvili, (2021). 139;

გამომშრალი) ყურძნის წვენის დუღილით. აკრძალული იყო ნებისმიერი სახის ხილის წვენის, წყლის ან ალკოჰოლის დამატება (გარდა - შემაგრებული ღვინისა).[282]

უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს კანონი საქართველოში ღვინის წარმოებასაც შეეხო, თუმცა ჩვენს მიერ მოძიებულ წყაროებში არ არის მითითებული, მოყვა თუ არა ამ კანონის შემოღებას, რაიმე იურიდიული შედეგები. აქედან გამომდინარე, შესაძლოა, რომ აღნიშნული კანონი ისეთივე ფორმალურ ხასიათს ატარებდა, როგორც საფრანგეთის მიერ 1905 წელს შემოღებული პირველი კანონი, AO-ს შესახებ, რომელიც, იმის გამო რომ, ეხებოდა მხოლოდ ყალბი ეტიკეტირების პრობლემას, არ იყო ეფექტური, ფალსიფიკაციასთან ბრძოლის საქმეში.

საბჭოთა ეპოქაში მევენახეობა-მეღვინეობის განვითარებაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონია 1936 წლის 28 ივლისის საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ორგბიუროს დადგენილებამ საბჭოთა შამპანურის, სადესერტო და სუფრის ღვინოების წარმოების შესახებ. „მასანდრა“ („О производстве советского шампанского, десертных и столовых вин „Массандра“) და 1937 წლის 5 თებერვლის საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებამ საბჭოთა შამპანურის და მაღალი ხარისხის სადესერტო ღვინოების სანედლეულო ბაზის გაფართოების შესახებ („О расширении сырьевой базы для производства советского шампанского и высококачественных десертных вин").[283]

როდესაც 1936 წლის დადგენილება გამოიცა, დაგეგმილი იყო შამპანურის წარმოების 60-ჯერ გაზრდა, 1937 წლიდან, ვიდრე 1941 წლამდე ხუთწლედის პერიოდში. მიზანი იყო მასებისთვის იაფი პროდუქტის წარმოება, რისთვისაც, ზოგიერთ ძველ მეღვინეობაში, კვლავ დარჩა შამპანურის დამზადების კლასიკური

---

[282] Дмитрий Ковалёв, О российском винном законодательстве. Историческая справка <http://rusvina.ru/wineopedia/spravka/index.php?SECTION_ID=8&ELEMENT_ID=639> 19.05.2020 მდგომარეობით. იხილეთ ასევე: Законодательство о вине <https://eniw.ru/zakonodatelstvo-o-vine.htm> 17.04.2020 მდგომარეობით; Закон Российской Империи о виноградном вине от 24 апреля 1914г. <http://rusvina.ru/wineopedia/spravka/index.php?SECTION_ID=8&ELEMENT_ID=631> 19.05.2020 მდგომარეობით; Закон о виноградном вине и его применение <https://www.litres.ru/a-shahnazarov/zakon-o-vinogradnom-vine-i-ego-primenenie> 19.05.2020 მდგომარეობით; Parsadanishvili, (2021). 139;

[283] Законодательство о вине <https://eniw.ru/zakonodatelstvo-o-vine.htm> 17.04.2020 მდგომარეობით. იხილეთ ასევე: Лебина, Н. (2018). *Советская повседневность. Нормы и аномалии. От военного коммунизма к большому стилю.* Новое литературное обозрение. xxxv; Лебина, Н. (2019). *Пассажиры колбасного поезда. Этюды к картине быта российского города: 1917–1991.* Новое литературное обозрение. xxxv-xxxvi; Шампанское Производство в СССР <http://www.str-filling.com.ua/shampanskoe-proizvodstvo-v-sssr/> 19.05.2020 მდგომარეობით; Parsadanishvili, (2021). 139;

მეთოდი და, ამავდროულად, დაიწყო წარმოების უფრო იაფი და სწრაფი გზების შემუშავება.[284]

საბჭოთა შამპანურის სანედლეულო ბაზის გასაფართოებლად მოლდოვაში, უკრაინაში, ჩრდილოეთ კავკასიასა და საქართველოში გაშენდა შამპანურის დასამზადებისთვის შესაფერისი ვაზის ახალი ნარგაობები. ამავდროულად, საბჭოთა კავშირის ზოგიერთ რესპუბლიკაში, მევენახეობა-მეღვინეობის საკავშირო კვლევითმა ინსტიტუტმა - „მაგარაჩმა“ ჩაატარა კვლევა შამპანურის წარმოებისთვის შესაფერის ვაზის ადგილობრივ ჯიშებზე და, შედეგად, აღმოაჩინა ვაზის ცალკეული ჯიშები. საქართველოში ასეთი ადგილობრივი ვაზის ჯიშები იყო: ციცქა, ჩინური და გორული მწვანე.[285]

1940 წელს ყირიმის ინსტიტუტი გახდა მევენახეობა-მეღვინეობის საკავშირო კვლევითი ინსტიტუტი „მაგარაჩი“. ამ დროიდან, ინსტიტუტი იქცა საბჭოთა კავშირში მევენახეობა-მეღვინეობის მთავარ სამეცნიერო ცენტრად და 1942 წლიდან, ვიდრე 1953 წლამდე ინსტიტუტის არაერთი ფილიალი დაარსდა, 1943 წელს აღნიშული ინსტიტუტის შემადგენლობაში საქართველოს ფილიალიც შედიოდა. ამრიგად, ინსტიტუტი მოიცავდა საბჭოთა კავშირის მეღვინეობისა და მევენახეობის რეგიონების უმეტეს ნაწილს.[286]

მაგრამ, როგორც ირკვევა, „მაგარაჩის“ ინსტიტუტისთვის საბჭოთა კავშირის მევენახეობა-მეღვინეობის მთავარი კვლევითი ინსტიტუტის უფლებამოსილების მინიჭებამდე, პირველი საბჭოთა ქვეყანა, სადაც დაარსდა საბჭოთა კავშირის მევენახეობა-მეღვინეობის ინსტიტუტი, იყო საქართველო. ათი წლით ადრე, 1930 წელს, მევენახე სოლომონ ჩოლოყაშვილის ძალისხმევით, თბილისში დაარსდა მევენახეობა-მეღვინეობის საკავშირო სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი. ამ

---

[284] Лебина, (2018). xxxv. იხილეთ ასევე: Лебина, (2019). xxxv-xxxvi; Parsadanishvili, (2021). 139; მასანდრა არის ყირიმის ნახევარკუნძულის სამხრეთ სანაპიროზე არსებული ქალაქის ტიპის დასახლების სახელწოდება. (ხაზგასმა დამატებულია - ნიკოლოზ ფარსადანიშვილი).

[285] Шампанское Производство в СССР <http://www.str-filling.com.ua/shampanskoe-proizvodstvo-v-sssr/> 19.05.2020 მდგომარეობით. იხილეთ ასევე: Значение качества винограда для производства советского шампанского <http://wine.historic.ru/books/item/f00/s00/z0000026/ st016.shtml> 19.05.2020 მდგომარეობით; History <http://magarach-institut.ru/istorija/> 20.05.2020 მდგომარეობით; Parsadanishvili, (2021). 139-140;

[286] History <http://magarach-institut.ru/istorija/> 20.05.2020 მდგომარეობით. მანამდე, 1931 წელს, დაწესებულებას ერქვა ყირიმის ზონის მევენახეობა-მეღვინეობის ექსპერიმენტული სადგური, ხოლო 1936 წელს ღვინის წარმოების მაგარაჩის საკავშირო კვლევითი სადგური, 1828 წელს, ნიკიცკის ბოტანიკურ ბაღში დაარსებული მევენახეობის ექსპერიმენტული დაწესებულების "მაგარაჩის" მემკვიდრე. Ibid; Parsadanishvili, (2021). 140;

ინსტიტუტს ევალებოდა საბჭოთა კავშირის ყველა მეღვინეობის რესპუბლიკაში მევენახეობა-მეღვინეობის სფეროში სამეცნიერო კვლევების ჩატარება. მოგვიანებით, იგი გადაკეთდა ამიერკავკასიის ინსტიტუტად,[287] და შემდეგ - ქართულ ინსტიტუტად.[288]

გვიან 1950-იან წლებამდე, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი იოსებ სტალინი, დაინტერესდა საქართველოში გარკვეული სახის ღვინის წარმოებით, ეს ფაქტი ასახულია საქართველოს კომპარტიის პირველი მდივნის კანდიდ ჩარკვიანის მოგონებებში. სტალინმა მას უბრძანა, ჩაეტარებინა ექსპერიმენტები და დაერგო დასავლეთ საქართველოს ვაზის ჯიშები, ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილში, მეღვინეობის ცალკეული ტერიტორიების საზღვრების გაფართოების მცდელობის მიზნით, რათა გაზრდილიყო გარკვეული ღვინოების წარმოების მოცულობები. ამით სრულიად უგულებელყოფილი იყო ის გარემოება, რომ ქვეყნის სხვადასხვა რეგიონის ვაზის ჯიშები ადაპტირებულა კონკრეტულ ღვინის წარმოების ზონებთან და, რომ დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ვაზის ჯიშები სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლივობითაც განსხვავდება ერთმანეთისგან. სტალინის მთავარი არგუმენტი ამ შემთხვევაში იყო ის, რომ, თუკი ფრანგული ვაზი კაბერნე სოვინიონი, სრულყოფილად ადაპტირდა კახეთში ან მუსკატი, რომელიც ყირიმში შესანიშნავ ღვინოს იძლეოდა, რატომ ითვლებოდა შეუძლებლად ვაზის ჯიშების დარგვა და ადაპტაცია ქვეყნის ერთი რეგიონიდან მეორეში. საბოლოოდ, ამ ექსპერიმენტებმა ვერ მიიღო მოსალოდნელი შედეგები. იმ დროს კიდევ ერთი აქცენტი კეთდებოდა ღვინის წარმოების გაზრდაზე იმ ვაზის სახეობების იძულებით გაშენების ხარჯზე, რომლებსაც შეეძლოთ დიდი მოსავლის მიღება, თუნდაც ამისთვის საჭირო გამხდარიყო დაბალმოსავლიანი ვაზის ჯიშების ამოძირკვა, განხილვის საგანს ასევე წარმოადგენდა ჰიბრიდული ვაზის ჯიშების ამოძირკვა.[289]

---

[287] სოლომონ ჩოლოყაშვილი <http://www.nplg.gov.ge/bios/ka/00006533/> 20.05.2020 მდგომარეობით. In later years Solomon Cholokashvili also was a member of the editorial colleague of "Ampelography of Sovien Union". Ibid. იხილეთ ასევე: ჭანტურია, ვ. (1965). *აკადემიკოსი სოლომონ ჩოლოყაშვილი.* გამომცემლობა საბჭოთა საქართველო, თბილისი. 11; Parsadanishvili, (2021). 140;

[288] ჭანტურია, ვ. (1965). 11. იხილეთ ასევე: როგორ ისწავლება მეღვინეობა საქართველოში? <https://edu.aris.ge/news/rogor-iswavleba-mervineoba-saqartvelosi.html> 20.05.2020 მდგომარეობით; Parsadanishvili, (2021). 140;

[289] ჩარკვიანი, კ. (2015). *სტალინთან ურთიერთობის ეპიზოდები.* გამომცემლობა არტანუჯი, თბილისი. 109-116. იხილეთ ასევე: ჩარკვიანი, გ. (2013). *ინტერვიუ მამასთან.* გამომცემლობა

იმის გათვალისწინებით, თუ რამდენად ცენტრალიზებული იყო იმ დროს საბჭოთა კავშირში ხელისუფლების ორგანოები, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ უმაღლეს დონეზე, 1950-იანი წლებისთვისაც კი, არ მიიჩნეოდა ღვინის სპეციფიური ზონები არსებით ფაქტორად, საქართველოში ხარისხობრივი ღვინის წარმოების საქმეში და არც ვაზის ჯიშური მრავალფეროვნება იყო იმ ეპოქის პრიორიტეტული.[290]

1956 წელს ღვინის წარმოება განვითარების ახალ ეტაპზე გადავიდა. კომუნისტურმა პარტიამ და მთავრობამ გადაწყვიტა გარკვეული სამრეწველო ობიექტების, მათ შორის - მეღვინეობის ობიექტების მართვის უფლებამოსილება საბჭოთა რესპუბლიკებისთვის გადაეცათ.[291]

XX საუკუნის დასაწყისიდან, ვიდრე 1950-იან წლებამდე პერიოდის საქართველოში, რეგულაციათა განხივისას, მნიშნველოვანია ავღნიშნოთ რომ:

1. ამ პერიოდისთვის შეუძლებელი იყო, ქვეყანას დამოუკიდებლად მიეღო გადაწყვეტილებები საკუთარი ღვინის წარმოების რეგულაციებთან ან იმდროინდელ ნებისმიერ საქმიანობასთან დაკავშირებით, რადგან ქვეყანა ანექსირებული იყო ჯერ რუსეთის იმპერიის, შემდეგ კი - საბჭოთა კავშირის მიერ. ამგვარად, ღვინის რეგულაციების თვალსაზრისით, არაფერი არსებობდა, თუ არა ჩავთვლით რუსეთის იმპერიის და, მოგვიანებით, საბჭოთა კავშირის უმაღლესი ხელისუფლების რეგულაციებს. მაგრამ ეს სამართლებრივი აქტები, ევროპულ და, განსაკუთრებით - საფრანგეთის რეგულაციებითან შედარებით, არასაკმარისი იყო მეღვინეობის ცალკეული ზონების ან გარკვეული ტიპის ღვინის დასაცავად.[292]

2. საკუთარი რეგულაციების არარსებობის მიუხედავად, გარკვეული ძალისხმევების წყალობით, მაინც მოხერხდა მევენახეობა-მეღვინეობის კვლევითი ინსტიტუტის დაარსება, რომელიც იყო ამ ტიპის პირველი დაწესებულება მთელ საბჭოთა კავშირში, რამაც საქართველო არამარტო საბჭოთა კავშირის პირველ

არტანუჯი, თბილისი. 80; თელიანი <http://georgianwine.gov.ge/Ge/Wine/7> 04.06.2020 მდგომარეობით. “Teliani” is an AOC red dry wine, made with Cabernet Sauvignon. Ibid; Parsadanishvili, (2021). 140-141;

[290] Parsadanishvili, (2021). 140-141;

[291] История Виноградарства и Виноделия СССР <http://www.str-filling.com.ua/istorija-vinogradarstva-i-vinodelija-sssr/> 19.05.2020 მდგომარეობით. იხილეთ ასევე: Дмитрий Ковалёв, О российском винном законодательстве. Историческая справка <http://rusvina.ru/wineopedia/spravka/index.php?SECTION_ID=8&ELEMENT_ID=639> 19.05.2020 მდგომარეობით; Parsadanishvili, (2021). 141;

[292] იხილეთ ასევე: Parsadanishvili, (2021). 141;

ქვეყანად აქცია, რომელსაც ასეთი კვლევითი ინსტიტუტი გააჩნდა, არამედ დამოუკიდებელ ევროპულ ქვეყნებთან შედარების შემთხვევაშიც კი, პირველ ქვეყნად შეიძლება ჩაითვალოს, რადგან საქართველოში მევენახეობა-მეღვინეობის კვლევითი ინსტიტიუტი 1930 წელს დაარსდა, ხოლო თვით საფრანგეთში - 1935 წელს CNAO სახით. რა თქმა უნდა, ეს ორი ინსტიტუტი ერთმანეთისგან, ფუნქციებით, მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა, და ფრანგები ხარისხობრივი ღვინის სტანდარტების შემუშავება-დაცვაზე იყვნენ ორიენტირებულნი, მაგრამ ორივე დაწესებულება, ქართული მევენახეობა-მეღვინეობის კვლევითი ინსტიტიუტი და ფრანგული CNAO, მევენახეობა-მეღვინეობის სფეროში კვლევების ჩატარების მიმართულებით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ საერთო იდეას იზიარებდნენ.

3. და ბოლოს, ანექსიამდელი და ანექსიის შემდგომი პერიოდების ისტორიულ-სამართლებრივი შედარებისას, ნათლად ჩანს ქვეყნის კანონშემოქმედებითი საქმიანობის სრული დეგრადაცია, ის რეგულაციები, რასაც დამპყორბელი ავრცელებდა ქვეყანაზე, ნამდვილად ვერ პასუხობდა თანამედროვე მოთხოვნებს, განსხვავებით იმ პერიოდისა, როცა ქვეყანა დამოუკიდებლად ქმნითა უნიკალურ სამართლის ძეგლებს და ევროპულ გამოცდილებასაც იზიარებდა.

V. ღვინის წარმოების რეგულაციები ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობიდან ვიდრე ევროკავშირამდე

ევროპის ქვეყნები დამოუკიდებლად ავითარებდნენ საკუთარი მეღვინეობის ტრადიციებს, მე-20 საუკუნის შუა ხანებამდე, როდესაც ღვინის საერთაშორისო ვაჭრობამ დიდი მნიშვნელობა შეიძინა. ფალსიფიკაცია კვლავ მთავარ პრობლემად რჩებოდა, სხვა ქვეყნების ღვინის მწარმოებლებმა დაიწყეს ცნობილი რეგიონების სახელების გამოყენება თავიანთი ღვინოების აღსაწერად, შესაბამისად ადგილწარმოშობის დასახელებათა თაღლითური გამოყენება ჩვეულებრივ პრაქტიკად იქცა, რადგან ზოგიერთმა ღვინის მწარმოებელმა შენიშნა, რომ მის ღვინოებთან შედარებით, ადგილწარმოშობის დასახელების ღვინოებს მეტი მოგება მოჰქონდათ, მიუხედავად იმისა, რომ ღვინოების დაყენებაში ჩადებული შრომა იდენტური იყო. [293] ამ პრაქტიკით აღშფოთებულმა ადგილწარმოშობის დასახელების რეგიონების მეღვინეებმა დაიწყეს საჩივრების შეტანა ფალსიფიკატორ მწარმოებელთა ქვეყნის სასამართლოებში. ამის ერთ-ერთი ნათელი მაგალითია საფრანგეთის მიერ 1958 წელს ბრიტანეთის სისხლის სამართლის სასამართლოში შეტანილი სარჩელი, ბრიტანელი იმპორტიორის მიერ ესპანეთიდან ღვინის სახელწოდებით „ესპანური შამპანური“ შემოტანის აკრძალვის შესახებ. ვინაიდან ბრიტანეთი იმ პერიოდისთვის არ აღიარებდა ფრანგულ AOC სისტემას, მოპასუხე მხარე უდანაშაულოდ ცნეს.[294] მაგრამ ერთი წლის შემდეგ, ფრანგულმა შამპანურის მწარმოებელმა კომპანიებმა წარმატებას მიაღწიეს იმავე ბრიტანელ იმპორტიორთან მიმართებით, უზენაესი სასამართლოს კანცელარიის განყოფილებში (Chancery Division of the High Court of Justice). ამჯერად მხედველობაში იქნა მიღებული სახელწოდება „შამპანური“-ის დაცვის უფლება და მომხმარებელთა მოტყუების შესაძლებლობა, შესაბამისად აიკრძალა სარეალიზაციო მიზნებისთვის ტერმინ "შამპანური"-ით პროდუქციის სახელდება.[295] ამ შემთხვევამ შექმნა ძლიერი პრეცედენტი საერთაშორისო ბაზრებზე.[296]

---

[293] Unwin, T. (1991). *Wine and the Vine: An Historical Geography of Viticulture and the Wine Trade.* 311, 313. იხილეთ ასევე: Munsie, (2002). 17-18.
[294] Unwin, (1991). 319. იხილეთ ასევე: Munsie, (2002). 18.
[295] Unwin, (1991). 319. იხილეთ ასევე: Munsie, (2002). 18.
[296] Munsie, (2002). 18.

1957 წელს რომის ხელშეკრულების ხელმოწერამ და ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობის (European Economic Community - EEC) შექმნამ გამოიწვია მკვეთრი ცვლილებები ევროპის ღვინის წარმოებაში.[297] რომის ხელშეკრულება ცდილობდა განეხორციელებინა ისეთი რამ, რაც მანამდე არ არსებობდა: სავაჭრო ბარიერების აღმოფხვრა და საერთაშორისო ბაზრის დაარსება.[298] ამ პერიოდისთვის ევროპის ბევრი ქვეყანა მკაცრად ზღუდავდა ან კრძალავდა იმპორტს, იმ ფონზე როცა თავად ცდილობდა საქონლის ექსპორტს. არსებობდა გარკვეული ორმხრივი შეთანხმებები, მაგრამ ამ შეთანხმებების შესრულება მუდმივად ფერხდებოდა საბაჟო, სააქციზო თუ სხვა გადასახადების შემოღებით.[299]

რომის ხელშეკრულების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო ის, რომ მან შემოიღო ერთიანი სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკა, რომელიც ეხებოდა პროდუქციის ფართო სპექტრს, მათ შორის ღვინოს. ამ პოლიტიკის მიზნებს განეკუთვნებოდა: სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობის ამაღლება, საზოგადოებისთვის ცხოვრების სამართლიანი სტანდარტის უზრუნველყოფა, ბაზრების სტაბილიზაცია, მარაგებზე ხელმისაწვდომობისა და მათი მომხმარებლამდე გონივრულ ფასებში მიწოდების უზრუნველყოფა.[300]

ექვსი ქვეყანა - ბელგია, საფრანგეთი, გერმანია, იტალია, ლუქსემბურგი და ნიდერლანდები - იქცნენ ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობის დამფუძნებელი ქვეყნებად. [301] მაგრამ, ამ ქვეყნების გაერთიანებისას მთავარი პრობლემა, რომელიც უნდა გადაჭრილიყო, იყო საფრანგეთისა და იტალიის ღვინის მრეწველობის ინტეგრაცია, რადგან ისინი იყვნენ ღვინის უმსხვილესი მწარმოებელი ქვეყნები, თუმცა საფრანგეთი და იტალია ღვინის წარმოების ორგანიზების თვალსაზრისით, მკვეთრად განსხვავდებოდა ერთმანეთისგან.[302]

---

[297] EC Treaty (Treaty of Rome, as amended) პრეამბულა. ციფრული ვერსია ხელმისაწვდომია ვებგვერზე EUR-Lex <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=celex%3A11957E%2FTXT> 07.01.2021 მდგომარეობით. იხილეთ ასევე: Munsie, (2002). 18.

[298] EC Treaty (Treaty of Rome, as amended) პრეამბულა. იხილეთ ასევე: Munsie, (2002). 18.

[299] Niederbacher, (1983). 33. Munsie, (2002). 19.

[300] EC Treaty (Treaty of Rome, as amended) მუხლი 39. იხილეთ ასევე: Munsie, (2002). 19.

[301] Munsie, (2002). 19; Meloni, Swinnen, (2013). 264.

[302] Unwin, (1991). 321. იხილეთ ასევე: Munsie, (2002). 19. Meloni, Swinnen, (2013). 264. Wine was a valuable product, especially in France and Italy, both of which were major wine exporters. Italy and France produced 49 % and 47 % EEC wine supply, respectively, for a total of 96 percent; West Germany produced the remaining 4%. Ibid.

უმეტეს შემთხვევაში საფრანგეთი იტალისათან შედარებით ბევრად წინ იყო, რადგან საფრანგეთს უკვე გააჩნდა ვენახების დეტალური რეესტრი, ახალი ვაზის გაშენების აკრძალვა, ვენახების კლასიფიკაციის სისტემა ხარისხისა და მკაცრი წესების მიხედვით, ღვინის კლასიფიკაციის სისტემა AOC, VDQS და VCC, ქვეყანას ასევე გააჩნდა ბაზარზე ინტერვენციის ღონისძიებები როგორიცაა: განსაზღვრული დროის განმავლობაში ბაზარზე გასაშვები ღვინის მთლიანი ოდენობის დადგენა და ასევე ქვეყანას ჰქონდა ისეთი ფასების მხარდამჭერი ღონისძიებები, როგორიცაა ღვინის შენახვა ან დისტილაცია, საფრანგეთმა დაუშვა ღვინის დაყენება შაპტალიზაციის გამოყენებით. იტალიაში კი პირიქით, არსებული მიწის რეესტრი მოძველებული იყო და ახალი ვაზის დარგვისთვის სუბსიდიების გაცემა ჩვეულებრივ პრაქტიკას წარმოადგენდა, არ არსებობდა კლასიფიკაციის სისტემა, სტანდარტები ან წესები, არ არსებობდა სპეციალური რეგულაციები ღვინის დასახელების ან მისი ხარისხის დონის შესახებ, თუ არ გავითვალისწინებთ არაზუსტი სახელების ზოგად აკრძალვას, იტალიას არ ჰქონდა ბაზარზე ინტერვენციის ღონისძიებები, შესაბამისად არ იყო შეზღუდვები ბაზარზე გასაშვები ღვინის მთლიან რაოდენობაზე და ხოლო ღვინის ჭარბწარმოებასთან დაკავშირებით არსებული ღონისძიებები საკმაოდ უმნიშვნელო იყო, იტალიას ასევე მკაცრი ჯარიმები ჰქონდა დაწესებული შაპტალიზაციის გამოყენებისთვის.[303]

ამ ორი ქვეყნის რეგულაციათა მოცემული განსხვავებები ქმნიდა შეშფოთებას, რომ საბოლოო ჯამში ეს ყველაფერი გამოიწვევდა ფრანგული ბაზრის გაჯერებას იტალიური ღვინით და შესაბამისად ფრანგულ ღვინოზე ფასების დაცემას, კიდევ ერთი საფრთხე, რაც ფრანგებს ადარდებდათ იყო მათი ვენახების ღირებულების დაცემაც, რადგან ფრანგული ვენახების ღირებულება, იტალიურთან შედარებით გაცილებით მაღალი იყო.[304]

1959 წელს, როდესაც მიღებულ იქნა საერთო საბაჟო ტარიფის აქტი (Common Custom Tariff act), ევროპის ეკონომიკურმა თანამეგობრობამ დაიწყო ღვინის

---

[303] Niederbacher, (1983). 34. იხილეთ ასევე: Munsie, (2002). 20; Meloni, G., Anderson, K. et al. (2019). Wine Regulations. Applied Economic Perspectives and Policy, 41(4), 626. იხილეთ ასევე Josling, (2006). 346. National wine classification systems exist within the EU system, with differences between, for example, the two French wine categories (quality wine is subdivided into VDQS and AOC wines) and the Italian classification, which includes three categories (IGT, DOC, and DOCG) in addition to table wines. Members who do not have a local wine industry are newcomers to GI protection and have bypassed much of the complication. Ibid.

[304] Unwin, (1991). 321. იხილეთ ასევე: Munsie, (2002). 20.

ინდუსტრიის უნიფიცირების პროცესი. მიზანი იყო გარე კონკურენციის შემცირება იმპორტირებულ ღვინოებზე, საბაჟო გადასახადის დაწესებით, ღვინის სახეობების, ალკოჰოლისა და შაქრის შემცველობის მიხედვით.[305]

1962 წელს 24/62 რეგულაციამ (Regulation 24/62 "on the progressive establishment of a common organization of the market in wine") ხელი შეუწყო ღვინის საერთო ბაზრის დაფუძნებას.[306] აღნიშნულმა რეგულაციამ დაადგინა ოთხი ძირითადი დებულება: 1) თითოეულ ქვეყანას უნდა დაეარსებინა ვენახების რეესტრი; 2) ცენტრალურ ორგანოს უნდა ეკონტროლებინა ღვინის წლიური წარმოების დონე; 3) მკაცრი წესები უნდა დაწესებულიყო სპეციფიურ ზონებში წარმოებულ ხარისხობრივ ღვინოებთან დაკავშირებით; 4) რესურსებისა და ბაზრის მოთხოვნების საპროგნოზო შეფასებები ყოველწლიურად უნდა შედგენილიყო.[307]

მიუხედავად იმისა, რომ ღვინის საერთო ბაზრის დაფუძნებას საფუძველი 1962 წელს ჩაეყარა, მისი ნამდვილი ორგანიზება 1970 წლამდე ვერ განხორციელდა, როდესაც საერთო ღვინის პოლიტიკა - Common Wine Policy (შემდგომში CWP) მიღებულ იქნა 816/70 და 817/70 რეგულაციებით. რეგულაცია 816/70 ადგენდა ძირითად დებულებებს, რომლებიც ახდენდნენ ღვინის ბაზრის საერთო ორგანიზებას, ხოლო 817/70 რეგულაცია, თავის მხრივ, განსაზღვრავდა დებულებებს კონკრეტულად ხარისხობრივი ღვინოებისთვის.[308] CWP-ს მიზნები ეფუძნებოდა პროტექციონისტულ მოტივებს: ღვინის ხარისხის ამაღლება, ღვინის მწარმოებლების საარსებო წყაროს დაცვა და სხვა.[309] ყველაზე მნიშვნელოვანია ის,

---

[305] Niederbacher, (1983). 36. იხილეთ ასევე: Munsie, (2002). 20; W.J. Stewart "common customs tariff." Collins Dictionary of Law. 2006. <https://legal-dictionary.thefreedictionary.com/common+customs+tariff> 11.01.2021 მდგომარეობით.

[306] Council Regulation 24/62, პრეამბულა. 1962 O.J. (L 989) 123. ციფრული ვერსია ხელმისაწვდომია ვებგვერზე EUR-Lex <https://eur-lex.europa.eu/legal-content/IT/TXT/?uri=celex:31962R0024> 11.01.2021 მდგომარეობით. იხილეთ ასევე: Munsie, (2002). 20; Meloni, Swinnen, (2013). 248, 266.

[307] Council Regulation 24/62, პრეამბულა, მუხლები 1, 2, 4, 6. 1962 O.J. (L 989) 123-124. იხილეთ ასევე: Unwin, (1991). 321-22; Munsie, (2002). 20. ასევე, გამკაცრდა ადრე მოქმედი პროტექციონისტული ზომები. Ibid. იხილეთ ასევე Spahni, P. (1988) 31-32.

[308] Council Regulation 816/70, 1970 O.J. (L 99) 1. ციფრული ვერსია ხელმისაწვდომია ვებგვერზე EUR-Lex <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/ALL/?uri=CELEX%3A31970R0816> 11.01.2021 მდგომარეობით; Council Regulation 817/70, 1970 O.J. (L 99) 20. ციფრული ვერსია ხელმისაწვდომია ვებგვერზე EUR-Lex <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX:31970R0817> 11.01.2021 მდგომარეობით; იხილეთ ასევე: Unwin, (1991). 322; Spahni, P. (1988) 3; Munsie, (2002). 21; Meloni, Swinnen, (2013). 250, 267.

[309] Unwin, (1991). 323. იხილეთ ასევე: Munsie, (2002). 21.

რომ ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობა მოიაზრებოდა როგორც ერთიანი ბაზარი, სადაც ღვინო უნდა გადაადგილებულიყო ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე.[310]

ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობის მიერ დაფუძნებული CWP უფრო ემხრობოდა შედარებით ლიბერალურ იტალიურ სისტემას, ვიდრე საფრანგეთის ინტერვენციონისტულ მიდგომას, მაგალითად, ახალი ვაზის დარგვა იყო მხოლოდ ხარისხის საკითხი და არა რაოდენობის, როგორც საფრანგეთში.[311] მაგრამ მაინც არსებობდა ინტერვენციული სისტემა, რომელიც მოიცავდა ფასთა სახელმძღვანელოებს, სავალდებულო დისტილაციას და სხვა ღონისძებებს, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში შეიძლება გამოყენებულიყო.[312] მიუხედავად იმისა, რომ ევროპის ეკონომიკურ თანამეგობრობაში საქონლის თავისუფალი გადაადგილება უზრუნველყოფილი იყო საბაჟო და სხვა გადასახადების აკრძალვით, ვაჭრობა თანამეგობრობის არაწევრ ქვეყნებთან უნდა გაკონტროლებულიყო. [313] რეგულაცია 816/70 ასევე განსაზღვრავდა ღვინის წარმოების გარკვეულ ზღვრებს, მაგალითად სუფრის ღვინის ალკოჰოლის მოცულობა უნდა ყოფილიყო 8,5 - 15% [314] შორის და მისი შემაგრება არ დაიშვებოდა.[315] გარდა ამისა, ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობა დაიყო ხუთ ზონად და თითოეული მათგანისთვის ალკოჰოლის მოცულობისა და შაპტალიზაციის მოთხოვნები განსხვავებული იყო.[316]

როგორც ზემოთ აღინიშნა, რეგულაცია 817/70 ფოკუსირდა ხარისხობრივი ღვინის წარმოებაზე, წევრ ქვეყნებში არსებული ღვინის წარმოების ტრადიციული მეთოდების გათვალისწინებით.[317] ამრიგად, თითოეულ წევრ სახელმწიფოს უნდა შეექმნა იმ ვაზის ჯიშების სია, რომლებიც საჭირო იყო განსაკუთრებული ხარისხის ღვინოების დასამზადებლად,[318] თითოეულ ქვეყანას უნდა განესაზღვრა ღვინის

---

[310] Spahni, P. (1988) 3. იხილეთ ასევე: Munsie, (2002). 21.
[311] Niederbacher, (1983). 39. იხილეთ ასევე: Munsie, (2002). 21; Meloni, Swinnen, (2013). 250, 267.
[312] Council Regulation 816/70, Title I. იხილეთ ასევე: Munsie, (2002). 21.
[313] Council Regulation 816/70, მუხლები 8, 31. იხილეთ ასევე: Munsie, (2002). 21.
[314] Council Regulation 816/70, დანართი II. იხილეთ ასევე: Niederbacher, (1983). 42; Munsie, (2002). 21.
[315] Council Regulation 816/70, მუხლი 25. იხილეთ ასევე: Munsie, (2002). 21.
[316] Council Regulation 816/70, მუხლი 18. იხილეთ ასევე: Munsie, (2002). 22.
[317] Council Regulation 817/70, პრეამბულა. იხილეთ ასევე: Munsie, (2002). 22.
[318] Council Regulation 817/70, მუხლი 3. იხილეთ ასევე: Munsie, (2002). 22.

წარმოების მეთოდები, და ასევე მათ მიეცათ უფლება შეექმნათ კანონმდებლობა, რომელიც უფრო მკაცრი იქნებოდა ვიდრე თავად თანამეგობრობის რეგულაციები.[319] ყველა ღვინო უნდა დამზადებულიყო Vitis vinifera-ს სახეობის ვაზის ჯიშის ყურძნიდან და უნდა გაევლო ლაბორატორიული და ორგანოლეპტიკური შემოწმება.[320]

1338/70 რეგულაციამ დაადგინა ვაზის ჯიშების კლასიფიკაციის ზოგადი წესები, რითაც შეავსო CWP. შესაბამისად, ვაზის სახეობები მათი მახასიათებლებისა და გარკვეული რეგიონებისთვის ვარგისიანობის მიხედვით დაიყო სამ კატეგორიად: 1) რეკომენდებული, 2) ავტორიზებული (ნებადართული), 3) დროებით ავტორიზებული (დროებით ნებადართული).[321]

რეკომენდებულ კატეგორიაში შედიოდა ვაზის ის ჯიშები, რომლებიც შესაფერისი იყო მაღალი ხარისხის ღვინის საწარმოებლად. ავტორიზებული კატეგორია მოიცავდა იმ ვაზის სახეობებს, რომლებსაც რეკომენდებულ ჯიშებთან შედარებით ოდნავ დაბალი ხარისხის ყურძნის წარმოება შეეძლოთ. დროებით ავტორიზებული კატეგორია შეიცავდა ისეთ ვაზებს, რომლებსაც ჯერ კიდევ ჰქონდათ გარკვეული ეკონომიკური მნიშვნელობა კონკრეტული რეგიონისთვის.[322] ხარისხობრივი ღვინო უნდა დამზადებულიყო რეკომენდებულ ან ავტორიზებულ კატეგორიაში შემავალი სახეობებიდან,[323] ვაჭრობისა და დისტილაციისთვის არ დაიშვებოდა ღვინო, დამზადებული ვაზის ისეთი სახეობიდან, რომელიც არ იყო ამ სამი კატეგორიის ჩამონათვალში.[324] ვაზის ცალკეულ ჯიშებს, რომლებსაც შეეძლოთ მიეღოთ რეკომენდებული კატეგორია ერთ რეგიონში, შეიძლება მიეღოთ ავტორიზებული კატეგორია მეორეში, ნიადაგისა და კლიმატის განსხვავებების გამო. მწარმოებლებს უფლება ჰქონდათ შეეტანათ ცვლილებები

[319] Council Regulation 817/70, მუხლები 4, 7, 15. იხილეთ ასევე: Munsie, (2002). 22.

[320] Council Regulation 817/70, მუხლები 3, 11. იხილეთ ასევე: Munsie, (2002). 22.

[321] Munsie, (2002). 22. იხილეთ ასევე: Commission of the European Communities, Classification of Vine Varieties in the European Community and Common Organization of the Market in Wine (Office for Official Publications of the European Communities 1993) 4-5. ციფრული ვერსია ხელმისაწვდომია ვებგვერზე "Publication Office of The European Union" <https://op.europa.eu/en/publication-detail/-/publication/cc19bb5f-4864-48e2-badf-94d989c9ebb1> 10.01.2021 მდგომარეობით.

[322] Council Regulation 1338/70, მუხლი 6, 1970 O.J. (L 155) 5. იხილეთ ასევე: Munsie, (2002). 23.

[323] Council Regulation 817/70, მუხლი 3. იხილეთ ასევე: Munsie, (2002). 23.

[324] Council Regulation 816/70, Title I. იხილეთ ასევე: Munsie, (2002). 23.

ვაზის ჯიშების კლასიფიკაციაში: აეხარისხებინათ ან ჩამოეხარისხებინათ ესა თუ ის ჯიში, ასევე დაემატებინათ ან ამოეღოთ რიგი სახეობები.[325]

2005/70 რეგულაციამ ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობის თითოეული რეგიონისთვის, მოახდინა ვაზის ყველა ჯიშის დახარისხება რეკომენდებული და ავტორიზებული კატეგორიებიდან, რითაც დაასრულა კლასიფიკაციის პროცესი.[326]

ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობის მიერ ამ რეგულაციების შექმნიდან მალევე, მის საზღვრებში ადგილი ჰქონდა ღვინის დიდი მოცულობით ჭარბწარმოებას, რისი გამომწვევი მიზეზებიც იყო: ღვინის მოხმარების შემცირება საფრანგეთსა და იტალიაში, იმ ფონზე როცა სხვა წევრ ქვეყნებში მოხმარების მაჩვენებელი არ გაზრდილა, ვენახების პროდუქტიულობის ზრდა, იმპორტის ზრდა არაწევრი ქვეყნებიდან და სხვა. [327] შედეგად ფრანგული ბაზარი გაჯერდა იაფფასიანი იტალიური ღვინით, ამის აღსაკვეთად საფრანგეთმა დააწესა იმპორტის გადასახადი იტალიურ ღვინოზე, რითაც დაარღვია საერთო შეთანხმება ღვინის თავისუფალი გადაადგილების შესახებ. გარდა ამისა, სეტის პორტი, საიდანაც ღვინის უმეტესი ნაწილი შემოდიოდა, ფრანგმა მწარმოებლებმა გადაკეტეს.[328]

ჭარბწარმოების პრობლემის აღმოსაფხვრელად ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობის მიერ მიღებულ იქნა 1162/76 და 1163/76 რეგულაციები. 1162/76 რეგულაცია კრძალავდა სუფრის ღვინისთვის განკუთვნილი ახალი ვენახის გაშენებას, მაგრამ არსებული ვენახის განახლება ნებადართული იყო, თუ ვაზი აკმაყოფილებდა რეკომენდებული ან ავტორიზებული კატეგორიის მოთხოვნებს. ეს ყველაფერი სუფრის ღვინის ხარისხის ამაღლებას ემსახურებოდა.[329] მეორე მხრივ, 1163/76 რეგულაციამ შემოიღო სუბსიდიების სისტემა, ვენახების ექვსი წლით

---

[325] Commission of the European Communities, Classification of Vine Varieties in the European Community and Common Organization of the Market in Wine (Office for Official Publications of the European Communities 1993) 4, 7. იხილეთ ასევე: Munsie, (2002). 23.

[326] Council Regulation 2005/70, 1970 O.J. (L 224) 1. იხილეთ ასევე: Munsie, (2002). 23.

[327] Voss, R. (1984). *The European Wine Industry: Production, Exports, Consumption and the EC Regime* 71. იხილეთ ასევე: Munsie, (2002). 23.

[328] Unwin, (1991). 322. იხილეთ ასევე: Munsie, (2002). 23.

[329] Council Regulation 1162/76, მუხლები 2-3, 1976 O.J. (L 135) 32, ციფრული ვერსია ხელმისაწვდომია ვებგვერზე EUR-Lex <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/ALL/?uri=CELEX%3A31976R1162> 11.01.2021 მდგომარეობით. იხილეთ ასევე: Commission of the European Communities, Classification of Vine Varieties in the European Community and Common Organization of the Market in Wine (Office for Official Publications of the European Communities 1993) 13; Munsie, (2002). 23.

მიტოვებისთვის ან მათი ამოძირკვისთვის, რათა ვაზი სხვა კულტურებით ჩანაცვლებულიყო.[330]

სიტუაციის გაუმჯობესების მიზნით, ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობის დამატებით მიზანს წარმოადგენდა არა მხოლოდ ვაზის ჯიშების, არამედ ვენახების კლასიფიკაციის შექმნაც. 1338/70 რეგულაციამ უკვე დაადგინა ვაზის ჯიშების კლასიფიკაცია, შესაბამისად 454/80 რეგულაციამ დაასრულა ეს პროცესი მევენახეობის ზონებისთვის მიწების კატეგორიების დადგენით. ამ რეგულაციით მეღვინეობისთვის მიწის შესაბამისობის მიხედვით განისაზღვრა სამი კატეგორია: პირველი კატეგორია - ფერდობი ადგილები ან მაღალი ხარისხის ღვინის წარმოებისთვის შესაფერისი ზონები, მეორე კატეგორია - სამხრეთ არაალუვიური ადგილები, სადაც ნაყოფიერი ნიადაგი, დაბალი ნალექი ან მაღალი ტემპერატურა მათ მევენახეობისთვის ვარგისს ხდის, მესამე კატეგორია - მეღვინეობისთვის შეუსაბამო ტერიტორიები, როგორიცაა სამხრეთ ალუვიური, ჩრდილოეთის და დაბალი ხეობის ადგილები.[331]

მოგვიანებით 456/80 რეგულაცია დაეყრდნო ამ კატეგორიებს, სუბსიდიების მორიგი პაკეტის შემუშავებისას, მევენახეების მიერ ვენახების დროებით ან მუდმივად მიტოვებისთვის. მთავარი მიზანი კვლავ დაბალი ხარისხის ღვინოების წარმოების მოცულობის შემცირება იყო. ამრიგად, სუბსიდირებას ექვემდებარებოდა მესამე კატეგორიის მიწაზე გაშენებული ვაზის ყველა ჯიში და მეორე კატეგორიის მიწაზე გაშენებული დროებით ავტორიზებული ვაზის ჯიშები. სუბსიდია განსხვავდებოდა ვაზის ჯიშების, ასევე ამოძირკვული ვენახის ფართობის საშუალო მოსავლიანობის მიხედვით. პირველი კატეგორიის მიწებზე გაშენებულ ვაზის ჯიშებზე სუბსიდიები არ ვრცელდებოდა.[332]

ყველა ამ ძალისხმევის მიუხედავად 1979 და 1980 წლების დიდმა მოსავალმა ფრანგი ღვინის მწარმოებლების პროტესტი გამოიწვია, ისინი თავს დაესხნენ გემებს, რომლებიც ცდილობდნენ იტალიური ღვინის შემოტანას სეტის პორტში.[333]

---

[330] Council Regulation 1163/76, 1976 O.J. (L 135) 34. იხილეთ ასევე: Munsie, (2002). 24; Meloni, G., Anderson, K. et al. (2019). Wine Regulations. Applied Economic Perspectives and Policy, 41(4), 622-623.

[331] Council Regulation 454/80, 1980 O.J. (L 57) 7. იხილეთ ასევე: Commission of the European Communities, Classification of Vine Varieties in the European Community and Common Organization of the Market in Wine (Office for Official Publications of the European Communities 1993) 1. Munsie, (2002). 24.

[332] Council Regulation 456/80, 1980 O.J. (L 57) 16. იხილეთ ასევე: Munsie, (2002). 24.

[333] Munsie, (2002). 24. იხილეთ ასევე: Unwin, (1991). 322; Meloni, Swinnen, (2013). 269.

იმ დროს დისტილაცია პრაქტიკაში დანერგილი იყო, მაგრამ მას მიმართავდნენ გამონაკლის შემთხვევებში. 1982 წელს დისტილაცია დადგინდა, როგორც ჭარბწარმოების პრევენციის ძირითადი ინსტრუმენტი.[334]

1984 წელს დუბლინის სამიტმა მოითხოვა დამატებითი ღონისძიებების შემოღება, როგორიცაა: კომპენსაცია ვენახების ამოძირკვისთვის, ვენახების ხელახლა გაშენების შეზღუდვა და სავალდებულო დისტილაცია.[335]

CWP-ს დაფუძნების დღიდან მრავალი რეგულაციის მიღების შემდეგ, 822/87 და 823/87 რეგულაციების მიღება წარმოადგენდა ეკონომიკური და ხარისხობრივი წესების კომბინაციას, წარსული პოლიტიკის გათვალისწინებით,[336]

822/87 რეგულაცია აღიარებდა აუცილებლობას მოეხდინა ბაზრების სტაბილიზაცია და სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების ცხოვრების სამართლიანი სტანდარტით უზრუნველყოფა.[337]

აღნიშნული რეგულაცია მოიცავდა წარსულში შექმნილ ბევრ მსგავს დებულებას, მაგრამ ცდილობდა მათ გაძლიერებას მოსავლიანობის შესამცირებლად და ხარისხის გაზრდის მიზნით. სუფრის ღვინოებთან დაკავშირებული ინტერვენციული საქმიანობა კვლავ მოიცავდა ფასების მხარდაჭერას, ნამეტი პროდუქციის დროებით შენახვას და სავალდებულო დისტილაციას.[338] სუფრის ღვინისთვის შესაფერისი ახალი ვენახების გაშენება სამი წლით აიკრძალა, ხოლო განახლება მკაცრად შეიზღუდა. [339] დროებით ავტორიზებული ვაზის ყველა ჯიში ეტაპობრივ ამოძირკვას დაექვემდებარა.[340]

823/87 რეგულაცია, 817/70 რეგულაციის მსგავსად, ყურადღებას ამახვილებდა ხარისხობრივ ღვინოებზე, შესაბამისად მოიცავდა ბევრ იდენტურ დებულებას.

---

[334] Munsie, (2002). 24. იხილეთ ასევე: Unwin, (1991). 322.

[335] Munsie, (2002). 25. იხილეთ ასევე: Commission of the European Communities, Classification of Vine Varieties in the European Community and Common Organization of the Market in Wine (Office for Official Publications of the European Communities 1993) 15.

[336] Munsie, (2002). 25. იხილეთ ასევე: Vialard, A. (1999). Regulating Quality Wines in European and French Laws. *U. ILL. L. Rev., 19,* 235, 237.

[337] Munsie, (2002). 25. იხილეთ ასევე: Council Regulation 822/87, პრეამბულა, 1987 O.J. (L 84) 1. ციფრული ვერსია ხელმისაწვდომია ვებგვერზე "Publication Office of The European Union" <https://op.europa.eu/en/publication-detail/-/publication/65cb4d4b-20b3-42de-abb5-b6704a262005/language-en> 10.01.2021 მდგომარეობით.

[338] Munsie, (2002). 25. იხილეთ ასევე: Council Regulation 822/87, Title III.

[339] Munsie, (2002). 25. იხილეთ ასევე: Council Regulation 822/87, მუხლები 6, 7.

[340] Munsie, (2002). 25. იხილეთ ასევე: Council Regulation 822/87, მუხლი 13.

წევრი ქვეყნები ვალდებულნი იყვნენ დაედგინათ ხარისხობრივი ღვინოების კრიტერიუმები, როგორიცაა: საწარმოო ზონების განსაზღვრა, ვაზის ჯიშები, კულტივაციისა და ღვინის წარმოების მეთოდები, ბუნებრივად მიღებული ალკოჰოლის მინიმალური ზღვარი, მოსავლიანობა ჰექტარზე, ლაბორატორიული და ორგანოლეპტიკური შეფასება.[341] თითოეულ წევრ ქვეყანას უნდა შეექმნა თითოეული ხარისხობრივი ღვინისთვის შესაფერისი ვაზის ჯიშების ჩამონათვალი. ეს ვაზის ჯიშები უნდა ყოფილიყო Vitis vinifera-ს სახეობის და რეკომენდებული ან ავტორიზებული კატეგორიებიდან. ნუსხის მიღმა დარჩენილი ყველა ვაზის ჯიში, ექვემდებარებოდა ხარისხიანი ღვინის წარმოებისთვის შესაფერისი მიწიდან ამოძირკვას.[342] ქვეყნები თავისუფალი იყვნენ ღვინის წარმოების პირობებისა და მახასიათებლების განსაზღვრაში, თუ ისინი აკმაყოფილებდნენ ან აღემატებოდნენ ძირითად მოთხოვნებს.[343]

822/87 და 823/87 რეგულაციები წარმოადგენდნენ ღვინის ინდუსტრიის ძირითად სამართლებრივ აქტებს, სანამ ევროკავშირი შეეცადა, როგორც მისი დღის წესრიგის (Agenda 2000) შემადგენელი კომპონენტი, ღვინის მწარმოებლების კონკურენტუნარიანობის შენარჩუნებას ღვინის საერთაშორისო ბაზრის გაფართოებასთან ერთად. ამავე დროს, მცდელობას ჰქონდა ადგილი, რათა დაებალანსებინა ბაზარზე ღვინის მიწოდება და მოთხოვნა.[344] ამ მიმართულებით პირველი ნაბიჯები გადაიდგა 1999 წელს, ღვინის ბაზრის საერთო ორგანიზების შესახებ რეგულაციის გამოცემით - Council Regulation (EC) No 1493/1999 of 17 May 1999, on the common organization of the market in wine - (შემდგომში რეგულაცია 1493/99), რომელმაც შეცვალა და გააუქმა ღვინის პოლიტიკასთან დაკავშირებული წინა დროის ძირითადი რეგულაციები. 1493/99 რეგულაცია ცდილობდა

[341] Munsie, (2002). 25. იხილეთ ასევე: Council Regulation 823/87, მუხლი 2, 1987 O.J. (L 84) 61. ციფრული ვერსია ხელმისაწვდომია ვებგვერზე "Publication Office of The European Union" <https://op.europa.eu/en/publication-detail/-/publication/afd4e017-1798-4f7e-9e14-b4bd1d12256f/language-en> 10.01.2021 მდგომარეობით.

[342] Munsie, (2002). 25. იხილეთ ასევე: Council Regulation 823/87, მუხლი 4.

[343] Munsie, (2002). 26. იხილეთ ასევე: Council Regulation 823/87, მუხლი 18. Thus far, France is the only country to have more rigorous standards than required.

[344] Munsie, (2002). 26. იხილეთ ასევე: Robinson, (ed). (1999). 265. Meloni, Swinnen, (2013). 255.

გაეთვალისწინებინა ღვინის ბაზარზე არსებული ცვალებადი გარემოებები, ასევე გაეერთიანებინა მრავალი ცვლილება, რომელიც მანამდე იყო შექმნილი.[345]

1493/99 რეგულაციამ 2010 წლამდე აკრძალა ახალი ვენახების გაშენება, არა მხოლოდ სუფრის, არამედ ხარისხიანი ღვინისთვისაც, მაგრამ მაინც დაშვებული იყო გარკვეული გამონაკლისები, თუ გეოგრაფიული აღნიშვნის კონკრეტული ვაზის წარმოება საკმარისად დაბალი იყო ბაზრის მოთხოვნასთან შედარებით. [346] ვენახების ამოძირკვასთან და მათი სხვა კულტურებით ჩანაცვლებასთან დაკავშირებული სუბსიდიები კვლავ დარჩა,[347] მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ ძალაში იყო ნამატი ღვინის დასაწყობების და დისტილაციის ღონისძიებები, ბაზრის ინტერვენციისთვის განკუთვნილი ეს ღონისძიებები უფრო შერბილდა.[348] 1493/99 რეგულაციამ, ისევე როგორც 823/87 რეგულაციამ, გაიმეორა დებულებები ხარისხობრივ ღვინოსთან დაკავშირებით და დაავალდებულა ქვეყნები შეექმნათ კრიტერიუმები დემარკაციას დაქვემდებარებული ადგილწარმოშობის დასახელების ზონებისთვის.[349] და ბოლოს, დადგინდა მეღვინეობის მინიმალური შეზღუდვები და მოთხოვნები, რომლებთანაც შესაბამისობაში უნდა ყოფილიყვნენ წევრი ქვეყნები, ან უნდა გადაეჭარბებინათ ამ კრიტერიუმებისთვის.[350]

გარდა ამისა, მეღვინეობის დებულებებთან ერთად, 1493/99 რეგულაციამ ასევე დააწესა მინიმალური მოთხოვნები ღვინის ეტიკეტირებისთვის, რის მიხედვითაც ეტიკეტზე უნდა განთავსებულიყო: ღვინის აღწერა, ბოთლის და ალკოჰოლის მოცულობა, ღვინის ჩამომსხმელი და ლოტის ნომერი. სუფრის ღვინის შემთხვევაში გარდა ამ ინფორმაციის, უნდა მითითებულიყო წარმოშობის ქვეყნა. [351] ხარისხობრივი ღვინის ეტიკეტზე დამატებით უნდა მითითებულიყო

---

[345] Munsie, (2002). 26. ამის მიზეზები იყო ნაკლებად ხშირი ჭარბწარმოება, ინტერვენციული ღონისძიებების არაეფექტურობა და სხვა ფაქტორები. Ibid. იხილეთ ასევე: Council Regulation 1493/99, პრეამბულა, 1999 O.J. (L 179) 1. ციფრული ვერსია ხელმისაწვდომია ვებგვერზე <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX:31999R1493> 10.01.2021 მდგომარეობით.

[346] Council Regulation 1493/99, მუხლი 2. ხელახლა დარგვის ნებართვასთან დაკავშირებით იხილეთ მუხლი 4; იხილეთ ასევე: Munsie, (2002). 26; Meloni, Swinnen, (2013). 255.

[347] Munsie, (2002). 26. იხილეთ ასევე: Council Regulation 1493/99, მუხლები 8, 11. Meloni, Swinnen, (2013). 255. https://doi.org/10.1017/jwe.2013.33; Josling, (2006). 346.

[348] Munsie, (2002). 26. იხილეთ ასევე: Council Regulation 1493/99, Title III. Meloni, Swinnen, (2013). 255.

[349] Munsie, (2002). 26. იხილეთ ასევე: Council Regulation 1493/99, მუხლი 55.

[350] Munsie, (2002). 27. იხილეთ ასევე: Council Regulation 1493/99, დანართები IV-VI.

[351] Wine made from grapes from multiple EU countries must include the following proviso: "mixture of wines from different countries of the European Union." Council Regulation 1493/99, დანართი VII. იხილეთ ასევე: Munsie, (2002). 27.

ადგილწარმოშობის დასახელება. ეტიკეტზე ნებადართული იყო ნებაყოფლობითი ინფორმაციის განთავსებაც, სუფრის ღვინოების შემთხვევაში ეს იყო ფერი, ხოლო ხარისხობრივი ღვინის შემთხვევაში ეს ინფორმაცია მოიცავდა: მოსავლს, ვაზის ჯიშს, წარმოების მეთოდს და წარმოების ვენახს.[352] თუ მითითებული იყო მოსავალი ან ყურძნის ჯიში, ყურძნის მინიმუმ 85% უნდა ყოფილიყო ამ მოსავლიდან ან ჯიშიდან. [353] 1493/99 რეგულაციამ ასევე აკრძალა ეტიკეტზე ნებისმიერი ინფორმაციის განთავსება, რომელიც მომხმარებლისთვის დამაბნეველი იყო. ამ შეზღუდვის ყველაზე მნიშვნელოვანი შედეგი იყო ის, რომ ევროკავშირის ფარგლებში აკრძალული იყო ნებისმიერი ადგილწარმოშობის დასახელების გამოყენება, რომლის გამოყენების უფლებაც მწარმოებელს არ ჰქონდა მინიჭებული.[354]

ევროპის ეკონომიკუთი თანამეგობრობის ამ პერიოდის რეგულაციების განხილვისას, ჯეფრი მუნსიე მნიშვნელოვან მიგნებებს გვთავაზობს და დისერტაციის ამ თავის მიმართ, მათი გათვალისწინებით, შეგვიძლია გამოვყოთ ჩვენთვის მნიშნელოვანი ასპექტები:

1. ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობის მიერ განხორციელებული მრავალი ძალისხმევის მიუხედავად, 1979-80 წლების ყურძნის მაღალმა მოსავალმა და, ამის შედეგად, ფრანგ და იტალიელ მწარმოებლებს შორის გამოწვეულმა დაძაბულობამ, თანამეგობრობა აიძულა მიეღო შესაბამისი ზომები.

2. შედეგად, ჭარბწარმოების თავიდან აცილების მიზნით, 1982 წელს დისტილაცია დადგინდა, როგორც ჭარბწარმოების პრევენციის ძირითადი ინსტრუმენტი. ორი წლის შემდეგ კი, 1984 წელს დუბლინის სამმიტმა, საფუძველი ჩაუყარა დამატებითი ღონისძიებების შემოღებას: ვენახების ამოძირკვისთვის გათვალისწინებული კომპენსაციებით, ხელახლა გაშენების შეზღუდვითა და სხვა ღონისძებების სახით.

---

[352] Munsie, (2002). 27. იხილეთ ასევე: Council Regulation 1493/99, დანართი VII.

[353] Munsie, (2002). 27. იხილეთ ასევე: Robinson, (ed). (1999). 390.

[354] Council Regulation 1493/99, დანართი VII. იხილეთ: Pierre Spahni, The International Wine Trade (World Trade Press 1995) 98-99. იხილეთ ასევე: Munsie, (2002). 27; Josling, (2006). 343. მოგვიანებით, 2008 წლის 29 აპრილის რეგულაციამ Council Regulation (EC) No 479/2008 გააუქმა რეგულაცია 1493/99. იხილეთ Council Regulation 479/2008, მუხლი 5, 2008 O.J. (L 148) 3. ციფრული ვერსია ხელმისაწვდომია ვებგვერზე: EUR-Lex <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A32008R0479> 05.01.2021 მდგომარეობით.

3. ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობის მიერ CWP-ს ფარგლებში მრავალი რეგულაციის მიღების შემდეგ, 822/87 რეგულაციის შემოღებით, თანამეგობრობა აღიარებდა აუცილებლობას, მოეხდინა ბაზრების სტაბილიზაცია, ხოლო 823/87 რეგულაციის შემოღებით კი, თავის მხრივ, ყურადღება კვლავ მახვილდებოდა ხარისხობრივ ღვინოებზე. მნიშვნელოვანია, რომ ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობის წევრ ქვეყნებს, ეძლეოდათ თავისუფლება ღვინის წარმოების პირობებისა და მახასიათებლების განსაზღვრაში, თუ ისინი აკმაყოფილებდნენ ან აღემატებოდნენ რეგულაციით დადგენილ მოთხოვნებს.

4. ღვინის საერთაშორისო ბაზარზე მიმდინარე ახალი გამოწვევების საპასუხოდ, 1990-იანი წლების მიწურულს, უკვე ევროკავშირს, როგორც მისი დღის წესრიგის (Agenda 2000) შემადგენელი კომპონენტი, შემოაქვს ახალი რეგულაცია 1493/99, რომელმაც შეცვალა და გააუქმა ღვინის პოლიტიკასთან დაკავშირებული აქამდე არსებული რეგულაციები.

5. მთავარი, რაც 1493/99 რეგულაციის შემოღებამ გამოიწვია, იყო წარმოების პროცესებსა თუ პროდუქტის ბაზარზე განთავსებასთან დაკავშირებით, ადრე არსებული ინტერვენციიული ღონისძიებების შერბილება. თუმცა, წინა პრაქტიკის მსგავსად, აღნიშნულმა რეგულაციამ გაიმეორა დებულებები ხარისხობრივ ღვინოსთან დაკავშირებით და, ასევე წინა პრაქტიკის მსგავსად, დაადგინდა მეღვინეობის მინიმალური შეზღუდვები და მოთხოვნები, რომლებიც უნდა დაკმაყოფილებულიყო ან გადაჭარბებულიყო წევრი ქვეყნების მიერ. შეზღუდვის ყველაზე მნიშვნელოვანი შედეგი იყო ის, რომ ევროკავშირის ფარგლებში აიკრძალა ნებისმიერი ადგილწარმოშობის დასახელების გამოყენება, რომლის გამოყენების უფლებაც მწარმოებელს არ ჰქონდა მინიჭებული.

დისერტაციის შემდგომი ნაწილი შეისწავლის ცვლილებებს, რომლებიც ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობის მიერ დაწესებული ახალი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად განხორციელდა საფრანგეთის, იტალიის, გერმანიისა და ესპანეთის ღვინის წარმოების რეგულაციებში, თითოეული ქვეყნის მიერ რეგალაციების გარდაქმნა-ფორმირებაში გაწეული ძალისხმევის ილუსტრირებისთვის.

VI. ღვინის წარმოების რეგულაციები საფრანგეთში, იტალიაში, გერმანიასა და ესპანეთში ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობის შექმნის შემდეგ

1. საფრანგეთი

როგორც ადრე განვიხილეთ, ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობის შექმნამდე, საფრანგეთს უკვე ჰქონდა ხარისხობრივი ღვინის საკუთარი კლასიფიკაციის სისტემა, ასე რომ, როდესაც თანამეგობრობამ დაადგინა ღვინის ხარისხობრივი მოთხოვნები, ქვეყანას მოუწია მცირე ცვლილებების შეტანა თავის რეგულაციებში AOC და VDQS კლასიფიკაციებთან დაკავშირებით. მაგრამ მაინც არსებობდა აუცილებლობა, რათა ქვეყანას მოეხდინა რეაგირება, თანამეგობრობის ეკონომიკურ პოლიტიკაზე სუფრის ღვინოსთან დაკავშირებით.[355]

ახალ გამოწვევებზე საპასუხოდ, 1973 წელს, საფრანგეთმა შექმნა სუფრის ღვინის უმაღლესი კატეგორია Vins de pays. ეს ახალი კატეგორია მოიცავდა გეოგრაფიულ აღნიშვნებს, მან ასევე მემკვიდრეობით მიიღო AOC სისტემის მრავალი მიდგომა, ამ ღვინოთა ეტიკეტირება უნდა განხორციელებულიყო სამი გეოგრაფიული კატეგორიის შესაბამისად: 1) რეგიონული (მეღვინეობის დიდი ტერიტორიები); 2) დეპარტამენტული (ღვინოები ერთი დეპარტამენტიდან); 3) ზონალური (პატარა რაიონები ან ცალკეული კომუნები).[356]

უნდა აღინიშნოს, რომ კვლავ შენარჩუნდა გარკვეული შეზღუდვები Vins de pays-თან დაკავშირებით, როგორიცაა: აკრძალული იყო მათი შერევა სხვა ღვინოებთან, წარმოება უნდა განხორციელებულიყო კონკრეტული ყურძნისგან და შეზღუდული რაოდენობით, ამ ღვინოებს უნდა ჰქონოდათ მინიმალური ალკოჰოლის მოცულობა და უნდა წარდგენილიყვნენ სადეგუსტაციო საბჭოს წინაშე,[357] თუმცა, ეს შეზღუდვები მაინც ნაკლებად მკაცრი იყო, ვიდრე ის დათქმები,

---

[355] Loubère, (1990). 267. იხილეთ ასევე: Munsie, (2002). 29.

[356] Coates, C. MW, (2000). *An Encyclopedia of the Wines and Domaines of France*. University of California Press. 39. იხილეთ ასევე: Munsie, (2002). 29

[357] Robinson, (ed). (1999). 744. იხილეთ ასევე: Munsie, (2002). 29

რომლებიც ვრცელდებოდა ხარისხობრივ ღვინოებზე. ეს კი იძლეოდა მეტ თავისუფლებას ღვინის წარმოების პროცესთან მიმართებით. [358] მაგრამ შეზღუდვები რომლებიც ვრცელდებოდა Vins de pays კატეგორიის ღვინოზე, განსხვავდებოდა ორდინალური სუფრის ღვინის რეგულაციებისგან, რომლებზეც არ იყო დაწესებული შეზღუდვები ვაზის მოსავლიანობაზე და ღვინოების შერევაზე. ისევე როგორც AOC და VDSQ ღვინოების შემთხვევაში, ადგილობრივი რეგულაციებისა და მწარმოებლის პრაქტიკის მიხედვით წყდებოდა მეღვინე Vins de pays დააყენებდა თუ ორდინალურ სუფრის ღვინოს.[359]

საბოლოოდ საფრანგეთი გახდა ერთადერთი ქვეყანა, რომელსაც ევროკავშირის მიერ დადგენილზე მკაცრი მოთხოვნები აქვს ხარისხიან ღვინოსთან დაკავშირებით.[360] ევროკავშირის მიერ დაწესებული შეზღუდვები წარმოების ზონის, ვაზის ჯიშებისა და ვაზის განაშენიანების სიმჭიდროვის კრიტერიუმების, ვაზის მოყვანისა და ღვინის დაყენების მეთოდების, ყურძნის სიმწიფის, მოსავლიანობის და ორგანოლეპტიკური და ქიმიური ანალიზის შესახებ ასევე უფრო მკაცრია AOC და VDSQ ღვინოების შემთხვევაში საფრანგეთში, ვიდრე თავად ევროკავშირში.[361]

1990 წელს, საფრანგეთი იმდენად შორს წავიდა, რომ განიხილავდა ვაზის ყველა ჯიშის ღვინის ეტიკეტიდან ამოღებას, იმ აზრის განვითარებისთვის, რომ ღვინოში არა მხოლოდ ყურძნის არომატი, არამედ მთელი პროცესის ხასიათი და ტერუარი უნდა იყოს გამოხატული.[362]

ფრანგების ამ მიდგომის კვალი თავად AOC დასახელების განმარტებაშიც შეიძლება ამოვიკითხოთ.

---

[358] Coates, (2000). 39. **იხილეთ ასევე**: Munsie, (2002).,29

[359] Robinson, (ed). (1999). 744. **იხილეთ ასევე**: Munsie, (2002). 30

[360] Josel, (1994). 471, 473; Loubère, (1990). 108. საფრანგეთის კანონმდებლობის მიხედვით, ღვინო რომელიც განკუთვნილია ფრანგული ბაზრისთვის, და მის ეტიკეტზე დატანილია ყურძნის ჯიში, იგი უნდა შეიცავდეს ამ ჯიშის ყურძნის 100%-ს. თუმცა, იმის გამო, რომ ევროკავშირი და მისი სხვა წევრი ქვეყნები მოითხოვენ, რომ ღვინის მხოლოდ 85% იყოს მითითებული ჯიშისგან, ფრანგ ექსპორტიორებს შეუძლიათ ამ მკაცრი მოთხოვნის თავიდან არიდება. Ibid; **იხილეთ ასევე** Munsie, (2002). 30.

[361] Coates, (2000). 40. France also imposes limitations on processes such as the minimum age at which wine can be sold and irrigation, which is only permitted in the south. Ibid; **იხილეთ ასევე**: Munsie, (2002). 30; Robinson, (ed). (1999). 28.

[362] Munsie, (2002). 30. **იხილეთ ასევე**: Robinson, (ed). (1999). 369, 700. ტერუარი (Terroir) ფრანგული სიტყვაა, რომელსაც პირდაპირი თარგმანი არ აქვს, მაგრამ იგი გულისხმობს ადგილის მთელ ბუნებრივ გარემოს, მათ შორის ნიადაგობრივ-კლიმატურ პირობებს, ტემპერატურას, მზის შუქს და სხვა ფაქტორებს, რაც ხელს უწყობს ღვინის განსხვავებული მახასიათებლების ჩამოყალიბებას. Ibid.

ფრანგული სამომხმარებლო კოდექსის (*Code de la Consomation*) მიხედვით AOC დასახელება განისაზღვრება როგორც გარკვეული ტერიტორიების: სოფლის, რეგიონის ან მხარის დასახელება, რომლითაც შესაძლებელია განისაზღვროს, რომ გარკვეული პროდუქტი წარმოიშვა კონკრეტული ადგილიდან და მისი მახასიათებლები განპირობებულია ამ განსაზღვრული ადგილით.[363]

ყველა ახალი განაცხადი AOC დასახელების მინიჭებასთან დაკავშირებით განიხილება INAO-ს მიერ. ეს განაცხადები უნდა შეიცავდეს შემდეგ ასპექტებს: განაცხადის მიზეზს, შემოთავაზებული ადგილწარმოშობის დასახელების ტრადიციული გამოყენების მტკიცებულებას, გარემოს მახასიათებლების და ღვინის წარმოებაზე ამ მახასიათებლების გავლენის აღწერას. გარდა ამისა, განაცხადი უნდა შეიცავდეს ეკონომიკურ დეტალებს ბაზრის, გაყიდვების, ფასების და კონკურენტუნარიანობის შესახებ.[364]

საფრანგეთი მკაცრად აკონტროლებს AOC სახელის გამოყენებას, ეს აუცილებელია ღვინის შესახებ შეცდომაში შემყვანი წარმოდგენების შექმნის და მომხმარებელთა მოტყუების თავიდან ასაცილებლად. [365] INAO ახორციელებს დამნაშავეთა დევნას როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო დონეზე. დარღვევების თავიდან აცილების ერთ-ერთი მეთოდია ის, რომ INAO იყენებს ორმხრივ და მრავალმხრივ სავაჭრო ხელშეკრულებებს. [366] ყოველივე ამის შედეგად, ფრანგი ღვინის მწარმოებლები იღებენ უამრავ სარგებელს.[367]

---

[363] Code de la Consommation მუხლი L. 115-1. Digital version of Code de la Consommation can be accessed at the database of "The World Intellectual Property Organization" <https://www.wipo.int/edocs/lexdocs/laws/fr/fr/fr490fr.pdf> 02.04.2021 მდგომარეობით; იხილეთ ასევე: "Légifrance, Le service public de la diffusion du droit" <https://www.legifrance.gouv.fr/codes/id/LEGITEXT000006069565/> 02.04.2021 მდგომარეობით; იხილეთ ასევე: Vialard, A. (1999). Regulating Quality Wines in European and French Laws. *U. ILL. L. Rev., 19,* 241-242; იხილეთ ასევე: Munsie, (2002). 31; Josel, (1994). 472. AOC დასახელება ასევე შეიძლება ვრცელდებოდეს ბუნებრივ (ადგილი, მიკროკლიმატი, ნიადაგი) და ადამიანურ (ღვინის დაყენების პროცესი, ვაზის გასხვლის მეთოდები, ღვინის მომწიფება) ფაქტორებზე. Ibid. აღნიშნული განმარტება ჟოზეფ კაპუს მიერ ინიცირებული კანონის იდეას იზიარებს. შეადარეთ სქოლიო 217-ის ტექსტთან; იხილეთ ასევე: Robinson, (ed). (1999). 676.

[364] Robinson, (ed). (1999). 369. იხილეთ ასევე: Munsie, (2002). 31.

[365] Vialard, A. (1999). Regulating Quality Wines in European and French Laws. *U. ILL. L. Rev., 19,* 241. იხილეთ ასევე: Munsie, (2002). 31; Code de la Consommation მუხლი L. 115-8; Chen, J. (1996). A Sober Second Look at Appellations of Origin: How the United States Will Crash France's Wine and Cheese Party. *Minnesota Journal of International Law*, *5*, 29, 37.

[366] Josel, (1994). 472. იხილეთ ასევე: Munsie, (2002). 32.

[367] Chen, (1996). 37-38; იხილეთ ასევე: Munsie, (2002). 32.

AOC-ის კანონები ხშირად კრიტიკის საგანად იქცევა, რადგან ეს პროტექციონისტული ზომები უფრო მეტად მიმართულია ღვინის მწარმოებლის დაცვაზე, ვიდრე მომხმარებლის.[368]

საფრანგეთის ამ პერიოდის რეგულაციების განხილვისას, ჯეფრი მუნსიე საინტერესო დასკვნებს აკეთებს და აღნიშნულ მიგნებებზე დაყრდნობით, მივიჩნევთ რომ, დისერტაციის ამ ნაწილის შეჯამებისთვის, მნიშვნელოვანი ასპექტები შემდეგია:

1. თავდაპირველად, როცა AOC სისტემა შეიქმნა, მთავარი მიზანი იყო ფალსიფიკაციის მოსპობა, მაგრამ ამის მიუხედავად, ივარაუდება, რომ 1920 წლიდან გაყიდული ღვინოების დაახლოებით მესამედი, ამა თუ იმ გზით, გაყალბდა. როგორც ჩანს, ფალსიფიკაციის კვალის დადგენა ძალიან ძნელია, იმ რთული მეთოდებს გამო, რომლებსაც იყენებენ ფალსიფიკატორები, ღვინის გაყალბებისას.[369]

2. მიუხედავად იმისა, რომ შეუძლებელია ფალსიფიკაციის სრულად აღმოფხვრა, AOC სისტემა მაინც შეიძლება ჩაითვალოს წარმატებულ ინსტრუმენტად საზედამხედველო და საგამოძიებო მოქმედებების ჩამოყალიბებაში, რომლებიც აუცილებელია ღვინის გაყალბების წინააღმდეგ ბრძოლაში.[370]

3. და ბოლოს, ჩვენი აზრით, მნიშვნელოვანია იმ ფაქტის აღნიშნვნა, რომ ევროპის ეკონომიკური თანამეგობობის მიერ დადგენილ ღვინის ხარისხის მოთხოვნებთან ადგილობრივი რეგულაციების შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, საფრანგეთს ძალიან მცირე ცვლილებების შეტანა მოუწია არსებულ რეგულაციებში, რადგან მას უკვე ჰქონდა ხარისხობრივი ღვინოსთან დაკავშირებული რეგულაციები. შესაბამისად, 1973 წელს საფრანგეთის მთავრობას, თანამეგობრობის ღვინის წარმოების რეგულაციებთან, ქვეყნის

---

[368] Coates, (2000). 41. იხილეთ ასევე: Munsie, (2002). 32.

[369] Munsie, (2002). 32. იხილეთ ასევე: Loubère, (1990). 105;

[370] Munsie, (2002). 32-33. ფრანგული ღვინის მთლიანი წარმოების დაახლოებით 40% შედგება AOC ღვინოებისგან. VDSQ მთლიანი წარმოების მხოლოდ 0,9%-ს შეადგენს. ამხელა სხვაობის მიზეზი არის ის, რომ ბევრი VDSQ კატეგორიის ღვინის მწარმოებელი განიცდის ზეწოლას, რათა გაზარდონ თავისი სტანდარტები და მოიპოვონ პრესტიჟული AOC დასახელება. წარმოების 27% მოდის vins de pays-ზე. Ibid. 33; იხილეთ ასევე: Loubère, (1990). 122; Robinson, (ed). (1999). 39.

რეგულაციების შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, მხოლოდ უმაღლესი სუფრის ღვინის კატეგორიის შემოღება დასჭირდა - Vins de pays.

2. იტალია

ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობის მიერ ევროპული ბაზრების ინტეგრაციული პროცესის დაწყების საპასუხოდ, 1963 წელს იტალიამ დააარსა ხარისხობრივი ღვინოების საკუთარი კლასიფიკაციის სისტემა - Denominazione di Origine Controllata (შემდგომში DOC). ამ კლასიფიკაციით ქვეყანა ცდილობდა განესხვავებინა ხარისხობრივი ღვინო, სუფრის ღვინისგან (vino da tavola). [371] დაწესდა რეგულაციები ყოველი ახლად შექმნილი ადგილწარმოშობის დასახელებისთვის, რაც მოიცავდა შემდეგ ასპექტებს: ყურძნის ჯიშებს, მაქსიმალურ მოსავლიანობას, ყურძნის გამოსავლიანობის კოეფიციენტებს, ალკოჰოლის შემცველობას და დავარგების მოთხოვნებს. თავიდან სადეგუსტაციო საბჭოები არ იყო სავალდებულო, მაგრამ მოგვიანებით სავალდებულო ხასიათი შეიძინეს. საფრანგეთთან შედარებით ეს რეგულაციები გარკვეულ შემთხვევებში არც ისე მკაცრი იყო, მათ შორის მაქსიმალურ დასაშვებ მოსავლიანობათან მიმართებით, და იმის გათვალისწინებით, რომ ადგილწარმოშობის დასახელების ღვინოებში ნებადართული იყო 15%-მე სხვა რეგიონის ღვინის შემცველობა. [372] მაგრამ ზოგიერთი მიმართულებით იტალიური რეგულაციები უფრო მკაცრი იყო, ვიდრე სხვა ქვეყნების რეგულაციები. მაგალითად, ჩამოხარისხებას ექვემდებარებოდა მთელი მოსავლი იმ შემთხვევაში, თუ მწარმოებელი აჭარბებდა მოსავლის ზღვარს, ასეთ მკაცრ მიდგომას ამართლებდნენ იმ მოსაზრებით, რომ ჭარბი მოსავალი ზიანს აყენებდა მოწეული ყურძნის მთლიან ხარისხს. მაგრამ რადგან დაწესებული ზღვრები, როგორც წესი, არც ისე მკაცრი იყო, ჩამოხარისხება იშვიათად ხდებოდა. შაპტალიზაცია კი აკრძალული იყო.[373]

---

[371] Robinson, J. et al. (eds). (2015). 238; იხილეთ ასევე: Tom Stevenson, The Sotheby's Wine Encyclopedia, (4th edn 2005) 262; Unwin, (1991). 322; Munsie, (2002). 20; Council Regulation 24/62, 1962 O.J. (30) 989; "Denominazione di Origine Controllata (DOC)" <https://italianwine.guide/about-italian-wine/wine-law/doc-en-gb/> 11.01.2021 მდგომარეობით.

[372] Unwin, (1991). 324. იხილეთ ასევე: Munsie, (2002). 33.

[373] Victor Hazan, Italian Wine (Knopf 1982) 241. იხილეთ ასევე: Munsie, (2002). 33.

მიუხედავად იმისა, რომ DOC ეტიკეტი ღვინის ავთენტურობის გარანტიას იძლეოდა, ეს მაინცდამაინც ხარისხის გარანტიას არ ნიშნავდა, რადგან ერთი და იმავე რეგიონში, საკმაოდ განსხვავებული ხარისხის ღვინოები იწარმოებოდა, კონკრეტულ ტერიტორიაზე არსებული რელიეფის, ნიადაგისა და მიკროკლიმატის განსხვავებების გამო.[374]

მწარმოებლებს, რომლებიც განაცხადს აკეთებდნენ ახალი DOC სტატუსის მისაღებად, უნდა გამოეყოთ ძირითადი მახასიათებლები პოტენციური ადგილწარმოშობის დასახელების ზონისთვის, ტერიტორიის გეოგრაფიული თავისებურებების გათვალისწინებით. ყოველი ახალი განაცხადის პროცედურებს ხელმძღვანელობდა ეროვნული DOC კომიტეტი, რის შემდეგაც განაცხადი მტკიცდებოდა პრეზიდენტის დეკრეტით.[375]

1970-იანი წლების ბოლოს შეიქმნა უმაღლესი ღვინის კატეგორია - Denominazione di Origine Controllata e Garantita (შემდგომში DOCG). ამ აღმატებული კატეგორიის მოსაპოვებლად ღვინოებს უნდა დაეკმაყოფილებინათ უფრო მკაცრი მოთხოვნები და ღვინოები ექვემდებარებოდა ინტენსიურ ლაბორატორიულ და ორგანოლეპტიკურ შემოწმებას. მაგრამ ამ შემთხვევაშიც ისმოდა კითხვები ამ ახლადშექმნილი DOCG კლასიფიკაციით გარანტირებული ხარისხის შესახებ, რადგან ღვინოებს რომლებიც აკმაყოფილებდნენ ძირითად (საბაზისო) მოთხოვნებს აღნიშნული სტატუსი ენიჭებოდათ, ისეთი თავისებურებების გათვალისწინების გარეშე, როგორიცაა რელიეფი ან მიკროკლიმატი.[376]

ფრანგული AOC კლასიფიკაციის საპირისპიროდ, DOC და DOCG კლასიფიკაციით დადგენილი მაღალი სტანდარტები უაზრობად ითვლებოდა,

---

[374] Unwin, (1991). 324. იხილეთ ასევე: Munsie, (2002). 33; Tom Stevenson, The Sotheby's Wine Encyclopedia, (4th edn 2005) 262; კანონმა ვერ შესძლო განესაზღვრა მცირე რაოდენობის და ადვილად იდენტიფიცირებადი ადგილწარმოშობის დასახელებები, მან ასევე ხელი შეუწყო წარმოების მოცულობის გაზრდას ყველაზე პროდუქტიული ყურძნის ჯიშების ოფიციალურად დაშვებით და ასევე ცნობილი ადგილწარმოშობის დასახელებების საზღვრებში ყველაზე მაღალმოსავლიანი ზონების კლასიფიკაციით. Ibid. ეს გარემოებები კი ხარისხობრივი ღვინის წარმოებაზე უარყოფითად მოქმედებს. რადგან უხვი მოსავალი მართალია ზრდის წამოების მოცულობას, მაგრამ ამავე დროს ამცირესბს ღვნის საერთო ხარისხს. (ხაზგასმა დამატებულია - ნიკოლოზ ფარსადანიშვილი).

[375] Anderson, B. (1992). *The Simon & Schuster Guide to the Wines of Italy.* 9, 17. იხილეთ ასევე: Munsie, (2002). 33.

[376] Unwin, (1991). 324. იხილეთ ასევე: Munsie, (2002). 34; Josling, (2006). 361. Broude, T. (2005). Culture, Trade and Additional Protection for Geographical Indications. *Bridges*, *September–October* (9), 20.

რადგან ამ კლასიფიკაციით უზრუნველყოფილი ღვინის ხარისხი იყო ფორმალური. ამ გარემოებებმა ბევრ მეღვინეს უბიძგა, ეწარმოებინათ თავიანთი ღვინოები DOC და DOCG კლასიფიკაციის მიღმა. ამ მეღვინეთა ღვინოები იყო ამ ორ ხარისხობრივი ღვინის კლასიფიკაციაში შემავალი ღვინოების მსგავსი ან უფრო მაღალი ხარისხის, მაგრამ ეტიკეტირებული როგორც სუფრის ღვინო და ღვინის მწარმოებელთა რეპუტაციის გამო გამოირჩეოდნენ მაღალი ფასებითა და კარგი გაყიდვადობით. მომხმარებლები იმედგაცრუებულნი იყვნენ DOC ღვინოების მაღალი ფასით და არასტაბილურობით, შესაბამისად, უპირატესობას ანიჭებდნენ გაცილებით კარგი რეპუტაციის მქონე სუფრის ღვინოების.[377]

1992 წელს ახალი კანონი, ცნობილი როგორც გორიას კანონი,[378] შეეცადა იტალიური ღვინის კლასიფიკაციის სანდოობა აემაღლებინა. შესაბამისად, DOC კატეგორიები დაიყო ტერიტორიული პრინციპის მიხედვით, როგორიცაა: ქვეზონები, დაბები, მამულები, ვენახები. ტერიტორიების მიხედვით დაწესდა წარმოების ახალი ლიმიტები და კრიტერიუმები, თითოეული ტერიტორიის უნიკალური მახასიათებლების გათვალისწინებით.[379] ამ კანონმა ასევე შექმნა ღვინის ახალი კატეგორია Indicazione Geografica Tipica (შემდგომში IGT), რომელსაც ასევე უწოდებდნენ Vino tipico-ს, ეს ახალი კატეგორია ფრანგული Vins de pays-ის მსგავს კატეგორიას წარმოადგენდა. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული კატეგორია DOC კლასიფიკაციაზე დაბლა იდგა, ის მაინც მოიცავდა ბევრ ცნობილ და უმაღლესი ხარისხის სუფრის ღვინოს, რომელთა მწარმოებლებმაც გადაწყვიტეს არ მიეღოთ DOC სტატუსი. ამ კატეგორიის ღვინის წარმოების მოთხოვნები გულისხმობდა იმას, რომ იგი უნდა დამზადებულიყო განსაზღვრულ ტერიტორიაზე, დამტკიცებული ყურძნის ჯიშებით, მაგრამ IGT-სთან, იგივე Vino tipico-სთან დაკავშრებული რეგულაციები მაინც არ იყო ისეთი მკაცრი, როგორც DOC კლასიფიკაციის შემთხვევაში. Vino tipico-ს ეტიკეტზე ნებადართული იყო

---

[377] Robinson, (ed). (1999). 235; იხილეთ ასევე: Voss, (1984). 24; Unwin, (1991). 324; Anderson, (1992). 16; Munsie, (2002). 34; "Vino da Tavola Wine" <https://www.wine-searcher.com/regions-vino+da+tavola> 12.01.2021 მდგომარეობით.

[378] Tom Stevenson, The Sotheby's Wine Encyclopedia, (4th edn 2005) 263-264; იხილეთ ასევე: "Vino da Tavola Wine" <https://www.wine-searcher.com/regions-vino+da+tavola> 12.01.2021 მდგომარეობით; this law was named after the Minister of Agriculture Giovanni Goria. Ibid; "Indicazione Geografica Tipica (IGT)" <https://italianwine.guide/about-italian-wine/wine-law/igt-en-gb/> 12.01.2021 მდგომარეობით.

[379] Robinson, (ed). (1999). 236. იხილეთ ასევე: Munsie, (2002).. 34. Producers were allowed to choose which DOC they wanted to be in based on the production limitations. Ibid.

გეოგრაფიული აღნიშვნის, ვაზის ჯიშის ან მოსავლის მითითება.[380] თუმცა, მიუხედავად ამისა, არანაირი შეზღუდვა არ დადგენილა ვენახის გადაჭარბებულ მოსავლიანობაზე, რაც ღვინის ხარისხის გაუარესების გამომწვევი მიზეზი შეიძლება ყოფილიყო.[381]

საკითხავია, გორიას კანონმა შეძლო თუ არა DOC და DOCG კლასიფიკაციების რეორგანიზაცია? დიახ, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში, ამან სასურველი შედეგი ვერ გამოიღო, DOC სისტემის სიზუსტის ნაკლებობის გამო. იტალიური ღვინოების ნამდვილი პოტენციალის მისაღწევად, მათი წარმოება უნდა შემოიფარგლოს მთავარ კარგად ნაცნობ ზონებში, კარგად იდენტიფიცირებული სტილით, როგორც ეს გაკეთდა საფრანგეთში.[382]

იტალიის ამ პერიოდის რეგულაციათა შეჯამებისთვის, მნიშვნელოვანია შემდეგი ასპექტების გამოყოფა:

1. საფრანგეთთან შედარებით, იტალიურ რეგულაციებს საკმაოდ ფორმალური ხასიათი ჰქონდა, ამის მიზეზი კი ის იყო, რომ DOC სისტემა, ღვინის ავთენტურობის გარანტიის მიუხედავად, სულაც არ იძლეოდა ღვინის ხარისხის გარანტიას, იქიდან გამომდინარე, რომ ერთსა და იმავე ტერიტორიაზე, საკმაოდ განსხვავებული ხარისხის ღვინოები იწარმოებოდა.

2. ფორმალურმა რეგულაციებმა აიძულა მეღვინეები თავიანთი ღვინო ეწარმოებინათ სუფრის ღვინის კატეგორიით და საკუთარი რეპუტაციის ხარჯზე გაეყიდათ მაღალ ფასად.

3. 1992 წელს იტალია ეცადა აემაღლებინა ხარისხობრივი ღვინის კლასიფიკაციის სანდოობა, DOC კატეგორიების დაყოფით ქვეზონებად, ქალაქებად, მამულებად, ვენახებად. ასევე, დაწესდა წარმოების ახალი ლიმიტები და კრიტერიუმები, თითოეული ტერიტორიის უნიკალური მახასიათებლების გათვალისწინებით. დამტკიცდა სუფრის ღვინის ახალი კატეგორია - Vino tipico,

---

[380] Robinson, (ed). (1999). 236; იხილეთ ასევე: Tom Stevenson, The Sotheby's Wine Encyclopedia, (4th edn 2005) 264; Victor Hazan, Italian Wine (Knopf 1982) 244; Anderson, (1992). 16; Munsie, (2002)., 35; "Vino da Tavola Wine" <https://www.wine-searcher.com/regions-vino+da+tavola> 12.01.2021 მდგომარეობით; "Indicazione Geografica Tipica (IGT)" <https://italianwine.guide/about-italian-wine/wine-law/igt-en-gb/> 12.01.2021 მდგომარეობით.

[381] Robinson, (ed). (1999). 236. იხილეთ ასევე: Munsie, (2002). 35.

[382] Munsie, (2002). 35-36. იტალიის მთლიანი ღვინის წამოების მხოლოდ 15% მოდის DOC და DOCG კატეგორიის ღვინოებზე. Ibid; იხილეთ ასევე: Tom Stevenson, The Sotheby's Wine Encyclopedia, (4th edn 2005) 264. Robinson, (ed). (1999). 235.

მსგავსი ფრანგული Vins de pays. ამ ცვილებების მიუხედავად, ქვეყანამ არ დააწესა ჭარბი მოსავლიანობის საპრევენციო ღონისძიებები, რაც ღვინის ხარისხისთვის მნიშვნელოვანი კომპონენტია. ამდენად, იტალიური რეგულაციების ეფექტურობა ხარისხობრივი ღვინის წარმოებასთან დაკავშირებით, კვლავ საეჭვოდ დარჩა.

3. გერმანია

მეზობლებისგან, საფრანგეთისა და იტალიისგან განსხვავებით, ხარისხზე და გეოგრაფიულ არეალებზე ფოკუსირების ნაცვლად, მთავარი საკითხი, რომელიც გერმანიის ღვინის კანონმდებლობას უნდა მოეგვარებინა იყო მეღვინეობაში შაპტალიზაციის გამოყენება. გერმანიაში ღვინის წარმოების პროცესში შაქრის დამატების ფართოდ გავრცელების მიზეზი ქვეყნის კლიმატურ თავისებურებებში უნდა ვეძებოთ. ჩრდილოეთის ვენახებში დაბალი ტემპერატურა და ხანმოკლე სავეგეტაციო სეზონი არ არის შესაფერისი ყურძნის სრულად დასამწიფებლად, შესაბამისად, გერმანიაში უპირატესობა ენიჭებათ ისეთ ვაზის სახეობებს, რომლებიც უძლებენ ყინვას, აგროვებენ შაქრის მაღალ დონეს და გამოირჩევიან ადრეული მოსავლინობით, განსხვავებით საფრანგეთისგან სადაც უპირატესობა უმაღლესი ხარისხის ყურძნის მოსავალის მომცემ ვაზის სახეობებს ენიჭებათ.[383]

1879 წელს გერმანიამ შექმნა პირველი ღვინის კანონი, რომელსაც ფორმალური ხასიათი ჰქონდა. 1900-იანი წლების დასაწყისში შეიქმნა გარკვეული დეკრეტები, რომლებიც არეგულირებდნენ ისეთ საკითხებს, როგორიცაა ღვინოში ყურძნის წვენის და სხვა ქვეყნის ღვინოების დამატებას, ასევე შაპტალიზაციას.[384]

1930 წელს გერმანიამ შექმნა კიდევ უფრო სრულყოფილი ღვინის კანონი. ეს კანონი ადგენდა ისეთ მნიშვნელოვან დებულებებს, როგორიცაა: ნატურალური და ტკბილი ღვინის განმარტებები, ვენახების რეესტრის მოთხოვნა, ვაზის ჰიბრიდული ჯიშების გამოყენების შეზღუდვა (ევროპული ვაზის ჯიშების მყნობა ფილოქსერაგამძე ამერიკულ საძირეებზე არ იყო აკრძალული), სხვადასხვა

[383] Voss, (1984). 10, 13. იხილეთ ასევე: Munsie, (2002). 36.
[384] Munsie, (2002). 36. იხილეთ ასევე: Unwin, (1991). 316.

ღვინის, თეთრის და წითელის, ასევე ადგილობრივის და უცხოურის ერთმანეთში შერევის აკრძალვა.[385]

მიუხედავად იმისა, რომ 30 000-მდე ვენახი დარეგისტრირდა, მაინც ფალსიფიკაციის და შაპტალიზაციის საფრთხეები ჯერ კიდევ ძალიან დიდი იყო.[386]

1969 წელს შეიქმნა ღვინის ახალი კანონი, მოგვიანებით კი 1971 წელს, მასში შევიდა ცვლილებები, რათა ის მოსულიყო ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობის მიერ სუფრისა და ხარისხობრივ ღვინოებთან დაკავშირებით დადგენილ რეგულაციებთან შესაბამისობაში. გერმანიამ, ნაცვლად გეოგრაფიული დასახელების მიხედვით კლასიფიკაციის ჩამოყალიბებისა, დაიწყო თავისი კლასიფიკაციის შექმნა იმის მიხედვით ღვინო ბუნებრივად ტკბილი იყო თუ ხელოვნურად დამტკბარი.[387] უპირველეს ყოვლისა კანონმა ქვეყანა დაყო მხარის მახასიათებლების მიხედვით, რაც ასევე საფრანგეთისგან განსხვავებით კავშირში არ იყო ხარისხობრივ მაჩვენებლებთან. ჩამოყალიბდა თერთმეტი რეგიონი, სახელწოდებით Anbaugebiete, თითოეული მათგანი მოიცავდა ორ ან მეტ რაიონს, სახელწოდებით Bereiche. [388] Bereiche-ს ღვინო წარმოადგენდა ამავე რაიონის ღვინოთა კუპაჟს.[389]

შემდგომი ქვეკატეგორები იყო Grosslagen-ი და Einzellagen-ი. Grosslagen-ი წარმოადგენდა მსგავსი კლიმატური და გეოლოგიური მახასიათებლების ვენახების ერთობლიობს,[390] რაც შესაძლებლობას იძლეოდა წარმოებულიყო უფრო დიდი რაოდენობით მსგავსი ხარისხისა და სტილის ღვინო, ერთი სახელწოდებით.[391]

Einzellagen-ი აერთიანებდა ვენახებს, რომლებიც ოფიციალურად იყო რეგისტრირებული, ზუსტად განსაზღვრული, და აკმაყოფილებდა მოთხოვნებს, ზომით ყოფილიყო ხუთ ჰექტარზე მეტი ფართობის, რითაც შემცირდა

[385] Unwin, (1991). 316. იხილეთ ასევე: Robinson, (ed). (1999). 312; იხილეთ ასევე: Munsie, (2002). 36.
[386] Munsie, (2002). 36.
[387] Unwin, (1991). 316-17. იხილეთ ასევე: Munsie, (2002). 37.
[388] Unwin, (1991). 316-17. იხილეთ ასევე: Munsie, (2002). 37.
[389] Ian Jamieson, Guide to the Wines of Germany, (M. Beazley 1992) 16. იხილეთ ასევე: Munsie, (2002). 37.
[390] Unwin, (1991). 317. There were 130 grosslagen. Ibid. იხილეთ ასევე: Munsie, (2002). 37.
[391] Ian Jamieson, Guide to the Wines of Germany, (M. Beazley 1992) 16. იხილეთ ასევე: Munsie, (2002). 37.

რეგისტრირებული ვენახების რაოდენობა 30 000-დან (1930 წლის ღვინის კანონის მიხედვით) 2 600-მდე.[392]

გარდა ამისა, ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობის რეგულაციების მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად, გერმანიამ შექმნა ღვინის კატეგორიები: სუფრის ღვინო სახელად Tafelwein და ხარისხობრივი ღვინო Qualitätswein. Tafelwein-ს ჰქონდა ორი ქვეკატეგორია: Basic Tafelwein და Deutscher Tafelwein. Basic Tafelwein წარმოადგენდა გერმანული და თანამეგობრობის სხვა წევრი ქვეყნების ღვინოების კუპაჟს, ზოგ შემთხვევაში მთლიანად სხვა ქვეყნების ღვინის კუპაჟსაც კი. ხოლო Deutscher Tafelwein უნდა წარმოებულიყო გერმანიის ოთხი Tafelwein-ის რეგიონიდან ერთ-ერთში გაშენებული ყურძნით. ალკოჰოლის მოცულობის ზრდისთვის შაპტალიზაცია დაშვებული იყო ორივე ქვეკატეგორიისთვის. 1982 წელს გერმანიამ დააარსა Tafelwein-ის ახალი უმაღლესი კატეგორია, სახელად Landwein, რაც იყო საფრანგეთის vins de pays-ისა და იტალიის vino tipico-ს მსგავსი კატეგორია. Landwein უნდა წარმოებულიყო ცხრამეტი განსაზღვრული რაიონიდან ერთ-ერთში, ნარჩენი შაქრის გარკვეული ოდენობის შემცველობით.[393]

Qualitätswein კატეგორია ასევე მოიცავდა ორ ქვეკატეგორიას: Qualitätswein bestimmter Anbaugebiete - „განსაზღვრული რეგიონის ხარისხობრივი ღვინო“ (შემდგომში QbA) და Qualitätswein mit Prädikat - „ხარისხობრივი ღვინო, რომელიც დადასტურებულია სიმწიფით“ (შემდგომში QmP). QbA ღვინის კატეგორია, შედგებოდა შედარებით დაბალი ხარისხის ხარისხობრივი ღვინოებისგან, რომლებშიც დამატებითი ალკოჰოლის მოცულობის მისაღებად, ნებადართული იყო შაპტალიზაცია.[394] QbA სტატუსი ღვინოებს ენიჭებოდათ შაქრის მოცულობის მიხედვით და არა მოსავლიანობის ან გეოგრაფიული ადგილის გათვალისწინებით. [395] მოგვიანებით 1994 წელს, ახალი კატეგორია,

---

[392] Unwin, (1991). 317. იხილეთ ასევე: Ian Jamieson, Guide to the Wines of Germany, (M. Beazley 1992) 16; Munsie, (2002). 37.

[393] Ian Jamieson, Guide to the Wines of Germany, (M. Beazley 1992) 12. იხილეთ ასევე: Unwin, (1991). 318; Munsie, (2002). 38; Tom Stevenson, The Sotheby's Wine Encyclopedia, (4th edn 2005) 351; "Deutscher Tafelwein (simple table wine)" <https://www.germanwine.de/english/winebasicsgermany/r-x/tafelwein/> 12.01.2021 მდგომარეობით.

[394] Unwin, (1991). 318. იხილეთ ასევე: Munsie, (2002). 38; Tom Stevenson, The Sotheby's Wine Encyclopedia, (4th edn 2005) 351.

[395] Voss, (1984). 10; იხილეთ ასევე: Munsie, (2002). 38; Tom Stevenson, The Sotheby's Wine Encyclopedia, (4th edn 2005) 351.

გარანტირებული წარმოშობის ხარისხობრივი ღვინო სახელწოდებით Qualitätswein garantierten Ursprungs (შემდგომში QgU) შეიქმნა, როგორც QbA-ს სპეციალური სახეობა. QgU კატეგორიის ღვინოზე ვრცელდებოდა გარკვეული მოთხოვნები: იგი წარმოებული უნდა ყოფილიყო კონკრეტული ტერიტორიიდან ან ვენახიდან და ასევე უნდა ჰქონოდა დამზადების ადგილით განპირობებული ორგანოლეპტიკური მახასიათებელი. ამ დასახელების ღვინო ექვემდებარებოდა უფრო მკაცრ ლაბორატორიულ და ორგანოლეპტიკურ შემოწმებას.[396]

QmP ღვინის კატეგორია შედგებოდა უმაღლესი ხარისხის ღვინოებისგან, რომლებშიც შაპტალიზაცია არ იყო დაუშვებელი.[397] ეს სტატუსი ენიჭებოდათ ექსკლუზიურად ღვინოებს, რომლებსაც შეეძლოთ მიეღოთ საჭირო შაქრის ოდენობა ბუნებრივი გზით, საკმარისი ალკოჰოლის და ნარჩენი შაქრიანობისთვის, რათა დაეკმაყოფილებინათ სიტკბოსადმი წაყენებული მოთხოვნები.[398] QmP ღვინოები მოიცავდნენ ექვს ქვეკატეგორიას, მოსავლის და ბუნებრივი შაქრის მოცულობების მიხედვით: Kabinett - დამზადებული მწიფე ყურძნისგან, Spätlese - დამზადებული ყურძნისგან, რომელსაც კრეფდნენ რთველის დაწყებიდან მინიმუმ შვიდი დღის შემდეგ, Auslese - უფრო ტკბილი ღვინო, დამზადებული შერჩეული ყურძნისგან, Beerenauslese - მდიდარი სადესერტო ღვინო, დამზადებული კეთილშობილი სიდამპლით დაავადებული ყურძნისგან, Trockenbeerenauslese - დამზადებული სპეციალურად გამომშრალი ყურძნისგან, და Eiswein - დამზადებული სპეციალურად გაყინული ყურძნისგან.[399]

Qualitätswein აკმაყოფილებდა 85% მიდგომას, რომელსაც მხარს უჭერდა ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობა და მისი წევრი ქვეყნების უმეტესობა, რაც იმას ნიშნავდა, რომ თუ ღვინოზე მითითებული იყო მოსავალი, ყურძნის 85% იმავე მოსავლის უნდა ყოფილიყო, თუ ეტიკეტზე მითითებული იყო ვაზის გარკვეული ჯიში, ღვინის 85% იმავე ჯიშისგან უნდა ყოფილიყო, და თუ ღვინო იწარმოებოდა კონკრეტულ ტერიტორიაზე, ყურძნის მხოლოდ 15%-ის გამოყენება იყო დაშვებული

[396] Munsie, (2002)., 38; Tom Stevenson, The Sotheby's Wine Encyclopedia, (4th edn 2005) 351.
[397] Unwin, (1991). 318. იხილეთ ასევე: Munsie, (2002). 38; Tom Stevenson, The Sotheby's Wine Encyclopedia, (4th edn 2005) 351.
[398] Voss, (1984). 10. იხილეთ ასევე: Munsie, (2002). 38.
[399] Unwin, (1991). 318. იხილეთ ასევე: Munsie, (2002). 39; Tom Stevenson, The Sotheby's Wine Encyclopedia, (4th edn 2005) 351.

იმავე რეგიონის სხვა ადგილიდებიდან.[400] გარდა ამისა, Qualitätswein სტატუსის მინიჭებამდე, ყოველი ხარისხობრივი ღვინის ბოთლს უნდა გაევლო ლაბორატორიული და ორგანოლეპტიკური გამოცდები და მინიჭებოდა ნომერი Amtliche Prüfungsnummer.[401]

მოსავლიანობაზე ფოკუსირების ნაცვლად 1971 წელს გერმანიის ღვინის კლასიფიკაცია შაქრის შემცველობის მიხედვით ჩამოყალიბდა, მაგრამ 1989 წელს ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობის ძალისხმევით, ნელა, მაგრამ მაინც ქვეყანამ დაიწყო მოსავლიანობის შეზღუდვა. 1993 წელს გერმანიამ კიდევ უფრო გაამკაცრა ეს მოთხოვნები ყველა სახის ღვინისა და ვენახისთვის მაქსიმალურად დასაშვები მოსავლიანობის დადგენით.[402]

გერმანიის ღვინის რეგულაციათა შეჯამებისას, იკვეთება შემდეგი მნიშვნელოვანი გარემოებები:

1. გერმანიის შემთხვევაში, რეგულაციების მიზანი, საფრანგეთთან, იტალიასთან და ესპანეთთან შედარებით, სრულიად განსხვავებული იყო. ქვეყნის მთავარი პრობლემას, მისი კლიმატური პირობების გათვალისწინებით, ღვინოში შაქრის დამატების ფართოდ გავრცელებული პრაქტიკა წარმოადგენდა.

2. ქვეყნის კლასიფიკაცია, მეზობლებისგან განსხვავებით, შაქრის შემცველობაზე იყო დაფუძნებული, რომელშიც გარკვეული შეზღუდვების შემოტანა, ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობის ძალისხმევის შედეგად, 1989 წლიდან იწყება და კიდევ უფრო ძლიერდება 1993 წელს.

---

[400] Unwin, (1991). 318. იხილეთ ასევე: Munsie, (2002). 39.

[401] Robinson, (ed). (1999). 27. ხარისხის შემმოწმებელთა ჯგუფი შედგებოდა ღვინის მწარმოებლებისგან, რომლებიც ღვინის ხარვეზების დასადგენად, ატარებდნენ ბრმა ორგანოლეპტიკურ შემოწმებას. Ibid. ბრმა ორგანოლეპტიკურ შემოწმებაში იგულისხმება ის რომ, შემმოწმებელმა არ იცის, რომელ ღვინოს აგემოვნებს. (ხაზგასმა ჩვენია. ნ.ფ.) იხილეთ ასევე: Munsie, (2002).. 39.

[402] Robinson, (ed). (1999). 312. იხილეთ ასევე: Munsie, (2002). 39. დღეს გერმანიაში წარმოებული ღვინის თითქმის 95% კლასიფიცირდება როგორც Qualitätswein. Ibid. იხილეთ ასევე: Ian Jamieson, Guide to the Wines of Germany, (M. Beazley 1992) 26.

4. ესპანეთი

1970 წელს ესპანეთის ღვინის წესდება შეიცვალა ახალი წესდებით - Estatuto de la Viña, del Vino y de los Alcoholes - ვაზის, ღვინისა და ალკოჰოლის წესდება.[403] შედეგად ქვეყნის მასშტაბით, შეიქმნა პროცედურებისა და სტანდარტების სისტემა, რომელიც ეხებოდა ღვინის წარმოების ყველა ასპექტს, მათ შორის განაწილებასა და რეალიზაციას.[404] ამ წესდებამ ასევე შექმნა Instituto Nacional de Denominaciones de Origen - ადგილწარმოშობის დასახელებათა ეროვნული ინსტიტუტი, რომელიც არეგულირებდა და აკონტროლებდა ადგილწარმოშობის ზონებს, ასევე შეიქმნა მარეგულირებელი ორგანო თითოეული ზონისთვის.[405]

გარდა ამისა, 1975 წლის შემდეგ ქვეყანაში შექმნილმა გაცილებით თავისუფალმა ეკონომიკურმა გარემომ გამოიწვია ესპანეთის საზოგადოების საშუალო ფენის ზრდა, რასაც შედეგად მოჰყვა ინტერესის გამძაფრება, მაღალი ხარისხის ღვინოების მიმართ.[406]

იმ გათვლებით რომ თანამეგობრობაში გაწევრიანდებოდა, ესპანეთმა 1982 წელს შექმნა ხარისხობრივი ღვინის საკუთარი კლასიფიკაცია - Denominaciones de Origen (შემდგომში DO), VDQS, AOC, DOC და Qualitätswein კლასიფიკაციების ეკვივალენტი. 1991 წელს შეიქმნა უმაღლესი ხარისხის ღვინოების კლასიფიკაცია

---

[403] O'Connor, (2007). 191. Law #25 on Vineyard, Wine and Alcohol Regulations (Estatuto de la Viña, del Vino y de los Alcoholes); Rick Fisher, "The Wine Quality System of Spain" <https://www.winescholarguild.org/blog/the-quality-wine-system-of-spain> 26.04.2022 მდგომარეობით. This statute defined production methods in addition to delimiting production areas. Ibid. Digital version of the original texts is available at "Agencia Estatal Boletín Oficial del Estado" <https://www.boe.es/buscar/doc.php?id=BOE-A-1970-1316> 29.04.2022 მდგომარეობით. The original version of this statute along with amending and repealing documents is also available at "Ecolex" <https://www.ecolex.org/details/legislation/ley-no-251970-estatuto-de-la-vina-del-vino-y-de-los-alcoholes-lex-faoc003767/?q=Fishery+conservation> 29.04.2022 მდგომარეობით;

[404] Munsie, (2002)., 40. იხილეთ ასევე Read, (1992). 15-16, Corporation Doca Rioja, "History" <http://us.riojawine.com/en/40-corporation-doca-rioja.html> 17.01.2019 მდგომარეობით; "The History of Rioja wine" <http://www.rutasdelvinorioja.com/en/our-wine/the-history-of-rioja-wine/> 26.01.2019 მდგომარეობით.

[405] O'Connor, (2007). 191. ადგილწარმოშობის დასახელებათა ეროვნული ინსტიტუტი იყო დამოუკიდებელი დაწესებულება, რომელიც ანგარიშვალდებული იყო სოფლის მეურნეობის, მეთევზეობის და კვების სამინისტროს წინაშე. აღნიშული ინსტიტუტი დღეს აღარ არსებობს, მისი ფუნქციები შეთავსებული აქვს სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სპეციალურ სტრუქტურულ ქვედანაყოფს - კვების პოლიტიკის მთავარ სამმართველოს. Ibid; Rick Fisher, "The Wine Quality System of Spain" <https://www.winescholarguild.org/blog/the-quality-wine-system-of-spain> 26.04.2022 მდგომარეობით.

[406] Wacker, (2019). 6. იხილეთ ასევე: Robinson, J. et al. (eds). (2015). 695.

Denominaci´on de Origen Calificada (შემდგომში DOCa), იტალიური DOCG კლასიფიკაციის ეკვივალენტი.[407]

ესპანეთის ორდინალური სუფრის ღვინო Vino de mesa იყო სხვადასხვა ყურძნის ნაზავი, ან მიღებული არაკლასიფიცირებული ვენახებიდან. ამ ტიპის ღვინის ეტიკეტზე გეოგრაფიული წარმომავლობის, მოსავლის ან ყურძნის ჯიშის მითითება არ იყო ნებადართული. თუმცა გარკვეულ ორდინალურ სუფრის ღვინოებზე დასაშვები იყო წარმოშობის მითითება, ასეთ ღვინოს ეწოდა Vino Comarcal. სუფრის ღვინის კიდევ უფრო აღმატებულ კატეგორიას ეწოდა Vino de la tierra მსგავსი კატეგორიებისა: Vins de pays, vino tipico და landwein. Vino de la tierra იყო ღვინო, წარმოებული კონკრეტულ ზონაში, რომელმაც ვერ მოიპოვა DO სტატუსი.[408]

მარეგულირებელ საბჭოს (Consejo Regulador) უნდა განესაზღვრა თითოეული DO ტერიტორიის გეოგრაფიული არეალი, ვაზის დასაშვები ჯიშები, ვენახის სიმჭიდროვე და ნებადართული მოსავლიანობა, რეგულაციები ასევე მოიცავდა ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა: ვაზის გასხვლა, დამწიფება, ღვინოში ალკოჰოლის, შაქრის და მჟავიანობის შემცველობა. ეტიკეტის დაბეჭდვამდე, DO კატეგორიის ღვინო უნდა შემოწმებულიყო ლაბორატორიულად, რის შემდეგაც თითოეულ ბოთლს მარეგულირებელი საბჭოს ბეჭედს ასვამდენ, რაც ხარისხის გარანტიას უზრუნველყოფდა.[409]

DO კლასიფიკაციის შემუშავებისას ესპანეთის მთავარი მიზანი იყო თანამეგობრობის მიერ დადგენილი რეგულაციების ფორმალური დაკმაყოფილება, ნაცვლად იმისა, რომ ქვეყანას რეალურად მოეხდინა ფოკუსირება ხარისხის გაუმჯობესებაზე. [410] ასე რომ, უმეტეს შემთხვევაში, DO სტატუსი ღვინოების ენიჭებოდათ მომავალი პოტენციალის გათვლით, ან ერთ მწარმოებელზე დაყრდნობით და არა ადგილწარმოშობის ზონის საფუძველზე.[411] ამგვარად, ხშირ შემთხვევაში, ყველაზე პრესტიჟული და ძვირადღირებული

[407] Read, (1992). 13. იხილეთ ასევე: Munsie, (2002). 40; იხილეთ ასევე: Rick Fisher, "The Wine Quality System of Spain" <https://www.winescholarguild.org/blog/the-quality-wine-system-of-spain> 26.04.2022 მდგომარეობით. Ibid; Wacker, (2019). 6; Radford, (2004). 11; Robinson, J. et al. (eds). (2015). 695.

[408] Read, (1992). 15. იხილეთ ასევე: Munsie, (2002). 41.

[409] Read, (1992). 16. იხილეთ ასევე: Munsie, (2002)., 41; Tom Stevenson, The Sotheby's Wine Encyclopedia, (4th edn 2005) 305.

[410] Voss, (1984). 41. იხილეთ ასევე: Munsie, (2002). 41.

[411] Read, (1992). 18. იხილეთ ასევე: Munsie, (2002). 41.

ესპანური ღვინო სუფრის ღვინის სტატუსით იწარმოებოდა, ამ ღვინოების რეპუტაცია, მათივე ხარისხობრივ მაჩვენებლებზე დაყრდნობით შეიქმნა, DO კლასიფიკაციისგან სრულიად დამოუკიდებლად.[412] ეს შემთხვევა ძალიან ჰგავს იტალიის მაგალითს, როდესაც არაეფექტური რეგულაციები მეღვინეებს აიძულებდა, ღვინო ხარისხიანი ღვინის კლასიფიკაციის მიღმა ეწარმოებინათ.

2003 წელს განხორციელდა ესპანეთის ღვინის კანონების რეორგანიზაცია ღვინის კლასიფიკაციის თანამედროვე სისტემის ჩამოყალიბების მიზნით, რომელიც შეიქმნა ხარისხისა და ადგილმდებარეობის მიხედვით (გარკვეული მშრალი რეგიონებისთვის ვენახების მორწყვის უფლების შემოღების ჩათვლით). შედეგად, ესპანეთის ღვინის დებულება შეიცვალა და შეიქმნა ღვინის ორი ახალი კატეგორია: 1) Vinos de Calidad con Indicación Geográfica (შემდგომში VCIG) - გეოგრაფიული აღნიშვნის ხარისხობრივი ღვინოები და 2) Denominación de Origen de Pago (შემდგომში DOP), ქვეკატეგორიის ჩათვლით. Vino de Pago (შემდგომში VP) ან Vino de Pago Calificado (შემდგომში VPCa).[413]

VCIG - ყველაზე დაბალი კატეგორიაა ხარისხობრივი ღვინის კლასიფიკაციაში, თუ ღვინო კარგავს DO სტატუსს, ის შეიძლება ჩამოხარისხდეს ამ კატეგორიამდე ხარისხობრივი ღვინის სტატუსის დაკარგვის გარეშე.[414]

DOP - კასტილია ლა მანჩას (Castilla-La Mancha's) რეგიონალური მთავრობა იყო პირველი, ვინც შექმნა ეს კატეგორია. იგი შეიქმნა მხოლოდ გამორჩეული რეპუტაციის მქონე მამულებისთვის, იმისდა მიუხედავად არიან თუ არა ისინი DO ან DOCa კატეგორიებში. თუ ამ ტიპის მამული მდებარეობს DOCa ზონაში, მაშინ ამ მამულში დამზადებული VP ღვინო შეიძლება კლასიფიცირდებოდეს როგორც VPCa.[415]

არსებობს დაახლოებით 55 DO ადგილწარმოშობის დასახელება, რომელიც მოიცავს დღეს ესპანეთის მთელი ვენახების ფართობის სამ მეოთხედს. რიოხა

---

[412] Robinson, (ed). (1999). 659-660. იხილეთ ასევე: Munsie, (2002). 42.

[413] Rick Fisher, "The Wine Quality System of Spain" <https://www.winescholarguild.org/blog/the-quality-wine-system-of-spain> 26.04.2022 მდგომარეობით. Wacker, (2019). 10-11. იხილეთ ასევე: Jeffs, (2006). 7-8; Radford, (2004). 22-23.

[414] Wacker, (2019). 10.

[415] Wacker, (2019). 11; Rick Fisher, "The Wine Quality System of Spain" <https://www.winescholarguild.org/blog/the-quality-wine-system-of-spain> 26.04.2022 მდგომარეობით; Miquel Hudin, "What is a Vino de Pago?" <https://www.decanter.com/spanish-fine-wine/what-is-a-vino-de-pago-384093/> 29.04.2022 მდგომარეობით.

(Rioja) იყო ერთადერთი რეგიონი, რომელსაც მიენიჭა DOCa-ს სტატუსი 2009 წლამდე, სანამ პრიორატს (Priorat) ასევე მიენიჭა აღნიშნული სტატუსი.[416]

ესპანეთის ამ პერიოდის რეგულაციათა განხილვისას, გამოიკვეთა შემდეგი მნიშვნელოვანი გარემოებები:

1. 1970 წელს, ესპანეთმა შეცვალა ძველი, 1932 წელს მიღებული ღვინის წესდება, ახლით, და დაარსა ადგილწარმოშობის დასახელებათა ეროვნული ინსტიტუტი - Instituto Nacional de Denominaciones de Origen, რათა ქვეყნის მასშტაბით, ეკონტროლებინა ადგილწარმოშობის დასახელებებთან დაკავშირებული საკითები. ამით ქვეყანა კიდევ უფრო დაუახლოვდა საფრანგეთში არსებულ ღვინის ხარისხის კონტროლის სისტემას.

2. მიუხედავად იმისა, რომ ესპანეთი აქტიურად ახერხებს ღვინის წარმოების რეგულაციების შექმნას, რაც განასხვავებს მას იტალიისგან, რომელიც ამ მხრივ ძალიან პასიურია, DO კლასიფიკაციის შემუშავებისას, ესპანეთის მთავარი მიზანი, იტალიის მსგავსად, იყო თანამეგობრობის მიერ დადგენილი რეგულაციების ფორმალური დაკმაყოფილება.

3. კლასიფიკაციის ფორმალურმა ხასიათმა, ისევე როგორც იტალიაში, აქაც გამოიწვია ის შედეგები, რომ ყველაზე პრესტიჟული და ძვირადღირებული ესპანური ღვინო სუფრის ღვინის სტატუსით იწარმოებოდა.

4. 1991 წელს ესპანეთმა შექმნა უმაღლესი ხარისხის ღვინოების კლასიფიკაცია - Denominaci´on de Origen Calificada (DOCa), რომელიც იყო იტალიური DOCG კლასიფიკაციის ეკვივალენტი. აღნიშნული კლასიფიკაციის შემოღება შეიძლება ჩაითვალოს, როგორც ესპანეთის მცდელობა, ხარისხობრივი ღვინის კლასიფიკაციისთვის, მეტი სანდოობა მიენიჭებინა, როგორც ამას ეცადნენ იტალიაში 1992 წელს. იტალიის მსგავსად, ესპანეთმა ასევე შემოიღო სუფრის ღვინის უმაღლესი კატეგორია, სახელწოდებით „Vino de la tierra“, რაც ფრანგული Vins de pays-ს და იტალიური vino tipico-სი ეკვივალენტია.

5. 2003 წელს კიდევ ერთხელ განხორციელდა ცვლილებები ესპანეთის ღვინის რეგულაციებში ღვინის ახალი კატეგორიების (VCIG და DOP) შემოღებით, თუმცა VCIG კატეგორია, თავისი არსით, მანიპულირების საშუალებას იძლევა,

[416] Miquel Hudin, "What is a Vino de Pago?" <https://www.decanter.com/spanish-fine-wine/what-is-a-vino-de-pago-384093/> 29.04.2022 მდგომარეობით; Hudin, M. (2015). *Priorat*. 2nd edn, Vinologue. 480.

რადგან ჩამოხარისხებულ ღვინოს მაინც ტოვებს ხარისხობრივი ღვინის კატეგორიაში, რაც, ჩვენი აზრით, ისეთივე ფორმალური ხასიათის მიდგომაა, როგორსაც ვაწყდებით ამ პერიოდის იტალიურ რეგულაციებში. რაც შეეხება DOP კატეგორიას, მისი დანიშნულებიდან გამომდინარე (მხოლოდ გამორჩეული რეპუტაციის მქონე მამულებისთვის), ტოვებს იმედს, ნაწილობრივ მაინც, დაიძლიოს ესპანეთის ღვინის რეგულაციების ფორმალურობა.

VII. საბჭოთა კავშირის ღვინის წარმოების რეგულაციები

საბჭოთა ეპოქის ღვინის წარმოების რეგულაციებზე საუბრისას, უპირველეს ყოვლისა უნდა განვიხილოთ საბჭოთა კავშირის სახელმწიფო სტანდარტები - Государственные стандарты Союза Советских Социалистических Республик (ГОСТ) და საკავშირო რესპუბლიკების სტანდარტები - Республиканские стандарты союзных республик (РСТ).[417]

სახელმწიფო სტანდარტები სავალდებულო იყო ყველა საწარმოსთვის, ორგანიზაციისთვის და დაწესებულებისთვის როგორც საბჭოთა კავშირის, ისე საკავშირო რესპუბლიკების ეკონომიკის ყველა დარგში.[418] გარდა ამისა, საბჭოთა კავშირის სტანდარტიზაციის სისტემა ასევე საშუალებას იძლეოდა საკავშირო რესპუბლიკებს ჰქონოდათ საკუთარი რესპუბლიკური სტანდარტები. [419] რესპუბლიკური სტანდარტები იქმნებოდა კონკრეტული რესპუბლიკის ადგილობრივი პროდუქტებისთვის და სავალდებულო იყო სამინისტროებისთვის

---

[417] იხილეთ: ГОСТ 1.0-68, მუხლები 3.1.1, 3.1.3, 3.1.5, 3.2.6, 3.2.9. ციფრული ვერსია ხელმისაწვდომია აღნიშნულ ვებგვერდზე: "Кодекс, Электронный фонд правовой и нормативно-технической документации" <http://docs.cntd.ru/document/1200088352> 24.03.2021 მდგომარეობით; The name "ГОСТ" represents an acronym which means state standard. იხილეთ: “History” <https://www.rst.gov.ru/portal/eng//home/about/history> 15.02.2021 მდგომარეობით.

[418] ГОСТ 1.0-68, მუხლები 3.1.1, 3.1.3, 3.2.6. 1925 წელს საბჭოთა კავშირმა შექმნა სპეციალური კომიტეტი, რომელიც პასუხისმგებელი იყო სახელმწიფო სტანდარტების შექმნაზე. მას შემდეგ სტანდარტების შექმნაზე პასუხისმგებელი სხვადასხვა კომიტეტები იქმნებოდა, წყვეტდა არსებობას, განიცდიდა რეორგანიზაციას. 1989 წელს ამ ტიპის ბოლო საბჭოთა ინსტიტუტი - "სსრკ-ს პროდუქციისა და სტანდარტების ხარისხის მართვის სახელმწიფო კომიტეტი" შეიქმნა, "სსრკ-ს სტანდარტების სახელმწიფო კომიტეტის" რეორგანიზაციის შედეგად. იხილეთ: “History” <https://www.rst.gov.ru/portal/eng//home/about/history> 15.02.2021 მდგომარეობით; იხილეთ ასევე: “Gosstandart (ГОСТ)” <https://ihsmarkit.com/ products/gost-standards.html> 15.02.2021 მდგომარეობით.

[419] ГОСТ 1.0-68, მუხლი 3.1.1.

და ამ რესპუბლიკის ტერიტორიაზე მდებარე ყველა საწარმოსთვის, ორგანიზაციისა და დაწესებულებისთვის.[420]

საბჭოთა კავშირის ღვინის წარმოებასთან დაკავშირებით მთავარ სტანდარტებად შეიძლება ჩაითვალოს შემდეგი: ГОСТ 7208-84 ყურძნის ღვინოები. ზოგადი სპეციფიკაციები (Вина Виноградные. Общие технические условия), ГОСТ 13918-88 საბჭოთა შამპანური. სპეციფიკაციები (Советское шампанское. Технические условия), ГОСТ 12134-87 ცქრიალა ღვინოები ექსპორტისთვის. სპეციფიკაციები (Вина игристые для экспорта. Технические условия), და ГОСТ 28685-90 ცქრიალა ღვინოები. ზოგადი სპეციფიკაციები (Вина игристые. Общие технические условия).[421]

აღსანიშნავია, რომ საბჭოთა შამპანურის და ცქრიალა ღვინოების ГОСТ-ების ერთ-ერთი მთავარი შემქმნელი იყო ქართული წარმოშობის საბჭოთა მეცნიერი ნასყიდ სარიშვილი.[422]

ГОСТ 7208-84 დამტკიცდა და ძალაში შევიდა 1989 წლის 1 იანვარს საბჭოთა კავშირის სტანდარტების სახელმწიფო კომიტეტის მიერ 1989 წლის 29 აგვისტოს

---

[420] ГОСТ 1.0-68, მუხლები 3.1.5, 3.2.9; იხილეთ ასევე: "Республиканский стандарт" <https://www.ngpedia.ru/id477214p1.html> 23.03.2021 მდგომარეობით; Исаев, И. (1989). *Государственная приемка продукции.* Издательство Стандартов. 29; Якушев, А. И., Воронцов, Л. Н., Федотов, Н. М., (1987). *Взаимозаменяемость, стандартизация и технические измерения*. 34; Ткаченко, В.В. (1988). *Роль стандартизации в ускорении научно-технического прогресса и повышении качества продукции.* Издательство Стандартов. 15; Мельников, В.Г., Казанов, Л.С. (1978). *Основы стандартизации, допуски, посадки и технические измерения.* Высшая школа. 26-27; Козловский, Н.С., Виноградов, А.Н. (1982). *Основы стандартизации, допуски, посадки и технические измерения*.10.

[421] ამ და სხვა ГОСТ-ების ციფრული ვერსიები ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: "ГОСТы и стандарты" <https://standartgost.ru> 15.02.2021 მდგომარეობით; იხილეთ ასევე: "Библиотека нормативной документации" <https://files.stroyinf.ru> 15.02.2021 მდგომარეობით; "База ГОСТов" <https://allgosts.ru> 15.02.2021 მდგომარეობით.

[422] ГОСТ 13918-88, Information Data, 5; ГОСТ 12134-87, Information Data, 4; ГОСТ 28685-90, Information Data, 4; ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, აკადემიკოსი ნასყიდ სარიშვილი დაიბადა თბილისში 1927 წლის 13 ნოემერს. იგი იყო გამოჩენილი მეცნიერი მიკრობიოლოგიის, ბიოქიმიის, ასევე ყურძნისა და ხილის ღვინოების, კონიაკის და შამპანურის ტექნოლოგიების დარგში. მის სახელს უკავშირდება, საბჭოთა შამპანურის და ცქრიალა ღვინოების წარმოების, ფუნდამენტურად ახალი ტექნოლოგიის სამეცნიერო საფუძვლების შექმნა, რომელსაც მსოფლიო პრაქტიკაში ანალოგი არ გააჩნია. იხილეთ: "Саришвили Наскид Григорьевич" <http://www.cnshb.ru/AKDiL/akad/base/RS/000440.shtm> 21.02.2021 მდგომარეობით. იხილეთ ასევე: Ashlie Hughes, 'In 1936, Joseph Stalin Created the Proletariat's Very Own 'Champagne'', 14 July 2020, <https://vinepair.com/articles/stalin-soviet-champagne/> 29.08.2021 მდგომარეობით; იხილეთ ასევე: Jessica Gingrich, 'How Stalin and the Soviet Union Created a Champagne for the Working Class', 5 November 2019, <https://www.atlasobscura.com/articles/champagne-in-soviet-union> 29.08.2021 მდგომარეობით; Richard Woodard, 'Russia to stop using 'Soviet Champagne' name', 28 October 2011, <https://www.decanter.com/wine-news/russia-votes-to-drop-shampanskoye-34246/> 29.08.2021 მდგომარეობით; James von Geldern, 'Soviet Champagne' (Essay) <http://soviethistory.msu.edu/1934-2/soviet-champagne/> 29.08.2021 მდგომარეობით; 'Soviet Champagne History', 28 October 2009, <https://www.wineterroirs.com/2009/10/sovietchampagne.html> 29.08.2021 მდგომარეობით;

გამოქვეყნებული #3035 დადგენილებით.[423] ეს სტანდარტი ადგენდა ღვინის კლასიფიკაციის სისტემას, რომელიც ქვეკატეგორიზაციას უკეთებდა ღვინოებს გარკვეული კრიტერიუმების მიხედვით:[424]

ღვინის წარმოებაში გამოყენებული ყურძნის ჯიშების ოდენობის მიხედვით კლასიფიკაციამ განსაზღვრა ორი ქვეკატეგორია: ჯიშური ღვინოები (Сортовые вина) - დამზადებული ერთი ჯიშის ყურძნისგან და კუპაჟური ღვინოები (Купажные вина) - დამზადებული რამდენიმე ჯიშის ყურძნისგან. ჯიშური ღვინოების წარმოებაში ნებადართული იყო ყურძნის სხვა ჯიშების 15% გამოყენება.[425]

ხარისხისა და დაძველების დროის მიხედვით კლასიფიკაციამ განსაზღვრა სამი ქვეკატეგორია: 1) ჩვეულებრივი ღვინოები (Ординарные вина) - დამზადებული ცალკეული ჯიშის ყურძნისგან ან ყურძნის შერევით, გასაყიდად გამოდიოდა დაძველების გარეშე; 2) სამარკო ღვინოები (Марочные вина) - მაღალი ხარისხის ღვინოები, დამზადებული სპეციალური ან ტრადიციული ღვინის დაყენების მეთოდით, გარკვეული ჯიშის ყურძნისგან (ახალი ან გამომშრალი), ან სპეციალურად შერჩეული ყურძნის სახეობების შერევით, მოყვანილი მკაცრად განსაზვრულ ადგილებში, დამახასიათებელი გემოთი და არომატის დელიკატურობით. გაყიდვამდე, ამ ტიპის ღვინოებისთვის სავალდებულო იყო დავარგება არანაკლებ 1,5 წლით, თუმცა არსებობდა გამონაკლისები და კახური ტიპის ქართული ღვინოების შემთხვევაში მინიმალური დაძველების პერიოდი შეადგენდა არანაკლებ 1 წელს; 3) საკოლექციო ღვინოები (Коллекционные вина) - სამარკო დაძველებული ღვინოები, რომლებიც დამატებით ინახებოდა ბოთლებში მინიმუმ 3 წლის განმავლობაში.[426]

---

[423] ГОСТ 7208-84, პრეამბულა. აღნიშნულმა სტანდარტმა შეცვალა ადრე არსებული ГОСТ 7208-70. Ibid.

[424] ГОСТ 7208-84, მუხლი 1.

[425] ГОСТ 7208-84, მუხლი 1.1.

[426] ГОСТ 7208-84, მუხლი 1.2. ღვინის წარმოების კახური მეთოდი გულისხმობს, ქვევრში ღვინის დადუღებას ჭაჭაზე, და პირველადი დუღულის დამთავრების შემდეგ, თეთრი ღვინის შემთხვევაში, ღვინის ჭაჭაზე დაყოვნებას 6 თვის განმავლობაში, წითელი ღვინის შემთხვევაში კი - 2 კვირის განმავლობაში გულისხმობს. იხილეთ: ბარისაშვილი, გ. (2010). *ღვინის დაყენება ქვევრში.* ელკანა, თბილისი. 28-29; იხილეთ ასევე: ჯანხოთელი, გ. (1999). *მეღვინეობა.* მერანი-3, თბილისი. 217-218; კ. მოდებაძე, კ. (1948). *მეღვინეობა.* სახელმწიფო გამომცემლობა, თბილისი. 514-515; "Виноградарство и виноделие Грузии" <http://www.sovietwine.com/winery/gssr.html> 13.03.2021 მდგომარეობით; "Qvevri" <http://georgianwine.gov.ge/En/KvevriWine/Details/2> 19.03.2021 მდგომარეობით.

წარმოების მეთოდების მიხედვით (ტექნოლოგიით) ღვინოები იყოფოდა ჯგუფებად და შემდეგ ტიპებად, მაგალითად, სუფრის ღვინოების ჯგუფი (Столовые вина) მოიცავდა ოთხ ტიპს: მშრალი, ნახევრად მშრალი, ნახევრად ტკბილი და სპეციალური ტიპის, რომელშიც შედიოდა კახური ტიპის ღვინოებიც. შემაგრებული ღვინოების ჯგუფი (Крепленые вина) მოიცავდა სხვადასხვა სახის შემაგრებულ და სადესერტო ღვინოებს და ბოლოს ჯგუფი სახელწოდებით არომატიზებული ღვინოები (Ароматизированные вина) მოიცავდა შემაგრებულ და სადესერტო ღვინოებს, რომლებიც იწარმოებოდა სხვადასხვა მცენარეული ექსტრაქტების ან მათი დისტილატების დამატებით.[427]

შეფერილობის მიხედვით ღვინოები იყოფოდა შემდეგნაირად: თეთრი (Белые), ვარდისფერი (Розовые) და წითელი (Красные).[428]

ალკოჰოლის შემცველობის თვალსაზრისით, ГОСТ 7208-84 ადგენდა მოთხოვნებს ღვინის ტიპის მიხედვით. სუფრის ღვინოებისთვის საჭირო ალკოჰოლის მოცულობის დიაპაზონი იყო 9-დან 14%-მდე, გარდა სპეციალური ტიპის ღვინოებისა, შესაბამისად კახური ღვინის შემთხვევაში დადგენილი შემცველობის ზღვრები 10,5-დან 13%-მდე მერყეობდა. შემაგრებული ღვინოების ზღვრები 12-დან 20%-მდე, ხოლო არომატიზებული ღვინოებისთვის 16-დან 18%-მდე. [429] აღნიშნული სტანდარტი ასევე ადგენდა მწარმოებლის მიერ ღვინის შენახვის გარანტირებულ პერიოდს, რომელიც განისაზღვრებოდა ჩამოსხმის დღიდან დაწყებული 3-დან 5 თვემდე, ღვინის კატეგორიების მიხედვით.[430]

1990 წლის 27 ივნისის #1942 ბრძანებამ, რომელიც გამოიცა საბჭოთა კავშირის პროდუქციისა და სტანდარტების ხარისხის მართვის სახელმწიფო კომიტეტის მიერ, შეიტანა ცვლილებები ГОСТ 7208-84-ში. ცვლილებების უმეტესობა საკმაოდ ტექნიკური ხასიათის იყო, მაგრამ ასევე იყო მნიშვნელოვანი დამატებები ღვინის კლასიფიკაციაშიც, როგორიცაა: კლასიფიკაცია, რომელიც განსაზღვრავდა ღვინოებს ხარისხისა და დაძველების დროის მიხედვით, გაიზარდა ერთი

---

[427] ГОСТ 7208-84, მუხლი 1.3. დეტალური ინფორმაციისთვის, იხილეთ ამავე მუხლის ცხრილი 1.
[428] ГОСТ 7208-84, მუხლი 1.4.
[429] ГОСТ 7208-84, მუხლი 2.4. ეს სტანდარტი ასევე ადგენდა ფერის მოთხოვნებს თითოეული ტიპის ღვინისთვის. Ibid. ცხრილი 2. ГОСТ 7208-84 ასევე ადგენდა ტექნიკური მოთხოვნების ჩამონათვალს ნედლეულზე, როგორიცაა: ყურძენი, ყურძნის წვენი და დანამატებზე, როგორიცაა: სპირტი, შაქარი, სხვადასხვა მჟავები, რომლებიც უნდა გამოყენებულიყო ღვინის წარმოებაში. იხილეთ მუხლი 2.2.
[430] ГОСТ 7208-84, მუხლი 6.2.

ქვეკატეგორიით, სახელწოდებით დავარგებული ღვინოები (Выдержанные вина), რომლებიც განისაზღვრა, როგორც გაუმჯობესებული ხარისხის ღვინოები, დამზადებული მეღვინეობის სპეციალური მეთოდებით ცალკეული ყურძნის ჯიშებიდან ან ჯიშების შერევით, გაყიდვამდე სავალდებულო დავარგების ვადით, არანაკლებ 6 თვისა. ასევე შეიქმნა ახალი კატეგორია, სახელწოდებით კონტროლირებადი ადგილწარმოშობის დასახელების ღვინოები (Вина контролируемых наименований по происхождению), რომლებიც განისაზღვრა, როგორც მაღალი ხარისხის ღვინოები, წარმოებული სპეციალური ან ტრადიციული ღვინის დაყენების მეთოდით, გარკვეული ჯიშის ყურძნისგან, მოყვანილი მკაცრად კონტროლირებად ადგილებში, და რომლებსაც ახასიათებთ კონკრეტული ტერიტორიის ეკოლოგიური გარემოთი განპირობებული, უნიკალური ორგანოლეპტიკური მახასიათებლები.[431]

საბჭოთა შამპანურის შესახებ სტანდარტი ГОСТ 13918-88 ძალაში შევიდა 1989 წლის 1 იანვარს,[432] და შეიქმნა თითქმის ისევე ყაიდით, როგორც ГОСТ 7208-84. იგი მოიცავდა წარმოების შემდეგ ასპექტებს, დაწყებული ტექნიკური მოთხოვნებიდან და საბჭოთა შამპანურის ტიპებიდან, დამთავრებული მწარმოებლის მიერ გარანტირებული ღვინის შენახვის პერიოდებით.[433]

საბჭოთა შამპანურის სახეები ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: საბჭოთა შამპანური საკოლექციო (Советское шампанское коллекционное) - ბრუტი, მშრალი, ნახევრად მშრალი; საბჭოთა შამპანური (Советское шампанское) - ბრუტი, მშრალი, ნახევრად მშრალი, ნახევრად ტკბილი, ტკბილი; სპეციალური დასახელების საბჭოთა შამპანური (Советское шампанское специальных наименований) - მშრალი, ნახევრად მშრალი, ნახევრად ტკბილი.[434]

ალკოჰოლის მოცულობის თვალსაზრისით, დადგენილი ზღვრები მერყეობდა 10,5% - 12,5% ფარგლებში, ხოლო მწარმოებლის მიერ გარანტირებული ღვინის შენახვის პერიოდი 6 თვიდან 1 წლამდე.[435]

---

[431] Указ Государственного комитета СССР по управлению качеством продукции и стандартам #1942, 311.
[432] ГОСТ 13918-88, პრეამბულა.
[433] იხილეთ: ГОСТ 13918-88, მუხლები 1-5.
[434] ГОСТ 13918-88, მუხლი 1.2.1. ცხრილი 1
[435] ГОСТ 13918-88, მუხლი 5.

ცქრიალა ღვინოების სტანდარტები ГОСТ 12134-87 და ГОСТ 28685-90 ГОСТ 13918-88-ის მსგავს ყაიდაზე იყო შექმნილი. ცქრიალა ღვინის თითოეული ტიპისთვის ორივე სტანდარტი მოიცავდა წარმოების ერთსა და იმავე ასპექტებს, ტექნიკური მოთხოვნებიდან და ტიპებიდან დაწყებული, მწარმოებლის მიერ გარანტირებული ღვინის შენახვის პერიოდებამდე.[436]

ორივე ГОСТ-ი ცქრიალა ღვინის ტიპებს ერთნაირად განსაზღვრავდა: თეთრი ცქრიალა ღვინოები, ვარდისფერი ცქრიალა ღვინოები და წითელი ცქრიალა ღვინოები,[437] მაგრამ ГОСТ 12134-87 დამატებით ადგენდა ცქრიალა ღვინის ტიპებს შაქრის შემცველობის მიხედვით: ბრუტი, მშრალი, ნახევრად მშრალი, ნახევრად ტკბილი, ტკბილი. [438] იმავდროულად, ГОСТ 28685-90 დამატებით ადგენდა განმარტებას დავარგებული ცქრიალა ღვინოების შესახებ, ეს იყო ღვინოები დავარგებული მეორადი დუღილის შემდგომ სულ მცირე 9 თვის ვადით.[439]

ალკოჰოლის მოცულობის თვალსაზრისით, ГОСТ 12134-87 ადგენდა ზღვრებს 10,5% - 12,5%-მდე შუშხუნა და ვარდისფერ ცქრიალა ღვინოებისთვის და 11,5% - 13,5% წითელი ცქრიალა ღვინისთვის, [440] ხოლო მწარმოებლის მიერ გარანტირებული შენახვის ვადები მერყეობდა 1-დან 2 წლამდე, კორპის მასალის მიხედვით.[441]

ГОСТ 28685-90 ადგენდა ალკოჰოლის მოცულობის ზღვრებს 10%-დან ცქრიალა და ვარდისფერ ცქრიალა ღვინოებისთვის, 13.5%-მდე წითელი ცქრიალა ღვინისთვის, [442] და მწარმოებლის მიერ გარანტირებულ შენახვის ვადებს 6 თვემდე.[443]

1985 წლის მაისში მიხეილ გორბაჩოვმა, რომელიც იმ დროს კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი იყო, წამოიწყო კამპანია ალკოჰოლის მოხმარების შეზღუდვის მიზნით, წარმოებისა და გაყიდვების შემცირებით. ამ კამპანიით დაწესებული შეზღუდვების გამო საბჭოთა კავშირის მეღვინეობის რესპუბლიკებში

---

[436] იხილეთ: ГОСТ 12134-87, მუხლები 1-5 და ГОСТ 28685-90, მუხლები 1-6.
[437] იხილეთ: ГОСТ 12134-87, მუხლები 1.2.1 და ГОСТ 28685-90, მუხლი 1.1.
[438] ГОСТ 12134-87, მუხლი 1.2.2.
[439] ГОСТ 28685-90, მუხლი 1.2.
[440] ГОСТ 12134-87, მუხლი 1.3.2. ცხრილი 2
[441] ГОСТ 12134-87, მუხლი 5.2
[442] ГОСТ 28685-90, მუხლი 2.2.2. ცხრილი 1
[443] ГОСТ 28685-90, მუხლი 6.

ალკოჰოლის მწარმოებელი მრავალი ობიექტი დაიხურა და მრავალი ვენახი განადგურდა, ამ კამპანიამ საქართველოც დააზარალა.[444]

ეს ანტიალკოჰოლური კამპანია განხორციელდა საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 07 მაისს გამოქვეყნებული 410 დადგენილების საფუძვეზე (О мерах по преодолению пьянства и алкоголизма, искоренению самогоноварения), [445] ღვინის წარმოებასთან დაკავშირებით გარკვეული დებულებებისა და შეზღუდვების დაწესებით, მაგალითად, სუფრის და შემაგრებული ღვინოების ხარისხის გაზრდის მიზნით, წარმოება დაიშვებოდა მხოლოდ კვების მრეწველობის სამინისტროს და სხვა დაწესებულებების სპეციალიზირებულ ობიექტებში.[446] საბჭოთა რესპუბლიკებს დაევალათ ხილის, მათ შორის ყურძნის, ახალი, გამომშრალი ან გაყინული სახით გაყიდვების გაზრდა და ამ ნედლეულის გამოყენება მურაბების, წვენების და სხვა უალკოჰოლო პროდუქტების წარმოებაში. საწარმოებს, მათ შორის კოლმეურნეობებს შეეზღუდათ ოჯახური ღვინის შეძენა.[447]

უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის (Президиум Верховного Совета) 1985 წლის 16 მაისის #2458-XI დადგენილებამ დამატებით მხარი დაუჭირა ამ კამპანიას, დაწესებული შეზღუდვების დარღვევისთვის ჯარიმებისა და სანქციების

---

[444] James von Geldern "Anti-Alcohol Campaign" <http://soviethistory.msu.edu/1985-2/anti-alcohol-campaign/> 05.03.2021 მდგომარეობით; იხილეთ ასევე: Илья Кирилин "Ни капли: история сухих законов" <https://swn.ru/articles/istoriya-suhih-zakonov> 05.03.2021 მდგომარეობით; Calin Aneculaesei "Destroying Tradition: The Soviet Anti-Alcohol Campaigns" <https://historyofyesterday.com/destroying-tradition-the-soviet-anti-alcohol-campaigns-e6fec177135d> 06.03.2021 მდგომარეობით; Dan Piepenbring "Booze in the USSR" <https://www.theparisreview.org/blog/2017/04/19/booze-in-the-ussr/> 06.03.2021 მდგომარეობით; "20 лет назад виноградники превращались в поля" <https://podrobnosti.ua/251685-20-let-nazad-vinogradniki-prevraschalis-v-polja.html> 06.03.2021 მდგომარეობით; "Россия без алкоголя: неравный бой с зеленым змием" <https://www.bbc.com/russian/russia/2015/05/150515_gorbachev_alcohol_campaign_history> 08.03.2021 მდგომარეობით; From 1917 to 1985 there was five anti-alcohol campaigns in USSR, and latest one had most large-scale character in comparison to others. Ibid.

[445] Постановение Совета Министров СССР # 410, მუხლი 1. დოკუმენტის ციფრული ვერსია ხელმისაწვდომია აღნიშნულ ვებგვერდზე: "Кодекс, Электронный фонд правовой и нормативно-технической документации" <http://docs.cntd.ru/document/765707559> 07.03.2021 მდგომარეობით.

[446] Постановение Совета Министров СССР # 410, მუხლი 11.

[447] Постановение Совета Министров СССР # 410, მუხლი 13. აიკრძალა ალკოჰოლის მიყიდვა 21 წლამდე პირთათვის და სამუშაო დღეებში ალკოჰოლის გაყიდვა ნებადართული იყო დღის 2 საათიდან. Ibid. მუხლი 15.

შემოღებით.[448] ეს დადგენილება ასევე ითვალისწინებდა ჯარიმებს ჭაჭის წარმოება-შენახვისთვის,[449] ასევე ოჯახური წესით გამოხდილი ჭაჭის შეძენაზე.[450]

დისერტაციის ამ ნაწილში განხილული ინფორმაციის საფუძვლეზე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ:

1. 1980-იან წლებში საბჭოთა ხელისუფლებამ გადაწყვიტა გაეზიარებინა ევროპული გამოცდილება ღვინის წარმოების მიმართულებით და ღვინის წარმოების სტანდარტებში გაითვალისწინა ევროპული მიდგომები, რომლებიც აუცილებელია ხარისხობრივი ღვინის წარმოებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა კავშირის ღვინის კლასიფიკაცია, ევროპულ კლასიფიკაციებთან შედარებით, სრულიად განსხვავებულად ჩამოყალიბდა, გარკვეული საერთო ნიშნების დანახვა შესაძლებელია, განსაკუთრებით ხარისხისა და დაძველების დროის მიხედვით, ღვინის კლასიფიკაციაში, სადაც ორდინალური ღვინოების კატეგორია, ევროპული სუფრის ღვინოების კატეგორიას ჰგავდა, ხოლო სამარკო და საკოლექციო ღვინოების კატეგორიები ევროპული უმაღლესი ხარისხის ღვინოების კატეგორიების მსგავსი იყო. იქიდან გამომდინარე, რომ სამარკო და საკოლექციო ღვინოების განმარტება მიუთითებდა ღვინის დამზადების სპეციალურ ან ტრადიციულ მეთოდებს, ისევე როგორც შერჩეულ ყურძენს მკაცრად განსაზღვრული ტერიტორიებიდან, რითაც მოცული იყო ყველა მნიშვნელოვანი ასპექტი, მათ შორის მკაცრად განსაზღვრულ ტერიტორიები, როგორც ეს იყო ფრანგულ VDQS-ში ან AOC-ში ან ესპანურ DO-სა და იტალიურ DOC-ში.

2. უფრო მეტიც, 1990 წელს ღვინის აღნიშნულ კლასიფიკაციაში ახალი კატეგორიის - კონტროლირებადი ადგილწარმოშობის დასახელების ღვინოების დამატებამ, საბჭოთა ღვინის კლასიფიკაცია კიდევ უფრო დაახლოვა ევროპული

---

[448] Указ Президиума Верховного Совета СССР #2458-XI, მუხლები 1-7. ციფრული ვერსია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: "Кодекс, Электронный фонд правовой и нормативно-технической документации" <http://docs.cntd.ru/document/9007335> 08.03.2021 მდგომარეობით.

[449] Указ Президиума Верховного Совета СССР #2458-XI, მუხლი 3. ჭაჭის არაყთან დაკავშირებით ინფორმაციისთვის იხილეთ: "Georgian Chacha" <https://georgianrecipes.net/2013/03/29/ georgian-chacha/> 22.03.2021 მდგომარეობით; Maggie Rosenberg, "The one drink you need to know before visiting the country of Georgia" <https://matadornetwork.com/read/one-drink-need-know-visiting-country-georgia/> 22.03.2021 მდგომარეობით; "Wines and Spirits of Georgia" <https://web.archive.org/web/20070927202044/ http://www.nkta.org/Culture/wine/wine.html> 22.03.2021 მდგომარეობით; Molly Corso, "Modern makeover for Georgian chacha" <http://news.hvino.com/2013/10/modern-makeover-for-georgian-chacha.html> 22.03.2021 მდგომარეობით.

[450] Указ Президиума Верховного Совета СССР #2458-XI, მუხლი 4.

ხარისხობრივი ღვინის კლასიფიკაციებთან. აღნიშნული კატეგორია, რომლის დასახელებაში მიეთითა სიტყვა „კონტროლირებადი“, შეიძლება ჩაითვალოს ფრანგული AOC, ესპანური DOCa და იტალიური DOCG კლასიფიკაციებით განსაზღვრული ხარისხობრივი ღვინოების მსგავს კატეგორიად.

3. საბჭოთა კავშირის მიერ ევროპული მიდგომების გაზიარების კიდევ ერთ მაგალითს ვაწყდებით ჯიშური ღვინოების წარმოებაში, 15%-ის ოდენობით სხვა ყურძნის ჯიშების დაშვებით.

4. ჩვენი აზრით, ანტიალკოჰოლურ კამპანიამდე, საბჭოთა კავშირი ცდილობდა თავისი ღვინის წარმოების სტანდარტები მაქსიმალურად დაეახლოებინა ევროპაში შემუშავებულ ღვინის წარმოების რეგულაციებთან, თუმცა. უნდა ვივარაუდოთ, რომ, გორბაჩოვის მიერ წამოწყებულმა ალკოჰოლთან ბრძოლის კამპანიამ საბჭოთა ღვინის მრეწველობის განვითარება საგრძნობლად შეაფერხა.

VIII. ღვინის წარმოების რეგულაციები საქართველოში საბჭოთა კავშირის დაშლის პარალელურად

დისერტაციის ეს ნაწილი დაეთმობა საქართველოს ღვინის წარმოების რეგულაციებს და დაიყოფა ორ ნაწილად: პირველი ნაწილი შეისწავლის ქვეყნის რეგულაციებს საბჭოთა კავშირის საკანონმდებლო ჩარჩოში 1950-იანი წლებიდან 1991 წლის 9 აპრილამდე, როდესაც ქვეყანამ დაიბრუნა დამოუკიდებლობა,[451] ხოლო მეორე ნაწილი შეისწავლის დამოუკიდებელი საქართველოს ღვინის წარმოების რეგულაციებს 1991 წლიდან 2000-იანი წლების დასაწყისამდე.

[451] Rayfield, (2012). 339; იხილეთ ასევე: Suny, (1994). 192, 322, 327; Raic, (2002). 380; Christian Walter, Antje von Ungern-Sternberg, Kavus Abushov (eds), Self-Determination and Secession in International Law (Oxford University Press 2014) 121. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი. აქტის ციფრული ვერსია ხელმისაწვდომია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდზე: <https://matsne.gov.ge/en/document/view/32362?publication=0> 09.07.2020 მდგომარეობით.

1. საქართველოს, როგორც საბჭოთა კავშირში შემავალი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის რეგულაციები

სანამ უშუალოდ საქართველოს როგორც საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ღვინის რესპუბლიკური სტანდარტების განხილვაზე გადავალთ, მოკლედ აღვწერთ თუ რა ეტაპებისგან შედგებოდა ქვეყნის ღვინის წარმოება.

როდესაც საქართველო საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შედიოდა, ქვეყანაში ღვინის წარმოების გავრცელებული პრაქტიკა, შემდეგი ეტაპებისგან შედგებოდა: ყურძენი მიეწოდებოდა პირველად ქარნებს, აქ ხდებოდა ყურძნის გადამუშავება და ღვინომასალების დამზადება, შემდეგ ეს ღვინომასალები მიეწოდებოდა მეორად ქარხნებს, აღნიშნულ ქარხნებში ხდებოდა მათი დამუშავება, ბოთლებში ჩამოსხმა და ეტიკეტირება. ასეთი წარმოების ძირითადი მიზანი იყო რაოდენობა და არა ხარისხი.[452]

ვინაიდან საქართველოში წარმოებული ყველა ღვინო ჩამოსხმული იყო „სამტრესტის“ სახელწოდებით, ეტიკეტზე არ იყო მითითებული ღვინის ქარხნის სახელი, შესაბამისად ღვინოების განსხვავება შესაძლებელი იყო სტილის ან ადგილწარმოშობის დასახელების მიხედვით.[453]

როგორც უკვე აღვნიშნეთ, რესპუბლიკური სტანდარტები ვრცელდებოდა კონკრეტული რესპუბლიკის ყველა ინსტიტუტზე.[454]

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ღვინის წარმოებასთან დაკავშირებით, ძირითად რესპუბლიკურ სტანდარტებად შეიძლება ჩაითვალოს РСТ 247-77, ქართულ საკოლექციო ღვინოების შესახებ (Вина

---

[452] Simon J Woolf “The real story behind Georgian wine” <https://www.themorningclaret.com/ 2018/the-real-story-behind-georgian-wine/> 15.02.2021 მდგომარეობით. For more information about Primary and Secondary wineries იხილეთ: ჯანხოთელი, გ. (1999). 15-16.

[453] Simon J Woolf “The real story behind Georgian wine” <https://www.themorningclaret.com/ 2018/the-real-story-behind-georgian-wine/> 15.02.2021 მდგომარეობით.

[454] ГОСТ 1.0-68, მუხლები 3.1.5, 3.2.9; იხილეთ ასევე: "Республиканский стандарт" <https://www.ngpedia.ru/id477214p1.html> 23.03.2021 მდგომარეობით; И. Исаев, Государственная приемка продукции (Издательство Стандартов 1989) 29; А. И. Якушев, Л. Н. Воронцов, Н. М. Федотов, Взаимозаменяемость, стандартизация и технические измерения (1987) 34; В.В.Ткаченко, Роль стандартизации в ускорении научно-технического прогресса и повышении качества продукции (Издательство Стандартов 1988) 15; В.Г. Мельников, Л.С. Казанов, Основы стандартизации, допуски, посадки и технические измерения, (Высшая школа 1978) 26-27; Н.С. Козловский, А.Н. Виноградов, Основы стандартизации, допуски, посадки и технические измерения (1982) 10.

Коллекционные Грузинские) და რესპუბლიკური სტანდარტები სამარკო ღვინოებზე (Марочные вина) და ორდინალურ ღვინოებზე (Ординарные вина).[455]

РСТ 247-77-ით ქართული საკოლექციო ღვინოები განისაზღვრა, როგორც განსაკუთრებით მაღალი ხარისხის დავარგებული სამარკო ღვინოები, რომლებიც დამატებით ინახებოდა ბოთლებში მინიმუმ 3 წლის განმავლობაში.[456] ეს განმარტება საკმაოდ მსგავსი იყო ГОСТ 7208-84-ით დადგენილი ხარისხობრივი ღვინის განმარტებისა.[457] ამ სტანდარტის საერთო სტრუქტურა და შინაარსი ასევე ძალიან ჰგავდა ГОСТ 7208-84-სას.[458]

ქართული საკოლექციო ღვინოები (Вина Коллекционные Грузинские) დაყოფილი იყო შემდეგი კატეგორიების მიხედვით: სუფრის თეთრი ღვინოები (Столовые Белые), სუფრის წითელი ღვინოები (Столовые Красные) და შემაგრებული ღვინოები (Крепленые).[459] როგორც ჩანს, ეს კლასიფიკაცია შეიქმნა ГОСТ 7208-84 ღვინის კლასიფიკაციით განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით - "წარმოების მეთოდები" (ტექნოლოგია), [460] მაგრამ სუფრის ღვინოების შემდგომი ქვეკატეგორიზაცია, ნაცვლად იმისა, რომ ყოფილიყო მშრალი, ნახევრად მშრალი, ნახევრად ტკბილი და სპეციალური ტიპის (რომელიც მოიცავდა ასევე კახური ტიპის ღვინოებს), როგორც ეს იყო განსაზღვრული ГОСТ 7208-84-ით,[461] ჩამოყალიბდა ღვინოებისთვის წარმოების ზონის სახელების მიმაგრებით, [462] რაც

[455] კვლევის პროცესში აღმოჩნდა, რომ საბჭოთა პერიოდის საქართველოს ღვინის წარმოების ყველა რესპუბლიკური სტანდარტის მოპოვება, შეუძლებელია. რესპუბლიკური სტანდარტების ნაწილი, რისი მოძიებაც მოხერხდა და დისერტაციის ამ ნაწილში იქნება განხილული, მოვიძიეთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის ციფრულ მონაცემთა ბაზაში, რაშიც უდიდესი დახმარება ამავე ბიბლიოთეკის თანამშრომლებმა გაგვიწიეს. იმ რესპუბლიკური სტანდარტების სრული სიის სანახავად, რაც ბიბლიოთეკის არქივებში მოიპოვება, იხილეთ ვებგვერდი: <http://opac.sciencelib.ge/cgibin/koha/opacsearch.pl?q=ccl=pb%3 АГосплан%20Грузинской%20ССР%2С%20&sort_by=pubdate_dsc&limit=se:%20Республиканский%20 стандарт%20Грузинской%20ССР> 04.09.2021 მდგომარეობით.

[456] РСТ 247-77, პრეამბულა.

[457] შედარებისთვის იხილეთ: ГОСТ 7208-84, მუხლი 1.2..

[458] შედარებისთვის იხილეთ: РСТ 247-77, მუხლები 1-5 და ГОСТ 7208-84, მუხლები 1-6.

[459] РСТ 247-77, მუხლი 1.1.

[460] იხილეთ: ГОСТ 7208-84, მუხლი 1.3.

[461] იხილეთ: ГОСТ 7208-84, მუხლი 1.3.

[462] РСТ 247-77, მუხლი 1.1. წარმოების ზონის სახელების მიხედვით, სუფრის თეთრი ღვინოები დაიყო შემდეგ ქვეკატეგორიებად: წინანდალი, გურჯაანი, ნაფარეული, ბახტრიონი, სვირი, ტიბაანი, მუხრანული, ხოლო სუფრის წითელი ღვინოები - შემდეგ ქვეკატეგორიებად: მუკუზანი, ნაფარეული, თელიანი, ყვარელი. ვაზის სახელწოდებათა მიხედვით, მხოლოდ თეთრი ღვინოები დაიყო შემდეგ ქვეკატეგორიებად: ცოლიკაური, ციცქა, რქაწითელი. Ibid.

ადგილწარმოშობის დასახელებების მითითების მსგავს პრაქტიგას მოგვაგონებს. იგივე კეთდებოდა შემაგრებული ღვინოების (Крепленые) შემთხვევაშიც,[463] ნაცვლად მათი კლასიფიცირებისა სხვადასხვა ტიპის მიხედვით.[464] ქართული საკოლექციო ღვინოების ეტიკეტზე სტანდარტით მოითხოვებოდა მოსავლის მითითება.[465]

ეს განსხვავება საკოლექციო ღვინოებთან დაკავშირებით საბჭოთა სტანდარტთან შედარებით საკმაოდ უცნაურ მოვლენად შეიძლება ჩაითვალოს, თუ გავითვალისწინებთ რამდენად ცენტრალიზებული იყო საბჭოთა კავშირი და რაიმე გადახრა ზოგადი წესებიდან პრაქტიკაში არ იყო იმ დროს.

თავდაპირველად, ქართული საკოლექციო ღვინოებისთვის ალკოჰოლის მოცულობა გამორჩენილი იყო იმ ტექნიკური მოთხოვნებიდან რაც დაადგინა РСТ 247-77-მა,[466] მაგრამ 1988 წლის ცვლილებამ #2 (Изменение №2 РСТ 247-77) ამ დოკუმენტში რამდენიმე ცვლილება შეიტანა, მათ შორის ცალკეული ღვინის სახეობებისთვის დაემატა ალკოჰოლის მოცულობი, შესაბამისად სუფრის თეთრი ღვინოებისთვის ალკოჰოლის მოცულობა განისაზღვრა 10%-13%-ფარგლებში, სუფრის წითელი ღვინოებისთვის 10,5-%-12,5% ფარგლებში, ხოლო შემაგრებული ღვინოებისთვის 15-დან 19%-მდე.[467] საკოლექციო ღვინოებთან დაკავშირებით მწარმოებლის მიერ არ იყო განსაზღვრული გარანტირებული შენახვის ვადები.[468]

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული კატეგორიის ღვინოების სახელწოდებაში სიტყვა "კონტროლირებადი" არ იყო მითითებული, იქიდან გამომდინარე, რომ კლასიფიკაცია ჩამოყალიბდა თითოეული მათგანისთვის წარმოების ზონის სახელების მიმაგრებით, და ღვინის კლასიფიკაციაში ითვლებოდა უმაღლეს კარეგორიად, შეგვიძლია ჩავთვალოთ ფრანგული AOC, ესპანური DOCa და იტალიური DOCG კლასიფიკაციებით განსაზღვრული ხარისხობრივი ღვინოების მსგავს კატეგორიად.

---

[463] РСТ 247-77, მუხლი 1.1. წარმოების ზონის სახელების მიხედვით, შემაგრებული ღვინოები დაიყო შემდეგ ქვეკატეგორიებად: კარდენახი, ანაგა, სალხინო, ხოლო გარკვეული დასახელების მიხედვით, შემდეგ ქვეკატეგორიებად: საამო, აფხაზეთის თაიგული. Ibid.

[464] იხილეთ: ГОСТ 7208-84, მუხლი 1.3.

[465] РСТ 247-77, მუხლი 4.2.

[466] იხილეთ: РСТ 247-77, მუხლი 2.

[467] Изменение №2 РСТ 247-77, დანართი.

[468] РСТ 247-77, მუხლი 5.1.

სამარკო ღვინოების შემთხვევაში დავარგების პერიოდი იყო ГОСТ 7208-84-ის იდენტური - არანაკლებ 1,5 წელი, გამონაკლისების ჩათვლით კახური ტიპის ღვინოებისთვის მინიმალური დაძველების პერიოდით არანაკლებ 1 წელი. სამარკო ღვინოების განმარტება ჩამოყალიბდა როგორც მაღალი ხარისხის დავარგებული ღვინოები.[469]

თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ აღნიშნული კატეგორია ღვინის კლასიფიკაციაში, საკოლექციო ღვინოზე ოდნავ დაბლა იდგა, ის შეგვიძლია ჩავთვალოთ დაახლოებით ფრანგული VDQS-ს ან AOC-ს, ესპანური DO-სა და იტალიური DOC-ს მსგავს კატეგორიად.

როგორც ამას მართებულად აღნიშნავს, გრიგოლ ჯანხოთელი, რომლის მოსაზღებას ჩვენც ვიზიარებთ, ორდინალური ღვინოების წარმოება ხორციელდებოდა შემდეგნაირად, ეს ღვინოები მზადდებოდა სამარკო ღვინოების დამზადებისთვის საჭირო ღვინომასალების კუპაჟირების შემდეგ ნარჩენი ღვინომასალებისგან და გაყიდვაში ეშვებოდა დავარგების გარეშე, ყურძნის გადამუშავებიდან ორი თვის შემდეგ. [470] ამ კატეგორიის ღვინოს შეიძლება შევადაროთ ფრანგული Vin de table, ესპანური Vino de mesa, იტალიური Vino da tavola და გერმანული tafelwein.

საბჭოთა კავშირის დაშლამდე მისი მთლიანი წარმოებიდან საქართველოში იწარმოებოდა ყურძნის ღვინოების 2,7%, შამპანურის 12% და კონიაკის 14%.[471]

---

[469] ჯანხოთელი, გ. (1999). 204.

[470] ჯანხოთელი, გ. (1999). 205.

[471] "Винодельческая промышленность" <https://www.booksite.ru/fulltext/1/001/008/ 005/191.htm> 13.03.2021 მდგომარეობით.

2. საქართველოს რესპუბლიკის რეგულაციები დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ

1991 წელს საბჭოთა კავშირის დაშლას მოჰყვა ქართული ღვინის ქარხნების დახურვა. ეს იყო ძალიან რთული პერიოდი, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობისთვის. მიწების დიდი ნაწილი ფერმერებს გადაეცათ, და ხალხმა დაიწყო იაფფასიანი კულტურების მოყვანა რათა საქონელი გამოეკვებათ, ამ დროისთვის არავინ ფიქრობდა ვაჭრობის, მათ შორის ღვინით ვაჭრობის განვითარებაზე.[472]

დამოუკიდებლობის მოპოვებიდან მხოლოდ შვიდი წლის შემდეგ, დღის წესრიგში დადგა ღვინის წარმოების რეგულაციის მკაცრ სამართლებრივ ჩარჩოში მოქცევის საკითხი, რაც 1998 წელს - „ვაზისა და ღვინის შესახებ“ საქართველოს კანონის მიღებით გადაწყდა, რითაც ქვეყანამ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა, აღნიშნულ სფეროში, სამართლებრივი წესრიგის დამყარების კუთხით.

„ვაზისა და ღვინის შესახებ“ საქართველოს კანონს სამი ძირითადი მიზანი ჰქონდა: 1) მევენახეობის და მეღვინეობის ხელშეწყობა; 2) კონკურენტუნარიანი ყურძნის ღვინოებისა და ყურძნის ნედლეულისგან დამზადებული სხვა ალკოჰოლური სასმელების წარმოებისა და რეალიზაციის ხელშეწყობა; და 3) ბაზრის დაცვა ფალსიფიცირებული და უხარისხო პროდუქციისგან.[473]

ამ კანონის მიღებამდე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ საქართველოში ღვინის წარმოება ჯერ კიდევ საბჭოთა სტანდარტებით წარიმართებოდა, თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ საბჭოთა კვალი ჯერ კიდევ საკმაოდ თვალსაჩინოდ იყო წარმოდგენილი ამ კანონის თავდაპირველ ვერსიაში.[474]

1998 წელს, როცა კანონი ვაზისა და ღვინის შესახებ გამოქვეყნდა, ამ აქტის პირვანდელი რედაქცია მოიცავდა ღვინის წარმოების ისეთ მნიშვნელოვან

---

[472] Simon J Woolf “The real story behind Georgian wine” <https://www.themorningclaret.com/2018/the-real-story-behind-georgian-wine/> 15.02.2021 მდგომარეობით. ეს გვეხმარება აიხსნას, თუ რატომ მიადგა ქვეყნის მევენახეობას ძლიერი ზიანი. Ibid.

[473] საქართველოს კანონი #1438, 12/06/1998 ვაზისა და ღვინის შესახებ, პრეამბულა. ამ აქტის ციფრული ვერსია ხელმისაწვდომია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდზე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/28102?publication=0> 25.11.2021 მდგომარეობით.

[474] დისერტაციის ეს ნაწილი შეისწავლის აღნიშნული კანონის პირველად ვერსიას და მასში შეტანილ ცვლილებებს, 2000-იანი წლების დასაწყისამდე, ამ პერიოდში დადგენილ სხვა რეგულაციებთან ერთად.

ასპექტებს, როგორიცაა: კლასიფიკაციები ვაზის,[475] ვენახების,[476] და ღვინოების,[477] მევენახეობა-მეღვინეობის ზონებს და ქვეზონებს, თითოეული ქვეზონისთვის შესაფერისი ვაზის ჯიშების მითითებით,[478] ინფორმაციას ღვინის წარმოებისთვის შესაფერისი ვაზის საძირეების შესახებ,[479] მეღვინეობაში დაშვებული მეთოდების,[480] სამარკო ღვინოების რეალიზაციისა და ჩამოხარისხების განსაკუთრებულ პირობებს,[481] და ეტიკეტირებას.[482]

გარდა ამისა, აღნიშნულმა კანონმა განსაზღვა ცქრიალა ღვინის წარმოების მეთოდები და მოთხოვნები შაქრის შემცველობაზე თითოეული ტიპის ცქრიალა ღვინის მიხედვით,[483] ასევე მოთხოვნები შუშხუნა ღვინის შაქრიანობაზე.[484]

ამ კანონით დადგენილ ვაზის კლასიფიკაციაში მიეთითა ვაზის ჯიშები თითოეული ტიპის ღვინისთვის, რომელიც მოიცავდა როგორც ადგილობრივ, ისე ფრანგულ ჯიშებსაც: შარდონე (Chardonnay) და პინო თეთრი (Pinot blanc) თეთრი ღვინოებისთვის, კაბერნე სოვინიონი (Cabernet Sauvignon). წითელი ღვინოები და ალიგოტე (Aligoté), პინო თეთრი, პინო ნუარი (Pinot noir) ცქრიალა ღვინოებისთვის.[485]

ვენახების კლასიფიკაციის მიხედვით დადგინდა მათი სამი კატეგორია: სამოყვარულო, სპეციალური და სამრეწველო.[486] სამრეწველო ვენახის გაშენება დაშვებული იყო მხოლოდ ფილოქსერაგამძლე საძირეზე ნამყენი ნერგების გამოყენებით.[487] გარდა ამისა, კანონი ადგენდა შეზღუდვებს სამარკო ღვინოების

---

[475] საქართველოს კანონი #1438, 12/06/1998 ვაზისა და ღვინის შესახებ, მუხლი 5.
[476] საქართველოს კანონი #1438, 12/06/1998 ვაზისა და ღვინის შესახებ, მუხლი 10.
[477] საქართველოს კანონი #1438, 12/06/1998 ვაზისა და ღვინის შესახებ, მუხლები 14, 16.
[478] საქართველოს კანონი #1438, 12/06/1998 ვაზისა და ღვინის შესახებ, მუხლი 7.
[479] საქართველოს კანონი #1438, 12/06/1998 ვაზისა და ღვინის შესახებ, მუხლები 8, 9.
[480] საქართველოს კანონი #1438, 12/06/1998 ვაზისა და ღვინის შესახებ, მუხლი 15.
[481] საქართველოს კანონი #1438, 12/06/1998 ვაზისა და ღვინის შესახებ, მუხლები 20, 21.
[482] საქართველოს კანონი #1438, 12/06/1998 ვაზისა და ღვინის შესახებ, მუხლები 31, 32, 33.
[483] საქართველოს კანონი #1438, 12/06/1998 ვაზისა და ღვინის შესახებ, მუხლი 22.
[484] საქართველოს კანონი #1438, 12/06/1998 ვაზისა და ღვინის შესახებ, მუხლი. 24. იქიდან გამომდინარე, რომ „ვაზისა და ღვინის შესახებ“ საქათველოს კანონი, მთავარ მიზნებს შორის ასევე მიუთითებდა ღვინის გარდა, ყურძნის ნედლეულისგან დამზადებული სხვა ალკოჰოლური სასმელების წარმოებისა და რეალიზაციის ხელშეწყობას, შესაბამისად კანონი ასევე ითვალისწინებდა კლასიფიკაციას და ტექნიკურ მოთხოვნებს ღვინის ბრენდის, ყურძნის არყის და სხვა მაგარი სასმელების შესახებ. იხილეთ მუხლები: 25, 26, 27, 28, 29, 30.
[485] საქართველოს კანონი #1438, 12/06/1998 ვაზისა და ღვინის შესახებ, მუხლი 5, ცხრილები I, II და III.
[486] საქართველოს კანონი #1438, 12/06/1998 ვაზისა და ღვინის შესახებ, მუხლი 10.
[487] საქართველოს კანონი #1438, 12/06/1998 ვაზისა და ღვინის შესახებ, მუხლი 12.

წარმოებისთვის განკუთვნილ ყურძნის ერთ ჰექტარზე მოსავლიანობის შესახებ და მიუთითებდა, რომ ყურძნის საჰექტარო მოსავლიანობის რეგლამენტსა და ვაზის რეკომენდებული დატვირთვის ნორმებს ამუშავებდა დარგობრივი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი და შემდეგ ამტკიცებდა საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო.[488]

მიუხედავად იმისა, რომ უმაღლესი ხარისხის ღვინოებისთვის განკუთვნილი ვენახების ჰექტარზე ლიმიტების მაკონტროლებელი დაწესებულების მითითება მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი იყო, ის უმნიშვნელოვანესი სამართლებრივი რეგულატორი, თუ რომელი კვლევითი ინსტიტუტი იყო პასუხისმგებელი ამ საქმიანობაზე, კანონის თავდაპირველ რედაქციაში მაინც არ იყო მითითებული.

მოსავლიანობის შეზღუდვის დაწესება, ისევე როგორც მოსავლიანობის ლიმიტების შემმუშავებელი ინსტიტუტის შემოღება, ქართულ კანონმდებლობას აახლოებდა ევროპაში დამკვიდრებულ მიდგომებთან, იმასთან, რაც საფრანგეთმა შემოიღო იმაზე ადრე, ვიდრე ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობა შეიქმნებოდა და, ამ გამოცდილებაზე დაფუძნებული მიდგომები, გავრცელებოდა გაერთიანების სხვა წევრ ქვეყნებზე.

"ვაზისა და ღვინის შესახებ" საქართველოს კანონით ჩამოყალიბდა სამი ძირითადი მევენახეობა-მეღვინეობის ზონა და ხუთი ქვეზონა აღმოსავლეთ საქართველოსთვის, აგრეთვე სამი ძირითადი მევენახეობა-მეღვინეობის ზონა და ცხრა ქვეზონა დასავლეთ საქართველოსთვის. სულ გამოიყო ექვსი ზონა და თოთხმეტი ქვეზონა და როგორც ზემოთ აღინიშნა, ვაზის ჯიშები მიეთითა თითოეული ქვეზონისთვის.[489]

რაც შეეხება ღვინის კლასიფიკაციას, კანონი ადგენდა შემდეგ კატეგორიებს:

ა) ხარისხის მიხედვით, კლასიფიკაციამ გამოყო შემდეგი კატეგორიები: სუფრის ღვინო – მასობრივი მოხმარების ღვინო, მიღებული ვაზის სტანდარტული ჯიშის ყურძნისაგან, ზოგადი ტექნოლოგიის გამოყენებით; სამარკო ღვინო – უმაღლესი ხარისხის ღვინო, მიღებული მკაცრად განსაზღვრულ მევენახეობის

[488] საქართველოს კანონი #1438, 12/06/1998 ვაზისა და ღვინის შესახებ, მუხლი 13. ყურძნის საჰექტარო მოსავლიანობა არ იზღუდებოდა მასობრივი მოხმარების ღვინოების წარმოების ზონებში. Ibid.
[489] საქართველოს კანონი #1438, 12/06/1998 ვაზისა და ღვინის შესახებ, მუხლი 7.

ზონაში, მხარესა და ქვეზონაში მოწეული ვაზის სტანდარტული ჯიშების ყურძნისაგან, სპეციალური ტექნოლოგიის გამოყენებით. ასეთ ღვინოებს ენიჭებოდათ სპეციალური სარეგისტრაციო ნომერი; საკოლექციო ღვინო – ბოთლში, სულ მცირე, 3 წლით დავარგებული სამარკო ღვინო.[490]

როგორც ვხედავთ, ღვინოთა კლასიფიკაცია და მათში შემავალი ხარისხობრივი ღვინის დასახელებები - "სამარკო," "საკოლექციო," ასევე ღვინის კატეგორიათა განმარტებები, - საბჭოთა ყაიდით იყო განსაზღვრული. სწორედ აქ ჩანს, რომ საკუთარი რეგულაციების დადგენის საწყისს ეტაპზე, ქვეყანა, ჯერ კიდევ, საბჭოთა სტანდარტების დიდ გავლენას განიცდიდა, მაგრამ ხარისხობრივ ღვინოზე სპეციალური სარეგისტრაციო ნომრის მინიჭება, ევროპული მიდგომის მსგავსია, რადგან ღვინის ეტიკეტზე მითითებული ლოტის ნომრის მოთხოვნა, ევროპაში 1493/99 რეგულაციის საფუძველზე (Council Regulation 1493/99) დაწესდა. ეს კი ადასტურებს, რომ ქვეყანა, ამავდროულად, ევროპულ გამოცდილებასაც იზიარებდა.[491]

სუფრის ღვინის კარეგორიის დასახელება და განმარტება ევროპული კლასიფიკაციების იდენტური იყო, კერძოდ, ეს კატეგორია შეგვიძლია შევადაროთ ფრანგულ Vin de table-ს, ესპანურ Vino de mesa-ს, იტალიურ Vino da tavola-ს და გერმანულ tafelwein-ს.

ბ) სახეობების მიხედვით, ღვინოები დაიყო შემდეგ კატეგორიებად: მშრალი; ბუნებრივად ნახევრად მშრალი და ნახევრად ტკბილი ღვინო; ნახევრად მშრალი და ნახევრად ტკბილი ღვინო; ცქრიალა და შუშხუნა ღვინო; სპეციალური ღვინო (იგულისხმება შემაგრებული ღვინო); არომატიზებული ღვინო.[492]

გ) ფერის მიხედვით, ღვინოები დაიყო: თეთრ, ვარდისფერ და წითელ ღვინოებად.[493]

---

[490] საქართველოს კანონი #1438, 12/06/1998 ვაზისა და ღვინის შესახებ, მუხლი 14 ღვინის კლასიფიკაციისთვის და მუხლი 3 თითოეული კატეგორიის განმარტებისთვის.

[491] იხილეთ სქოლიო 351. მოგვიანებით, 2002 წელს, შეტანილი ცვლილებით სპეციალური სარეგისტრაციო ნომრის მინჭება აღნიშნული კანონიდან ამოიღეს, იხილეთ საქართველოს კანონი #1635, 04/07/2002 „ვაზისა და ღვინის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე, მუხლი 1, პუნქტი 2.

[492] საქართველოს კანონი #1438, 12/06/1998 ვაზისა და ღვინის შესახებ, მუხლი 14 ღვინის კლასიფიკაციისთვის და მუხლი 3 თითოეული კატეგორიის განმარტებისთვის.

[493] საქართველოს კანონი #1438, 12/06/1998 ვაზისა და ღვინის შესახებ, მუხლი 14 ღვინის კლასიფიკაციისთვის და მუხლი 3 თითოეული კატეგორიის განმარტებისთვის.

სახეობების და ფერის მიხედვით ღვინის კლასიფიკაციებშიც შეგვიძლია დავინახოთ საბჭოთა სტანდარტების მსგავსი მიდგომა.

მნიშვნელოვანია, რომ კანონი გამოყოფდა სამარკო ღვინოების ორ ქვეკატეგორიას, როგორიცაა: განსაკუთრებულ ზონაში წარმოებული სამარკო ღვინო და განსაკუთრებულ ზონაში წარმოებული კონტროლს დაქვემდებარებული სამარკო ღვინო. [494] ვინაიდან იმ დროისთვის აღნიშნული კანონი არ ითვალისწინებდა თითოეული ამ ქვეკატეგორიის განმარტებას, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს ღვინოები "ვაზისა და ღვინის შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლით განსაზღვრული "წარმოშობის ადგილის დასახელების კონტროლს დაქვემდებარებული სამარკო ღვინის" განმარტებაში ექცეოდა - "განსაკუთრებულ ზონაში დამზადებული უმაღლესი ხარისხის ღვინო, რომლის წარმოების პროცესი (ზონის გეოგრაფიული საზღვრები, ნარგაობის ფიტოსანიტარიული მდგომარეობა, ჯიშური სიწმინდე, ხარისხის კონდიციური მაჩვენებლები) ექვემდებარება სახელმწიფო კონტროლს."[495]

აღნიშნული ხარისხობრივი ღვინის კატეგორიებსა და ევროპულ ღვინის კლასიფიკაციებს შორის არსებობდა მსგავსებები, მაგალითად განსაკუთრებულ ზონაში წარმოებული სამარკო ღვინის კატეგორია ფრანგული AO-ის, ესპანური DO-ისა და იტალიური DOC-ის მსგავს კატეგორიად შეგვიძლია მივიჩნიოთ, ხოლო რაც შეეხება განსაკუთრებულ ზონაში წარმოებულ კონტროლს დაქვემდებარებულ სამარკო ღვინოს, იქიდან გამომდინარე, რომ ამ ღვინის სახელში მითითებულია ტერმინი "კონტროლს დაქვემდებარებული," ის შეგვიძლია მივიჩნიოთ ფრანგული AOC-ის, ესპანური DOCa-ისა და იტალიური DOCG-ის მსგავს კატეგორიად.

"ვაზისა და ღვინის შესახებ" საქართველოს კანონი ადგენდა, რომ თითოეული სამარკო ღვინის „განსაკუთრებული ზონა“ მკაცრად უნდა განსაზვღულიყო ერთეული ვენახის ან ვენახთა ერთობლიობის მინიშნებითა და ისეთი ფაქტორების გათვალისწინებით რომლებიც განაპირობებდნენ ამ ზონაში წარმოებულ სამარკო

[494] საქართველოს კანონი #1438, 12/06/1998 ვაზისა და ღვინის შესახებ, მუხლი 16.

[495] საქართველოს კანონი #1438, 12/06/1998 ვაზისა და ღვინის შესახებ, მუხლი 3. აღნიშნული მუხლი ასევე განსაზღვრავდა სხვა მევენახეობა-მეღვინეობის ტერმინებსაც. შესაძლებელია ასევე ვივარაუდოთ, რომ კანონის შექმნის ეტაპზე, მისი სხვადასხვა ნაწილები სხვადასხვა სპეციალისტების მიერ მუშავდებოდა და დოკუმენტის გაერთიანების ეტაპზე, ტექნიკური მიზეზებით, გაიპარა დასასელებებს შორის განსხვავებები.

ღვინის ხარისხს. ამ ფატორებს განეკუთვნებოდა ნიადაგი, კლიმატი, ვენახის განლაგება და ა.შ.[496]

განსაკუთრებული ზონის ეს განმარტება ძალიან ჰგავს საფრანგეთში დადგენილ განმარტებებს ადგილწარმოშობის დასახელებასთან და ტერუართან მიმართებაში, ხოლო ერთეული ვენახის დაშვება კი ასევე გვხვდება ესპანური ღვინის კატეგორია Vino de Pago -ს განმარტებაში.

სამარკო ღვინის წარმოებისთვის გამოყოფილ ზონებში დაშვებული იყო მხოლოდ იმ ვაზის ჯიშების მოშენება, რომლებიც მითითებული იყო თითოეული ზონისთვის ან ქვეზონისთვის. ამ მოთხოვნის დარღვევა იწვევდა სამარკო ღვინის სტატუსის მინიჭების აკრძალვას. ამავდროულად, კანონი საშუალებას იძლეოდა განსაკუთრებული ზონის რეგისტრაციის მომენტიდან, სამი წლის განმავლობაში, შენარჩუნებულიყო იმ vitis vinifera-ს ვაზის ჯიშები, რომლებიც არ იყო ჩამოთვლილი ვაზის დამტკიცებულ სახეობებში.[497]

აქ შეგვიძლია გავიხსენოთ ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობის მიერ შემუშავებული ვაზის კლასიფიკაციები, რომლის მიხედვითაც მეღვინეობის ზონაში დაშვებული იყო ისეთი დროებით ავტორიზებული ვაზის ჯიშები, რომლებსაც ჯერ კიდევ ჰქონდათ გარკვეული ეკონომიკური მნიშვნელობა ამ ადგილისთვის, [498] მიუხედავად იმისა, რომ "ვაზისა და ღვინის შესახებ" საქართველოს კანონი უშვებდა ისეთი ვაზის სახეობების არსებობას, რომელიც არ იყო ვაზის დამტკიცებულ ჩამონათვალში გათვალისწინებული, შესაბამისად ამ კანონის თავდაპირველ ვერსია შედარებით რბილად უდგებოდა არაკლასიფიცირებული ვაზის სახეობების მეღვინეობის ზონაში არსებობას, მაგრამ მსგავსება ევროპულ მიდგომასთან მაინც სახეზეა.

რაც შეეხება ეტიკეტირებას, აღნიშნული კანონი აწესებდა მოთხოვნებს, რომელთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანია შემდეგი: ჩამოსხმული ღვინის ეტიკეტზე უნდა მითითებულიყო სიტყვა „ქართული ღვინო“, თუ ღვინოში არ იყო შერეული სხვა ქვეყნის ღვინო, ღვინის სახეობა კლასიფიკაციისა და დასახელების

---

[496] საქართველოს კანონი #1438, 12/06/1998 ვაზისა და ღვინის შესახებ, მუხლი 17. „განსაკუთრებული ზონის" დამატებითი განსაზღვრებისთვის იხილეთ ასევე მუხლი 3.

[497] საქართველოს კანონი #1438, 12/06/1998 ვაზისა და ღვინის შესახებ, მუხლი 17.

[498] იხილეთ Council Regulation 1338/70, მუხლი 6, 1970 O.J. (L 155) 5.

მიხედვით, პროდუქტის მოცულობა, ალკოჰოლისა და შაქრის შემცველობა, მწარმოებელი კომპანიის დასახელება. შუშხუნა ღვინის ეტიკეტზე უნდა მითითებულიყო სიტყვა „შუშხუნა ღვინო“ და ცქრიალა ღვინის ეტიკეტზე აკრძალული იყო ტერმინების „შამპანური“ ან „დამზადებულია შამპანიზაციის მეთოდით“ გამოყენება და ბოლოს, პროდუქციის ეტიკეტზე უნდა მითითებულიყო აღნიშვნა – „დამზადებულია საქართველოში.“[499]

ნებადართული იყო ეტიკეტზე აღნიშნულიყო ღვინის ფერი და ვაზის ჯიში, თუ ღვინო იწარმოებოდა ამ ჯიშის არანაკლებ 85%-დან, მოსავლის აღნიშვნა, თუ ღვინო დაყენებული იყო ამ მოსავლის ყურძნის არანაკლებ 85%-ით, ღვინის ტრადიციული სახელის მითითება, თუ იგი გამოიყენებოდა ამ ღვინის წარმოების ზონაში, ასევე დაშვებული იყო ყურძნის სახელწოდების სინონიმის მითითება, თუ იგი ტრადიციული იყო ამ ზონისთვის. ეტიკეტზე დაშვებული იყო აგრეთვე საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ მინიჭებული ხარისხის კონტროლის სარეგისტრაციო ნომრის მითითება და ჩამოსხმული ვინტაჟური ღვინოების რაოდენობა. [500] იკრძალებოდა ეტიკეტზე მცდარი ინფორმაციის მითითება.[501]

85%-იანი მიდგომა ვაზის ჯიშტან და მოსავალთან მიმართებაში იყო კიდევ ერთი მაგალითი იმისა, რომ საქართველო იზიარებდა იმავე კონცეფციას, რომელიც დამკვიდრებული იყო ევროპაში.

ქვეყანაში წარმოებული ყველა სამარკო ღვინო ექვემდებარებოდა სახელმწიფო რეგისტრაციას, რომელსაც ახორციელებდა საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო.[502]

"ვაზისა და ღვინის შესახებ" საქართველოს კანონით ასევე დადგინდა სამარკო ღვინოების ჩამოხარისხების პირობები, რაც მოიცავდა საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს მიერ სამარკო ღვინოების ინვენტარიზაციის და მათი ხარისხის შეფასების პროცედურების განხორციელებას.

---

[499] საქართველოს კანონი #1438, 12/06/1998 ვაზისა და ღვინის შესახებ, მუხლი 31.
[500] საქართველოს კანონი #1438, 12/06/1998 ვაზისა და ღვინის შესახებ, მუხლი 32.
[501] საქართველოს კანონი #1438, 12/06/1998 ვაზისა და ღვინის შესახებ, მუხლი 33. იხილეთ ასევე მუხლი 18.
[502] საქართველოს კანონი #1438, 12/06/1998 ვაზისა და ღვინის შესახებ, მუხლი 19.

სამარკო ღვინის ხარისხის გაუარესების დადგენის შემთხვევაში იგი ექვემდებარებოდა ჩამოხარისხებას.[503]

უმაღლესი კატეგორიიდან შედარებით დაბალი კატეგორიაში ღვინოების ჩამოხარისხების პრაქტიკა არსებობდა საფრანგეთში, იტალიასა და ესპანეთში, ამიტომ ამ შემთხვევაშიც საქართველო იზიარებდა ევროპულ მიდგომას.

ღვინის სახეობიდან გამომდინარე, კანონი ასევე ზღუდავდა სამარკო ღვინოების გაყიდვას რთველის მომდევნო წლის დეკემბრამდე, ხოლო ცქრიალა ღვინოების შემთხვევაში, დავარგების ვადის გასვლამდე.[504]

"ვაზისა და ღვინის შესახებ" საქართველოს კანონის მიღებიდან სამი თვის შემდეგ მასში მცირე დამატებები განხორციელდა, ძირითადად ეს შეეხო კანონის პრეამბულას, მას დაემატა ტექსტი, რომ საქართველო მიეკუთვნებოდა მაღალხარისხოვან მევენახეობა-მეღვინეობის ზონას. ასევე, მევენახეობა-მეღვინეობა განისაზღვრა ქვეყნის ეკონომიკის პრიორიტეტულ დარგად.[505]

კანონის მიღებიდან 4 წლის შემდეგ 2002 წელს, მასში მრავალი მნიშვნელოვანი ცვლილება და დამატება შევიდა.[506]

სუფრის ღვინის განმარტება შეიცვალა და ნაცვლად მასობრივი მოხმარების ღვინისა, ის ჩამოყალიბდა როგორც ღვინო, რომელზეც არ ვრცელდებოდა ხარისხობრივ ღვინოებთან დაკავშირებული მოთხოვნები. ასეთი ღვინის მინიმალური ალკოჰოლური მოცულობა განისაზღვრა 9%-ით.[507]

განისაზღვრა ღვინის ახალი კატეგორია სახელწოდებით მხარის ღვინო - განისაზღვრებოდა, ქვეყნის მევენახეობის თუ რომელ მხარეში იყო წარმოებული, ყურძნის დამზადების და გადამუშავების ჩათვლით. მისი სპეციფიკური ხარისხი, და სხვა მახასიათებლები დაკავშირებული უნდა ყოფილიყო მხარის ბუნებრივ კლიმატურ და ნიადაგობრივ პირობებთან. ასეთ ღვინოებს ენიჭებოდათ მხარის

---

[503] საქართველოს კანონი #1438, 12/06/1998 ვაზისა და ღვინის შესახებ, მუხლი 20.

[504] საქართველოს კანონი #1438, 12/06/1998 ვაზისა და ღვინის შესახებ, მუხლი 21.

[505] საქართველოს კანონი #1604, 30/09/1998 „ვაზისა და ღვინის შესახებ“ საქართველოს კანონში დამატებების შეტანის თაობაზე, მუხლი 1.

[506] კანონში შეტანილ ცვლილებებთან და დამატებებთან დაკავშირებით სრული ინფორმაციისთვის, იხილეთ საქართველოს კანონი #1635, 04/07/2002 „ვაზისა და ღვინის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე, მუხლი 1, პუნქტები 1-30.

[507] იხილეთ საქართველოს კანონი #1635, 04/07/2002 „ვაზისა და ღვინის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე, მუხლი 1, პუნქტი 2.

გეოგრაფიული ან ისტორიული სახელი, რომელიც უნდა ყოფილიყო ხარისხობრივი ღვინოების დასახელების მსგავსი ან იდენტური, რათა არ მომხდარიყო ასეთ ღვინოებთან მხარის ღვინის აღრევა.[508]

ეს ახალი კატეგორია თავისი განმარტებით შეიძლება შევადაროთ ფრანგულ Vins de pays-ს, ესპანურ Vino de la tierra-ს, იტალიური vino tipico-ს და გერმანული landwein-ს.

რაც შეეხება უმაღლესი ხარისხის ღვინოებს, როგორიცაა სამარკო და საკოლექციო ღვინოები, ამიერიდან მათი სახელები ჩამოყალიბდა როგორც ადგილწარმოშობის დასახელების ღვინოები, ცვლილებები განხორციელდა როგორც თითოეულის სახელწოდებებში, ასევე მათ განმარტებებშიც, შესაბამისად სამარკო ღვინო ამიერიდან იწოდებოდა სპეციფიკურ ზონაში წარმოებულ ადგილწარმოშობის დასახელების უმაღლესი ხარისხის ღვინოდ და განისაზღვა როგორც, ღვინო, წარმოებული მევენახეობის სპეციფიკურ ზონაში, ყურძნის დამზადება-გადამუშავების ჩათვლით ამავე ზონაში. ამ კატეგორიის ღვინის დაყენებისთვის გამოიყენებოდა ტრადიციული, ან სპეციალური ტექნოლოგია და ენიჭებოდა სპეციფიკური ზონის თანამედროვე ან ისტორიულ-გეოგრაფიული სახელი. [509] საკოლექციო ღვინოს ეწოდა სპეციფიკურ ზონაში წარმოებული ადგილწარმოშობის დასახელების კონტროლირებადი უმაღლესი ხარისხის ღვინო და განისაზღვრა როგორც ღვინო, რომელიც აკმაყოფილებდა სპეციფიკურ ზონაში წარმოებული ადგილწარმოშობის დასახელების უმაღლესი ხარისხის ღვინისადმი დაწესებულ მოთხოვნებს და მისი ხარისხი გარანტირებული იყო ვაზისა და ღვინის დეპარტამენტის – სამტრესტის მიერ პროდუქციის წარმოებაზე განსაკუთრებული კონტროლის განხორციელებით.[510]

სპეციფიკურ ზონაში წარმოებული ადგილწარმოშობის დასახელების უმაღლესი ხარისხის ღვინო შეგვიძლია მივიჩნიოთ AO-ის, ესპანური DO-ისა და

---

[508] საქართველოს კანონი #1635, 04/07/2002 „ვაზისა და ღვინის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე, მუხლი 1, პუნქტი 2. იხილეთ ასევე საქართველოს კანონი #2108, 22/06/1999 საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის შესახებ, მუხლები 5, 11.

[509] საქართველოს კანონი #1635, 04/07/2002 „ვაზისა და ღვინის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე, მუხლი 1, პუნქტი 2.

[510] საქართველოს კანონი #1635, 04/07/2002 „ვაზისა და ღვინის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე, მუხლი 1, პუნქტი 2.

იტალიური DOC-ის მსგავს კატეგორიად, ხოლო სპეციფიკურ ზონაში წარმოებული ადგილწარმოშობის დასახელების კონტროლირებადი უმაღლესი ხარისხის ღვინო კი ფრანგული AOC-ის, ესპანური DOCa-ისა და იტალიური DOCG-ის მსგავს კატეგორიად.

ამ ცვილებების შედეგად უკვე ნათლად ვხედავთ რომ ღვინის კლასიფიკაცია საბჭოთა სტანდარტებით დამკვიდრებული სტილიდან გადავიდა ხარისხობრივი ღვინის სახელწოდებათა და განმარტებათა ევროპულ კონცეფციაზე.

მანამდე არსებული ბუნებრივად ნახევრადმშრალი, ნახევრადტკბილი ღვინოები, ასევე ნახევრადმშრალი და ნახევრადტკბილი ღვინოები გაერთიანდა მსხვილ კატეგორიებად, შესაბამისად ბუნებრივად ნახევრადმშრალი და ნახევრადმშრალი ღვინოები გახდა მხოლოდ ნახევრადმშრალი ღვინოები და ბუნებრივად ნახევრადტკბილი ღვინოები და ნახევრად ტკბილი ღვინოები, ნახევრადტკბილი ღვინოები. [511] აქედან გამოდმინარე განხორციელდა ცვლილებები ამ ღვინოთა განმარტებებშიც, ნახევრადმშრალი ღვინოები განისაზღვრა, როგორც ღვინოები, დაყენებული ყურძნის ტკბილის არასრული დუღილის შედეგად (ბუნებრივად ნახევრად მშრალი) ან ღვინოში ყურძნის ტკბილის დამატებით.[512] ნახევრად ტკბილი ღვინოებისთვის განმარტება იგივე იყო, მხოლოდ შაქრის შემცველობის განსხვავებით. [513] გარდა ამისა, ღვინის კლასიფიკაციაში შემოღებულ იქნა კიდევ ერთი ახალი კატეგორია, სახელწოდებით ტკბილი ღვინო და განისაზღვრა ზუსტად ისევე, როგორც ნახევრად მშრალი და ნახევრადტკბილი ღვინოები, მხოლოდ შაქრის მაღალი შემცველობით.[514] სპეციალურ ღვინოს ეწოდა შემაგრებული ღვინო განმარტებაში მცირე ცვლილებებით ისე, რომ საერთო აზრი იგივე დარჩა, ამ ტიპის ღვინის მინიმალური ალკოჰოლის მოცულობა, რომელიც აქამდე არ იყო განსაზღვრული, დადგინდა 15%-ით და მაქსიმალური ზღვარი

[511] საქართველოს კანონი #1635, 04/07/2002 „ვაზისა და ღვინის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე, მუხლი 1, პუნქტი 11.
[512] საქართველოს კანონი #1635, 04/07/2002 „ვაზისა და ღვინის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე, მუხლი 1, პუნქტი 2.
[513] საქართველოს კანონი #1635, 04/07/2002 „ვაზისა და ღვინის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე, მუხლი 1, პუნქტი 2.
[514] საქართველოს კანონი #1635, 04/07/2002 „ვაზისა და ღვინის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე, მუხლი 1, პუნქტი 2.

შემცირდა 24%-დან 22%-მდე.[515] არომატიზირებული ღვინის განმარტება იგივე დარჩა, მაგრამ ალკოჰოლის მინიმალური და მაქსიმალური მოცულობი აღარ მიეთითა.[516]

ვაზის კლასიფიკაციას დაემატა ვაზის ორი ახალი ფრანგული ჯიში მალბეკი (Malbec) და მერლო (Merlot).[517]

კანონში ძალიან მნიშვნელოვანი ცვლილება განხორციელდა მევენახეობა-მეღვინეობის მარეგულირებელი ორგანოს, - საჯარო სამართლის იურიდიული პირის ვაზისა და ღვინის დეპარტამენტ – სამტრესტის (შემდგომში - სამტრესტი) დადგენით.[518] ეს მაკონტროლებელი ორგანო, "ვაზისა და ღვინის შესახებ" საქართველოს კანონის მიღებიდან ერთი წლის შემდეგ დაარსდა,[519] ამით შეიძლება აიხსნას, თუ რატომ არ იყო მითითებული კანონის თავდაპირველ

---

[515] საქართველოს კანონი #1635, 04/07/2002 „ვაზისა და ღვინის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე, მუხლი 1, პუნქტი 2.

[516] საქართველოს კანონი #1635, 04/07/2002 „ვაზისა და ღვინის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე, მუხლი 1, პუნქტი 2.

[517] საქართველოს კანონი #1635, 04/07/2002 „ვაზისა და ღვინის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე, მუხლი 1, პუნქტი 4.

[518] საქართველოს კანონი #1635, 04/07/2002 „ვაზისა და ღვინის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე, მუხლი 1, პუნქტი 3. სამტრესტის სახელმწიფო კონტროლს ახორციელებდა საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო. Ibid.

[519] თავდაპირველი აქტი, რომლითაც დამტკიცდა სამტრესტის დებულება, იყო საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრის 1998 წლის 30 იანვრის #2-46 ბრძანება. ერთი წლის შემდეგ დამტკიცდა სამტრესტის ახალი დებულება, მინისტრის 1999 წლის 27 ოქტომბრის #2-265 ბრძანებით, თუმცა აღნიშნული აქტების საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ბაზიდან ამოღება, ტექნიკური მიზეზების გამო შეუძლებელია, მხოლოდ 2000 წელს დამტკიცებული სამტრესტის ახალი დებულებაა ხელმისაწვდომი, რომელიც უთითებს წინა წლის ბრძანებას და აუქმებს მას. იხილეთ საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრის 2000 წლის 11 ოქტომბრის #2-245 ბრძანება, პუნქტი 1. აღნიშნული დოკუმენტი ხელმისაწვდომია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდზე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1345335?publication=0> 25.11.2021 მდგომარეობით. როგორც ჩანს, სამტრესტი, როგორც ქართული ღვინის წარმოების ზედამხედველი დაწესებულება, 1929 წელს დაარსდა და იმ პერიოდში ქვეყნის ყველა ღვინის ქარხანას განაგებდა. იხილეთ "The History of Georgian Wine III - Georgian Wine Infographics (78)" <http://en.vinoge.com/wine-infographics/history-georgian-wine-iii-georgian-wine-infographics-78> 25.02.2022 მდგომარეობით. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, განხრციელდა სამტრესტის რეორგანიზაცია და აღნიშნული დაწესებულება ჩამოყალიბდა, როგორც მაკონტროლებელი ორგანო და არა როგორც ღვინის ქარხნების განმკარგავი დაწესებულება, რაც აიხსნება იმ გარემოებით, რომ საქართველოში პრივატიზების პროცესები უკვე 1992 წლიდან დაიწყო და სახელმწიფო აღარ განკარგავდა მანამდე, მის საკუთრებაში არსებული, ქონების გარკვეულ ნაწილს. პრივატიზების პროცესების შესახებ დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ: "საქართველოში მიმდინარე პრივატიზაციის პროცესის ზოგადი ანალიზი" (საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია, თბილისი 2005) 18. აღნიშნული დოკუმენტი ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <http://www.economists.ge/storage/uploads/publication/1412301203523740.pdf> 25.02.2022 მდგომარეობით.

ვერსიაში ვენახის ჰექტარზე მოსავლიანობის ლიმიტების კონტროლზე პასუხისმგებელი დაწესებულების სახელწოდება.

გარდა ამისა, მებაღეობის, მევენახეობის და მეღვინეობის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტს დაეკისრა სპეციფიკური ზონისა და მევენახეობის მხარის განსაზღვრა, საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს მიერ დადგენილი წესით.[520] ეს იყო კიდევ ერთი მნიშვნელოვანი სიახლე, რომელიც კანონში ახალმა ცვლილებებმა მოიტანა.

ამრიგად, სამტრესტი და მევენახეობის და მეღვინეობის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი ერთად გახდნენ ღვინის წარმოების მაკონტროლებელი ორგანოები. სამტრესტის დებულება თავის მიზნებში ასევე მიუთითებდა, რომ ცალკეული საწარმოო საქმიანობის ზედამხედველობა, ასევე ვაზისა და ღვინის შესახებ კანონში ცვლილებებისა და ღვინის წარმოებასთან დაკავშირებული სხვა სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება, უნდა განხორციელებულიყო მევენახეობის და მეღვინეობის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის მონაწილეობით.[521]

სპეციფიკური ზონაში იმ ვაზის ჯიშების შენარჩუნების ვადა რომლებიც არ იყო ჩამოთვლილი ვაზის დამტკიცებულ სახეობებში, ამ ზონის რეგისტრაციიდან სამის ნაცვლად ხუთი წლის ვადით განისაზღვრა და ამ მოთხოვნის დარღვევა იწვევდა ამ

---

[520] საქართველოს კანონი #1635, 04/07/2002 „ვაზისა და ღვინის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე, მუხლი 1, პუნქტი 15.

[521] საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრის 2002 წლის 11 ოქტომბრის #2-245 ბრძანებით, დამტკიცებული სამტრესტის დებულების მე-2 მუხლით, 3 წლის შემდეგ სამტრესტის ახალი დებულება აღარ მიუთითებდა მევენახეობის და მეღვინეობის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის მონაწილეობას რაიმე საქმიანობაში. იხილეთ საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრის 2003 წლის 11 თებერვლის # 2-30 ბრძანებით დამტკიცებული სამტრესტის დებულების მუხლები 2, 3. აქტი ხელმისაწვდომია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდზე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/55096?publication=0> 25.11.2021 მდგომარეობით. აქედან გამომდინარე, უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ პერიოდიდან, მხოლოდ სამტრესტი გახდა ღვინის წარმოების მაკონტროლებელი დაწესებულება. მოგვიანებით, 2011 წელს სამტრესტი იქცა ღვინის ეროვნულ სააგენტოდ. იხილეთ საქართველოს კანონი #5300-IIs, 24/11/2011 „ვაზისა და ღვინის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე, მუხლი 1, პუნქტი 2; აქტი ხელმისაწვდომია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდზე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1519196?publication=0> 25.11.2021 მდგომარეობით; ერთი წლის შემდეგ, 2012 წელს საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრის ბრძანებით დამტკიცდა ღვინის ეროვნული სააგენტოს დებულება იხილეთ საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრის 2012 წლის 17 აპრილის #2-67 ბრძანება, პუნქტები 1, 2. აქტი ხელმისაწვდომია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდზე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1637694?publication=0#!> 25.11.2021 მდგომარეობით.

ვენახიდან დაყენებული ღვინისთვის ადგილწარმოშობის დასახელების სტატუსის მინიჭების აკრძალვას.[522]

უფრო ზუსტად განისაზღვრა 15%-იანი (ან 85%-იანი) წესი, რომელიც იძლეოდა ღვინის წარმოებაში ყურძნის სხვა ჯიშის ან ღვინის გამოყენების საშუალებას.[523] ამრიგად, ადგილწარმოშობის დასახელების ღვინოების წარმოებაში დაშვებული იყო სხვა ჯიშის ან ღვინის გამოყენება, თუ ყურძენი ან ღვინო იყო იმავე ზონის სხვა სპეციფიური ზონიდან. ყურძნის გადამუშავება და ღვინის დაყენება დაშვებული იყო სპეციფიური ზონის გარეთ, მაგრამ მევენახეობის იმავე ზონაში. ღვინის ჩამოსხმა დაშვებული იყო ამ საზღვრებს გარეთ, მაგრამ საქართველოში.[524]

ასევე მნიშვნელოვანი ცვლილება შევიდა დებულებებში, რომლებიც კრძალავდა უმაღლესი ხარისხის ღვინოების გარკვეულ ვადაში გაყიდვას და დაემატა ადგილწარმოშობის დასახელების ღვინოების ჩამოსასხმელი სახით გაყიდვის აკრძალვა. [525] უნდა ვივარაუდოთ, რომ ხარისხობრივი ღვინის ჩამოსასხმელი სახით გაყიდვის ძალიან შეუსაბამო და მავნე პრაქტიკა საბჭოთა პერიოდიდან არსებობდა.

აშკარა ხდება, რომ 2000-იანი წლების დასაწყისში საქართველომ დაიწყო საბჭოთა ყაიდის ღვინის წარმოების რეგულაციებიდან, ევროპული სტანდარტებისა და კონცეფციებისკენ გადასვლა.

1999 წელს, "ვაზისა და ღვინის შესახებ" საქართველოს კანონის მიღებიდან ერთი წლის შემდეგ, ქვეყანამ მიიღო კიდევ ერთი მნიშვნელოვანი კანონი: საქართველოს კანონი "საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის" შესახებ, რომლის მიზანიც იყო მოეწესრიგებინა საქონლის ან მომსახურების ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული

---

[522] საქართველოს კანონი #1635, 04/07/2002 „ვაზისა და ღვინის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე, მუხლი 1, პუნქტი 15.

[523] საქართველოს კანონი #1635, 04/07/2002 „ვაზისა და ღვინის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე, მუხლი 1, პუნქტი 16. შეადარეთ სქოლიო 353-ის ტექსტთან.

[524] საქართველოს კანონი #1635, 04/07/2002 „ვაზისა და ღვინის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე, მუხლი 1, პუნქტი 16.

[525] საქართველოს კანონი #1635, 04/07/2002 „ვაზისა და ღვინის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე, მუხლი 1, პუნქტი 20.

აღნიშვნის რეგისტრაციასთან, დაცვასთან და გამოყენებასთან დაკავშირებული ურთიერთობები. [526]

ამ კანონის შემოღება მნიშვნელოვანი იყო იმით, რომ ქვეყანაში დაარსდა ღვინის ადგილწარმოშობის დასახელებათა რეგისტრაციისა და დაცვის პროცედურები, რომლებიც, თავისი არსით, ძალიან ჰგავდა ფრანგულ პრაქტიკას, როცა INAO ახდენდა არსებულ AO დასახელებათა დაცვასა და ახალ ადგიწარმოშობათა დასახელებების რეგისტრაციას.

აღნიშნულმა კანონმა ადგილწარმოშობის დასახელება განსაზღვრა როგორც: "... გეოგრაფიული ადგილის, რაიონის, რეგიონის, გამონაკლის შემთხვევაში, ქვეყნის (შემდგომში – გეოგრაფიული ადგილი) თანამედროვე ან ისტორიული სახელი გამოყენებული იმ საქონლის მოსანიშნად:

ა) რომელიც წარმოშობილია ამ გეოგრაფიული ადგილიდან;

ბ) რომლის განსაკუთრებული ხარისხი და თვისებები მთლიანად ან ძირითადად განპირობებულია მხოლოდ ამ გეოგრაფიული ადგილის ბუნებრივი გარემოთი და ადამიანის ფაქტორით;

გ) რომლის წარმოება, ნედლეულის დამზადება და დამუშავება ხდება ამ გეოგრაფიული ადგილის საზღვრებში. "[527]

ეს განმარტება მსგავსია ადგილწარმოშობის დასახელებების დაცვისა და მათი საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ ლისაბონის შეთანხმებით (Lisbon Agreement for the Protection of Appellations of Origin and their International Registration) განსაზღვრულ განმარტებას, სადაც ნათქვამია, რომ: "... „ადგილწარმოშობის დასახელება“ ნიშნავს ქვეყნის, რეგიონის ან ადგილის გეოგრაფიულ დასახელებას, რომელიც ემსახურება იქ წარმოშობილი პროდუქტის აღნიშვნას, რომლის ხარისხი ან მახასიათებლები განპირობებულია ექსკლუზიურად ან არსებითად გეოგრაფიული გარემოთი, ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორების ჩათვლით."[528]

---

[526] საქართველოს კანონი #2108, 22/06/1999 საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის შესახებ, მუხლი 1. აქტი ხელმისაწვდომია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდზე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/ 16186?publication=0> 13.04.2022 მდგომარეობით.

[527] საქართველოს კანონი #2108, 22/06/1999 საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის შესახებ, მუხლი 3, პუნქტი 1.

[528] Lisbon Agreement for the Protection of Appellations of Origin and their International Registration მუხლი 2, პუნქტი 1. დოკუმენტი ხელმისაწვდომია ინტელექტუალური საკუთრების მხოფლიო ორგანიზაციის ვებგვერდზე: <https://www.wipo.int/export/sites/www/lisbon/en/legal_texts/lisbon_agreement.pdf> 18.04.2022

რაც შეეხება გეოგრაფიულ აღნიშვნას ის განიმარტა როგორც, "... სახელი ან სხვა რაიმე სიმბოლო, რომელიც მიუთითებს გეოგრაფიულ ადგილზე და გამოყენებულია იმ საქონლის მოსანიშნად:

ა) რომელიც წარმოშობილია ამ გეოგრაფიული ადგილიდან;

ბ) რომლის სპეციფიკური ხარისხი, რეპუტაცია ან სხვა მახასიათებლები დაკავშირებულია ამ გეოგრაფიულ ადგილთან;

გ) რომლის წარმოება ან ნედლეულის დამზადება ან დამუშავება ხდება ამ გეოგრაფიული ადგილის საზღვრებში."[529]

ეს განმარტება მსგავსია იმ განმარტებისა, რომელიც მოცემულია ინტელექტუალური საკუთრების უფლებათა ვაჭრობასთან დაკავშირებული ასპექტების შესახებ შეთანხმებაში (Agreement on Trade-Related Aspects of Intellectual Property Rights): "...აღნიშვნები, რომლებიც განსაზღვრავს საქონელს, როგორც წარმოშობილს წევრის (ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის) ტერიტორიაზე, ან ამ ტერიტორიის რეგიონში ან ადგილში, სადაც საქონლის მოცემული ხარისხი, რეპუტაცია ან სხვა მახასიათებელი არსებით კავშირშია მის გეოგრაფიულ წარმოშობასთან."[530]

"ადგილწარმოშობის დასახელებებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების შესახებ" საქართველოს კანონი ასევე ითვალისწინებდა ადგილწარმოშობის დასახელებებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვის ინსტრუმენტებს, რაც მოიცავდა მათ რეგისტრაციას საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების

მდგომარეობით; იხილეთ ასევე: *Geographical Indications, An Introduction.* 2nd edn, World Intellectual Property Organization. (2021) 11. დოკუმენტი ხელმისაწვდომია ინტელექტუალური საკუთრების მხოფლიო ორგანიზაციის ვებგვერდზე: <https://www.wipo.int/publications/en/details.jsp?id=4562> 18.04.2022 მდგომარეობით; "Paris Convention for the Protection of Industrial Property" <https://www.wipo.int/treaties/en/ip/paris/> 18.04.2022 მდგომარეობით; საქართველო შეუერთდა აღნიშნულ შეთანხმებას 2004 წელს. იხილეთ Lisbon Notification No. 26 Accession by Georgia აღნიშნული ინფორმაცია ხელმისაწვდომია ინტელექტუალური საკუთრების მხოფლიო ორგანიზაციის ვებგვერდზე: <https://www.wipo.int/treaties/en/notifications/lisbon/treaty_lisbon_26.html> 18.04.2022 მდგომარეობით.

[529] საქართველოს კანონი #2108, 22/06/1999 საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის შესახებ, მუხლი 3, პუნქტი 2.

[530] Agreement on Trade-Related Aspects of Intellectual Property Rights მუხლი 22, პუნქტი 1. დოკუმენტი ხელმისწვდომია მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ვებგვერდზე: <https://www.wto.org/english/docs_e/legal_e/27-trips_01_e.htm> 18.04.2022 მდგომარეობით. იხილეთ ასევე: *Geographical Indications, An Introduction* (2021). 6, 12.

ეროვნულ ცენტრში - „საქპატენტში“, ასევე მათ დაცვას საერთაშორისო შეთანხმების და სახელმწიფოთაშორისი ხელშეკრულებების საფუძველზე.[531]

საქპატენტისთვის სწორედ ამ მიმართულებით უფლებამოსილებების მინიჭება, ნაწილობრივ აიგივეს მას ფრანგულ INAO-სთან, რომელიც მრავალმხრივი ხელშეკრულებების საფუძველზე, იცავს ქვეყნის ხარისხობრივ ღვინოებს.[532]

2002 წელს შეიქმნა კიდევ ერთი რეგულაცია, საქართველოს პრეზიდენტის №88 ბრძანებულება - „საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა თაობაზე, რომელმაც დაადგინა "დებულება ღვინისა და ღვინის ბრენდის ადგილწარმოშობის დასახელების დადგენის, რეგისტრაციის, გამოყენებისა და კონტროლის შესახებ."[533]

ამ ნორმატიული აქტის მთავარი არსი მდგომარეობდა იმაში, რომ მან უფრო დეტალურად დაადგინა ის პროცედურები და დებულებები, რაც, შედარებით ზოგადად, იყო გადმოცემული „საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის შესახებ“ საქართველოს კანონში.

აღნიშნული ბრძანებულებით განისაზღვრა ღვინისა და ღვინის ბრენდის ადგილწარმოშობის დასახელება იმავე ყაიდით როგორც ამ ტერმინს განმარტავდა "ადგილწარმოშობის დასახელებებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების შესახებ" საქართველოს კანონი. [534] იგივე მიდგომა იქნა გამოყენებული აღნიშნული სასმელების ადგილწარმოშობის დასახელებათა დაცვის ზომების განსაზღვრისას. შესაბამისად ამ ბრძანებულებაში, კანონის მსგავსად, მათი დაცვის

---

[531] საქართველოს კანონი #2108, 22/06/1999 საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის შესახებ, მუხლი 4; იხილეთ ასევე "ზოგადი ინფორმაცია საქპატენტის შესახებ" <https://www.sakpatenti.gov.ge/ka/page/18/> 18.04.2022 მდგომარეობით. 1992 წელს საქართველო გახდა პირველი ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკა, რომელმაც დააარსა ეროვნული საპატენტო სამსახური „საქპატენტი“, რომელსაც მოგვიანებით ეწოდა ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი. საქპატენტის უფლებამოსილება საბოლოოდ მოიცავდა ინტელექტუალური საკუთრების ყველა ძირითად სფეროს, მათ შორის სამრეწველო საკუთრებას, საავტორო და მონათესავე უფლებებს, მცენარეთა და ცხოველთა ახალ ჯიშებსა და ჯიშებს. Ibid.

[532] იხილეთ სქოლიო 366-ის ტექსტი.

[533] საქართველოს პრეზიდენტის # 88, 28/02/2002 ბრძანებულება, პრეამბულა; მუხლები. 1-5.

[534] საქართველოს პრეზიდენტის # 88, 28/02/2002 ბრძანებულება, მუხლი 1.

ინსტრუმენტებად მიეთითა „საქპატენტში“ რეგისტრაცია ან სახელმწიფოთაშორისი ხელშეკრულები.[535]

რაც შეეხება რეგისტრირებულ ღვინოზე ადგილწარმოშობის დასახელების გამოყენების კონტროლს, ბრძანებულებამ დაადგინა კონტროლს დაქვემდებარებული შემდეგი ასპექტები: ყურძნისა და ღვინის წარმოების ადგილი; ყურძნის ჯიში და წარმოების ტექნოლოგია; ყურძნის მაქსიმალური მოსავალი 1 ჰექტრიდან, მისი ხარისხი და მინიმალური შაქრიანობა; ღვინის გამოსავალი 1 ტონა ყურძნიდან; ღვინის წარმოების ტექნოლოგიური პროცესი; მინიმალური სპირტშემცველობა; ღვინის ფიზიკო-ქიმიური, მიკრობიოლოგიური და ორგანოლეპტიკური მახასიათებლების შესაბამისობა ადგილწარმოშობის დასახელების ღვინოების კანონმდებლობით განსაზღვრულ მაჩვენებლებთან.[536]

გარდა ამისა, აღნიშნულმა ბრძანებულებამ ასევე დაადგინა ადგილწარმოშობის დასახელების სია, მათი წარმოების ადგილები, საზღვრებისა და ყურძნის სპეციფიკური ჯიშების მითითებით თითოეული ზონისთვის. იმ პერიოდისთვის სულ განისაზღვრა 18 ადგილწარმოშობის დასახელება.[537]

ადგილწარმოშობის დასახელებებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების შესახებ კანონის და საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების შექმნა მიუთითებს იმაზე, რომ ქვეყანა ცდილობდა საკანონმდებლო დონეზე გაეწერა როგორც განსაკუთრებული ზონების განმარტებები ასევე მათი დაცვის მექანიზმები, რაც იმ დრისთვის, არსებითად, წინ გადადგმულ ნაბიჯად შეგვიძლია ჩავთვალოთ.

საქართველოს რეგულაციათა განხილვისას, 1950-იანი წლებიდან, ვიდრე დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ, 2000-ინი წლების დასაწყისის ჩათვლით, გამოიკვეთა შემდეგი მნიშვნელოვანი ასპექტები:

1. საბჭოთა პერიოდში ქართული საკოლექციო ღვინოების კატეგორიაში შემავალი სუფრის ღვინოების შემდგომი ქვეკატეგორიზაცია, ჩამოყალიბდა საბჭოთა სტანდარტით დადგენილი ღვინის კლასიფიკაციისგან განსხვავებული წესით, ღვინოებისთვის წარმოების ზონის სახელების მიმაგრებით, რაც

[535] საქართველოს პრეზიდენტის # 88, 28/02/2002 ბრძანებულება, მუხლი 2.
[536] საქართველოს პრეზიდენტის # 88, 28/02/2002 ბრძანებულება, მუხლი 5. იგივე მოთხოვნები დაწესდა ღვინის ბრენდთან დაკავშირებით. Ibid.
[537] საქართველოს პრეზიდენტის # 88, 28/02/2002 ბრძანებულება, დანართი #1.

ადგილწარმოშობის დასახელებების მითითების ევროპულ პრაქტიკას მოგვაგონებს. ეს კი იმ დროისთვის საკმაოდ უცნაურ პრაქტიკად გვევლინება.

2. დამოუკიდებლობის მოპოვებიდან მხოლოდ შვიდი წლის შემდეგ, 1998 წელს - „ვაზისა და ღვინის შესახებ“ საქართველოს კანონის მიღებით, ქვეყანამ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა, ღვინის წარმოების სფეროში, სამართლებრივი წესრიგის დამყარების კუთხით, მიუხედავად იმისა, რომ კანონის თავდაპირველი რედაქცია საბჭოთა სტანდარტების ძლიერ გავლენას განიცდიდა, რამაც, პირველ რიგში, ასახვა პოვა კანონით დადგენილ ღვინის კლასიფიკაციაში. ხარისხობრივი ღვინის დასახელებები - "სამარკო," "საკოლექციო," ასევე ღვინის კატეგორიათა განმარტებები, ჯერ კიდევ საბჭოთა ყაიდით იყო განსაზღვრული. თუმცა, ამის პარალელურად, კანონი მაინც იზიარებდა ევროპულ გამოცდილებას, შემდეგი მნიშვნელოვანი ასპექტების არსებობით:

1. სუფრის ღვინის კარეგორიის დასახელება და განმარტება ევროპული კლასიფიკაციების (ფრანგული Vin de table-ს, ესპანური Vino de mesa-ს, იტალიური Vino da tavola-ს და გერმანული tafelwein-ის.) იდენტური იყო.
2. კანონი მოითხოვდა ხარისხობრივ ღვინოზე სპეციალური სარეგისტრაციო ნომრის მინიჭებას .
3. კანონმა განსაზღვრა სამარკო ღვინოების ორი ქვეკატეგორია: განსაკუთრებულ ზონაში წარმოებული სამარკო ღვინო (ფრანგული AO-ის, ესპანური DO-ისა და იტალიური DOC-ის მსგავსი კატეგორია) და განსაკუთრებულ ზონაში წარმოებული კონტროლს დაქვემდებარებული სამარკო ღვინო (ფრანგული AOC-ის, ესპანური DOCa-ისა და იტალიური DOCG-ის მსგავი კატეგორია).
4. კანონმა დაუშვა ღვინის ეტიკეტზე აღნიშნულიყო ვაზის ჯიში, თუ ღვინო იწარმოებოდა ამ ჯიშის არანაკლებ 85%-დან, მოსავლის აღნიშვნა, თუ ღვინო დაყენებული იყო ამ მოსავლის ყურძნის არანაკლებ 85%-ით.

3. 2002 წელს, კანონში მრავალი მნიშვნელოვანი ცვლილება და დამატება შევიდა, რითაც ქვეყანამ დაიწყო საბჭოთა ყაიდის ღვინის წარმოების რეგულაციებიდან, ევროპული სტანდარტებისა და კონცეფციებისკენ გადასვლა, კერძოდ:

1. განისაზღვრა ღვინის ახალი კატეგორია, სახელწოდებით „მხარის ღვინო“. (ფრანგული Vins de pays-ის, ესპანური Vino de la tierra-ს, იტალიური vino tipico-ს და გერმანული landwein-ის ეკვივალენი).
2. ამიერიდან, სამარკო ღვინო იწოდებოდა სპეციფიკურ ზონაში წარმოებულ ადგილწარმოშობის დასახელების უმაღლესი ხარისხის ღვინოდ (საფრანგეთის - AO-ის, ესპანური - DO-ისა და იტალიური - DOC-ის ეკვივალენტი), ხოლო საკოლექციო ღვინოს ეწოდა სპეციფიკურ ზონაში წარმოებული ადგილწარმოშობის დასახელების კონტროლირებადი უმაღლესი ხარისხის ღვინო (ფრანგული - AOC-ის, ესპანური - DOCa-ისა და იტალიური - DOCG-ის ეკვივალენტი).
3. აიკრძალა ადგილწარმოშობის დასახელების ღვინოების ჩამოსასხმელი სახით გაყიდვა.
4. სამტრესტი და მევენახეობის და მეღვინეობის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი გახდნენ ღვინის წარმოების მაკონტროლებელი ორგანოები ფრანგული INAO-ს მსგავსად.

4. გამოიცა საქართველოს კანონი "საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის" შესახებ. ამით, ქვეყანაში დაარსდა, საფრანგეთის მსგავსი, ღვინის ადგილწარმოშობის დასახელებათა რეგისტრაციისა და დაცვის პროცედურები, ხოლო ამ კანონით განსაზღვრული დებულებების და პროცედურების უფრო დეტალურად დადგენისთვის, 2002 წელს შეიქმნა კიდევ ერთი რეგულაცია, საქართველოს პრეზიდენტის №88 ბრძანებულება - „საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის შესახებ“, საქართველოს კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა თაობაზე.

5. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ღვინის ახალი კატეგორიის - "მხარის ღვინო" შემოღებას, ასევე ხარისხობრივი ღვინის სახელების შეცვლას და - ადგილწარმოშობის დასახელებათა და გეოგრაფიული აღნიშვნის შესახებ ნორმატიული აქტების შემოღებას, ისეთივე მიზანი ჰქონდა, როგორც, თავის დროზე, იტალიის, ესპანეთის და გერმანიის მიერ განხორციელებულ კანონშემოქმედებით საქმიანობას, რათა მათი რეგულაციები შესაბამისობაში მოსულიყო ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობის რეგულაციებთან. ამით

საქართველო ცდილობდა თავისი ღვინის წარმოების რეგულაციები ევროკავშირის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოეყვანა.

IX. დასკვნები და რეკომენდაციები

მოცემული სადისერტაციო ნაშრომით, ჩვენს მიერ განხილული იქნა ქართული და ევროპული ღვინის წარმოების სამართლებრივი რეგულაციების ისტორია, ხარისობრივი ღვინის წარმოების დაცვისა და ფალსიფიკაციასთან ბრძოლის მექანიზმების ჭრილში, შედარებით-სამართლებრივი და ისტორიულ-შედარებითი კვლევის ანალიზზე დაყრდნობით. კვლევის შედეგად, გამოიკვეთა შემდეგი მოცემულობები, დასკვნები და რეკომენდაცია-მითითებანი:

1. ღვინის კულტურის წარმოშობა და შემდგომ, ევოპულ ცივილიზაციებში, მისი პირველი მიგრაცია იმ ტერიტორიებიდან განხორციელდა, სადაც საქართველო მდებარეობს.

2. ღვინის კულტურის წარმოშობის შემდეგ, მისი ევროპაში გავრცელება ფართო მასშტაბებს რომაელების ძალისხმევით აღწევს. მათ მიერ მევენახეობა-მეღვინეობის მხრივ დატოვებული კვალი, ევროპაში იმდენად დიდია, რომ რომი, ევროპული ცივილიზაციებისთვის, არა მხოლოდ სამართლის, არამედ ღვინის კულტურის მიმცემადაც გვევლინება.

3. რომაელ სწავლულთა მიერ შემუშავებული სასოფლო-სამეურნეო ტრაქტატები, თავისი არსით, წარმოადგენდნენ იმდროინდელ წარმოების სტანდარტებს და, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ტექსტები არ არიან იურიდიულად სავალდებულო ხასიათის დოკუმენტები, ისინი შეგვიძლია მივიჩნიოთ, როგორც სამართლის ისტორიის ირიბი წყარო, რომელშიც დეტალურადაა გაწერილი ის კონცეპტუალური მოთხოვნები, რომელთა დაუცველობა, ან თუნდაც - რაიმე სახით გაუთვალისწინებლობა, გამოიწვევდა ღვინის ხარისხის გაუარესებას, გაფუჭებას. ეს კი აუცილებლად მოიტანდა გარკვეულ სამართლებრივ შედეგს, აკვილიუსის კანონის (lex Aquilia) მესამე თავით

განსაზღვრული, ნებისმიერი ნივთის ყოველგვარი დაზიანების შემთხვევის ფარგლებში. შეიძლება შედგენილიყო სარჩელი (actiones legis Aquiliae) იმის წინააღმდეგ, ვინც მოახდენდა ღვინის ფალსიფიკაციას, ან დაღვრიდა, აამჟავებდა ან სხვაგვარად გააფუჭებდა (corruperit) მას.

4. რაც შეეხება რომის სამართლებრივ ტრადიციებს, იმპერატორ დომიციანეს ახ. წ. 92 წ. გამეცემულ ედიქტს, შეიძლება გავლენა მოეხდინა რომში ღვინის წარმოების მოცულობის შემცირებაზე. ღვინის შესახებ ასევე მნიშვნელოვანია Specificatio-თან, Furtum-თან და Error in substantia-თან დაკავშირებული კაზუსები, ღვინის წარმოების თვალსაზრისით, განსაკუთრებით Specificatio და Error in substantia, რადგან Specificatio-ს შემთხვევაში ადგილი აქვს ყურძნის გადამუშავებას და მისგან ღვინის წარმოებას, რის საფუძველზეც უნდა გადაწყდეს სასამართლო დავა, თუ ვის საკუთრებაში დარჩეს საბოლოო პროდუქტი, ხოლო Error in substantia-ს შემთხვევაში კი, - ნასყიდობის ხელშერკულების (emptio-venditio) ბათილობის ან ვალიდურობის განსაზღვრისთვის, ღვინის შემოწმების ინსტრუმენტად დეგუსტაციის შემოტანა, თავისთავად, მოიცავს პროდუქტის ხარისხის კონტროლის მექანიზმს.

6. საფრანგეთში, XX საუკუნის დასაწყისიდან, ვიდრე 1950-იან წლებამდე პერიოდის ღვინის რეგულაციის მიმოხილვისას, დგინდება, რომ ღვინის წარმოებასთან დაკავშირებული პრობლემები 1850-იან წლებში დაიწყო, ვაზის დაავადება - ფილოქსერას გამოჩენით, რამაც ხელი შეუწყო ღვინის გაყალბების პრაქტიკის განვითარებას, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყანა დახვეწილ რეგულაციებამდე არ მისულა შეცდომების ან არაეფექტური გადაწყვეტილებების გარეშე, კერძოდ 1889 წელს მიღებულმა პირველმა აქტმა - "loi Griffe" (ეტიკეტების კანონი), ისევე როგროც მოგვიანებით, 1905 წელს მიღებულმა კანონმა, რომელმაც განსაზღვრა *Appellation d' origine* ვერ მოაგვარა ფალსიფიკაციის პრობლემა.

7. მიგვაჩნია, რომ 1930-იანი წლები შეიძლება ჩაითვალოს იმ პერიოდად, როდესაც საფრანგეთმა შექმნა ღვინის წარმოების ყველაზე ეფექტური და დახვეწილი რეგულაციები, ასევე ღვინის ხარისხის კონტროლის ისეთი ინსტიტუტები, რამაც ქვეყანა, ამ მხრივ, ყველაზე დაწინაურებულ ცივილიზაციად აქცია, ევროპის დანარჩენ სახელმწიფოებთან შედარებით. ყოველივე ეს კი, შესაძლებელი გახდა 1931-1935 წწ., საფრანგეთში განხორციელებული

კანონშემოქმედებითი საქმიანობის წყალობით, როდესაც გამოიცა მთელი რიგი აქტებისა, რომელთა ერთობლიობა ცნობილია, როგორც ღვინის წესდება - Statut du Vin. აღნიშნული წესდება მოიცავდა ღვინის წარმოების ყველა ასპექტს, განისაზღვრა ღვინის წარმოების ადგილები, ყურძნის ჯიშები, ალკოჰოლის მინიმალური დონე, ვაზის მოყვანის და ღვინის წარმოების მეთოდები.

8. ამ კანონშემოქმედებითი საქმიანობის შედეგი იყო, აგრეთვე, ადგილწარმოშობის დასახელებათა ეროვნული კომიტეტის - Comité national des Appellations d'Origine (CNAO) შექმნა, რომელიც, მოგვიანებით, გარდაიქმნა ადგილწარმოშობის დასახელების ეროვნულ ინსტიტუტად - Institute National des Appellations d'Origine (INAO). ამრიგად, საფრანგეთი გახდა პირველი ქვეყანა, რომელმაც შემოიღო ადგილწარმოშობის დასახელებათა და ღვინის ხარისხი კონტროლის სისტემა, მთელი ქვეყნის მასშტაბით. საფრანგეთს ასევე გააჩნდა პროცედურები ხარისხობრივი ღვინის დაბალ კატეგორიაზე ჩამოხარისხებისთვის, თუ ღვინო ვერ დააკმაყოფილებდა AOC კატეგორიისთვის განკუთვნილ სტანდარტებს.

9. იტალიის რეგულაციების განხილვისას, ირკვევა რომ, საფრანგეთის საპირისპიროდ, XX საუკუნის დასაწყისიდან, ვიდრე 1950-იან წლებამდე პერიოდისთვის, იტალია ღვინის წარმოების შესახებ რეგულაციების შემუშავების აუცილებლობას ვერ ხედავდა. ამ ქვეყანას საერთოდ არ გააჩნდა ხარისხობრივი ღვინის სისტემა, თუ არ ჩავთვლით 1932 წელს განხორციელებულ, კიანტის ტერიტორიის დელიმიტაციას.

10. ესპანეთთან დაკავშირებით ღვინის წარმოების რეგულაციების შემოღება უკავშირდება 1920-იან - 1930-იან წლებს, როდესაც ქვეყანამ აღიარა თავისი პირველი ადგილწარმოშობის დასახელებები: რიოხა, ხერესი და მალაგა. ქვეყანაში ასევე შეიქმნა მარეგულირებელი საბჭო - Consejo Regulador, თითოეული რეგიონის ხარისხობრივი ღვინისთვის. საბჭოები, თავიანთი ფუნქციებით, ძალიან ჰგავდნენ ფრანგულ INAO-ს. კიდევ ერთი მსგავსება ფრანგულ სისტემასთან იყო ის, რომ ესპანეთმა 1932 წელს შექმნა ღვინის წესდება, ღვინის ადგილწარმოშობის დასახელებათა დასაცავად.

11. ანექსიამდელი საქართველოს რეგულაციების მიმოხილვისას, XIV-XVIII საუკუნეების პერიოდის ქართული და ქართულ სამართლებრივ

სინამდვილესთან შესაბამისობაში მოყვანილი უცხოური სამართლის ძეგლების მიმოხილვის შემდგომ, დგინდება, რომ ქვეყანაში არამარტო ღვინის მოხმარების მაღალი კულტურა, არამედ მაღალი სამართალშემოქმედებითი კულტურაც არსებობდა, რადგან ფრაგმენტულად, თუმცა მაინც, სამართლის ძეგლებში არსებობდა არამხოლოდ ღვინის ხარისხის კონტროლის ღონისძიებათა აღწერა, დეგუსტაციის ჩათვლით, არამედ ასევე ალკოჰოლის მოხმარების შეზღუდვის და სიმთვრალის, - როგორც არაქმედითუნარიანად აღიარების საკმარისი პირობის მაგალითები.

12. XX საუკუნის დასაწყისიდან, ვიდრე 1950-იან წლებამდე პერიოდისთვის, საქართველოში რეგულაციათა განხილვისას, უნდა ავღნიშნოთ, რომ ამ დროს შეუძლებელი იყო, ქვეყანას დამოუკიდებლად მიეღო გადაწყვეტილებები საკუთარი ღვინის წარმოების რეგულაციებთან ან იმდროინდელ ნებისმიერ საქმიანობასთან დაკავშირებით, რადგან ქვეყანა ანექსირებული იყო ჯერ რუსეთის იმპერიის, შემდეგ კი - საბჭოთა კავშირის მიერ. დამპყრობელთა მიერ ქვეყანაზე გავრცელებული სამართლებრივი აქტები კი, ევროპულ და, განსაკუთრებით - საფრანგეთის რეგულაციებითან შედარებით, არასაკმარისი იყო ხარისხობრივი ღვინის წარმოების უზრუნველსაყოფად. საკუთარი რეგულაციების არარსებობის მიუხედავად, გარკვეული ძალისხმევების წყალობით, მაინც მოხერხდა მევენახეობა-მეღვინეობის კვლევითი ინსტიტუტის დაარსება, რომელიც იყო ამ ტიპის პირველი დაწესებულება მთელ საბჭოთა კავშირში.

13. ანექსიამდელი და ანექსიის შემდგომი პერიოდების ისტორიულ-სამართლებრივი შედარებისას, ნათლად იკვეთება საქართველოში კანონშემოქმედებითი საქმიანობის სრული დეგრადაცია.

14. ევროპის ეკონომიკუთი თანამეგობრობის რეგულაციების განხილვისას ირკვევა, რომ თანამეგობრობის მიერ განხორციელებული მრავალი ძალისხმევის მიუხედავად, 1979-80 წლების ყურძნის მაღალმა მოსავალმა და ამის შედეგად გამოწვეულმა პრობლემებმა, თანამეგობრობა აიძულა მიეღო შესაბამისი ზომები და 1982 წელს დისტილაცია დადგინდა, როგორც ჭარბწარმოების პრევენციის ძირითადი ინსტრუმენტი.

15. 1984 წელს დუბლინის სამმიტმა საფუძველი ჩაუყარა დამატებითი ღონისძიებების შემოღებას: ვენახების ამოძირკვისთვის გათვალისწინებული კომპენსაციებით, ხელახლა გაშენების შეზღუდვითა და სხვა ღონისძებების სახით.

16. 1990-იანი წლების მიწურულს, ღვინის საერთაშორისო ბაზარზე მიმდინარე ახალი გამოწვევების საპასუხოდ, უკვე ევროკავშირს შემოაქვს ახალი რეგულაცია 1493/99, რომელმაც შეცვალა და გააუქმა ღვინის პოლიტიკასთან დაკავშირებული, აქამდე არსებული რეგულაციები. მთავარი, რაც 1493/99 რეგულაციის შემოღებამ გამოიწვია, იყო, წარმოების პროცესებსა თუ პროდუქტის ბაზარზე განთავსებასთან დაკავშირებით, ადრე არსებული ინტერვენციიული ღონისძიებების შერბილება. თუმცა, წინა პრაქტიკის მსგავსად, აღნიშნულმა რეგულაციამ გაიმეორა დებულებები ხარისხობრივ ღვინოსთან დაკავშირებით და ასევე წინა პრაქტიკის მსგავსად, დაადგინდა მეღვინეობის მინიმალური შეზღუდვები და მოთხოვნები, რომლებიც უნდა დაკმაყოფილებულიყო ან გადაჭარბებულიყო წევრი ქვეყნების მიერ. რეგულაციით დაწესებული შეზღუდვების ყველაზე მნიშვნელოვანი შედეგი იყო ის, რომ ევროკავშირის ფარგლებში, აიკრძალა ნებისმიერი ადგილწარმოშობის დასახელების გამოყენება, რომლის გამოყენების უფლებაც მწარმოებელს არ ჰქონდა მინიჭებული.

17. ევროპის ეკონომიკური თანამეგობობის მიერ დადგენილ ღვინის ხარისხის მოთხოვნებთან, ადგილობრივი რეგულაციების შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, საფრანგეთს ძალიან მცირე ცვლილებების შეტანა მოუწია არსებულ რეგულაციებში, რადგან მას უკვე ჰქონდა ხარისხობრივი ღვინოსთან დაკავშირებული რეგულაციები. შესაბამისად, 1973 წელს საფრანგეთის მთავრობას, თანამეგობრობის ღვინის წარმოების რეგულაციებთან, ქვეყნის რეგულაციების შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, მხოლოდ უმაღლესი სუფრის ღვინის კატეგორიის შემოღება დასჭირდა - Vins de pays.

18. საფრანგეთთან შედარებით, იტალიის მიერ შემოღებულ რეგულაციებს საკმაოდ ფორმალური ხასიათი ჰქონდა, ამის მიზეზი კი ის იყო, რომ DOC სისტემა, ღვინის ავთენტურობის გარანტიის მიუხედავად, სულაც არ იძლეოდა ღვინის ხარისხის გარანტიას, იქიდან გამომდინარე, რომ ერთსა და იმავე ტერიტორიაზე, საკმაოდ განსხვავებული ხარისხის ღვინოები იწარმოებოდა.

19. ფორმალურმა რეგულაციებმა აიძულა მეღვინეები თავიანთი ღვინო ეწარმოებინათ სუფრის ღვინის კატეგორიით და საკუთარი რეპუტაციის ხარჯზე გაეყიდათ მაღალ ფასად.

20. 1992 წელს იტალია ეცადა აემაღლებინა ხარისხობრივი ღვინის კლასიფიკაციის სანდოობა, ღვინის კლასიფიკაციაში ცვილებების შეტანით, თუმცა, მიუხედავად ამისა, ქვეყანამ არ დააწესა ჭარბი მოსავლიანობის საპრევენციო ღონისძიებები, რაც ღვინის ხარისხისთვის მნიშვნელოვანი კომპონენტია. ამდენად, იტალიური რეგულაციების ეფექტურობა ხარისხობრივი ღვინის წარმოებასთან დაკავშირებით, კვლავ საეჭვოდ დარჩა.

21. გერმანიის შემთხვევაში, რეგულაციების მიზანი, საფრანგეთთან, იტალიასთან და ესპანეთთან შედარებით, სრულიად განსხვავებული იყო. ქვეყნის კლასიფიკაცია, მეზობლებისგან განსხვავებით, შაქრის შემცველობაზე იყო დაფუძნებული, რომელშიც გარკვეული შეზღუდვების შემოტანა, ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობის ძალისხმევის შედეგად, 1989 წლიდან იწყება და კიდევ უფრო ძლიერდება 1993 წელს.

22. 1970 წელს, ესპანეთმა შეცვალა ძველი, 1932 წელს მიღებული ღვინის წესდება, - ახლით და დაარსა ადგილწარმოშობის დასახელებათა ეროვნული ინსტიტუტი - Instituto Nacional de Denominaciones de Origen, რათა, ქვეყნის მასშტაბით, ეკონტროლებინა ადგილწარმოშობის დასახელებებთან დაკავშირებული საკითები. ამით, ქვეყანა კიდევ უფრო დაუახლოვდა, საფრანგეთში არსებულ, ღვინის ხარისხის კონტროლის სისტემას.

23. მიუხედავად იმისა, რომ ესპანეთი აქტიურად ახერხებს ღვინის წარმოების რეგულაციების შექმნას, რაც განასხვავებს მას იტალიისგან, რომელიც ამ მხრივ ძალიან პასიურია, DO კლასიფიკაციის შემუშავებისას, ესპანეთის მთავარი მიზანი, იტალიის მსგავსად, იყო თანამეგობრობის მიერ დადგენილი რეგულაციების ფორმალური დაკმაყოფილება.

24. კლასიფიკაციის ფორმალურმა ხასიათმა, ისევე როგორც იტალიაში, აქაც გამოიწვია ის შედეგები, რომ ყველაზე პრესტიჟული და ძვირადღირებული ესპანური ღვინო, სუფრის ღვინის სტატუსით იწარმოებოდა.

25. 1991, 1992, 2003 წლებში ესპანეთმა ღვინის კლასიფიკაციაში ცვლილებების შეიტანა, რაც შეიძლება შეფასდეს, როგორც ესპანეთის მცდელობა,

ხარისხობრივი ღვინის კლასიფიკაციისთვის, მეტი სანდოობა მიენიჭებინა, როგორც ამას ეცადნენ იტალიაში 1992 წელს.

26. 1980-იან წლებში საბჭოთა ხელისუფლებამ გადაწყვიტა გაეზიარებინა ევროპული გამოცდილება ღვინის წარმოების მიმართულებით და ღვინის წარმოების სტანდარტებში, გაითვალისწინა ევროპული მიდგომები. ორდინალური ღვინოების კატეგორია ევროპული სუფრის ღვინოების კატეგორიას ჰგავდა, ხოლო სამარკო და საკოლექციო ღვინოების კატეგორიები, ევროპული უმაღლესი ხარისხის ღვინოების კატეგორიების მსგავსი იყო. 1990 წელს კლასიფიკაციაში ახალი კატეგორიის - კონტროლირებადი ადგილწარმოშობის დასახელების ღვინოების დამატებამ, საბჭოთა ღვინის კლასიფიკაცია კიდევ უფრო დაახლოვა ევროპული ხარისხობრივი ღვინის კლასიფიკაციებთან. საბჭოთა კავშირის მიერ, ევროპული მიდგომების გაზიარების კიდევ ერთ მაგალითს ვაწყდებით, ჯიშური ღვინოების წარმოებაში, 15%-ის ოდენობით სხვა ყურძნის ჯიშების დაშვებით.

27. საბჭოთა პერიოდში ქართული საკოლექციო ღვინოების კატეგორიაში შემავალი, სუფრის ღვინოების შემდგომი ქვეკატეგორიზაცია ჩამოყალიბდა, საბჭოთა სტანდარტით დადგენილი, ღვინის კლასიფიკაციისგან განსხვავებული წესით, ღვინოებისთვის წარმოების ზონის სახელების მიმაგრებით, რაც ადგილწარმოშობის დასახელებების მითითების, ევროპულ პრაქტიკას მოგვაგონებს. მთავარი სტანდარტიდან ამგვარი გადახვევა, იმ დროისთვის, საკმაოდ უჩვეულო შემთხვევად გვევლინება.

28. დამოუკიდებლობის მოპოვებიდან შვიდი წლის შემდეგ, 1998 წელს - „ვაზისა და ღვინის შესახებ“ საქართველოს კანონის მიღებით, ქვეყანამ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა, ღვინის წარმოების სფეროში, სამართლებრივი წესრიგის დამყარების კუთხით, მიუხედავად იმისა, რომ კანონის თავდაპირველი რედაქცია, საბჭოთა სტანდარტების ძლიერ გავლენას განიცდიდა, თუმცა, ამის პარალელურად, კანონი მაინც იზიარებდა ევროპულ გამოცდილებას.

29. 2002 წელს, კანონში მრავალი მნიშვნელოვანი ცვლილება და დამატება შევიდა, რითაც ქვეყანამ დაიწყო საბჭოთა ყაიდის ღვინის წარმოების რეგულაციებიდან, ევროპული სტანდარტებისა და კონცეფციებისკენ გადასვლა: განისაზღვრა ღვინის ახალი კატეგორია სახელწოდებით „მხარის ღვინო“ (ფრანგული Vins de pays-ის, ესპანური Vino de la tierra-ს, იტალიური vino tipico-ს და

გერმანული landwein-ის ეკვივალენი), ევროპულ ყაიდაზე გადაკეთდა ხარისხობრივი ღვინოების ადრე არსებული კატეგორიები, აიკრძალა ადგილწარმოშობის დასახელების ღვინოების ჩამოსასხმელი სახით გაყიდვა, ხოლო სამტრესტი და მევენახეობის და მეღვინეობის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი გახდნენ ღვინის წარმოების მაკონტროლებელი ორგანოები ფრანგული INAO-ს მსგავსად.

